ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia

ინიციატივა მოწყვლადი ჯგუფების რეაბილიტაციისათვის
Rehabilitation initiative for vulnerable groups

1989–2019 30 YEARS PENAL REFORM INTERNATIONAL

# საბიუჯეტო საკითხების კვლევა პენიტენციურ სფეროში

## (2014 – 2017 წლებისთვის)

ავტორი **ნანა ცხადაძე**



2019

1. კვლევის შესავალი ....................................................................3

2. კვლევის მიზანი....................................................................3

3. კვლევის ამოცანები ....................................................................4

4. კვლევის მეთოდოლოგია....................................................................4

5. საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია............6

6. ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა (2014 – 2015 წლები)....................................................7

7. სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სტრატეგია 2015 წელი ....................................................7

8. სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სამოქმედო გეგმა 2015 წელი ....................................................9

9. სასჯელაღსრულების სისტემის ჯანდაცვის განვითარების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2014-2017 წლებისთვის........................................ 11

10. ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტი (BDD).... 12

11. ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულების დოკუმენტი (2014 – 2017 წლებისთვის)............................................ 12

12. ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულების დოკუმენტი (2015– 2018 წლებისთვის)............................................ 17

13. სამოქმედო გეგმების შედარებითი ანალიზი(2014 -2015 წლები) .............. 20

14. 2014 - 2015 წლის ბიუჯეტის დაგეგმვის და შესრულების ანალიზი ............ 27

15. ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა (2016 – 2017 წლები) ............................................ 56

16. სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სტრატეგია 2016 წელი ............ 58

17. სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სამოქმედო გეგმა 2016 წელი ................................................... 59

18. ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულების დოკუმენტი (2016 – 2019 წლებისთვის)............................................ 62

19. სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სტრატეგია 2017 წელი ............ 66

20. სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სამოქმედო გეგმა 2017 წელი ................................................... 68

21. ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულების დოკუმენტი (2017 – 2020 წლებისთვის)............................................ 70

22. სამოქმედო გეგმების შედარებითი ანალიზი (2016 -2017 წლები) ............. 73

23. 2016 - 2017 წლის ბიუჯეტის დაგეგმვის და შესრულების ანალიზი ............ 79

24. კვლევის მიგნებები ....................................................................113

25. რეკომენდაციები ....................................................................121

## კვლევის შესავალი

საბიუჯეტო პროცესი საქართველოს საბიუჯეტო სისტემის განუყოფელი ნაწილია. ქვეყნის განვითარებისა და ხელისუფლების ფუნქციების შესრულების კუთხით საბიუჯეტო პროცესს ერთ-ერთი ძირითადი როლი აკისრია, ვინაიდან საბიუჯეტო პროცესი წარმოადგენს ბიუჯეტის მონაწილეთა საქმიანობას, რომელიც მოიცავს ბიუჯეტის პროექტის მომზადებას, წარდგენას, განხილვას, დამტკიცებას, დაზუსტებას, ბიუჯეტის შესრულებას, ანგარიშგებასა და კონტროლს,[1] ხოლო თავად ბიუჯეტი არის წლის მთავარი ფისკალური დოკუმენტი, რომლიდანაც ფინანსდება ის ძირითადი პროგრამები და ღონისძიებები, რასაც ხელისუფლება ახორციელებს კონკრეტული წლის განმავლობაში.

სახელმწიფო ბიუჯეტი წარმოადგენს პროგრამული ბიუჯეტების ერთობლიობას. პროგრამულ ბიუჯეტში ასიგნებები გამოიყოფა პრიორიტეტებისა (რომელიც თანხვედრაშია ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტთან) და პროგრამების/ქვეპროგრამების მიხედვით.[2] პროგრამული ბიუჯეტი ნათლად აჩვენებს მიღწეულ შედეგებს და არა მხოლოდ ათვისებულ ასიგნებებს, შესაბამისად, პროგრამული ბიუჯეტის შესრულების შეფასებისას აქცენტი გადატანილი უნდა იყოს დაგეგმილ და მიღებულ შედეგს შორის არსებულ განსხვავებაზე და არა მხოლოდ მხარჯავი დაწესებულების და მისი საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის დამტკიცებული და დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებულ ასიგნებებსა და საკასო შესრულებას შორის არსებულ განსხვავებებზე. პროგრამული ბიუჯეტის დაგეგმვა შედეგზეა ორიენტირებული, მის ამოსავალ წერტილს წარმოადგენს მისაღები საბოლოო და შუალედური შედეგები და არა მხოლოდ პროგრამების განმახორციელებლებზე გადანაწილებული რესურსები. შესაბამისად, პარარელურად იგეგმება შედეგი და ის ინდიკატორები, რომელთა საშუალებითაც შედეგის გაზომვა გახდება შესაძლებელი, ამავე დროს ითვლება შედეგის მისაღწევად აუცილებელი ხარჯები. ბიუჯეტის დაგეგმვისას ერთმანეთთან შესაბამისობაში მოდის პროგრამის დასახული მიზნის მისაღწევად საჭირო და არსებული რესურსები. პროგრამული ბიუჯეტის მოსალოდნელი შედეგები და შესრულების შეფასების ინდიკატორები არ მტკიცდება შესაბამისი დონის წლიური ბიუჯეტით და წარმოდგენილია ბიუჯეტის თანდართულ დოკუმენტებში.

სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის განხილვასა და დამტკიცებაზე და ბიუჯეტის კონტროლზე უფლებამოსილია საქართველოს პარლამენტი.[3] სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მომზადებისა და წარდგენის პროცესს კოორდინაციას უწევს და პასუხისმგებელია საქართველოს ფინანსთა სამინისტრო[4]. სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონი[5] მიიღება ყოველწლიურად, რომელიც უნდა ასახავდეს კონკრეტული წლის პროგრამებს და ღონისძიებებს.

## კვლევის მიზანი

კვლევა მიზნად ისახავს ხელისუფლების ვალდებულებების მონიტორინგს და რეფორმების ხელშეწყობას პენიტენციურ და პრობაციის სფეროში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის გზით, სისტემის რეფორმების გაძლიერებას ადვოკატირების გზით, გაუმჯობესებული ურთიერთობებით პოლიტიკის შემუშავებაზე გავლენით და რეფორმების დასრულებული და მიმდინარე ეტაპების მონიტორინგით.

ბევრი მნიშვნელოვანი ცვლილება განხორციელდა სისტემაში ბოლო წლების განმავლობაში როგორც ინსტიტუციონალურ, ასევე საკანონმდებლო დონეზე. ამ რეფორმების კონსოლიდაციის, ოპტიმიზაციისა და ევროპულ სტანდარტებთან მიახლოვებისათვის აუცილებელია დამოუკიდებელი მოსაზრებების გათვალისწინება, განსაკუთრებით სამოქალაქო საზოგადოების.

1 საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი; კარი I; თავი I; მუხლი 5.

2 საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი; კარი II; თავი II; მუხლი 9.

3 საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი; კარი II; თავი II; მუხლი 7.

4 საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი V თავი, 33 მუხლი.

5 საქართველოს კონსტიტუციის 93-ე მუხლი.

## კვლევის ამოცანა

შესწავლილ იქნეს 2014 -2017 წლების საბიუჯეტო საკითხები ადამიანის უფლებათა დაცვის სტრატეგიებთან და სამოქმედო გეგმებთან, სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სტრატეგიებთან და სამოქმედო გეგმებთან და სასჯელაღსრულების სისტემის ჯანდაცვის განვითარების სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმასთან მიმართებაში (პენიტენციურ და პრობაციის სფეროში). კვლევის შედეგად გამოვლენილი ძირითადი მიგნებებისა და მათზე დაფუძნებული რეკომენდაციების მეშვეობით განხორციელდეს რეფორმების სამომავლო ხელშეწყობა და განვითარება.

## კვლევის მეთოდოლოგია

1. ადამიანის უფლებათა დაცვის სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების დეტალური გაცნობა.

ა) განხილული იქნება გეგმებით განსაზღვრული მიზნები, მათი შესრულებისთვის დასახული ამოცანები;

ბ) ამოცანის შესრულებაზე განსახორციელებელი ქმედებები გაანალიზდება.

2. სისხლის სამართლის სისტემის რეფომის სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების გაცნობა.

ა) განხილული იქნება გეგმებით განსაზღვრული მიზნები, შესაბამისი პროგრამები და მათი შესრულებისთვის დასახული ამოცანები;

ბ) ამოცანის შესრულებაზე განსახორციელებელი ქმედებები გაანალიზდება.

3. სასჯელაღსრულების სისტემის ჯანდაცვის განვითარების სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის გაცნობა.

ა) განხილული იქნება გეგმებით განსაზღვრული მიზნები, შესაბამისი პროგრამები და მათი შესრულებისთვის დასახული ამოცანები;

ბ) ამოცანის შესრულებაზე განსახორციელებელი ქმედებები გაანალიზდება.

4. საკვლევი პერიოდის თითოეული წლისათვის ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტების (BDD) განხილვა.

ა) განხილულ იქნება დოკუმენტის შედგენის საფუძვლები. მისი კავშირი სამოქმედო გეგმებთან.

5. საკვლევი პერიოდის თითოეული წლისათვის ბიუჯეტის კანონის პროექტის შედგენის საფუძვლები.

ა) განხილული იქნება კანონის პროექტის შესაბამისობა ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტთან და სამოქმედო გეგმებთან.

6. ადამიანის უფლებათა დაცვის სამოქმედო გეგმების, სისხლის სამართლის სისტემის რეფომის სამოქმედო გეგმების და სასჯელაღსრულების სისტემის ჯანდაცვის განვითარების სამოქმედო გეგმის შედარებითი ანალიზი.

ა) შესწავლილ იქნება თითოეული სამოქმედო გეგმის პროგრამები და ქვეპროგრამები;

ბ) დეტალურად შესწავლილი იქნება სამოქმედო გეგმებში მიზნების მისაღწევად დასახული ღონისძიებები და ქმედებები;

გ) შედარებითი ანალიზის შედეგად დადგინდება ურთიერთკავშირი სამოქმედო გეგმების თითოეულ პუნქტს შორის, როგორც შინაარსობრივი, ისე ფინანსური კუთხით.

7. საკვლევი პერიოდის თითოეული წლისათვის ბიუჯეტის დაგეგმვის და შესრულების ანალიზი.

8. საკვლევი პერიოდის თითოეული წლისათვის საბიუჯეტო საკითხებთან დაკავშირებით საჯარო ინფორმაციის მოძიება.

ა) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის ვებ-გვერდზე მოძიებულ იქნება საბიუჯეტო საკითხებთან დაკავშირებით ყველა სახის გამოქვეყნებული ინფორმაცია, კერძოდ, სამინისტროს დამტკიცებული და დაზუსტებული ბიუჯეტები და ბიუჯეტის შესრულების შესახებ ინფორმაცია, გაცემული სარგოს, დანამატების და პრემიების შესახებ ინფორმაცია და სხვა.

ბ) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე მოძიებულ იქნება ყველა სახის გამოქვეყნებული ინფორმაცია საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს საბიუჯეტო საკითხებთან დაკავშირებით, კერძოდ, სახელმწიფო ბიუჯეტები და შესრულების ანგარიშები, ინფორმაცია სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების, ღონისძიებების და მათ ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებების განმკარგავი საბიუჯეტო ორგანიზაციების შესახებ, ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამების მოსალოდნელი შედეგები და ინდიკატორები, ინფორმაცია სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული კაპიტალური პროექტების შესახებ, ინფორმაცია სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების და ღონისძიებების ფარგლებში ეკონომიკური კლასიფიკაციის „სხვა ხარჯების“ მუხლიდან განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ და სხვა.

გ) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ხაზინის ვებ-გვერდზე მოძიებულ იქნება სახელმწიფო ბიუჯეტთან დაკავშირებული საკითხები, კერძოდ, სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები პროგრამული კლასიფიკაციის მიხედვით; სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების შესრულება ფუნქციონალურ ჭრილში;

დ) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის ვებ-გვერდზე მოძიებულ იქნება სამინისტროს მიერ სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმა, წლიური გეგმის ფარგლებში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ინფორმაცია;

ე) გამოყენებული იქნება სახელმწიფო აუდიტის დასკვნები.

9. სამაგიდე კვლევების საფუძველზე დეტალურად ჩაშლილი საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა საბიუჯეტო საკითხებთან დაკავშირებით სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურებიდან.

ა) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურიდან გამოთხოვილი იქნება საჯარო ინფორმაცია პროგრამული ბიუჯეტის შესახებ, რომელიც უნდა იყოს დეტალურად ჩაშლილი საბიუჯეტო კლასიფიკატორის მიხედვით;

ბ) საჭიროების შემთხვევაში, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ხაზინიდან გამოთხოვილი იქნება, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის, ხაზინის ამონაწერი (ხარჯვითი ნაწილის) ჩაშლილი დეტალურად სახაზინე კოდების მიხედვით;

გ) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურიდან გამოთხოვილი იქნება საჯარო ინფორმაცია ბიუჯეტის (და მისი ხარჯვის) ისეთ კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით, რომელთა დაზუსტებაც აუცილებლობას წარმოადგენს სამაგიდე კვლევებიდან გამომდინარე.

10. მიღებული ინფორმაციის საფუძველზე საბიუჯეტო საკითხების შესწავლა.

11. ადამიანის უფლებათა დაცვის სტრატეგიებთან და სამოქმედო გეგმებთან, სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სტრატეგიებთან, სამოქმედო გეგმებთან და სასჯელაღსრულების სისტემის ჯანდაცვის განვითარების სტრატეგიასთან სახელმწიფო ბიუჯეტის კანონების შესაბამისობის განხილვა.

12. სამოქმედო გეგმების ხარჯთ-ეფექტურობის დადგენა.

ა) დადგენილი იქნება რამდენად სწორად და პრიორიტეტების მიხედვით იყო რესურსები განაწილებული სამოქმედო გეგმებში დასახული შედეგების მისაღწევად. ამ ნაწილის შეფასებისას უნდა მოხდეს პირდაპირი კავშირის განსაზღვრა სამოქმედო გეგმის მიზნის, ამოცანის და საქმიანობის რელევანტურობის შეფასებასთან;

ბ) შედარებული იქნება ძირითად და სექტორულ სამოქმედო გეგმებში როგორ არის ასახული თანხები. არის თუ არა განსხვავებული ჩანაწერები;

გ) ასევე ზოგადად როგორია გეგმებში ასახული თანხების სახელმწიფო ბიუჯეტის შესაბამის მუხლებთან ბმა;

დ) დადგენილი იქნება ხომ არ მოხდა ბიუჯეტის გაუთვალისწინებლად ხარჯვა, გეგმით განსაზღვრული მიზნებისგან განსხვავებული საქმიანობებისათვის, რამაც ხელი შეუშალა გეგმის მიზნების მიღწევას;

11. შემაჯამებელი დასკვნების სახით მიგნებების ჩამოყალიბება და შესაბამისი რეკომენდაციების გაცემა.

## საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია

საქართველოს მთავრობამ მნიშვნელოვნად მიიჩნია მიღებული ყოფილიყო საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა (2014-2015,[6] 2016-2017[7] და 2018 – 2020[8] წლებისთვის), რომელიც საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებულ საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნულ სტრატეგიასთან[9] (2014 - 2020 წლებისთვის) შესაბამისობაში განსაზღვრავდა აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ განსახორციელებელი პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს. სტრატეგიაში სულ 23 ძირითადი მიმართულება გამოიკვეთა, რომელთაგანაც ამ კვლევისთვის განსაკუთრებით საინტერესო, მნიშვნელოვანი საკითხებია:

✓ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემის და ყოფილ პატიმრებზე ზრუნვის მექანიზმების ჩამოყალიბება;

✓ ადამიანის წამებისა და არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ ეფექტიანი ღონისძიებების განხორციელება, გამჭვირვალე და დამოუკიდებელი გამოძიების წარმოების ჩათვლით;

✓ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის ჩამოყალიბება, რომელშიც გათვალისწინებული იქნება ყველა არასრულწლოვნის (მათ შორის, კანონის დამრღვევი, დაზარალებული და დანაშაულის მოწმე, აგრეთვე სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მონაწილე არასრულწლოვნების) საჭიროებები და „საუკეთესო ინტერესები “.

6 საქართველოს მთავრობის დადგენილება №445 (9 ივლისი, 2014 წელი).
7 საქართველოს მთავრობის დადგენილება №338 (21 ივლისი, 2016 წელი).
8 საქართველოს მთავრობის დადგენილება №182 (17 აპრილი, 2018 წელი).
9 საქართველოს პარლამენტის დადგენილება №2315-IIს (30 აპრილი, 2014 წელი).

# ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა (2014-2015 წლები)

საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2014 – 2015 წლებისათვის) შესწავლისას იკვეთება შემდეგი მიზნები, რომელთა მიღწევაც (შესაბამის წლებში) განისაზღვრა სასჯელაღსრულების სისტემის პრიორიტეტად იმისათვის, რომ განხორციელებულ იქნას საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია:

მიზანი 5.1. საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პენიტენციური სისტემის ჩამოყალიბება. მიზნის მისაღწევად დასახულ იქნა 8 ამოცანა, რომელთა შესრულების ვადად განისაზღვრა 2014 – 2015 წლები;

მიზანი 5.2. პრობაციის სრულყოფილი სისტემა. მიზნის მისაღწევად დასახულ იქნა 5 ამოცანა. მხოლოდ ორი საქმიანობის/ღონისძიების შესრულების ვადად განისაზღვრა 2014 წელი, ხოლო დანარჩენის ვადად 2014 – 2015 წლები;

მიზანი 5.3. ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესში ადამიანის უფლებათა დაცვის საუკეთესო სტანდარტების გათვალისწინება. მიზნის მისაღწევად დასახულ იქნა 5 ამოცანა. ერთი საქმიანობის/ღონისძიების შესრულების ვადად განისაზღვრა 2014 წელი, ხოლო დანარჩენის ვადად 2014 – 2015 წლები;

მიზანი 6. წამებისა და არასათანადო მოპყრობის სხვა ფორმებთან ბრძოლა. მიზნის მიღწევაში მონაწილედ განისაზღვრა არაერთი ორგანიზაცია (მათ შორის სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო) და დასახულ იქნა 8 ამოცანა. ყველა იმ ამოცანას, რომლის შესრულებაშიც მონაწილეობას ღებულობს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო, შესრულების ვადად განესაზღვრა 2014 -2015 წლები;

მიზანი 13.5. ბავშვებზე ორიენტირებული მართლმსაჯულების სისტემის განვითარება. მიზნის მიღწევაში მონაწილედ განისაზღვრა არაერთი ორგანიზაცია (მათ შორის სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო) და დასახულ იქნა 6 ამოცანა. ყველა იმ ამოცანას, რომლის შესრულებაშიც მონაწილეობას ღებულობს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო, შესრულების ვადად განესაზღვრა 2014 -2015 წლები.

# სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სტრატეგია 2015 წელი[10]

სასჯელაღსრულების სისტემის რეფორმის სტრატეგიის ძირითდი მიმართულებები 2015 წლისთვის შემდეგნაირად განისაზღვრა:[11]

✓ სპეციალიზებული ტრენინგები პენიტენციური სისტემის თანამშრომლებისათვის;

✓ პატიმრობის პირობების გაუმჯობესება;

✓ ინფრასტრუქტურის განვითარება;

✓ მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია;

✓ პენიტენციური ჯანდაცვის გაუმჯობესება.

10 უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს მიერ რიგით მე-17 სხდომაზე დამტკიცებული სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სტრატეგია.

11 სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სტრატეგია 2015 წელი, გვ. 59-62

პრობაციის სისტემის რეფორმის სტრატეგიის (2015 წლისთვის) ძირითადი მიზანია:[12] სასჯელის აღსრულება, განმეორებითი დანაშაულის პრევენცია და მსჯავრდებულის რესოციალიზაცია/რეინტეგრაცია.

✓ პრობაციის სააგენტოს ადმინისტრაციული შესაძლებლობების განვითარება;

- თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულება;

- საკადრო პოლიტიკა.

✓ საკანონმდებლო ბაზის განვითარება;

- საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის ხელშეწყობა;

- ზრუნვა არასრულწლოვნებზე;

- ახალი სტრუქტურული ერთეულის შექმნა.

✓ ზედამხედველობის სისტემის გაუმჯობესება;

- რისკებისა და საჭიროებების შეფასების და სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვის მეთოდოლოგია.

✓ სარეაბილიტაციო პროგრამების და საზოგადოების ჩართულობის განვითარება;

- რეაბილიტაცია - რესოციალიზაცია;

- პროფესიული გადამზადების პროგრამები;

- პირობით მსჯავრდებულთა დასაქმება;

- ფსიქო-სოციალური სარეაბილიტაციო პროგრამების კონკურსები.

✓ უწყებათაშორისი კოორდინაციის უზრუნველყოფა პრობაციის შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის გაუმჯობესება;

- კვლევა - განმეორებით ჩადენილი დანაშაული ამნისტირებულებში.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის სტრატეგიაა (2015 წლისთვის):[13]

✓ კანონმდებლობის დახვეწა;

✓ დანაშაულის/სამართალდარღვევის და ძალადობის პრევენცია;

✓ სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმებისა და აღდგენითი მართლმსაჯულების განვითარება;

✓ პატიმრობა, როგორც უკიდურესი ზომა;

✓ რეაბილიტაცია და რესოციალიზაცია;

✓ პროფესიონალების სპეციალიზაცია არასრულწლოვანთა საკითხებში;

✓ საინფორმაციო სისტემის განვითარება;

✓ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება და განათლება.

რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის პოლიტიკის სტრატეგიული მიზნებია (2015 წლისთვის):[14]

12 სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სტრატეგია, 2015 წელი, გვ. 64-69

13 სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სტრატეგია, 2015 წელი, გვ. 72-89

14 სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სტრატეგია, 2015 წელი, გვ. 104-106

- ✓ საჭიროებებზე მორგებული სარეაბილიტაციო პროგრამების განვითარება საუკეთესო ადგილობრივ და საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით;
- ✓ ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა მხრიდან დანაშაულის განმეორებით ჩადენის რისკის შეფასებისა და რეციდივის შემთხვევების ანალიზის სისტემის დანერგვა;
- ✓ სარეაბილიტაციო პროცესში ჩართული უწყებებისა და ორგანიზაციების ინსტიტუციური გაძლიერება, პერსონალის მომზადება და განვითარება მაღალხარისხიანი სარეაბილიტაციო მომსახურების მიწოდებისთვის;
- ✓ სარეაბილიტაციო პროცესში მონაწილე უწყებათა და ორგანიზაციათა კოორდინირებული მუშაობის უზრუნველყოფა, მედიასთან და საზოგადოებასთან კომუნიკაცია რეაბილიტაციის პროცესის მხარდასაჭერად.

## სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სამოქმედო გეგმა 2015 წელი

სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სამოქმედო გეგმის, **სასჯელაღსრულების სისტემის** შესწავლისას იკვეთება ერთი ძირითადი გრძელვადიანი მიზანი - პატიმართა უფლებების დაცვის და უკეთესი მოპყრობის უზრუნველყოფა; ეფექტიანი რეაბილიტაციისა და რეინტეგრაციის ღონისძიებების საშუალებით რეციდივის შემცირება. ასევე გრძელვადიანად არის განსაზღვრული პრიორიტეტი - საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პენიტენციური სისტემის ჩამოყალიბება ზრდასრულთათვის.

მიზნის მისაღწევად 2015 წელს შემდეგი პროგრამებია შემუშავებული:

პროგრამა 6.1. პენიტენციურ სისტემაში მოქმედი კანონმდებლობისა და შიდა რეგულაციების სისტემატიური გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში ცვლილებების შეტანა;

პროგრამა 6.2. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის და დაწესებულებების ადმინისტრირების გაუმჯობესება. პროგრამა ორი ქვეპროგრამისგან შედგება;

პროგრამა 6.3. პატიმრობის პირობების გაუმჯობესება. პროგრამა ჩაშლილია 7 ქვეპროგრამად;

პროგრამა 6.4. მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია. პროგრამა 5 ქვეპროგრამისგან შედგება;

პროგრამა 6.5. პირობით ვადამდე გათავისუფლება, მაჩვენებლის ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციასთან მიახლოება და ადგილობრივი საბჭოს საქმიანობა. პროგრამა მოიცავს ერთ ქვეპროგრამას;

პროგრამა 6.6. პატიმართა სამართლებრივი გარანტიების გაძლიერება. პროგრამა ორი ქვეპროგრამისგან შედგება;

პროგრამა 6.7. სად-ის მონიტორინგის სამართველოს ინსტიტუციონალური განვითარება.

**პრობაციის სისტემის რეფორმირებისათვის** ძირითად მიზნად განისაზღვრა რეაბილიტაცია და რესოციალიზაცია, პრევენციაზე ორიენტირებული ინდივინდუალური მიდგომის დანერგვა და დახვეწა. გრძელვადიანი პროგრამა ითვალისწინებს სრულყოფილი პრობაციის სისტემის შექმნას.

ყოველივე ამისთვის შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება დაიგეგმა:

ქვეპროგრამა 7.1. პრობაციის სააგენტოს ადმინისტრაციული შესაძლებლობების განვითარება, რომელიც 10 ღონისძიებისგან შედგება;

ქვეპროგრამა 7.2. საკანონმდებლო ბაზის განვითარება. ქვეპროგრამის განსახორციელებლად სამი ღონისძიებაა საჭირო;

ქვეპროგრამა 7.3. ზედამხედველობის სისტემის გაუმჯობესება, რომელიც 8 ღონისძიების განხორციელებით მიიღწევა;

ქვეპროგრამა 7.4. სარეაბილიტაციო პროგრამების და საზოგადოების ჩართულობის განვითარება. საჭიროა 6 ღონისძიების განხორციელება;

ქვეპროგრამა 7.5. უწყებათა შორის კოორდინაციის უზრუნველყოფა და პრობაციის შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის გაუმჯობესება. ქვეპროგრამის განსახორციელებლად სამი ღონისძიებაა საჭირო.

**არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმისათვის** ძირითადი მიზანია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ისეთი სისტემის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს არასრულწლოვანთა დანაშაულის თავიდან აცილებას, ბავშვთა უფლებების სათანადო დაცვას, მათ კეთილდღეობასა და განვითარებას, კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა რეაბილიტაციასა და რესოციალიზაციას.

ძირითადი მისაღწევი შედეგები/განსახორციელებელი პროგრამები, რომელთა შესრულებაშიც მონაწილეობას იღებს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო, შემდეგია:

შედეგი 8.1. კანონმდებლობის დახვეწა, რომლის განსახორციელებლადაც დაიგეგმა 9 ქვეპროგრამა. აქედან სამის შესრულებაზე სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროა პასუხისმგებელი;

შედეგი 8.3. სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმებისა და აღდგენითი მართლმსაჯულების განვითარება. შედგება ორი ქვებროგრამისგან და აქედან ერთის შესრულებაზე პასუხისმგებელია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო;

შედეგი. 8.4. პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის გამოყენება მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში, რომლის განხორციელებაზეც სამი ქვეპროგრამა დაიგეგმა და აქედან ორზე პასუხისმგებელია სამინისტრო (აქედან ერთი განხორციელდა 2014 წელს);

შედეგი 8.5. რეაბილიტაცია და რესოციალიზაცია შედგება 10 ქვეპროგრამისგან და მათგან 9-ში მონაწილეა სამინისტრო;

შედეგი 8.6. პროფესიონალების სპეციალიზაცია არასრულწლოვანთა საკითხებში, რომელიც ორი ქვეპროგრამისგან შედგება, ორივეში მონაწილეობას იღებს სამინისტრო.

**სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში რეაბილიტაცია რესოციალიზაციის სამოქმედო გეგმის** ძირითადი მიზანია მსჯავრდებულთა და ყოფილ მსაჯვრდებულთა რესოციალიზაცი-რეაბილიტაციისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის უზრუნველყოფა.

სტრატეგიული მიზნები, რომელთა მიღწევაშიც მონაწილეობას იღებს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო, შემდეგია:

სტრატეგიული მიზანი 1. საჭიროებებზე მორგებული სარეაბილიტაციო პროგრამების განვითარება საუკეთესო ადგილობრივ და საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით, რომელიც შედგება 9 აქტივობისგან. სამინისტრო პასუხისმგებელია 7 აქტივობის შესრულებაზე;

სტრატეგიული მიზანი 2. სარეაბილიტაციო პროცესში ჩართული უწყებებისა და ორგანიზაციების ინსტიტუციური გაძლიერება, პერსონალის მომზადება და განვითარება მაღალხარისხიანი სარეაბილიტაციო მომსახურების მიწოდებისთვის. მიზანი 5 აქტივობას ითვალისწინებს და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო მონაწილეობს მათ განხორციელებაში;

სტრატეგიული მიზანი 3. სარეაბილიტაციო პროცესში მონაწილე უწყებათა და ორგანიზაციათა კოორდინირებული მუშობის უზრუნველყოფა, მედიასთან და საზოგადოებასთან კომუნიკაცია რეაბილიტაციიის პროცესის მხარდასაჭერად, რომელიც 8 აქტივობის განხორციელებით უნდა იქნას მიღწეული. სამინისტრო ოთხი აქტივობის მონაწილეა.

## სასჯელაღსრულების სისტემის ჯანდაცვის განვითარების სტრატეგია 2014-2017 წლებისთვის

სტრატეგია გათვლილია ოთხ წელზე (2014-2017) და ეფუძნება ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის სახელმძღვანელო დოკუმენტებს (WHO[15], UNODC), ევროპის საბჭოს რეკომენდაციებსა და წამების საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტის (CPT) სტანდარტებს, ასევე ევროკავშირისა და ევროსაბჭოს მხარდაჭერით 2013 წელს ჩატარებულ საქართველოს პენიტენციური ჯანდაცვის სისტემის დამოუკიდებელ შეფასებას და მის ფარგლებში გამოთქმულ შეფასებებსა და რეკომენდაციებს.

**სასჯელაღსრულების სისტემის ჯანდაცვის განვითარების სამოქმედო გეგმა (2014 -2017 წლებისთვის) ითვალისწინებს შემდეგ სტრატეგიულ მიზნებს:**

1. მტკიცებულებებზე დამყარებული პოლიტიკის შემუშავება და ჯეროვანი მმართველობა. წინამდებარე მიზანი ისახავს ხუთ ამოცანას;
2. ადამიანური რესურსების მართვა და განვითარება. მიზნის მისაღწევად დასახულია ექვსი ამოცანა, რომელთაგან სამის განხორციელება უნდა მოხდეს 2014-2015 წლებში;
3. პირველადი ჯანდაცვის და ამბულატორიული სერვისების შემდგომი განვითარება, რომლის განხორციელებისთვისაც სამი ამოცანა განისაზღვრა;
4. სპეციალიზებული სამედიცინო მომსახურების მიწოდება ბრალდებულთა და მსჯავრდებულთათვის. მიზანი ისახავს სამ ამოცანას;
5. სტომატოლოგიური მომსახურება. დასახულია ორი ამოცანა, რომელთაგან ერთი უნდა განხორციელდეს 2016 წელს;
6. სამედიცინო მომსახურების ხარისხის მართვა, რომელიც შედგება ხუთი ამოცანისგან;
7. ჯანმრთელობის ხელშეწყობა, ჯანსაღი გარემო და დაავადებათა პრევენცია სასჯელაღსრულების სისტემაში;
8. გადამდები დაავადებების პრევენცია და კონტროლი. მიზნის განხორციელებისათვის ოთხი ამოცანა განისაზღვრა;
9. ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე ზრუნვის ინტეგრირებული მოდელის დანერგვა და განვითარება;
10. წამალდამოკიდებულება და ნარკოლოგიური სერვისები: პრევენცია, მკურნალობა, რეაბილიტაცია და ზიანის შემცირება. დასახულია ორი ამოცანა, რომლებიც უნდა განხორციელდეს 2015 – 2016 წლებში;
11. მოწყვლადი ჯგუფები და მათი უზრუნველყოფა სათანადო მომსახურებით. მიზანი ისახავს სამ ამოცანას;
12. პაციენტის უფლებები და საჩივრების განხილვის მექანიზმების გაუმჯობესება, რომელიც შედგება ოთხი ამოცანისგან;
13. სამედიცინო პერსონალის როლის გაძლიერება წამებისა და არასათანადო მოპყრობის პრევენციის საქმეში, რომელიც უნდა განხორციელდეს 2016 – 2017 წლებში;
14. სპეციალური საჭიროებები პატიმრობაში მყოფი ქალებისათვის. მიზანი ისახავს სამ ამოცანას;
15. არასრულწლოვანთა ჯანდაცვის საჭიროებები პენიტენციური სისტემაში. მიზნისთვის დასახულია ორი ამოცანა;

15 www.who.int

16. პენიტენციური ჯანდაცვის ინტეგრაციის გეგმა საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემაში. მიზნის განხორციელებისათვის ორი ამოცანა განისაზღვრა, რომელთაგან ერთის შესრულება მოხდება 2015 და 2017 წლებში, ხოლო მეორის - 2017 წელს.

## ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტი (BDD)[16]

ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტი (BDD) წარმოადგენს ფისკალურ ჩარჩოს, რომელიც განსაზღვრავს საშუალოვადიან პერიოდში ბიუჯეტის ძირითადი პრიორიტეტების ფარგლებში, მხარჯავი დაწესებულებების პროგრამების დაფინანსების მოცულობას. წლის განმავლობაში, სამინისტროებისა და უწყებების მიერ თავიანთი სამოქმედო გეგმების/სექტორული სტრატეგიების, ახალი პოლიტიკის განსაზღვრისა თუ ახალი ვალდებულებების აღების შემთხვევაში, დოკუმენტი წარმოადგენს ჩარჩოს, რომლის ფარგლებშიც შესაბამისმა უწყებებმა უნდა გაითვალისწინონ რესურსები მათ მიერ აღებული ვალდებულებების დასაფინანსებლად.[17] საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მომზადების პირველი ეტაპი იწყება საქართველოს მთავრობის დადგენილებით, რომელიც განსაზღვრავს იმ მხარჯავი დაწესებულებების ნუსხას, რომლებიც უნდა ჩაერთონ დასაგეგმი წლებისათვის ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის მომზადებაში.

ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტის შედგენის მიზნებისათვის საქართველოს ფინანსთა სამინისტროში წარდგენილი პროგრამული მიმართულებები უნდა გამომდინარეობდეს სამოქმედო გეგმებიდან[18] (საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა, სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სამოქმედო გეგმა, სასჯელაღსრულების სისტემის ჯანდაცვის განვითარების სამოქმედო გეგმა).

ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტის შედგენის და წარდგენის ძირითადი წესი განისაზღვრება საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით. იგი არ მტკიცდება და არ აქვს კანონის ძალა. დოკუმენტის გადამუშავებული ვარიანტი წარმოადგენს საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენილი წლიური ბიუჯეტის კანონის პროექტის პაკეტის მნიშვნელოვან ნაწილს და მისი საბოლოო ვარიანტი მზადდება საბიუჯეტო წლის დაწყებიდან 1 თვის ვადაში და წარედგინება საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს.

## ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულების დოკუმენტი (2014 – 2017 წლებისთვის)

ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულების (2014 – 2017 წლებისთვის)[19] დოკუმენტში განისაზღვრა პროგრამული მიმართულებები –

*სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამსახურის რეფორმა:*

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო ორიენტირებული იქნება მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა უფლებების დაცვაზე. ამისათვის, სასჯელაღსრულების დაწესებულებები საცხოვრებელი ფართობით, კვების რაციონით, სამედიცინო პროგრამებით, ჰიგიენური პირობებითა და პატიმართა მიმართ მოპყრობით მაქსიმალურად მიუახლოვდება ევროპულ სტანდარტებს. აქტიურად ამუშავდება სხვადასხვა სახის მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის პროექტი, დაცული იქნება მსჯავრდებულთა/ბრალდებულთა რელიგიური უფლებები, ასევე ეთნიკური

16 საბიუჯეტო კოდექსის კარი III, თავი V, მუხლი 34.
17 საბიუჯეტო კოდექსის კარი III, თავი V, მუხლი 35.
18 საბიუჯეტო კოდექსის კარი III, თავი V, მუხლი 34, პუნქტი 1 და 4.
19 საბიუჯეტო კოდექსის კარი III, თავი V, მუხლი 34, პუნქტი 2.

უმცირესობების უფლებები. მოხდება მსჯავრდებულთა დასაქმების ხელშეწყობა, ამუშავდება სასწავლო და პროფესიული გადამზადების პროგრამები. სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მსჯავრდებულები განთავსდებიან საშიშროების რისკების შეფასების მიხედვით. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა არასრულწლოვან მსჯავრდებულებზე ზრუნვას და მათ სოციალურ ჩართულობას. არასრულწლოვანთა დაწესებულება გადაკეთდება არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო ცენტრად.

განხორციელდება პენიტენციური ჯანდაცვის რეფორმა, რომლის მიზანიც იქნება ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა ჯანმრთელობის დაცვა, ადეკვატურ სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და პენიტენციურ სისტემაში სამედიცინო მომსახურების სტანდარტის შესაბამებამისობაში მოყვანა ქვეყანაში სამოქალაქო ჯანდაცვის სექტორში არსებულ სტანდარტთან.

გადაიდგმება ნაბიჯები იმისათვის, რომ ყველა პრობაციონერის მიმართ განხორციელდეს რისკების შეფასება და შედგეს სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმა, რაც ხელს შეუწყობს დანაშაულის პრევენციასა და პრობაციონერთა რეაბილიტაციას.

სისხლის სამართლის პოლიტიკის ლიბერალიზაციის ფარგლებში, თავისუფლების აღკვეთის ალტერნატიული სასჯელის სახით ამოქმედდება თავისუფლების შეზღუდვა. თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებაში ძირითადი პრიორიტეტი, თავისუფლებაშეზღუდულ პირთა დასაქმების პარალელურად, იქნება მათი რეაბილიტაცია, რესოციალიზაცია და პროფესიული სწავლება. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა პირობით მსჯავრდებულთა ფსიქო-სოციალურ რეაბილიტაციას, რაც შეამცირებს რეციდივის რისკებს.

იურიდიული დახმარების სამსახურის დამოუკიდებლობისა და ეფექტიანობის ხარისხის გაზრდის მიზნით ეს სამსახური გამოეყოფა სამინისტროს სისტემას და გახდება დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი.

*სისხლის სამართლის სისტემის რეფორმა:*

განხორციელდება სამართლიანი სასჯელის პოლიტიკა. პატიმრობის, როგორც აღკვეთის ღონისძიების, ისევე, როგორც სასჯელის მოხდის რეჟიმი იქნება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი და სრულად იქნება დაცული ადამიანის უფლებები. დანაშაულთან ეფექტიანი ბრძოლის პარალელურად, მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმობა რესოციალიზაციის პოლიტიკის განხორციელებას.

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროს (პროგრამული კოდი 27 00) მიერ გათვალისწინებული ასიგნებები და რიცხოვნობის ზღვრული მოცულობები ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულების (2014 – 2017 წლებისათვის) დოკუმენტში განისაზღვრა შემდეგნაირად:

**ათას ლარებში**

| პროგრამული კოდი | დასახელება | 2014 წლის დასაქმებულთა საორიენტაციო ზღვრული მოცულობა რიცხოვნება | 2014 წლის ზღვრული მოცულობა (ათას ლარებში) | 2015 წლის ზღვრული მოცულობა (ათას ლარებში) | 2016 წლის ზღვრული მოცულობა (ათას ლარებში) | 2017 წლის ზღვრული მოცულობა (ათას ლარებში) |
|---|---|---|---|---|---|---|
| 27 00 | საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო | 5,104 | 157,000.0 | 162,135.0 | 167,635.0 | 173,635.0 |

***პენიტენციური სისტემის პოლიტიკის შემუშავება და მართვა***

***სისხლის სამართლის სისტემის რეფორმა***

- საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების სისტემის ჩამოყალიბება;
- სრულყოფილი პრობაციის სისტემა;
- უფასო იურიდიული დახმარება.

***სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემისათვის თანამშრომელთა მომზადება და პროფესიული განვითარება***

***ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა უზრუნველყოფა ექვივალენტური სამედიცინო მომსახურებით***

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროს მიერ განსახორციელებელი პროგრამები და მათი დაფინანსება ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულების (2014 – 2017 წლებისათვის) დოკუმენტში განისაზღვრა შემდეგნაირად:

**ათას ლარებში**

| პროგრამული კოდი | დასახელება | 2014 წელი სულ | 2015 წელი სულ | 2016 წელი სულ | 2017 წელი სულ |
|---|---|---|---|---|---|
| **27 00** | **საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო** | **158,500.00** | **161,670.00** | **167,210.00** | **173,260.00** |
| 27 01 | პენიტენციური სისტემის პოლიტიკის შემუშავება და მართვა | 4,159.00 | 4,160.00 | 4,160.00 | 4,160.00 |
| 27 02 | სისხლის სამართლის სისტემის რეფორმა | 137,869.00 | 140,000.00 | 145,000.00 | 150,000.00 |
| 27 03 | სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემისათვის თანამშრომელთა მომზადება და პროფესიული განვითარება | 1,006.00 | 1,010.00 | 1,050.00 | 1,100.00 |
| 27 04 | ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა უზრუნველყოფა ექვივალენტური სამედიცინო მომსახურებით | 15,466.00 | 16,500.00 | 17,000.00 | 18,000.00 |

ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულების (2014 – 2017 წლებისათვის) დოკუმენტში **სრულად არის ასახული,**[20] სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროსთვის ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმით, სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სამოქმედო გეგმით და ჯანდაცვის განვითარების სამოქმედო გეგმით განსაზღვრული სტრატეგიული მიზნები.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროსათვის წადგენილ საბიუჯეტო განაცხადს, წლიური ბიუჯეტის კანონის მომზადების მიზნით[21] საფუძვლად უნდა ედოს ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი, რომელიც თავის მხრივ გამომდინარეობს საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმებიდან.

2014 წლისთვის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით,[22] სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროსათვის, განისაზღვრა ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის შესაბამისად შემდეგნაირად:

**ათას ლარებში**

| პროგრამული კოდი | დასახელება | 2014 წლის გეგმა | მათ შორის | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | საბიუჯეტო სახსრები | გრანტები | სესხი |
| 27 00 | **საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო** | **157,000.00** | **157,000.00** | **0.0** | **0.0** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 5,104.00 | 5,104.00 | 0.0 | 0.0 |
| | ხარჯები | 130,207.00 | 130,207.00 | 0.0 | 0.0 |
| | შრომის ანაზღაურება | 67,607.00 | 67,607.00 | 0.0 | 0.0 |
| | საქონელი და მომსახურება | 59,609.00 | 59,609.00 | 0.0 | 0.0 |
| | გრანტები | 7.0 | 7.0 | 0.0 | 0.0 |
| | სოციალური უზრუნველყოფა | 633.0 | 633.0 | 0.0 | 0.0 |
| | სხვა ხარჯები | 2,351.0 | 2,351.0 | 0.0 | 0.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 26,793.00 | 26,793.00 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |

20 ბრძანება 385 - პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგია.

21 პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგია - ბრძანება 385, პუნქტი 2.

22 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონი.

რომელიც ჩაიშალა ოთხ ქვეპროგრამად, ესენია:

- პენიტენციური სისტემის პოლიტიკის შემუშავება და მართვა (27 01);
- სისხლის სამართლის სისტემის რეფორმა (27 02), რომელიც დაყოფილია ოთხ მიმართულებად:
  - საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების სისტემის ჩამოყალიბება (27 02 01);
    - თავისუფლება აღკვეთილთა ყოფითი და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება (27 02 01 01);
    - პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების დაწესებულებებში არსებული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და საწარმოო ზონის შექმნა (27 02 01 02);
  - სრულყოფილი პრობაციის სისტემა (27 02 02);
  - უფასო იურიდიული დახმარება (27 02 03);
- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემისათვის თანამშრომელთა მომზადება და პროფესიული განვითარება (27 03);
- ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა უზრუნველყოფა ექვივალენტური სამედიცინო მომსახურებით (27 04).

სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტებში და პროგრამებში[23] (2014 წლისათვის) **სრულად არის ასახული** ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულების (2014 – 2017) დოკუმენტში განსაზღვრული საკითხები.[24]

სასჯელის მოხდის რეჟიმი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი გახდება და სრულად იქნება დაცული ადამიანის უფლებები;

პატიმართა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით გაგრძელდება დაბა ლაითურში თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების მშენებლობა, ასევე გაგრძელდება სარეკონსტრუქციო-სარემონტო სამუშაოები სხვადასხვა დაწესებულებაში და განახლდება საყოფაცხოვრებო ინვენტარი;

სასჯელაღსრულების დაწესებულებები საცხოვრებელი ფართობით, კვების რაციონით, სამედიცინო პროგრამებით, ჰიგიენური პირობებითა და პატიმართა მიმართ მოპყრობით მაქსიმალურად მიუახლოვდება ევროპულ სტანდარტებს;

გადაიდგმება ნაბიჯები ყველა პრობაციონერის მიმართ რისკების შესაფასებლად და შედგება სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმა;

განახლდება და თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიებით აღიჭურვება პენიტენციური სისტემის სამედიცინო დაწესებულებები და პირველადი ჯანმრთელობის დაცვის პუნქტები; გაუმჯობესდება მათი მედიკამენტებით მომარაგება და გაიზრდება სტაციონარული მომსახურების არეალი; გაიზრდება პენიტენციური სისტემის სამედიცინო პერსონალის რაოდენობა და უზრუნველყოფილი იქნება მისი უწყვეტი განათლების პროცესი; მოსამსახურეები უზრუნველყოფილი იქნებიან ჯანმრთელობის დაზღვევით და გაუმჯობესდება მათი სოციალური და სამუშაო პირობები;

პრობაციის სისტემის სრულყოფის მიზნით სისტემაში სრული დატვირთვით ამოქმედდება თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულება; გარემონტდება და თანამედროვე ტექნოლოგიებით აღიჭურვება პრობაციის ბიუროები; გაფართოვდება პრობაციონერთა სარეაბილიტაციო პროგრამების არეალი.

2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით დამტკიცებული ასიგნებები შეესაბამება ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების (2014 – 2017 წლებისთვის) დოკუმენტში ზღვრულ მოცულობებში განსაზღვრულ თანხებს, თუმცა არ შეესაბამება სისხლის სამართლის სისტემის რეფორმისთვის (პროგრამული კოდი 27 02) სამინისტროს მიერ მოთხოვნილ თანხას (რომელიც აღემატებოდა ზღვრულ მოცულობას 1,500.00 ათასი ლარით).

23 სახელმწიფო ბიუჯეტის კანონი (2014 წელი), V თავი.

24 საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება 385 - პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგია.

## ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულების დოკუმენტი (2015-2018 წლებისთვის)

ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულების (2015– 2018 წლებისთვის)[25] დოკუმენტში განსაზღვრული პროგრამული მიმართულებების ნაწილის განხორციელების პროცესი გრძელდება 2014 წლიდან როგორც საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმები (BDD 2014 – 2017 წლებისთვის). ასევე გამოიკვეთა შემდეგი ღონისძიებები, კერძოდ:

*სასჯელაღსრულების რეფორმა:*

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობათ მოწყვლად ჯგუფებს. განხორციელდება ქალ პატიმართა და არასრულწლოვან პატიმართა სპეციფიკურ საჭიროებებზე მორგებული სამედიცინო სერვისების მიწოდება. შემუშავდება პენიტენციური და სამოქალაქო ჯანდაცვის ინტეგრაციის ყოვლისმომცველი გეგმა. მულტიდისციპლინარული ჯგუფი შეაფასებს პატიმართა რისკებს და მოხდება მათი შემდგომი განთავსება სხვადასხვა რისკის დაწესებულებებში. დაიხვეწება სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვა. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა არასრულწლოვან მსჯავრდებულებზე ზრუნვას და მათ სოციალურ ჩართულობას. პენიტენციური ჯანდაცვის სისტემაში შემუშავდება მტკიცებულებებზე დამყარებული პოლიტიკა და სათანადო მმართველობა; მოხდება ადამიანური რესურსების მართვა და განვითარება, პირველადი ჯანდაცვის და ამბულატორიული სერვისების შემდგომი განვითარება; გაუმჯობესდება მოწყვლადი ჯგუფების უფლებრივი მდგომარეობა - ისინი უზრუნველყოფილი იქნებიან სათანადო მომსახურებით. ასევე, გაუმჯობესდება პაციენტთა საჩივრების განხილვის მექანიზმები. გარდა ამისა, გაძლიერდება სამედიცინო პერსონალის როლი წამებისა და არასათანადო მოპყრობის პრევენციის საქმეში.

*სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის* განხორციელებისათვის დაგეგმილი ღონისძიებები ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულების (2014– 2017 წლებისთვის) დოკუმენტის შესაბამისი სახითაა განსაზღვრული.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს (პროგრამული კოდი 27 00) მიერ გათვალისწინებული ასიგნებები და რიცხოვნობის ზღვრული მოცულობები ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულების (2015-2018 წლებისათვის) დოკუმენტში განისაზღვრა შემდეგნაირად:

**ათას ლარებში**

| პროგრამული კოდი | დასახელება | 2015 წლის დასაქმებულთა საორიენტაციო ზღვრული მოცულობა რიცხოვნება | 2015 წლის ზღვრული მოცულობა (ათას ლარებში) | 2016 წლის ზღვრული მოცულობა (ათას ლარებში) | 2017 წლის ზღვრული მოცულობა (ათას ლარებში) | 2018 წლის ზღვრული მოცულობა (ათას ლარებში) |
|---|---|---|---|---|---|---|
| 27 00 | საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო | 4,924 | 155,000.0 | 163,300.0 | 168,300.0 | 174,300.0 |

25 https://www.mof.ge/5071

***პენიტენციური სისტემის პოლიტიკის შემუშავება და მართვა***

***სისხლის სამართლის სისტემის რეფორმა***

- საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების სისტემის ჩამოყალიბება;
- თავისუფლებააღკვეთილთა ყოფითი და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება;
- პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების დაწესებულებებში არსებული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და საწარმოო ზონის შექმნა;
- სრულყოფილი პრობაციის სისტემა.

***სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემისათვის თანამშრომელთა მომზადება და პროფესიული განვითარება***

***ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა უზრუნველყოფა ექვივალენტური სამედიცინო მომსახურებით***

სასჯელაღსრულების და პრობაციისა სამინისტროს მიერ განსახორციელებელი პროგრამები და მათი დაფინანსება ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულების (2015– 2018 წლებისათვის) დოკუმენტში განისაზღვრა შემდეგნაირად:

**ათას ლარებში**

| პროგრამული კოდი | დასახელება | 2015 წელი სულ | 2016 წელი სულ | 2017 წელი სულ | 2018 წელი სულ |
|---|---|---|---|---|---|
| **27 00** | **საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო** | **155,990.00** | **164,500.00** | **169,800.00** | **176,300.00** |
| 27 01 | პენიტენციური სისტემის პოლიტიკის შემუშავება და მართვა | 5,009.00 | 9,000.00 | 9,000.00 | 9,000.00 |
| 27 02 | სისხლის სამართლის სისტემის რეფორმა | 134,705.00 | 137,000.00 | 142,300.00 | 148,800.00 |
| 27 03 | სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემისათვის თანამშრომელთა მომზადება და პროფესიული განვითარება | 1,006.00 | 1,200.00 | 1,200.00 | 1,200.00 |
| 27 04 | ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა უზრუნველყოფა ექვივალენტური სამედიცინო მომსახურებით | 15,270.00 | 17,300.00 | 17,300.00 | 17,300.00 |

ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულების (2015 – 2018 წლებისათვის) დოკუმენტში **სრულად არის ასახული** სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროსთვის, ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმით (2014 – 2015 წლებისათვის), სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სამოქმედო გეგმით (2014 - 2015 წლებისათვის) და ჯანდაცვის განვითარების სამოქმედო გეგმით (2014 – 2015 წლებისთვის) განსაზღვრული სტრატეგიული მიზნები.

2015 წლისთვის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები[26] საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროსათვის განისაზღვრა ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის შესაბამისად შემდეგნაირად:

**ათას ლარებში**

| პროგრამული კოდი | დასახელება | 2015 წლის გეგმა | მათ შორის | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | საბიუჯეტო სახსრები | გრანტები | სესხი |
| **27 00** | **საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო** | **155,000.00** | **155,000.00** | **0.0** | **0.0** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 4,924.00 | 4,924.00 | 0.0 | 0.0 |
| | ხარჯები | 127,521.00 | 127,521.00 | 0.0 | 0.0 |
| | შრომის ანაზღაურება | 65,417.00 | 65,417.00 | 0.0 | 0.0 |
| | საქონელი და მომსახურება | 58,559.0 | 58,559.0 | 0.0 | 0.0 |
| | გრანტები | 6.0 | 6.0 | 0.0 | 0.0 |
| | სოციალური უზრუნველყოფა | 957.0 | 957.0 | 0.0 | 0.0 |
| | სხვა ხარჯები | 2,582.0 | 2,582.0 | 0.0 | 0.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 27,479.00 | 27,479.00 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |

რომელიც ჩაიშალა ოთხ ქვეპროგრამად, ესენია:

- პენიტენციური სისტემის პოლიტიკის შემუშავება და მართვა (27 01);
- სისხლის სამართლის სისტემის რეფორმა (27 02), რომელიც დაყოფილია ოთხ მიმართულებად;
  - საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების სისტემის ჩამოყალიბება (27 02 01);
    - ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ყოფითი და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება (27 02 01 01);
    - პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების დაწესებულებებში არსებული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და საწარმოო ზონის შექმნა (27 02 01 02);
  - სრულყოფილი პრობაციის სისტემა (27 02 02);
- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემის თანამშრომელთა მომზადება და პროფესიული განვითარება (27 03);

26 2015 წლის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონი.

- ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა ექვივალენტური სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა (27 04).

პრიორიტეტის ფარგლებში, 2015 წლის ბიუჯეტის კანონის V თავის მიხედვით, განხორციელდება იგივე ღონისძიებები, რაც აღწერილი იყო 2014 წლის ბიუჯეტის კანონში და ასევე აშენდება პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებთან საზოგადოებრივი მისაღებები, სადაც პენიტენციური სისტემის ნებისმიერ ვიზიტორს ექნება შესაძლებლობა მიიღოს სწრაფი და კვალიფიციური მომსახურება.

სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტებში და პროგრამებში[27] (2015 – 2018 წლებისათვის) **სრულად არის ასახული** ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულების (2015 – 2018) დოკუმენტში განისაზღვრული საკითხები.

2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით დამტკიცებული ასიგნებები შეესაბამება ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების (2015 – 2018 წლებისთვის) დოკუმენტში ზღვრულ მოცულობებში განსაზღვრულ თანხებს, თუმცა არ შეესაბამება, პენიტენციური სისტემის პოლიტიკის შემუშავება და მართვაზე (პროგრამული კოდი 27 01, რომელიც აღემატება ზღვრულ მოცულობებს 9.0 ათასი ლარით), სისხლის სამართლის სისტემის რეფორმაზე (პროგრამული კოდი 27 02, რომელიც აღემატებოდა ზღვრულ მოცულობას 705.00 ათასი ლარით), სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემისათვის თანამშრომელთა მომზადებასა და პროფესიულ განვითარებაზე (პროგრამული კოდი 27 03, რომელიც აღემატება ზღვრულ მოცულობას 6.0 ათასი ლარით) და ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა ექვივალენტური სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფაზე (პროგრამული კოდი 27 04, რომელიც აღემატება ზღვრულ მოცულობას 270.0 ათასი ლარით) სამინისტროს მიერ მოთხოვნილ თანხას.

## სამოქმედო გეგმების შედარებითი ანალიზი (2014 -2015 წლები)

სამოქმედო გეგმების (2014 – 2015 წლებისათვის) შესწავლისას იკვეთება, რომ ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმაში განსაზღვრული **მიზანი (იხ. 5.1)**,[28] საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პენიტენციური სისტემის ჩამოყალიბება, ძირითად პრიორიტეტადაა (იხ. 6) დასახული სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სამოქმედო გეგმაშიც. სამთავრობო გეგმაში მიზნის მისაღწევად 8 **ამოცანა** იქნა განსაზღვრული, ხოლო სისხლის სამართლის რეფორმის მიხედვით პრიორიტეტის განსახორციელებლად 7 **პროგრამა** შემუშავდა. პროგრამები და ამოცანები იდეალურ თანხვედრაშია ერთმანეთთან გარდა სამთავრობო სამოქმედო გეგმით დასახული **5.1.8 ამოცანისა** - სამინისტროსთან არსებული ეფექტიანი საზოგადოებრივი მონიტორინგის მექანიზმის შექმნა. სისხლის სამართლის რეფორმისათვის, 2014 წლის ბიუჯეტის კანონის შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების სახით დამტკიცებულია 136 369,0 ათასი ლარი, ხოლო 2015 წლისათვის - 133 715,0 ათასი ლარი. **მათ შორის ძირითადი პრიორიტეტის (იხ. 6) განსახორციელებლად 2014 წლისათვის განსაზღვრულია 126 147,0 ათასი ლარი, ხოლო 2015 წლისათვის - 125 595,0 ლარი. 2015 წლის ბიუჯეტის პროექტში შეტანილი ცვლილების შესაბამისად სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სამოქმედო გეგმის ძრითადი პრიორიტეტისთვის ბიუჯეტის ასიგნებების სახით დამტკიცდა 118 681,0 ათასი ლარი, 6 914,0 ათასი ლარით ნაკლები.**

სამოქმედო გეგმების შესწავლისას იკვეთება, რომ ამოცანები (სამთავრობო სამოქმედო გეგმის შესაბამისად) და პროგრამები/ქვეპროგრამები (სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სამოქმედო გეგმის შესაბამისად) ერთი და იმავე შინაარსის მატარებელია ისევე, როგორც მათი განხორციელებისათვის დაგეგმილი *საქმიანობები/ღონისძიებები,* გარდა მხოლოდ მცირე განსხვავებებისა. იდენტურია შედეგის შეფასების ინდიკატორებიც, ასევე მცირე განსხვავებებით. უფრო დეტალურად კი:

**2014-2015 წლების ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის 5.1.1 ამოცანა,** პენიტენციურ სისტემაში მოქმედი კანონმდებლობისა და შიდა რეგულაციების სისტემატური გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში ცვლილებების შეტანა ადამიანის უფლებების დაცვის გაძლიერების კუთხით, და

27 სახელმწიფო ბიუჯეტის კანონი (2015 წელი) V თავი.

28 საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა (2014-2015 წლებისთვის), თავი 5, გვ. 12

შესაბამისი **6.1 პროგრამა** - 2015 წლის სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სამოქმედო გეგმიდან იდენტურია როგორც მათი მიღწევისათვის განსაზღვრული საქმიანობა/ღონისძიებების მიხედვით, ასევე შედეგის შეფასების ინდიკატორების მიხედვითაც. არც ერთ გეგმაში არ არის მითითებული მათი განხორციელებისათვის საჭირო კონკრეტული დაფინანსების წყარო და ოდენობა.

**5.1.2 ამოცანა -** სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ადმინისტრირების შემდგომი განვითარება, რომლის შესასრულებლად სამი სხვადასხვა *საქმიანობა/ღონისძიებაა* განსახორციელებელი, შესაბამისობაში მოდის სისხლის სამართლის რეფორმის **6.2 პროგრამასთან,** რომელიც ჩაშლილია ორ ქვეპროგრამად. ესენია *6.2.1* - სასჯელაღსრულების დეპარტამენტის და დაწესებულებების ადმინისტრირების სრულყოფა და *6.2.2* - სპეციალიზებული ტრენინგები პენიტენციური სისტემის თანამშრომლებისათვის. ქვეპროგრამები ჩამოყალიბებულია ისეთი სახით, რომ მოიცავს ყველა საჭირო *საქმიანობას/ღონისძიებას,* რომელიც სამთავრობო სამოქმედო გეგმაშია მოცემული. რაც შეეხება შედეგის მისაღწევის შეფასებისთვის განსაზღვრულ ინდიკატორებს, ასევე იდენტურია. სისხლის სამართლის რეფორმის სამოქმედო გეგმაში *6.2.1 ქვეპროგრამის* განხორციელებისათვის განსაზღვრულია 2014 წლის სახელმწიფო საბიუჯეტო სახსრები 81 274,36 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო 2015 წლისათვის - 79 606,0 ათასი ლარის ოდენობით. რაც შეეხება *6.2.2 ქვეპროგრამას*, მისთვის არაა განსაზღვრული რაიმე თანხა.

სამთავრობო სამოქმედო გეგმის **5.1.3 ამოცანა**, პატიმრობის პირობების გაუმჯობესება, მათ შორის სპეციფიკური საჭიროებების მქონე ჯგუფების - ქალების, არასრულწლოვნების, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საჭიროებათა გათვალისწინებით, ასახულია სისხლის სამართლის რეფორმის გეგმის **6.3 პროგრამაში** (რომლის განსახორციელებლად 2014 წლის სამოქმედო გეგმაში განისაზღვრა 38 917,3 ათასი ლარი და 2015 წლისთვის - 43 389.0 ათასი ლარი), და ***6.3.1/2/3/4/5/6/7 ქვეპროგრამებში.*** კერძოდ:

ქვეპროგრამა 6.3.1. სასჯელაღსრულების დაწესებულებათა განახლებული კლასიფიკაციის შესაბამისად შექმნილი სხვადასხვა რისკის და საჭიროების დაწესებულებები. შეფასების ინდიკატორები ერთნაირია. გეგმის მიხედვით ქვეპროგრამაზე განსაზღვრულია 2014 წლის საბიუჯეტო სახსრები 8 413,0 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო 2015 წლის საბიუჯეტო სახსრები 18 373,09 რალის ოდენობით.

ქვეპროგარმა 6.3.2. სასჯელაღსრულების სისტემაში არსებული დაწესებულებების გარემონტება და აღჭურვა. შეფასების ინდიკატორები იდენტურია, თუმცა სამთავრობო სამოქმედო გეგმის მიხედვით საქმიანობას/ღონისძიებას აქვს მეორე ინდიკატორიც, სახალხო დამცველის სპეციალური და საპარლამენტო ანგარიშები; სამოქმედო გეგმაში 6.3.2 ქვეპროგრამის განხორციელებისათვის განსაზღვრულია 2014 წლის სახელმწიფო საბიუჯეტო სახსრები 12 332,8 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო 2015 წლისათვის - 4 515,92 ათასი ლარის ოდენობით.

ქვეპროგარმა 6.3.3. სასჯელაღსრულების სისტემაში განთავსებულ პატიმართა კვებით უზრუნველყოფა. ინდიკატორები იდენტურია, თუმცა სამთავრობო სამოქმედო გეგმის მიხედვით შედეგის მიღწევის შესაფასებლად დამატებით საჭიროა სტანდარტის პერიოდული შეფასება და განახლება. 6.3.3 ქვეპროგრამისთვის განსაზღვრულია 2014 წლის საბიუჯეტო სახსრები 15 021,45 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო 2015 წლისათვის 18 000,0 ათასი ლარის ოდენობით.

ქვეპროგარმა 6.3.4. სასჯელაღსრულების სისტემაში განთავსებულ პატიმართა უზრუნველყოფა რბილი ინვენტარითა და აუცილებელი პირადი ჰიგიენისათვის საჭირო საშუალებებით. ორივე სამოქმედო გეგმაში გამოყენებულია ერთნაირი ინდიკატორები, მხოლოდ სამთავრობო სამოქმედო გეგმაში დამატებით კიდევ ერთი ინდიკატორია - სახალხო დამცველის სპეციალური და საპარლამენტო ანგარიშები. სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სამოქმედო გეგმაში კონკრეტული ქვეპროგრამისთვის გათვლილია 2014 წლის საბიუჯეტო თანხები 2 322,47 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო 2015 წლისთვის - 2 000,0 ათასი ლარის ოდენობით.

ქვეპროგარმა 6.3.5. მსჯავრდებულთა ოჯახთან ურთიერთობის უფლების უზრუნველსაყოფად გრძელვადიანი ვიზიტებისათვის განკუთვნილი ადგილების შექმნა. ინდიკატორები ორივე დოკუმენტში

განისაზღვრა ერთნაირი, მხოლოდ სამთავრობო სამოქმედო გეგმაში დამატებით ჩაიდო პრევენციის ეროვნული მექანიზმის ანგარიშები. განისაზღვრა საბიუჯეტო სახსრები 2014 წლისათვის 27,57 ათასი ლარის ოდენობით და 2015 წლისათვის 500,0 ათასი ლარის ოდენობით.

ქვეპროგარმა 6.3.6. თავისუფლებააღკვეთილთა ახლობლების, ოჯახის წევრების და სხვა დაინტერესებულ პირთათვის კანონით გათვალისწინებული ინფორმაციის სწრაფად და ეფექტურად მოძიების, მოქალაქეთა რეგისტრაციისა და პაემნების სრულყოფილად ორგანიზების მიზნით მომსახურების გაუმჯობესება. სამთავრობო სამოქმედო გეგმაში დამატებითი ინდიკატორის საჭიროებაა გამოკვეთილი, როგორიცაა საზოგადოებრივ მისაღებში შენიშვნების ყუთის განთავსება და მასში მოთავსებული კომენტარების ანალიზი. ყოველივე ამისთვის სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებიდან მოთხოვნილია 800,0 ათასი ლარი 2014 წლისთვის. რაც შეეხება 2015 წელს, თანხა არ არის განსაზღვრული.

ქვეპროგრამა 6.3.7. პენიტენციური ჯანდაცვა. ინდიკატორები იდენტურია. 2014 და 2015 წლების სისხლის სამართლის რეფორმის სამოქმედო გეგმაში 6.3.7 ქვეპროგრამისთვის არ არის განსაზღვრული დაფინანსების წყარო და ოდენობა. ამ ქვეპროგრამის ფარგლებში მისი განსახორციელებისათვის შემუშავდა სასჯელაღსრულების სისტემის ჯანდაცვის განვითარების სამოქმედო გეგმა 2014 – 2017, რომელშიც 16 მიზნის მიღწევისთვის საჭირო 40-ზე მეტი განსახორციელებელი ამოცანაა ჩამოყალიბებული. არც ამ სამოქმედო გეგმაში არ არის მითითებული დაფინანსების რაოდენობა, თუმცა მითითებულია წყარო.

5.1.3.8 საქმიანობა/ღონისძიება ( 2014- 2015 წლების ადამიანის უფლებადა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმიდან) - არასრულწლოვანთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე თავისუფლებააღკვეთილთათვის სპეციალური პირობების შექმნა, 2014 და 2015 წლის სისხლის სამართლის რეფორმის სამოქმედო გეგმაში 8.4.1 ქვეპროგრამით არის განსაზღვრული. ყოველივე ამისთვის სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებიდან მოთხოვნილია 600,0 ათასი ლარი 2014 წლისთვის. რაც შეეხება 2015 წელს მისთვის 300.0 ათასი ლარია განსაზღვრული.

სამთავრობო სამოქმედო გეგმის **5.1.4 ამოცანა** - ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია, ასახულია სისხლის სამართლის რეფორმის გეგმის **6.4 პროგრამაში** და **6.4.1/2/3/4/5 ქვეპროგრამებში.** კერძოდ:

ქვეპროგრამა 6.4.1. მსჯავრდებულთა შრომითი შესაძლებლობების გაზრდისთვის საწარმოო ზონების და მინი-დასაქმების კერების შექმნა დაწესებულებების ტერიტორიაზე. ინდიკატორები ორივე სამოქმედო გეგმაში ერთნაირია. გეგმაში განისაზღვრა საბიუჯეტო სახსრები 2014 წლისათვის 4 077,8 ათასი ლარით, ხოლო 2015 წლისათვის 2 400,0 ათასი ლარით.

ქვეპროგრამა 6.4.2. სასჯელაღსრულების დაწესებულებებში განათლების მიღების შესაძლებლობა პროფესიული/სახელოსნო და სატრენინგო/საგანმანათებლო კურსების დანერგვის მეშვეობით. რაც შეეხება ინდიკატორებს, არის თანხვედრა ერთ ინდიკატორში, ხოლო მეორე ინდიკატორად სისხლის სამართლის რეფორმის სამოქმედო გეგმის მიხედვით პროფესიული/სახელობო და სატრენინგო/საგანმანათებლო სწავლების პროგრამებში ჩართულ პატიმართა რაოდენობაა, როცა სამთავრობო სამოქმედო გეგმაში პრიორიტეტი ენიჭება დაწესებულებებში მიმდინარე საგანმანათებლო, პროფესიული და სხვა სარეაბილიტაციო კურსების შესაბამისობას ეროვნულ სტანდარტებთან. დაფინანსება 2014 წლისათვის, სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სამოქმედო გეგმის მიხედვით, განსაზღვრულია საბიუჯეტო თანხებიდან 124, 7 ათასი ლარის ოდენობით და 2015 წლისათვის 200,0 ათასი ლარის ოდენობით.

ქვეპროგრამა 6.4.3. მსჯავრდებულებთან მიმართებაში ინდივიდუალური მიდგომების შემუშავება. ინდიკატორები იდენტურია. გეგმის მიხედვით ქვეპროგრამისთვის არ არის განსაზღვრული დაფინანსების წყარო და თანხის ოდენობა.

ქვეპროგრამა 6.4.4. მსჯავრდებულთა უზრუნველყოფა ფსიქო-სოციალური სარეაბილიტაციო პროგრამებით. სამოქმედო გეგმების ინდიკატორები განსხვავდება. სამთავრობო სამოქმედო გეგმის მიხედვით ინდიკატორად განსაზღვრულია მსჯავრდებულთათვის მიწოდებული პროგრამების და სერვისების რაოდენობა, სისხლის სამართლის რეფორმის მიხედვით ფსიქო-სოციალური სარეაბილიტაციო პროგრამებში ჩართულ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა რაოდენობა. გეგმის მიხედვით ქვეპროგრამისთვის არ არის განსაზღვრული დაფინანსების წყარო და ოდენობა.

ქვეპროგრამა 6.4.5. მსჯავრდებულთა ბიბლიოთეკებით, საზოგადოებასთან ურთიერთობით, სპორტული და კულტურული ღონისძიებებით უზრუნველყოფა. გეგმის მიხედვით ქვეპროგრამისთვის არ არის განსაზღვრული დაფინანსების წყარო და ოდენობა.

სამთავრობო სამოქმედო გეგმის **5.1.5 ამოცანა** - პირობით ვადამდე ადრე გათავისუფლების მექანიზმის შემდგომი გაძლიერება, ასახულია სისხლის სამართლის რეფორმის გეგმის **6.5 პროგრამაში** - პირობით ვადამდე გათავისუფლება, მაჩვენებლის ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციასთან მიახლოება და ადგილობრივი საბჭოს საქმიანობა, ასევე **6.5.1 ქვეპროგრამაში.** კერძოდ:

ქვეპროგრამა 6.5.1. მსჯავრდებულთა პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლება და დანიშნული სასჯელის უფრო მსუბუქით შეცვლა გამოიყენება აქტიურად. სამთავრობო სამოქმედო გეგმაში დამატებით ინდიკატორებად განსაზღვრულია ადგილობრივი საბჭოების რაოდენობის ზრდა და ქალი პატიმრებისათვის ადგილობრივი საბჭოს ჩამოყალიბება. სისხლის სამართლის გეგმაში მხოლოდ ერთი ინდიკატორია. სისხლის სამართლის სამოქმედო გეგმაში ქვეპროგრამისთვის არ არის განსაზღვრული დაფინანსების წყარო და ოდენობა.

**5.1.6 ამოცანა,** პატიმართა სამართლებრივი გარანტიების გაძლიერება შესაბამისობაში მოდის სისხლის სამართლის რეფორმის **6.6 პროგრამასთან,** რომელიც ჩაშლილია ორ ქვეპროგრამად:

ქვეპროგრამა 6.6.1. პატიმართა ცნობიერების ამაღლება მათი უფლებების შესახებ საჩივრების, დისციპლინარულ და ადმინისტრაციულ პროცედურებთან მიმართებაში. ამ შემთხვევაში სისხლის სამართლის რეფორმის მიხედვით განსაზღვრულია კიდევ ერთი ინდიკატორი - გაწეული საგანმანათლებლო კონსულტაციები და ჯგუფური შეხვედრები. სისხლის სამართლის სამოქმედო გეგმაში ქვეპროგრამისთვის არ არის განსაზღვრული დაფინანსების წყარო და ოდენობა.

ქვეპროგრამა 6.6.2. პატიმრობის კოდექსით გათვალისწინებული საჩივრების პროცედურების ხელმისაწვდომობა. ინდიკატორები ერთნაირია. ქვეპროგრამისთვის არ არის განსაზღვრული დაფინანსების წყარო და ოდენობა.

2014 – 2015 წლების ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის **5.1.7 ამოცანა,** სამინისტროსა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის შიდა მონიტორინგის მექანიზმის ეფექტური ფუნქციონირება, სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სამოქმედო გეგმაში ასახულია **6.7 პროგრამის** სახით - სად-ის მონიტორინგის სამართველოს ინსტიტუციონალური განვითარება. სამთავრობო სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს მონიტორინგის მექანიზმების მეთოდოლოგიის დახვეწას და პრაქტიკაში იმპლემენტაციას, მაშინ როცა სისხლის სამართლის რეფორმის მიხედვით აქცენტია განხორციელებული ვიზიტების და ანგარიშის/ოქმების რაოდენობაზე და ასევე გეგმიური ვიზიტების ამსახველი გამოქვეყნებული ანგარიშების რაოდენობაზე. 6.7 პროგრამისთვისაც არ არის განსაზღვრული დაფინანსების წყარო და თანხის ოდენობა.

2014 – 2015 წლების ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმაში განსაზღვრული **მიზანი (იხ. 5.2)**, პრობაციის სრულყოფილი სისტემა, ძირითად **პროგრამადაა (იხ. 7)** დასახული 2015 წლის სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სამოქმედო გეგმაშიც. სამთავრობო გეგმაში მიზნის მისაღწევად 5 ამოცანა იქნა განსაზღვრული, ხოლო სისხლის სამართლის რეფორმის მიხედვით პროგრამის განსახორციელებლად ასევე 5 ქვეპროგრამა შემუშავდა.

სამთავრობო სამოქმედო გეგმის **5.2.1 ამოცანა,** სასჯელაღსრულებისა და პრობაციის ცენტრის ადმინისტრაციული შესაძლებლობების განვითარება შესაბამისია **7.1 ქვეპროგრამისა** სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სამოქმედო გეგმიდან, რომელიც 10 ღონისძიებადაა ჩაშლილი **7.1.1/2/3/4/5/6/7/8/9/10** (რომლებიც ბევრად უფრო ფართო და დეტალური შინაარსის მატარებელია) და იდენტურია როგორც მათი მიღწევისათვის განსაზღვრული საქმიანობების/ღონისძიებების მიხედვით, ასევე შედეგის შეფასების ინდიკატორების მიხედვითაც. 2015 წლის სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სამოქმედო გეგმის მიხედვით 7.1 ქვეპროგრამის განხორციელებისათვის 2014 წლისათვის განსაზღვრულია საბიუჯეტო სახსრები 7 145,1 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო 2015 წლისათვის - 10 256,8 ათასი ლარის ოდენობით.

ღონისძიება 7.1.1. პრობაციის სააგენტოს ადმინისტრაციული ხარჯები, რომლის შესასრულებლად გეგმაში მითითებულია 2014 წლის საბიუჯეტო სახსრები 4 839,0 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო 2015 წლისათვის - 5 216,0 ათასი ლარის ოდენობით. აღნიშნული თანხები გამოყენებული იქნება ღონისძიებაზე - 7.1.6 - პრობაციის სამსახურის სტრუქტურისა და პერსონალის როლის ანალიზი და საჭიროების შემთხვევაში ცვლილებების შეტანა, სამუშაოზე აყვანისა და თანამშრომელთა შეფასების პროცედურის განსაზღვრა, სააგენტოს თანამშრომელთათვის ხელფასის ზრდა.

ღონისძიება 7.1.3. ყველა რეგიონული პრობაციის ბიუროსა და ოფისის გახსნა, გარემონტება და აღჭურვა; ინტერნეტითა და კომუნიკაციის სხვა საშუალებებით უზრუნველყოფა. ღონისძიებისთვის 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან კონკრეტული თანხა არ განისაზღვრა, თუმცა 2015 წლისთვის ის 500,0 ათას ლარს შეადგენს.

ღონისძიება 7.1.5. პრობაციის სამსახურის ფინანსური ადმინისტრირების სისტემის შეფასება და საჭიროებისამებრ გაუმჯობესება. ღონისძიებისთვის, სამოქმედო გეგმის მიხედვით, 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან თანხა განისაზღვრა 15,0 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო 2015 წლისთვის ის 8,0 ათას ლარს შეადგენს.

ღონისძიებებისთვის 7.1.2/4/6/7/8/9/10 კონკრეტული დაფინანსების წყარო და თანხის ოდენობა მითითებული არაა.

**5.2.2 ამოცანა,** საკანონმდებლო ბაზის განვითარება, და შესაბამისად **ქვეპროგრამა 7.2**, რომელიც სამი ღონისძიებისგან შედგება 7.2.1/2/3, იდენტურია. ინდიკატორები სხვადასხვა სახითაა ჩამოყალიბებული, თუმცა ისინი ერთი და იმავე შედეგს ითვალისწინებენ. რაც შეეხება დაფინანსებას, კონკრეტული რესურსი არაა მითითებული.

**ამოცანა 5.2.3**. ზედამხედველობის სისტემის გაუმჯობესება, ზუსტ თანხვედრაშია **ქვეპროგრამა 7.3**-თან, რომლის განსახორციელებლადაც 8 ღონისძიებაა დაგეგმილი **7.3.1/2/3/4/5/6/7/8**. სისხლის სამართლის რეფორმის სამოქმედო გეგმაში სამთავრობო სამოქმედო გეგმის ამოცანა უფრო დეტალურადაა ჩაშლილი არსებული საჭიროებებიდან გამომდინარე და შესაბამისი ინდიკატორებიცაა შემუშავებული. თუმცა ამ ყველაფერს ერთი და იმავე შედეგამდე მივყავართ. კონკრეტული ქვეპროგრამისთვის სამოქმედო გეგმის მიხედვით 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან თანხა არაა დაკონკრეტებული, თუმცა 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებებიდან 10,0 ათასი ლარი განისაზღვრა, რომელიც გადანაწილდა 7.3.1/2 ღონისძიებებზე თანაბრად.

სამთავრობო სამოქმედო გეგმის **5.2.4 ამოცანა -** სარეაბილიტაციო პროგრამების და საზოგადოების ჩართულობის განვითარება, და შესაბამისად, **ქვეპროგრამა 7.4** სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სამოქმედო გეგმიდან ერთი და იმავე მიზნის მიღწევას ემსახურება. ქვეპროგრამა 6 ღონისძიებისგან შედგება 7.4.1/2/3/4/5/6. ქვეპროგრამის განსახორციელებლად სისხლის სამართლის რეფორმის სამოქმედო გეგმაში 2015 წლისთვის 90,0 ათასი ლარია მითითებული როგორც მოსაძიებელი თანხა. იგი გადანაწილებულია საჭიროებისამებრ 7.4.1/2 ღონისძიებებზე 75,0 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო 7.4.4/5/6 ღონისძიებებზე 15,0 ათასი ლარის ოდენობით. 2014 წლისათვის არაა განსაზღვრული არც დაფინანსების წყარო და არც თანხის ოდენობა.

2014 – 2015 წლების ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის **ამოცანა 5.2.5 -** პრობაციის შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის გაუმჯობესება, გათვალისწინებულია სისხლის სამართლის რეფორმის **ქვეპროგრამაში 7.5** - უწყებათაშორის კოორდინაციის უზრუნველყოფა, პრობაციის შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის გაუმჯობესება. აღნიშნული ქვეპროგრამის განსახორციელებლად დაგეგმილია სამი **ღონისძიება 7.5.1/2/3,** რომელთა განსახორციელებლადაც სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სამოქმედო გეგმაში არაა განსაზღვრული დაფინანსების წყარო და საჭირო ფინანსური რესურსი.

სამთავრობო სამოქმედო გეგმის **13.5 მიზნის,** ბავშვზე ორიენტირებული მართლმსაჯულების სისტემის განვითარება, განხორციელებაში ჩართულია არაერთი სახელმწიფო სტრუქტურა და მათ შორის სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო.

კერძოდ, **13.5.4 ამოცანის** - არასრულწლოვანთა მიერ სამართალდარღვევების პრევენცია, განხორციელებაში შესაბამისი **8.1 პროგრამა,** რომელიც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სამოქმედო გეგმაში ქვეპროგრამებით 8.1.2/5/7. 2014 და 2015 წლის სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სამოქმედო გეგმაში არაა განსაზღვრული დაფინანსების წყარო და საჭირო ფინანსური რესურსი.

ასევე **8.3 პროგრამის -** სისხლის სამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმებისა და აღდგენითი მართლმსაჯულების განვითარება, 8.3.1 ქვეპროგრამის შესრულებაში მონაწილეა სასჯელაღსულების სამინისტრო. მისი განხორციელებისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან, როგორც 2014 წელს, ასევე 2015 წელს, განსაზღვრულია 30,0 ათასი ლარი და დონორობის მხრიდან მხარდაჭერა 70,0 ათასი ლარი (40,0 ათასი ლარი გაეროს ბავშვთა დახმარების ფონდი UNICEF და 30,0 ათასი ლარი ევროკავშირი EU). ქვეპროგრამის განხორციელებაში მონაწილეობს სხვადასხვა სახელმწიფო უწება და შეუძლებელია დადგენა თუ ვისი ასიგნებებიდან არის გათვალისწინებული ზემოხსენებული 30,0 ათასი ლარი.

**პროგრამის 8.4**. პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის გამოყენება მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში, ქვეპროგრამა 8.4.1/2 სრულად სასჯელაღსულების სამინისტროს განსახორციელებელია. 8.4.1 ქვეპროგრამისათვის 2014 წელს 600,0 ათასი ლარი და 2015 წელს 300,0 ათასი ლარია სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით განსაზღვრული. ასევე 2014 წლისათვის მითითებულია გაეროს ბავშვთა დახმარების ფონდის (UNICEF) დაფინანსებაში მონაწილეობა 6,0 ათასი აშშ დოლარის ოდენობით.

**პროგრამა 8.5**. რეაბილიტაცია და რესოციალიზაცია შედგება 11 ქვეპროგრამისგან. აქედან 9 ქვეპროგრამის შესრულების მონაწილეა სასჯელაღსრულების სამინისტრო. ქვეპროგრამისთვის 8.5.2 სასჯელაღსრულებისა და სამინისტროს ბიუჯეტის 2014 წლის ასიგნებებიდან გათვალისწინებულია 55,0 ათასი ლარი. 8.5.3 ქვეპროგრამის განხორციელებისათვის, როგორც 2014, ისე 2015 წელს, საბიუჯეტო სახსრები 165,0 ათასი ლარის ოდენობითაა გათვალისწინებული, ქვეპროგრამისთვის 8.5.4 კი - 2014 წლისათვის 105,0 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო 2015 წლისათვის 106,5 ათასი ლარის ოდენობით. 8.5.7 ქვეპროგრამისთვის 2014 წელს სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები გათვალისწინებულია 45,0 ათასი ლარის ოდენობით, 2015 წლისთვის არ არის მითითებული დაფინანსების წყარო და თანხის ოდენობა. სისხლის სამართლის სამოქმედო გეგმიდან არ იკვეთება თუ ვისი ასიგნებები იქნება გამოყენებული აღნიშნული ღონისძიებების შესრულებისთვის. მონაწილეა როგორც სასჯელაღსრულებისა და პრობაციის, ასევე განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. შესაძლოა ეს ხარჯი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ასიგნებებში გაითვალისწინეს (პროგრამული კოდი 32 02 09). 8.5.5 ქვეპროგრამის დაფინანსებაში მონაწილეობს სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო საბიუჯეტო სახსრებით - 2014 წლისათვის 75,0 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო 2015 წლისათვის 72,0 ათასი ლარის ოდენობით.

**8.6 პროგრამის** - პროფესიონალების სპეციალიზაცია არასრულწლოვანთა საკითხებში, ორი ქვეპროგრამის განხორციელებაში, სხვა სახელმწიფო უწყებებთან ერთად, წვლილი შეაქვს სასჯელაღსრულებისა

და პრობაციის სამინისტროს. 8.6.2 ქვეპროგრამის დაფინანსებაში მონაწილეობს გაეროს ბავშვთა დახმარების ფონდი (UNICEF). 2014 წელს დაფინანსებაში მონაწილეობას იღებს ევრო კავშირიც (EU). ინდიკატორები მეტ-ნაკლებად შესაბამისობაშია. სამთავრობო სამოქმედო გეგმაში უფრო ზოგადი ხასიათის მატარებელია, გათვლილია გრძელვადიან შედეგზე, როცა სისხლის სამართლის რეფორმისთვის ისინი უფრო კონრეტულია და თვლადი.

2014 – 2015 წლების ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმაში განსაზღვრული **მიზანი (იხ. 5.3)**, ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესში ადამიანის უფლებათა დაცვის საუკეთესო სტანდარტების გათვალისწინება, 2014 და 2015 წლის სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სამოქმედო გეგმაში რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის სამოქმედო გეგმის სახითაა წარმოდგენილი (იხ. 11 თავი). მიზნის განხორციელებაში რამდენიმე სახელმწიფო სრუქტურაა ჩართული. სამთავრობო გეგმაში მიზნის მისაღწევად 5 ამოცანა იქნა განსაზღვრული, ხოლო სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სამოქმედო გეგმის მიხედვით 3 სტრატეგიული მიზანია ჩამოყალიბებული.

**სტრატეგიული მიზანი 1** - საჭიროებებზე მორგებული სარეაბილიტაციო პროგრამების განვითარება საუკეთესო ადგილობრივ და საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით, შედგება 9 ძირითადი აქტივობისგან, რომელთაგან 8-ის განხორციელებაში მონაწილეობას იღებს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო. აქედან 3-ის დაფინანსებისთვის სახელმწიფო ბიუჯეტის რესურსი გათვალისწინებულია სასჯელაღსრულების ასიგნებებში. კერძოდ, 10,0 ათასი ლარის ოდენობით 1.2 აქტივობისთვის, 50,0 ათასი ლარი 1.3 აქტივობისთვის და 100,0 ათასი ლარი 1.5 აქტივობისთვის.

ორი აქტივობის დაფინანსებისთვის ასიგნებებით მონაწილეობს პრობაციის ეროვნული სააგენტო. ესენია 1.3 აქტივობა 50,0 ათასი ლარის ოდენობით და 1.7 აქტივობა 15,0 ათასი ლარი ოდენობით.

ასევე ორი აქტივობის დასაფინანსებლად გათვალისწინებულია სასჯელაღსრულების სასწავლო ცენტრის ბიუჯეტის ასიგნებები. 1.4 აქტივობისთვის განსაზღვრულია 10,0 ათასი ლარი და 5,0 ათასი ლარი დონორის დაფინანსება, 1.9 აქტივობისთვის 5,0 ათასი ლარი.

**სტრატეგიული მიზანი 2 -** სარეაბილიტაციო პროცესში ჩართული უწყებებისა და ორგანიზაციების ინსტიტუციური გაძლიერება, პერსონალის მომზადება და განვითარება მაღალხარისხიანი სარეაბილიტაციო მომსახურების მიწოდებისთვის, შედგება 5 ძირითადი აქტივობისგან და მათ განხორციელებაში მონაწილეობას იღებს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო.

2.1 და 2.2 აქტივობებისათვის სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ასიგნებებიდან განსაზღვრულია 300,0 ათასი ლარი.

2.3 აქტივობისთვის სასჯელაღრულების დეპარტამენტის სასწავლო ცენტრის ასიგნებებიდან მითითებულია დაფინანსება 100,0 ათასი ლარის ოდენობით და 5,0 ათასი ლარი 2.4 აქტივობისთვის.

**სტრატეგიული მიზანი 3 -** სარეაბილიტაციო პროცესში მონაწილე უწყებათა და ორგანიზაციათა კოორდინირებული მუშაობის უზრუნველყოფა, მედიასთან და საზოგადოებასთან კომუნიკაცია რეაბილიტაციის პროცესის მხარდასაჭერად, შედგება 8 აქტივობისგან, საიდანაც 4-ის განხორციელებაში მონაწილეობას იღებს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო.

3.2 და 3.5 აქტივობებისთვის სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ასიგნებებით გათვალისწინებულია 10,0 – 10,0 ათასი ლარი.

2014 – 2015 წლების ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმაში ჩამოყალიბებული ძირითადი მიზნები და ამოცანები სასჯელაღსრულების სისტემის, პრობაციის და ყოფილ პატიმართა რეაბილიტაცის, წამების და არასათანადო მოპყრობასთან ბრძოლის, ბავშვთა უფლებების დაცვის კუთხით თითქმის იდეალურ თანხვედრაშია 2014 და 2015 წლების სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სამოქმედო გეგმის შესაბამის თავებთან. კერძოდ, პენიტენციური სისტემის რეფორმის

სამოქმედო გეგმასთან, პრობაციის სისტემის რეფორმასთან, სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის სამოქმედო გეგმასთან და ნაწილობრივ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმასთან. შესაბამისად, სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სამოქმედო გეგმაში სხვადასხვა ღონისძიებებზე/აქტივობებზე განსაზღვრული თანხები შეიძლება განხილულ იქნას სამთავრობო სამოქმედო გეგმის კუთხითაც (ვინაიდან უკანასკნელში საერთოდ არ არის განსაზღვრული დაფინანსება). ამასთან, უნდა აღინიშნოს რომ სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სამოქმედო გეგმაში დაფინანსების წყარო და ოდენობა ყველგან არ არის მითითებული. ისეთი ღონისძიებების შემთხვევაში, სადაც განხორციელებაზე პასუხისმგებელი უწყება რამდენიმეა, რთულია გარკვევა, თუ რომელი უწყების ასიგნებებით ხდება მისი განხორციელება. უნდა აღინიშნოს, რომ სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის სამოქმედო გეგმაში დეტალურადაა ჩაშლილი დაფინანსების განმახორციელებლების შესახებ ინფორმაცია.

სასჯელაღსრულების სისტემის ჯანდაცვის განვითარების სამოქმედო გეგმაში (2014-2017 წლებისთვის) მითითებულია დაფინანსების წყარო, თუმცა მიზნებისა და ამოცანების განხორციელებისათვის საჭირო თანხის ოდენობა არ არის განსაზღვრული.

## 2014 - 2015 წლის ბიუჯეტის დაგეგმვის და შესრულების ანალიზი

2014 წლის სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ასიგნებები საბიუჯეტო განაცხადის ბოლო წარდგენით განისაზღვრა, შესაბამისად, 157,000 ათასი ლარით. ხოლო რიცხოვნობის ზღვრული მოცულობა 5,104 ერთეულით, რაც შესაბამისი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონით იქნა დამტკიცებული. დამტკიცებულ და დაზუსტებულ გეგმაში გათვალისწინებულია პროგრამის (27 02 03) სსიპ „უფასო იურიდიული დახმარების“ ასიგნებები. 2014 წლიდან აღნიშნული პროგრამის განმახორციელებელზე სსიპ „უფასო იურიდიული დახმარება“ - სამინისტრო კონტროლს აღარ ახორციელებს და არც ცალკე მხარჯავ დაწესებულებად არის წარმოდგენილი.[29]

### 2014 წ. ათას ლარებში

| დასახელება | გეგმა | დამტკიცებული | დაზუსტებული | სხვაობა 3-2 |
|---|---|---|---|---|
| | ჰ/ფ | | | |
| პროგრამული კოდი 27 00 | 1 | 2 | 3 | 4 |
| **საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო** | **157,000.0** | **157,000.0** | **155,490.0** | **-1,510.0** |
| შრომის ანაზღაურება | 67,607.0 | 67,607.0 | 69,523.5 | 1,916.5 |
| საქონელი და მომსახურება | 59,609.0 | 59,609.0 | 57,159.6 | -2,449.4 |
| გრანტები | 7.0 | 7.0 | 1.0 | -6.0 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 633.0 | 633.0 | 938.5 | 305.5 |
| სხვა ხარჯები | 2,351.0 | 2,351.0 | 1,548.4 | -802.6 |
| არაფინანსური აქტივების ზრდა | 26,793.0 | 26,793.0 | 25,892.4 | -900.6 |
| ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 426.7 | 426.7 |

29 2014 წლის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის მუხლი 34, პუნქტი 2.

2014 წელს დაზუსტებული გეგმის შემცირება დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით განაპირობა იანვარ-სექტემბერში გამოცხადებული ტენდერების შედეგად წარმოქმნილი 1,505 ათასი ლარის (სსიპ „უფასო იურიდიული დახმარების" გარეშე) ეკონომიის მიმართვამ საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდში. აქედან, „საქონელი და მომსახურების" მუხლიდან მიმართულია 984.0 ათასი, „არაფინანსური აქტივების ზრდის" მუხლიდან - 71.8 ათასი და „სხვა ხარჯების" მუხლიდან - 449.2 ათასი ლარის ეკონომია.[30]

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ასიგნებებისა და რიცხოვნობის ზღვრული მოცულობები 2015 წლის საბიუჯეტო განაცხადით ჭერის ფარგლებში განისაზღვრა 155,000.0 ათასი ლარით და 4,924 ერთეულით, რაც „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონით იქნა დამტკიცებული, ხოლო ამავე ბიუჯეტის კანონში შეტანილი ცვლილების შესაბამისად,[31] განისაზღვრა 150,500.0 ათასი ლარით და 4,923 ერთეულით.

### 2015წ. ათას ლარებში

| დასახელება | გეგმა | დამტკიცებული | დამტკიცებული ცვლილება | დაზუსტებული | სხვაობა 4-2 |
|---|---|---|---|---|---|
| | ჭ/ფ | **31.12.2014** | **27.11.2015** | | |
| პროგრამული კოდი 27 00 | **1** | **2** | **3** | **4** | **5** |
| **საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო** | **155,000.0** | **155,000.0** | **150,500.0** | **150,500.0** | **-4,500.0** |
| შრომის ანაზღაურება | 65,417.0 | 65,417.0 | 65,417.0 | 67,520.5 | 2,103.5 |
| საქონელი და მომსახურება | 57,405.0 | 58,559.0 | 58,174.0 | 59,476.8 | 917.8 |
| გრანტები | 6.0 | 6.0 | 6.0 | 6.0 | 0.0 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 957.0 | 957.0 | 957.0 | 1,137.5 | 180.5 |
| სხვა ხარჯები | 2,582.0 | 2,582.0 | 2,582.0 | 2,200.4 | -381.6 |
| არაფინანსური აქტივების ზრდა | 28,633.0 | 27,479.0 | 23,364.0 | 20,003.7 | -7,475.3 |
| ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 155.1 | 155.1 |

4.5 მლნ ლარი, ძირითადად მცირდება პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების დაწესებულებების მშენებლობის/რეაბილიტაციის პროექტების ფარგლებში წარმოქმნილი ეკონომიებით.

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში განისაზღვრება პრიორიტეტები (პირველი დონე), მათ ფარგლებში განსახორციელებელი პროგრამები (მეორე დონე) და ქვეპროგრამები (მესამე და მესამისშემდგომი დონეები). სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო, როგორც უკვე აღვნიშნეთ, წარმოდგენილია ოთხი პროგრამით (პროგრამული კოდები 27 01 – 27 04).

30 საქართველოს მთავრობის 2014 წლის 5 სექტემბერის №1538 განკარგულება; 2014 წლის 10 სექტემბრის №858 ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობა.

31 საქართველოს კანონი „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე, №4576-IIს, 27.11. 2015 წ.

**პროგრამა „პენიტენციური სისტემის პოლიტიკის შემუშავება და მართვა“ (პროგრამული კოდი 27 01)** 2014 -2015 წლებისთვის ერთი და იმავე შინაარსის მატარებელია: საერთაშორისო სტანდარტების პენიტენციური სისტემის ჩამოყალიბების მიზნით შესაბამისი პოლიტიკის შემუშავება და მისი განხორციელების კოორდინაცია; სხვადასხვა სახელმწიფო უწყებასთან სამინისტროს ურთიერთობების კოორდინაცია, თანამშრომლობის ხელშეკრულებებისა და მემორანდუმების გაფორმება. 2014 წლის ბიუჯეტის კანონში გამოყოფილია ასიგნებები 4,159.0 ათასი ლარის ოდენობით. 2015 წლის ბიუჯეტის კანონში კი - 5,009.0 ათასი ლარი, ხოლო კანონში შეტანილი ცვლილების შემდეგ - 8,440.0 ათასი ლარი. ბიუჯეტის კანონის დანართში არ არის მითითებული პროგრამის მოსალოდნელი შედეგები და ინდიკატორები.[32] გასათვალისწინებელია, რომ მართვის და რეგულირების ტიპის პროგრამებსა და ქვეპროგრამებზე, რომლებიც წმინდა ადმინისტრაციული ხასიათისაა, შესრულების შეფასების ინდიკატორების წარმოდგენა აუცილებელი არ არის.[33]

### ათას ლარებში

| დასახელება | 2014 წლის დამტკიცებული | 2014 წლის დაზუსტებული | 2015 წლის დამტკიცებული | 2015 წლის ცვლილება | 2015 წლის დაზუსტებული |
|---|---|---|---|---|---|
| პროგრამული კოდი 27 01 | | | | | |
| **პენიტენციური სისტემის პოლიტიკის შემუშავება და მართვა** | **4,159.0** | **4,650.1** | **5 009.0** | **8 440.0** | **8,395.0** |
| მომუშავეთა რიცხოვნობა | 132.0 | 132.0 | 139.0 | 281.0 | 281.0 |
| ხარჯები | **3,947.0** | **4,400.0** | **4 669.0** | **8 200.0** | **8,072.8** |
| შრომის ანაზღაურება | 2,653.0 | 2,933.0 | 2 825.0 | 4 362.0 | 4,432.0 |
| საქონელი და მომსახურება | 1,218.0 | 1,386.0 | 1 754.0 | 3 644.0 | 3,467.3 |
| გრანტები | 1.0 | 1.0 | | | |
| სოციალური უზრუნველყოფა | 30.0 | 43.0 | 50.0 | 60.0 | 60.0 |
| სხვა ხარჯები | 45.0 | 37.0 | 40.0 | 134.0 | 113.5 |
| არაფინანსური აქტივების ზრდა | **212.0** | **246.2** | **340.0** | **240.0** | **320.0** |
| ვალდებულებების კლება | | **3.9** | | | **2.2** |

2014 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შესაბამისად განხორციელდა საერთაშორისო სტანდარტების პენიტენციური სისტემის ჩამოყალიბების უზრუნველსაყოფად საჭირო პოლიტიკის შემუშავება, ამავე მიზნით გაგრძელდა ურთიერთობა სხვადასხვა სახელმწიფო ორგანიზაციებთან, უწყებებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან; სამინისტროს თანამშრომელთა სამუშაო პირობების გაუმჯობესების მიზნით განხორციელდა საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს გადასვლა ახლად გარემონტებულ ადმინისტრაციულ შენობაში;

32 2015 წლის საქართველოს ბიუჯეტის შესახებ კანონის დანართი.

33 საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება 385 - პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგია, თავი 3.3, გვ. 21

2014 წლისათვის პრემიისა და დანამატის ხელფასთან თანაფარდობა თვეების მიხედვით წარმოდგენილია ცხრილის სახით (მუხლი „შრომის ანაზღაურება“[34])[35]:

| 27 01 ათას ლარებში | I | II | III | IV | V | VI | VII | VIII | IX | X | XI | XII | 2014 წ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ხელფასი | 156 | 167 | 165 | 166 | 166 | 163 | 160 | 154 | 159 | 162 | 163 | 163 | 1944 |
| პრემია | 60 | 62 | 55 | 83 | 53 | 9 | 36 | 81 | | | 44 | 162 | 646 |
| დანამატი | 5 | 1 | 3 | 3 | 3 | 49 | 36 | 4 | 51 | 58 | 61 | 59 | 333 |
| პრემია + დანამატი | 65 | 63 | 58 | 86 | 56 | 58 | 72 | 85 | 51 | 58 | 105 | 221 | 979 |
| % | **42** | **38** | **35** | **52** | **34** | **36** | **45** | **55** | **32** | **36** | **64** | **136** | **50** |

სამინისტროს აპარატში ერთ მომუშავეზე წლის განმავლობაში მაქსიმალური ფულადი განაცემი შეადგენს 72,708 ლარს. 2014 წლის განმავლობაში ერთჯერადად გაცემული მაქსიმალური პრემიის ოდენობა შეადგენდა 6,600 ლარს. მინისტრის მოადგილეებზე გაცემული პრემია შეადგენს 2,176-6,600 ლარამდე, ხოლო დანამატი 1,513-4,352 ლარამდე (დანამატი გაცემულია ივნის-დეკემბერში). 2014 წლის სექტემბერ-ოქტომბერში პრემია არ გაცემულა. ივლისის თვეში ორ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა თანამდებობრივ სარგოზე მეტი ოდენობით პრემიის (თითოეულზე 8,250 ლარი) და იმავე პირებზე დანამატის დარიცხვის ფაქტს, რაც ჯამურად შეადგენდა 10,615 და 10,380 ლარს. აღნიშნულ შემთხვევაში არ არის დაცული სამართლებრივი აქტის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც ერთჯერადად გაცემული პრემიის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს აღნიშნული პირის თანამდებობრივ სარგოს.[36]

„საქონელი და მომსახურების“ მუხლიდან, გარდა სტანდარტული ხარჯებისა,[37] სავარაუდოდ გარკვეული ხარჯია გაწეული ახლად გარემონტებულ ადმინისტრაციულ შენობაში გადასვლასთან დაკავშირებით, ისევე, როგორც „არაფინანსური აქტივების ზრდის“[38] მუხლიდან. მუხლ „გრანტებით“ (პროგრამული კოდი 27 01), 2014 წლის როგორც დამტკიცებული, ისე დაზუსტებული ბიუჯეტით გათვალისწინებულია 1.0 ათასი ლარი. შესრულების ანგარიშის მიხედვით ზემოხსენებული ხარჯი არ გაწეულა.

2014 წლისათვის „სხვა ხარჯების“[39] მუხლით (პროგრამული კოდი 27 01) დამტკიცდა 45.0 ათასი ლარი, რომელიც დაზუსტდა 37.0 ათას ლარზე. ბიუჯეტის კანონის დანართიდან ჩანს, რომ ეს თანხა გათვალისწინებულია სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევისთვის, სასამართლოს მიერ დაკისრებული თანხების ასანაზღაურებლად და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადებისა და მოსაკრებლებისათვის. თუმცა ბიუჯეტის შესრულების 2014 – 2015 წლების ანგარიშებიდან ირკვევა, რომ ამ თანხით ასევე დაფინანსებულ იქნა მომსახურეთა სადაზღვევო პრემიები.[40] სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიერ სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის ფარგლებში 2014 წლის 1 იანვრიდან 2015 წლის 1 იანვრამდე განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ დანართ №2-ში არ იძებნება მომსახურეთათვის ჯანმრთელობის დაზღვევის შესყიდვა. გამოიკვეთა შეუსაბამობა შესყიდვებსა და 2014 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს შორის. რაც შეეხება 2015 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის 1 იანვრამდე განხორციელებულ სახელმწიფო შესყიდვებს, ელექტრონული ტენდერის მეშვეობით ხელშეკრულება გაუფორმდა შპს „სადაზღვევო კომპანია ალფას“, ღირებულებით

34 საბიუჯეტო კლასიფიკაცია, გვ. 54 - თანამდებობრივი სარგო, წოდებრივი სარგო, პრემია, დანამატი, ჰონორარი, კომპენსაცია, ხელფასი სასაქონლო ფორმით, სოციალური შენატანები.

35 საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს 2013-2014 წლების ფინანსური აუდიტის ანგარიში №52/00.

36 2014 წლის 15 ივლისის საქართველოს მთავრობის №449 დადგენილების მე-5 მუხლის პირველი პუნქტი.

37 საბიუჯეტო კლასიფიკაცია, გვ.56

38 საბიუჯეტო კლასიფიკაცია, გვ 69

39 საბიუჯეტო კლასიფიკაცია, გვ. 65

40 2014 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში, III თავი.

987.1 ათასი ლარი. აღნიშნული ფაქტი მისასალმებელია. ამავე მუხლიდან მოხდა სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა ( 2014-2015).

„ვალდებულებების კლების“ მუხლით ბიუჯეტის პროექტში არ იყო გათვალისწინებული თანხა, თუმცა დაზუსტების შედეგად გადატანილ იქნა 3 898.0 ლარი, საიდანაც 3 896.54 ლარის ოდენობის ხარჯი გაიწია. მუხლებს შორის გადანაწილება სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პროგრამების ფარგლებში განხორციელებულია „საქონელი და მომსახურების“, „არაფინანსური აქტივების ზრდის“ და „სხვა ხარჯების“ მუხლების შემცირების ხარჯზე.[41] აღნიშნულმა ხარჯმა გამოიწვია მიმდინარე წელს ახალი დავალიანების დაგროვება. აღნიშნული ეწინააღმდეგება საქართველოს 2013-2014 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონს,[42] რომლის მიხედვითაც წინა წლებში წარმოქმნილი ფაქტობრივი დავალიანებების დასაფარად სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფმა საბიუჯეტო ორგანიზაციამ შესაძლებელია გამოიყენოს მიმდინარე წელს მათთვის გამოყოფილი ასიგნებები იმ პირობით, რომ არ დაიშვება ახალი დავალიანების დაგროვება, თუმცა აღნიშნული ფაქტი გვაძლევს ვარაუდის საფუძველს, რომ განსახორციელებელი პროგრამებისთვის დაგეგმილი დაფინანსება არ შემცირებულა (ძველი ვადებულებების დაფინანსების ხარჯზე).

2015 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შესაბამისად, განხორციელდა საერთაშორისო სტანდარტების პენიტენციური სისტემის ჩამოყალიბების უზრუნველსაყოფად საჭირო პოლიტიკის შემუშავება, ამავე მიზნით გაგრძელდა ურთიერთობა სხვადასხვა სახელმწიფო ორგანიზაციებთან, უწყებებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან; საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროში განხორციელებელი პენიტენციური სისტემის რეფორმის ფარგლებში მოხდა საქვეუწყებო დაწესებულების - სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ლიკვიდაცია და მისი სამინისტროში ინტეგრაცია.[43]

27 01 პროგრამული კოდით „შრომის ანაზღაურების“ მუხლით **2015 წელს** გაწეულია 4,421.0 ათასი ლარის საკასო ხარჯი. აღნიშნული ხარჯი ქვემუხლებისა და თვეების მიხედვით წარმოდგენილია ცხრილის სახით:[44]

| **27 01 ათას ლარებში** | I | II | III | IV | V | VI | VII | VIII | IX | X | XI | XII | **2015 წ.** |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ხელფასი** | 159 | 151 | 156 | 158 | 162 | 164 | 304 | 297 | 353 | 338 | 365 | 343 | 2950 |
| **პრემია** | 1.15 | 1.15 | | 74 | | | 12 | | 49 | | | 279 | 416 |
| **დანამატი** | 50 | 55 | 52 | 62 | 64 | 86 | 105 | 109 | 121 | 120 | 140 | 92 | 1056 |
| **პრემია + დანამატი** | 50 | 55 | 52 | 136 | 64 | 86 | 117 | 109 | 170 | 120 | 140 | 371 | 1472 |
| **%** | **31** | **36** | **33** | **86** | **40** | **52** | **38** | **37** | **48** | **36** | **38** | **108** | **50** |

2015 წლის დამტკიცებული ასიგნებებიდან ასევე ჩანს, რომ ბიუჯეტის კანონში ცვლილების შეტანისას პენიტენციური სისტემის ადმინისტრაციაში საშტატო რიცხოვნობა გაიზარდა 139-დან 281 კაცამდე, ანუ 102,16%-ით. კერძოდ, ივლისში სამინისტროს 27 02 01 და 27 04 პროგრამული კოდებიდან განხორციელდა, შესაბამისად, 138 და 4 საშტატო ერთეულის გადმოტანა. გაზრდილია შრომის ანაზღაურებაზე გამოყოფილი რესურსიც 56,88%-ით. 2015 წელს სამინისტროს სისტემის რებრენდინგისა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სამინისტროსთან ინტეგრაციის შედეგად გასატარებელი ღონისძიებების გამო პროგრამული კოდით 27 01 - „პენიტენციური სისტემის პოლიტიკის შემუშავება და მართვა“ გათვალისწინებული ასიგნებები გაზრდილ იქნა 3,386.0 ათასი ლარით, მათ შორის „შრომის ანაზღაურების“ მუხლი - 1,607.0 ათასი ლარით. სისტემის რეფორმის ფარგლებში მოხდა

41 საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს 2013-2014 წლების ფინანსური აუდიტის ანგარიში №52.

42 საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 20.

43 2014 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში, თავი V.

44 საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს 2015 წლის ფინანსური აუდიტის ანგარიში №44/36.

საქვეუწყებო დაწესებულების - სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ლიკვიდაცია და მისი სამინისტროში ინტეგრაცია. პრემიის გაცემის პერიოდულობა და ოდენობა საქართველოს მთავრობის დადგენილებასთან შესაბამისობაშია.[45]

| შინაარსი | 2015 წ. | | |
|---|---|---|---|
| მაქსიმალური თანამდ/სარგო | 3 540 | ლარი | |
| ერთჯერადად გაცემული პრემიის მაქს. ოდენობა | 2 070 | ლარი | *დეპარტამენტის უფროსის მოადგილე* |
| ერთჯერადად გაცემული დანამატის მაქს. ოდენობა | 2 950 | ლარი | *მინისტრი, მინისტრის პირველი მოადგილე* |
| პრემიის და დანამატის ხელფასზე მაქს. გადამეტება (ჯერ) | 1,6 | | *დეპარტამენტის უფროსი* |
| ერთ მომუშავეზე პრემიის/დანამატის მაქს. ოდენობა ჯამურად | 33 550 | ლარი | *მინისტრი* |

2015 წლისათვის „სხვა ხარჯები"[46]-ს მუხლით (პროგრამული კოდი 27 01) დამტკიცდა 40.0 ათასი ლარი, რომელიც დაზუსტდა 134.0 ათას ლარზე. ბიუჯეტის კანონის დანართიდან ჩანს, რომ ეს თანხა გათვალისწინებულია სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევისთვის, სასამართლოს მიერ დაკისრებული თანხების ასანაზღაურებლად და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადებისა და მოსაკრებლებისთვის. შესრულების ანგარიშიდან იკვეთება, რომ ამ თანხით ასევე დაფინანსებულ იქნა მომსახურეთა სადაზღვევო პრემიები.[47]

„ვალდებულებების კლების" მუხლით ბიუჯეტის პროექტში არ იყო გათვალისწინებული თანხა, თუმცა დაზუსტების შედეგად გადატანილ იქნა 2 236.0 ლარი, საიდანაც 2 235.44 ლარის ოდენობის ხარჯი გაიწია. „ვალდებულებების კლების" მუხლზე თანხები გადანაწილებულია საბიუჯეტო კლასიფიკაციის „სხვა ხარჯების" და „საქონელი და მომსახურების" მუხლებიდან. აღნიშნული დაზუსტება განხორციელებულია საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის მე-19 მუხლის შესაბამისად.

**2014 ასევე 2015 წელს ბიუჯეტის გადასახდელები, პროგრამული კოდისთვის 27 01, 97%-ით შესრულდა.**

**პროგრამა „სისხლის სამართლის სისტემის რეფორმა" (პროგრამული კოდი 27 02)** დაყოფოლია ორ ქვეპროგრამად - „საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების სისტემის ჩამოყალიბება" და „სრულყოფილი პრობაციის სისტემა". პროგრამისთვის 2014 წლის ბიუჯეტის კანონით დამტკიცდა ასიგნებები 136 369.0 ათასი ლარის ოდენობით. 2015 წლისათვის დაფინანსებამ შეადგინა 133 715.0 ათასი ლარი. კანონში ცვლილებების შემდეგ - 126 768.0 ათასი ლარი.

**ქვეპროგრამა „საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების სისტემის ჩამოყალიბება" (პროგრამული კოდი 27 02 01)** თავად კიდევ ორ ქვეპროგრამადაა ჩაშლილი. ესენია: „თავისუფლებააღკვეთილთა ყოფითი და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება" (პროგრამული კოდი 27 02 01 01) და „პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების დაწესებულებებში არსებული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და საწარმოო ზონის შექმნა" (პროგრამული კოდი 27 02 01 02). 2014 -2015 წლებში ბიუჯეტის კანონში გამოყოფილია ასიგნებები, შესაბამისად, 126 147.0 ათასი და 125 595.0 ათასი ლარის ოდენობით. 2015 წლის ბიუჯეტის კანონში ცვლილებების შეტანის შემდეგ ქვეპროგრამისთვის 27 02 01 განისაზღვრა 118 681.0 ათასი ლარი.

45 2014 წლის 15 ივლისის საქართველოს მთავრობის №449 დადგენილების მე-5 მუხლის პირველი პუნქტი.

46 საბიუჯეტო კლასიფიკაცია, გვ. 65

47 2014 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში, III თავი.

| დასახელება | 2014 წლის დამტკიცებული | 2014 წლის დაზუსტებული | 2015 წლის დამტკიცებული | 2015 წლის ცვლილება | 2015 წლის დაზუსტებული |
|---|---|---|---|---|---|
| პროგრამული კოდი 27 02 | | | | | |
| სისხლის სამართლის სისტემის რეფორმა | 136,369.0 | 134,906.2 | 133,715.0 | 126,768.0 | 128,816.3 |
| მომუშავეთა რიცხოვნობა | 4 412 | 4 412 | 4 225 | 4 086 | 4 086 |
| ხარჯები | 109,947.0 | 109,596.7 | 107,726.0 | 104,279.0 | 109,333.0 |
| შრომის ანაზღაურება | 57,928.0 | 59,499.0 | 55,440.0 | 53,940.0 | 55,875.0 |
| საქონელი და მომსახურება | 49,161.0 | 47,767.8 | 48,900.0 | 47,053.0 | 50,399.5 |
| გრანტები | 6.0 | 0.0 | 6.0 | 6.0 | 6.0 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 565.0 | 836.0 | 850.0 | 840.0 | 970.0 |
| სხვა ხარჯები | 2,287.0 | 1,493.9 | 2,530.0 | 2,440.0 | 2,082.6 |
| არაფინანსური აქტივების ზრდა | 26,422.0 | 25,201.0 | 25,989.0 | 22,489.0 | 19,483.3 |
| ვალდებულებების კლება | 0.0 | 108.5 | | | |
| 27 02 01 - საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების სისტემის ჩამოყალიბება | 126,147.0 | 124,801.1 | 125,595.0 | 118,681.0 | 120,243.5 |
| მომუშავეთა რიცხოვნობა | 3 901 | 3 901 | 3 901 | 3 763 | 3 763 |
| ხარჯები | 100,795.0 | 100,633.8 | 101,606.0 | 98,192.0 | 103,184.5 |
| შრომის ანაზღაურება | 50,884.0 | 52,375.0 | 50,600.0 | 49,100.0 | 50,985.0 |
| საქონელი და მომსახურება | 47,155.0 | 46,046.6 | 47,700.0 | 45,886.0 | 49,208.2 |
| გრანტები | 6.0 | | 6.0 | 6.0 | 6.0 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 500.0 | 750.0 | 800.0 | 790.0 | 920.0 |
| სხვა ხარჯები | 2,250.0 | 1,462.2 | 2,500.0 | 2,410.0 | 2,065.3 |
| არაფინანსური აქტივების ზრდა | 25,352.0 | 24,058.8 | 23,989.0 | 20,489.0 | 17,059.0 |
| ვალდებულებების კლება | | 108.5 | | | |
| 27 02 01 01 - თავისუფლებააღკვეთილთა ყოფითი და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება | 100,095.0 | 99,885.8 | 100,706.0 | 97,392.0 | 102,094.5 |
| 27 02 01 02 - პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების დაწესებულებებში არსებული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და საწარმოო ზონის შექმნა | 26,052.0 | 24,915.3 | 24,889.0 | 21,289.0 | 18,149.0 |

2014 წელს ტენდერებიდან წარმოშობილი ეკონომია, როგორც უკვე აღინიშნა, მიემართა საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდში. კერძოდ, 27 02 01 01 ქვეპროგრამიდან 947.6 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო 27 02 01 02 ქვეპროგრამიდან 19.2 ათასი ლარის ოდენობით.[48] წლის განმავლობაში პროგრამული კოდების მუხლებს შორის თანხების გადატანისას მთლიანობაში სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის დაფინასება შემცირდა 1,462.8 ათასი ლარით. უფრო დეტალურად, პროგრამის „საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების სისტემის ჩამოყალიბება" დაფინანსება სახელმწიფო ბიუჯეტიდან შემცირდა 1,345.9 ათასი ლარით (მათ შორის 966.8 ათასი ლარი გადარიცხულია მთავრობის სარეზერვო ფონდში), საიდანაც ქვეპროგრამაზე „თავისუფლებააღკვეთილთა ყოფითი და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება" მოდის 209.2 ათასი ლარი, ხოლო ქვეპროგრამაზე „პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების დაწესებულებებში არსებული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და საწარმოო ზონის შექმნა" – 1,136.7 ათასი ლარი.

**2014 წლის სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სამოქმედო გეგმაში პროგრამაზე (6.2)** „სასჯელაღსრულების დეპარტამენტის და დაწესებულებების ადმინისტრირების გაუმჯობესება" განსაზღვრულია სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსება 81,795.0 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო ფაქტობრივი შესრულების მიხედვით დახარჯულია 81,274.36 ათასი ლარი - *520.64 ათასი ლარით ნაკლები.*

**პროგრამაზე (6.3)** „პატიმრობის პირობების გაუმჯობესება" განისაზღვრა 38,152.0 ათასი ლარი, ხოლო ფაქტობრივი შესრულების მიხედვით - 38,917.29 ათასი ლარი - *765.29 ათასი ლარით მეტი.*

**პროგრამაზე (6.4)** „მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია" – 6,200 ათასი ლარი, ფაქტორბივი შესრულებით კი - 4,202.45 ათასი ლარი - *1,997.55 ათასი ლარით ნაკლები.*

**სულ განსაზღვრული იყო 126,147.0 ათასი ლარი, ფაქტობრივი შესრულებით კი პროგრამების განხორციელებაზე სულ დაიხარჯა - 124,394.1 ათასი ლარი -** *1,752.9 ათასი ლარით ნაკლები.*

**ქვეპროგრამისთვის** „საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების სისტემის ჩამოყალიბება" ბიუჯეტის კანონის შესაბამისად განსაზღვრულია 3 901 საშტატო ერთეული. მიუხედავად იმისა, რომ რაოდენობის ზრდა არ მომხდარა, წლის განმავლობაში განხორციელებული დაზუსტებების შედეგად შრომის ანაზღაურება გაზრდილია 1,491.0 ათასი ლარით, რომელიც სავარაუდოდ 2014 წლის აგვისტოს თვიდან დარიცხული დანამატის ოდენობაა. ქვეპროგრამის მთლიან დაფინანსებაში ბიუჯეტიდან გაწეული ხარჯების ყველაზე დიდი ხვედრითი წილი ფიქსირდება „შრომის ანაზღაურების" მუხლზე. ის ქვეპროგრამის მთლიანი დაფინანსების 42.09%-ს შეადგენს.

სასჯელაღსრულების დეპარტამენტში შრომის ანაზღაურებასთან დაკავშირებით ზოგიერთი მაჩვენებელი 2014 წელს ასე გამოიყურება:

| შინაარსი | 2014 წ. | |
|---|---|---|
| მაქსიმალური თანამდ/სარგო | 3 350 | ლარი |
| მინიმალური თანამდ/სარგო | 700 | ლარი |
| ერთჯერადად გაცემული პრემიის/დანამატის მაქს. ოდენობა | 5 000 | ლარი |
| ერთჯერადად გაცემული პრემიის/დანამატის მინ. ოდენობა | 100 | ლარი |
| პრემიის ხელფასზე მაქსიმალური გადამეტება (ჯერ) | 2.4 | |
| ერთ მომუშ-ზე მაქს. განაცემი (შრ. ანაზღ.) ოდენობა ჯამურად | 82 885.15 | ლარი |

48 საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს 2013-2014 წლების ფინანსური აუდიტის ანგარიში №52/00.

2014 წლის განმავლობაში ერთჯერადად გაცემული მაქსიმალური პრემიის ოდენობა შეადგენდა 5,000 ლარს 18 თანამშრომელზე, ხოლო 2014 წლის 15 ივლისის საქართველოს მთავრობის №449 დადგენილების ამოქმედებიდან საბიუჯეტო სახსრები გაცემულია (აგვისტოდან) არა მარტო „პრემიის“, არამედ „დანამატის“ ქვემუხლიდანაც. შედეგად, 2014 წლის აგვისტომდე საშუალო თვიური პრემია შეადგენდა 382 ათას ლარს, ხოლო აგვისტოდან დეკემბრის ჩათვლით საშუალო თვიური პრემიისა და დანამატის ჯამური ოდენობა - 1,204 ათას ლარს (3-ჯერ მეტს). 22 თანამშრომელზე ერთჯერადად გაცემული მაქსიმალური დანამატის ოდენობა ასევე 5,000 ლარის ტოლია. წლის განმავლობაში პრემიისა და დანამატის ჯამური ოდენობის ხელფასთან თანაფარდობა მერყეობს 0.1-დან 2.4-მდე.[49] სასჯელაღსრულების დეპარტამენტმა 2014 წლის აგვისტოდან შემოიღო დანამატის გაცემის პრაქტიკა, რის შედეგადაც აგვისტოდან პრემიისა და დანამატის ჯამური საშუალო თვიური მაჩვენებელი 3-ჯერ აღემატება აგვისტომდე მხოლოდ პრემიის გაცემის პირობებში საშუალო თვიურ მაჩვენებელს. ამდენად, დაუსაბუთებელია აღნიშნული დანამატების გაცემის მიზნობრიობა და ამ ხარჯის გაწევის რელევანტურობა სხვა მუხლებთან მიმართებაში პროგრამების სრულფასოვნად შესრულების კუთხით.

პრემიისა და დანამატის ხელფასთან თანაფარდობა თვეების მიხედვით წარმოდგენილია ცხრილის სახით:

| 27 02 01 ათას ლარებში | I | II | III | IV | V | VI | VII | VIII | IX | X | XI | XII | 2014 წ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თ/ სარგო | 3385 | 3367 | 3390 | 3393 | 3410 | 3414 | 3399 | 3442 | 3466 | 3450 | 3431 | 3432 | 40980 |
| წოდებრივი სარგო | 65 | 66 | 67 | 67 | 67 | 67 | 67 | 67 | 68 | 68 | 67 | 68 | 803 |
| პრემია | 387 | 388 | 251 | 682 | 394 | 284 | 286 | 700 | 68 | 102 | 704 | 2953 | 7200 |
| დანამატი | | | | | | | | 271 | 295 | 308 | 310 | 308 | 1492 |
| პრემია + დანამატი | 387 | 388 | 251 | 682 | 394 | 284 | 286 | 971 | 363 | 410 | 1014 | 3261 | 8692 |
| % | 11 | 12 | 7 | 20 | 12 | 8 | 8 | 28 | 10 | 12 | 30 | 95 | 21 |

2014 წლის ბიუჯეტის კანონის პრიორიტეტების და პროგრამების[50] და პროგრამული დანართის მიხედვით „საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების სისტემის ჩამოყალიბება“ (პროგრამული კოდი 27 02 01) ითვალისწინებს:

- თავისუფლებააღკვეთილთათვის რბილი ინვენტარისა და საჭიროების შემთხვევაში უნიფორმის შესყიდვას;
- პენიტენციურ სისტემაში მყოფ თავისუფლებააღკვეთილთა სამართლებრივი გარანტიების განმტკიცებას;
- პატიმრობის კოდექსით გათვალისწინებული საჩივრების პროცედურების ხელმისაწვდომობის შენარჩუნებას;

49 საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს 2013-2014 წლების ფინანსური აუდიტის ანგარიში №52/00.

50 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონი (თავი V, გვ. 36).

- თავისუფლებააღკვეთილთა ცნობიერების ამაღლება და თავიანთი უფლებების (საჩივრების, დისციპლინური და ადმინისტრაციული პროცედურების) შესახებ სრული ინფორმირების უზრუნველყოფას;
- ხარისხიანი კვებითი მომსახურების შენარჩუნებას;
- თავისუფლებააღკვეთილთა მიერ განათლების ხელმისაწვდომობას - პროფესიული/სახელობო/საგანმანათლებლო სწავლების პროგრამების განსაზღვრას და შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნას;
- თავისუფლებააღკვეთილთა დასაქმებას;
- პენიტენციური სისტემის თანამშრომლების და სავალდებულო სამხედრო მოსამსახურეთა უნიფორმებით უზრნველყოფა.

  ზემოთხსენებული ჩამონათვალი დაფინანსებულია ქვეპროგრამის „თავისუფლებააღკვეთილთა ყოფითი და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება" (პროგრამული კოდი 27 02 01 01) ფარგლებში 99,885.8 ათასი ლარის ოდენობით. ჩამონათვალში არ არის მითითებული სასჯელაღსრულების დეპარტამენტის და დაწესებულებების ადმინისტრირების გაუმჯობესებასთან დაკავშირებული ხარჯები, როგორიცაა შრომის ანაზღაურება, სოციალური უზრუნველყოფა და სხვა ხარჯები.

  27 02 01 პროგრამული კოდით ასევე გათვალისწინებულია შემდეგი პროგრამების განხორციელება, რომელიც კაპიტალური ბიუჯეტის დანართშია ასახული:

- თავისუფლების აღკვეთის ახალი დაწესებულების მშენებლობის გაგრძელება ოზურგეთის რაიონის დაბა ლაითურში;
- უვადო თავისუფლებააღკვეთილთა დაწესებულებისა და ქალთა თავისუფლების აღკვეთის ახალი დაწესებულების მშენებლობის გაგრძელება;
- სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარება სასჯელაღასრულების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში;
- საჭიროების მიხედვით დაწესებულებების აღჭურვა შესაბამისი მანქანა-დანადგარებითა და ინვენტარით.

აღნიშნული ჩამონათვალი დაფინანსებულია ქვეპროგრამის „პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების დაწესებულებებში არსებული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და საწარმოო ზონის შექმნა" (პროგრამული კოდი 27 02 01 02) ფარგლებში 24,915.3 ათასი ლარის ოდენობით.

ქვეპროგრამის განმახორციელებელია საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება სასჯელაღსრულების დეპარტამენტი.

**2014 წლის ბიუჯეტის კანონის პროგრამულ დანართში 27 02 01 პროგრამული კოდის მოსალოდნელი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები შედგენილია ისეთი სახით, რომ იყოს მიღწევადი, გაზომვადი, შესაბამისი, კონკრეტული და დროში გაზომვადი. მაგალითად:**

1. *აუცილებელი რბილი ინვენტარით უზრუნველყოფილ თავისუფლებააღკვეთილ პირთა პროცენტული რაოდენობა - 100%;*
2. *დასაქმებულ თავისუფლებააღკვეთილ პირთა პროცენტული რაოდენობის 30%-ით ზრდა 2013 წლის მაჩვენებელთან შედარებით;*
3. *თავისუფლებააღკვეთილთა სამართლებრივი გარანტიების გასაძლიერებლად შესაბამისი საინფორმაციო ბროშურებითა და საჩივრის კონვერტებით უზრუნველყოფილი პატიმრების პროცენტული რაოდენობა - 100%.*

**2014 წლის შესრულების ანგარიშის[51] მიხედვით პროგრამების ფარგლებში (27 02 01 01 პროგრამული კოდი) შესრულდა შემდეგი:**

- მოქალაქეთა მომსახურეობის გაუმჯობესების მიზნით შექმნილი საზოგადოებრივ მისაღებებში საანგარიშო პერიოდში გაწეულ იქნა 432.9 ათას მომსახურებაზე მეტი;
- სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის მიზნით განახლდა რიგი პროფესიული და სახელობო-სასწავლო პროგრამები, ფსიქო-სოციალურ სარეაბილიტაციო პროგრამებში ჩაერთო 1720 მსჯავრდებული, სპორტულ და კულტურულ ღონისძიებაში 300-მდე მსჯავრდებული და ბრალდებული;

➢ უნდა აღინიშნოს, რომ ფსიქო-სოციალურ პროგრამებში ჩართულ პატიმართა რაოდენობა სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სამოქმედო გეგმის მონაცემებთან არ მოდის თანხვედრაში. გეგმის მიხედვით, პროგრამაში ჩაერთო 1182 მსჯავრდებული. რაც 538-ით ნაკლებია.

- 2014 წლის მანძილზე განხორციელდა 46 ფსიქო-სოციალური პროგრამა, 32 სპორტული და 157 კულტურული ღონისძიება.

➢ კულტურული ღონისძიებების რაოდენობა სამოქმედო გეგმაში 223-ია, რაც 66-ით მეტია ბიუჯეტის შესრულების დანართში მითითებლ რაოდენობაზე.

- პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების დაწესებულებებში სამეურნეო მომსახურების კუთხით დასაქმდა 865 მსჯავრდებული. ამასთან, დასაქმებული მსჯავრდებულები უზრუნველყოფილნი იქნენ სპეციალური სეზონური ტანსაცმლით;
- ბრალდებულებს/მსჯავრდებულებს განუახლდათ რბილი ინვენტარის ნაწილი.

➢ სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სამოქმედო გეგმის მიხედვით რბილ ინვენტარზე დაიხარჯა სახელმწიბო ბიუჯეტის ასიგნებები 2,322,47 ათასი ლარის ოდენობით.

- თავისუფლების აღკვეთის აღსრულების სისტემის თანამშრომელთა და სავალდებულო სამხედრო მოსამსახურეთა 100% უზრუნველყოფილი იქნა სამედიცინო დაზღვევით, მათი სოციალური დაცულობის გაუმჯობესების მიზნით.

➢ აღნიშნული არ არის მითითებული სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სამოქმედო გეგმაში. ასევე, ვერ იქნა მოძიებული სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიერ სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის ფარგლებში 2014 წლის 1 იანვრიდან 2015 წლის 1 იანვრამდე განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ დანართში;[52]

- სამართლებრივი გარანტიების გაძლიერების მიზნით, ბრალდებულებს/მსჯავრდებულებს მიეწოდა 912 საინფორმაციო სახის ბროშურა, მოთხოვნის შესაბამისად ადრესატს გაეგზავნა 8 329 კონფიდენციალური საჩივრის კონვერტი;
- ქმედითუნარიანი განათლების პროგრამების ამუშავებისა და პატიმართა მიერ განათლების მიღების ხელმისაწვდომობისათვის სასჯელაღსრულების დეპარტამენტმა მოახდინა ორგანიზება და დააფინანსა მსჯავრდებულთა გადამზადება მათთვის განსაზღვრული სახელობო/პროფესიული სასწავლო პროგრამებით;

➢ პროფესიულ პროგრამებში ჩართული იყო 1303 მსჯავრდებული (625-სახელობო/პროფ. + 678 სატრენინგო/კომპიუტერული); 2013 წელს გადამზადებული იყო 840 მსჯავრდებული, ვალდებულება იყო 1174 მსჯავრდებულის გადამზადებაზე;

➢ პროფესიულ პროგრამებში სერტიფიცირება მიიღო 960 მსჯავრდებულმა (625-სახელობო/პროფ. + 335 სატრენინგო/კომპიუტერული).

➢ სამოქმედო გეგმის მიხედვით აღნიშნულზე დაიხარჯა 124.69 ათასი ლარი;

51 საბიუჯეტო კოდექსის II კარი, II თავი, 15 მუხლი.

52 www.sps.gov.ge საჯარო ინფორმაცია; ინფორმაცია საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიერ სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის ფარგლებში 01.01.2014-დან - 01.01.2015-მდე განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ (დანართი №2).

- 2014 წლის ბიუჯეტის შესრულების პროგრამულ დანართში არ არის მითითებული ინფორმაცია პატიმართა კვებით უზრუნველყოფის შესახებ, რომლის შესახებაც სამოქმედო გეგმაში მითითებულია შემდეგი: „შენარჩუნებულია პატიმრების უზრუნველყოფა სამჯერადი კვებით, განახლებულია ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა კვების რაციონი და განსაკუთრებული კატეგორიის მსჯავრდებულებისათვის ჩამოყალიბებულია მათ საჭიროებებზე მორგებული კვების რაციონი“. აღნიშნულზე დახარჯულია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ასიგნებები 15,021.45 ათასი ლარის ოდენობით.

**2014 წლის კაპიტალური პროგრამების (პროგრამული კოდი 27 02 01 02) ფარგლებში კი შესრულდა შემდეგი:**[53]

- დასრულდა 2013 წელს დაწყებული №3 დაწესებულების სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები. ინფრასტრუქტურა მოეწყო ევროპული სტანდარტების მიხედვით; სისხლის სამართლის რეფორმის სამოქმედო გეგმაში აღნიშნული არ არის მითითებული. ვერც 2013 წლის სამოქმედო გეგმაში იქნა მოძიებული.
- სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თორმეტ (№2, №5, №7, №8, №9, №10, №12, №14, №15, №17, №18, №19) დაწესებულებაში დასრულდა ცალკეული შენობების სარემონტო და კაპიტალური-სამშენებლო სამუშაოები; სამოქმედო გეგმაში მითითებულია რომ ყველა დაწესებულებას ჩაუტარდა სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები. დამატებით აღჭურვა, შესაბამისი მანქანა დანადგარებითა და ინვენტარით, საჭიროებიდან გამომდინარე. აღნიშნულზე დაიხარჯა 12,332.81 ათასი ლარი.
- დასრულდა საბადრაგო სამსახურის ახალი შენობის მშენებლობა - ქ. თბილისში და მიმდინარეობს საბადრაგო სამსახურის ახალი შენობის მშენებლობა - ქ. ბათუმში; აღნიშნული არ არის ასახული სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სამოქმედო გეგმაში.
- დასრულდა ბრალდებულ არასრულწლოვანთა საცხოვრებელი კორპუსის სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები;
- სამ დაწესებულებაში მოეწყო შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მსჯავრდებულთა გადაადგილებისათვის აუცილებელი პანდუსები; აღნიშნული არ არის ასახული სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სამოქმედო გეგმაში.
- №3 დაწესებულებაში შეიქმნა საზოგადოებრივი მისაღები და გრძელვადიანი ვიზიტებისათვის განკუთვნილი ადგილი;
- ასევე №12 დაწესებულებაში მოეწყო გრძელვადიანი პაემნებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურა;
- დასრულდა №11 არასრულწლოვანთა სპეციალური დაწესებულების საზოგადოებრივი მისაღების შენობის სამშენებლო სამუშაოები;
- სამოქმედო გეგმის მიხედვით მე-№14 დაწესებულებაშიც დაიწყება საზოგადოებრივი მისაღების მშენებლობა და დამთავრდება 2015 წელს.
- გაგრძელდა 2012 წლის ზაფხულში დაწყებული ახალი დაწესებულების მშენებლობა დაბა ლაითურში; დასრულებულია ადმინისტრაციული შენობა და დასრულდა ძირითადი სარეჟიმო კორპუსის შავი კარკასი.
- 2014 წლის მაისში დაიწყო და მიმდინარეობს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №1 დაწესებულების ადმინისტრაციული შენობის სრული სარეკონსტრუქციო-სარემონტო სამუშაოები; აღნიშნული არ არის ასახული სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სამოქმედო გეგმაში.
- სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ერთ დაწესებულებაში მიმდინარეობს ცალკეული შენობებისა და კორპუსების კაპიტალური სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები;
- №16 დაწესებულებაში დასრულდა კორპუსის კაპიტალური სარემონტო-სამშენებლო სამუშაოები, მიმდინარეობს მხოლოდ საწარმოო ზონისათვის შესაფერისი ინფრასტრუქტურის მოწყობა. დასრულდა

53 2014 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშები; ინფორმაცია კაპიტალური პროექტების შესრულების შესახებ.

№16 დაწესებულების საწარმოოს ზონის მშენებლობის პირველი ეტაპი, ექსპლუატაციაში გაეშვება 2015-ში. სამოქმედო გეგმაში არაფერია ნათქვამი კორპუსის კაპიტალურ რემონტზე.

**2014 წლის მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები (პროგრამული კოდი 27 02 01) შემდეგნაირია:**

- აუცილებელი რბილი ინვენტარით 100%-ით უზრუნველყოფილი თავისუფლებააღკვეთილი პირები;
- პროფესიული და სახელობო სასწავლო პროგრამებში ჩართულ პატიმართა რაოდენობა - 1 303 მსჯავრდებული, 55%-ით მეტი გასული წლის მაჩვენებელზე;
- დასაქმებულ პატიმართა რაოდენობა - 840 მსჯავრდებული, 86%-ით მეტი გასული წლის მაჩვენებელზე;
- თავისუფლებააღკვეთილთა სამართლებრივი გარანტიების გასაძლიერებლად შესაბამისი საინფორმაციო ბროშურებითა და საჩივრის კონვერტებით 100%-ით უზრუნველყოფილი პატიმრები;
- აუცილებელი რბილი ინვენტარითა და შესაბამისი უნიფორმით 100%-ით უზრუნველყოფილი პენიტენციური სისტემის თანამშრომელი და სავალდებულო სამხედრო მოსამსახურე;
- ახალი მანქანა-დანადგარებით აღჭურვილი დაწესებულებები;
- 33%-ით შესრულებული ოზურგეთის რაიონის სოფელ ლაითურში ახალი თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების სამშენებლო სამუშაოები;

➢ აღნიშნულ ინდიკატორებში არ ფიგურირებს ორი კაპიტალური პროექტის შეფასების ინდიკატორის შედეგობრივი მაჩვენებელი. ესენია:

➢ უვადო თავისუფლებააღკვეთილთა დაწესებულების მშენებლობის სამუშაოები შესრულებულია 70%-ით;

➢ ქალის თავისუფლების აღკვეთის ახალი დაწესებულების სამშენებლო სამუშაოები შესრულებულია 70%-ით.

შესაძლებელია აღნიშნული სამშენებლო პროექტები არ იყო განხორციელებული 2014 წლის განმავლობაში.

**2015 წლის სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს დამტკიცებულ და დაზუსტებულ გეგმებს შორის სხვაობა 4,500 ათასი ლარი (იხ. 33 გვ.)** გამოწვეულია შემდეგი ცვლილებებით:

„საბიუჯეტო დეფიციტის მართვის მიზნით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 6 მარტის №422 განკარგულებიდან გამომდინარე, „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ასიგნებების გაზრდის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის განკარგულების[54] შესრულების მიზნით, 2015 წლის 14 აპრილს ყველა პროგრამული კოდიდან ჯამურად საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდში მიმართულ იქნა 1,000.0 ათასი ლარი („საქონელი და მომსახურების“ მუხლიდან - 385.0 ათასი ლარი, „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლიდან - 615.0 ათასი ლარი);

27 02 01 02 – „პენიტენციურ დაწესებულებებში არსებული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და საწარმოო ზონის შექმნა“ პროგრამით გათვალისწინებული ასიგნებები შემცირებულ იქნა 6,740.0 ათასი ლარით, საიდანაც 3,500.0 ათასი ლარი შემცირდა საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონში ცვლილების შედეგად; 3,140.0 ათასი ლარი - რებრენდინგისა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სამინისტროსთან ინტეგრაციის შედეგად გასატარებელი ღონისძიებების გამო გადატანილ

54 საქართველოს მთავრობის 2015 წლის 8 აპრილის №706 განკარგულება.

იქნა 27 02 01 01 – „ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ყოფითი და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება“ და 27 01 – „პენიტენციური სისტემის პოლიტიკის შემუშავება და მართვა“ პროგრამულ კოდებზე; 100.0 ათასი ლარი გადატანილ იქნა საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდში, შემდეგ უკვე აისახა დამტკიცებულ გეგმაში საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონში ცვლილებით.

ასიგნებების სხვა დანარჩენი დაზუსტებები გამოწვეულია სამინისტროს პროგრამულ კოდებს, პროგრამის ფარგლებში ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებსა და ასევე, კვარტლებს შორის გადანაწილებებით: კერძოდ, სამინისტროს სისტემის რებრედინგისა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სამინისტროსთან ინტეგრაციის შედეგად გასატარებელი ღონისძიებების გამო პროგრამული კოდით 27 01 - „პენიტენციური სისტემის პოლიტიკის შემუშავება და მართვა“ - გათვალისწინებული ასიგნებები გაზრდილ იქნა 3,386.0 ათასი ლარით (მათ შორის „შრომის ანაზღაურების“ მუხლი - 1,607.0 ათასი ლარით, „საქონელი და მომსახურების“ მუხლი - 1,713.3 ათასი ლარით), რაც გადმოტანილ იქნა სამინისტროს 27 02 01 01, 27 02 01 02 და 27 04 პროგრამული კოდებიდან. აღნიშნული დაზუსტება განხორციელებულია საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის მე-19 და 32-ე მუხლების შესაბამისად.

2015 წლის 1 ივლისიდან განხორციელდა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ლიკვიდაცია. ამასთან დაკავშირებით მოხდა „ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ყოფითი და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება“ (27 02 01 01) და „პენიტენციურ დაწესებულებებში არსებული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და საწარმოო ზონის შექმნა“ (27 02 01 02) პროგრამული კოდების გაყოფა, შესაბამისად, 01 და 02 კოდებად.

კერძოდ, 27 02 01 01 01 (ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ყოფითი და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება) კოდზე დარჩა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დროინდელი 6 თვის ხარჯი, ხოლო 27 02 01 01 02 (ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ყოფითი და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება) კოდზე წარმოებს რეფორმის შემდგომი პერიოდის გადასახდელების დაფარვა, რომელსაც უკვე ახორციელებს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო;

27 02 01 02 01 (პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების დაწესებულებებში არსებული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და საწარმოო ზონების შექმნა) კოდზე დარჩა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დროინდელი 6 თვის ხარჯი, ხოლო 27 02 01 02 02 (პენიტენციურ დაწესებულებებში არსებული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და საწარმოო ზონის შექმნა) კოდზე წარმოებს რეფორმის შემდგომი პერიოდის გადასახდელების დაფარვა, რომელსაც უკვე ახორციელებს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო.[55]

**2015 წლის სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სამოქმედო გეგმაში პროგრამაზე (6.2)** „სასჯელაღსრულების დეპარტამენტის და დაწესებულებების ადმინისტრირების გაუმჯობესება“ განსაზღვრულია სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსება 79,606.0 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო ფაქტობრივი შესრულების მიხედვით დახარჯულია 84,211.34 ათასი ლარი - *4,605.34 ათასი ლარით ნაკლები.*

**პროგრამაზე (6.3)** „პატიმრობის პირობების გაუმჯობესება“ განისაზღვრა 43,389.0 ათასი ლარი, ხოლო ფაქტობრივი შესრულების მიხედვით - 44,304.66 ათასი ლარი - *915.66 ათასი ლარით მეტი.*

**პროგრამაზე (6.4)** „მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია“ – 2,600.0 ათასი ლარი, ფაქტობრივი შესრულებით კი - 1,140.0 ათასი ლარი - *1,460.0 ათასი ლარით ნაკლები.*

**სულ განსაზღვრული იყო 125,595.0 ათასი ლარი, ფაქტობრივი შესრულებით კი პროგრამების განხორციელებაზე სულ დაიხარჯა - 129,664.6 ათასი ლარი[56] -** *4,069.6 ათასი ლარით მეტი.*

---

55 2015 წლის საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ფინანსური აუდიტის ანგარიში №44/36.

56 სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სამოქმედო გეგმა (2016 წლისთვის).

**2015 წელს სამინისტროს 27 02 01 პროგრამულ კოდზე „საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პენიტენციური სისტემის ჩამოყალიბება“** თავდაპირველად დამტკიცებული გეგმის ფარგლებში შრომის ანაზღაურება განსაზღვრული იყო 3,901 საშტატო ერთეულზე. იმავე წლის ივლისიდან, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ლიკვიდაციის შემდგომ, 138 საშტატო ერთეული გადავიდა სამინისტროს 27 01 პროგრამულ კოდზე. შედეგად, ბიუჯეტის კანონში განხორციელებული ცვლილებით აღნიშნულ პროგრამულ კოდზე საშტატო რიცხოვნობა განისაზღვრა 3,763 ერთეულით.

27 02 01 პროგრამული კოდით „შრომის ანაზღაურების“ მუხლით გაწეულია 50,950.8 ათასი ლარის საკასო ხარჯი. აღნიშნული ხარჯი ქვემუხლების და თვეების მიხედვით წარმოდგენილია ცხრილის სახით:

| 27 02 01 ათას ლარებში | I | II | III | IV | V | VI | VII | VIII | IX | X | XI | XII | 2015წ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თ/ სარგო | 3468 | 3453 | 3474 | 3445 | 3477 | 3499 | 3367 | 3395 | 3368 | 3443 | 3411 | 3415 | 41217 |
| პრემია | | 70 | 299 | 529 | 83 | 79 | 9 | | 320 | | | 2482 | 3871 |
| დანამატი | 303 | 295 | 329 | 333 | 337 | 348 | 319 | 336 | 331 | 343 | 328 | 277 | 3879 |
| პრემია + დანამატი | 303 | 365 | 628 | 862 | 420 | 427 | 328 | 336 | 651 | 343 | 328 | 2759 | 7749 |
| % | 9 | 11 | 18 | 25 | 12 | 12 | 10 | 10 | 19 | 10 | 10 | 81 | 19 |
| წოდებრივი სარგო | 68 | 68 | 69 | 68 | 69 | 71 | 66 | 68 | 60 | 62 | 66 | 67 | 802 |
| კომპენსაცია | 159 | 158 | 158 | 158 | 161 | 162 | 114 | 113 | | | | | 1182 |
| პრემია+ დანამატი+წოდებ. სარგო+კომპენსაცია | 530 | 591 | 855 | 1088 | 650 | 660 | 508 | 517 | 711 | 405 | 394 | 2826 | 9733 |
| % | 15 | 17 | 25 | 32 | 19 | 19 | 15 | 15 | 21 | 12 | 12 | 83 | 24 |

პრემიის გაცემის პერიოდულობა და ოდენობა საქართველოს მთავრობის დადგენილებასთან შესაბამისობაშია.[57]

| შინაარსი | 2015 წ. | | |
|---|---|---|---|
| ერთჯერადად გაცემული პრემიის მაქს. ოდენობა | 2 540 | ლარი | *დაწესებულების დირექტორი* |
| ერთჯერადად გაცემული დანამატის მაქს. ოდენობა | 6 250 | ლარი | *გაცემულია 33 თანამშრომელზე* |
| პრემიის და დანამატის ხელფასზე მაქსიმალური გადამეტება (ჯერ) | 2,65 | | *პენიტ. დეპარტამენტის მთავარი სამმართველოს უფროსი* |
| ერთ მომუშავეზე პრემიის/დანამატის მაქს. ოდენობა ჯამურად | 75 250 | ლარი | *დაწესებულების დირექტორი* |

57 საქართველოს მთავრობის №449 დადგენილება, 2014 წლის 15 ივლისი.

33 შემთხვევაში ადგილი ჰქონდა პრემიისა და დანამატის (ჯამურად) ხელფასზე 2-ჯერ და მეტ გადამეტებას. ხშირ შემთხვევებში ადგილი ჰქონდა უფლებამოსილი პირის ერთი ბრძანების საფუძველზე კონკრეტულ თანამშრომლებზე „ზეგანაკვეთური მუშაობისა და განსაკუთრებით საპასუხისმგებლო ფუნქციური დატვირთვისათვის“ წინასწარ 2 და 3 თვით ხელფასზე ფულადი დანამატების დანიშვნას. 10 შემთხვევაში ადგილი ჰქონდა მაქსიმალური ოდენობის დანამატის 6,250 ლარის წლის განმავლობაში ყოველთვიურ გაცემას, თუმცა თანამდებობრივ სარგოზე 2.3-ჯერ მეტი დანამატი, თავისი ყოველთვიური შინაარსიდან გამომდინარე, უფრო თანამდებობრივი სარგოს ხასიათს ატარებს, ვიდრე დანამატის.[58]

2015 წლის ბიუჯეტის კანონის პრიორიტეტების და პროგრამების[59] და პროგრამული დანართის მიხედვით „საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების სისტემის ჩამოყალიბება“ (პროგრამული კოდი 27 02 01) ითვალისწინებს:

- ბრალდებულთათვის/მსჯავრდებულთათვის რბილი ინვენტარისა და, საჭიროების შემთხვევაში, შესაფერისი უნიფორმის შესყიდვას, ხარისხიანი კვებითი მომსახურების შენარჩუნებას, განათლების ხელმისაწვდომობას; პროფესიული/სახელობო/საგანმანათლებლო სწავლების პროგრამების განსაზღვრას და შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნას, მსჯავრდებულთა დასაქმებას, სამართლებრივი გარანტიების განმტკიცებას, პატიმრობის კოდექსით გათვალისწინებული საჩივრების პროცედურების ხელმისაწვდომობის შენარჩუნებას, პატიმართა ცნობიერების ამაღლებას და მათ უფლებათა (საჩივრების, დისციპლინური და ადმინისტრაციული პროცედურების) შესახებ სრული ინფორმირების უზრუნველყოფას.

ზემოხსენებული ჩამონათვალი დაფინანსებულია ქვეპროგრამის „თავისუფლებააღკვეთილთა ყოფითი და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება“ (პროგრამული კოდი 27 02 01 01) ფარგლებში 97,392.0 ათასი ლარის ოდენობით. ჩამონათვალში არ არის მითითებული სასჯელაღსრულების დეპარტამენტის და დაწესებულებების ადმინისტრირების გაუმჯობესებასთან დაკავშირებული ხარჯები, როგორიცაა შრომის ანაზღაურება, სოციალური უზრუნველყოფა, სხვა ხარჯები.

27 02 01 პროგრამული კოდით პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის სისტემაში არსებული ინფრასტრუქტურისა და პირობების გაუმჯობესების მიზნით შემდეგი პროგრამები განხორციელება, რომელიც კაპიტალური ბიუჯეტის დანართშია[60] ასახული:

- თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების მშენებლობის გაგრძელება ოზურგეთის რაიონის სოფელ ლაითურში და ახალი (ორხევი) დაწესებულების მშენებლობის დაწყება;
- რუსთავის №16 დაწესებულების ტერიოტორიაზე საწარმოო ზონის მშენებლობის დასრულება;
- სარემონტო/სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარება სასჯელაღსრულების არსებულ დაწესებულებებში;
- ცალკეული დაწესებულებების აღჭურვა შესამაბამისი მანქანა-დანადგარებითა და ინვეტარით;
- საზოგადოებრივი მისაღების აშენება №14 დაწესებულებაში;

➢ სამოქმედო გეგმის მიხედვით დაიწყო 2014-ში.

- გრძელვადიანი პაემნების ადგილის შექმნა №9 დაწესებულებაში;
- ბათუმში სასჯელაღსრულების დაწესებულების საბადრაგო შენობის აშენება.

58 2015 წლის საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ფინანსური აუდიტის ანგარიში №44/36.

59 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონი (თავი V, გვ. 24).

60 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონი; ინფორმაცია 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული კაპიტალური პროექტების შესახებ.

აღნიშნული ჩამონათვალი დაფინანსებულია ქვეპროგრამის „პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების დაწესებულებებში არსებული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და საწარმოო ზონის შექმნა“ (პროგრამული კოდი 27 02 01 02) ფარგლებში 21,289.0 ათასი ლარის ოდენობით.

ქვეპროგრამის განმახორციელებელია საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება სასჯელაღსრულების დეპარტამენტი.

**2015 წლის ბიუჯეტის კანონის პროგრამულ დანართში 27 02 01 პროგრამული კოდის მოსალოდნელი შუალედული შედეგის შეფასების ინდიკატორები შედგენილია ისეთი სახით, რომ იყოს მიღწევადი, გაზომვადი, შესაბამისი, კონკრეტული და დროში გაზომვადი,** *მაგალითად:*

1. *ნორმატივებით განსაზღვრული რაციონისა და კალორიულობის დაცვით სამჯერადი კვების რეჟიმით უზრუნველყოფილ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა პროცენტული რაოდენობა - 100%;*
2. *დასაქმებულ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა პროცენტული რაოდენობის 30%-ით ზრდა 2014 წლის მაჩვენებლთან შედარებით;*
3. *ოზურგეთის რაიონში სოფელ ლაითურში ახალი თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების მშენებლობის მთლიანი სამუშაოების შესრულებული 66%.*

**2015 წლის შესრულების ანგარიშის[61] მიხედვით პროგრამების ფარგლებში (27 02 01 01 პროგრამული კოდი) შესრულდა შემდეგი:**

- ბრალდებულებს/მსჯავრდებულებს განუახლდათ რბილი ინვენტარის ნაწილი; ასევე სავალდებულო სამხედრო მოსამსახურეებსა და სისტემის თანამშრომლებს განუახლდათ რბილი ინვენტარისა და უნიფორმის ნაწილი;
- ➢ 2015 წლის სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სამოქმედო გეგმის მიხედვით სასჯელაღსრულების დაწესებულებებში პატიმრები უზრუნველყოფილნი არიან რბილი ინვენტარითა და პირადი ჰიგიენის საშუალებებით, რაც დარეგულირებულია დაწესებულების შიდა რეგულაციებით. ქალ პატიმართათვის ჰიგიენური საშუალებების მიწოდების პრობლემა აღმოიფხვრა საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს ბრძანებით დამტკიცდა ქალთა №5 დაწესებულების დებულება, რომლითაც განისაზღვრა იმ ჰიგიენური საშუალებების ჩამონათვალი, რომელთა ყიდვაც შესაძლებელია დაწესებულების ტერიტორიაზე არსებულ მაღაზიაში. ამასთანავე, დებულების 36-ე მუხლის მე-10 პუნქტით განისაზღვრა, რომ ბრალდებულ/მსჯავრდებულ ქალებს მიეწოდებათ ჰიგიენური საფენები. დაწესებულების ადმინისტრაცია უზრუნველყოფს ზემოაღნიშნული ნორმის აღსრულებას. სამოქმედო გეგმის მიხედვით აღნიშნულ ღონისძიებაზე გამოყოფილია 3,102.05 ათასი ლარი;
- პენიტენციურ დაწესებულებებში ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის მიზნით განახლდა რიგი პროფესიული, სახელობო და საგანმანათლებლო/სასწავლო პროგრამები, სადაც ჩართულია საშუალოდ 1 754 მსჯავრდებული, ფსიქო-სოციალურ სარეაბილიტაციო პროგრამებში ჩართულია საშუალოდ 1 520 მსჯავრდებული, კულტურულ ღონისძიებებში, ინტელექტუალურ, შემეცნებით შეხვედრებში და კონკურსებში ჩართულია 717-მდე მსჯავრდებული;
- ➢ პროფესიული/სახელობო და სატრენინგო/საგანმანათლებლო სწავლების კურსებში ჩართული იყო 1454 ბენეფიციარი (სახელობო/პროფესიული სწავლება - 302; კომპიუტერული სასწავლო პროგრამა - 377; სატრენინგო/საგანმანათლებლო სწავლება - 775). აღნიშნული ციფრი არ არის თანხვედრაში ბიუჯეტის შესრულების ანგარიშთან;
- ➢ ფსიქო-სოციალურ სატრენინგო და სარეაბილიტაციო პროგრამებში ჩართული იყო 1520 ბენეფიციარი. სამოქმედო გეგმის შესაბამისად აღნიშნული დაფინანსებულია 10.0 ათასი ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებებიდან;
- ➢ განახლდა ყველა პენიტენციური დაწესებულების ბიბლიოთეკის წიგნის ფონდი. 2015 წელს გაიმართა

61 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშები.

268 კულტურული და სპორტული ღონისძიება, ამას გარდა სხვადასხვა ინტელექტუალურ-შემეცნებით შეხვედრებსა და კონკურსებში ჩართული იყო 717 ბენეფიციარი;

- საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 65 სპორტული და 198 კულტურული ღონისძიება;
- საანგარიშო პერიოდში პენიტენციურ დაწესებულებებში დასაქმდა 839 მსჯავრდებული;

➢ 2015 წლის განმავლობაში დასაქმებული იყო სულ 860 მსჯავრდებული. მათ შორის: 834 - სამეურნეო სამსახურში დასაქმებული; 5 - სილამაზის სალონებში დასაქმებული; 21 - სამკერვალო სალონებში დასაქმებული;

- პენიტენციური სისტემის თანამშრომელთა და სავალდებულო სამხედრო მოსამსახურეთა 100% უზრუნველყოფილი იქნა სამედიცინო დაზღვევით, მათი სოციალური დაცულობის გაუმჯობესების მიზნით;

➢ აღნიშნილი არ ჩანს სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სამოქმედო გეგმაში;

- მოქალაქეთა მომსახურეობის გაუმჯობესების მიზნით შექმნილი საზოგადოებრივ მისაღებებში საანგარიშო პერიოდში გაწეულ იქნა 192.9 ათას მომსახურებაზე მეტი;

➢ აღნიშნული არ ჩანს სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სამოქმედო გეგმაში.

**2015 წლის კაპიტალური პროგრამების (პროგრამული კოდი 27 02 01 02) ფარგლებში კი შესრულდა[62] შემდეგი:**

- პენიტენციურ სისტემაში არსებული ინფრასტრუქტურის სრულყოფისა და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისი დაწესებულებების შექმნის მიზნით პენიტენციური სისტემის 15-ვე დაწესებულებაში დასრულდა ცალკეული შენობებისა და ოთახების კაპიტალური და მიმდინარე სარემონტო სამუშაოები, მათ შორის: 3 დაწესებულების ეზოში მდებარე სადალაქოს კაპიტალური სარემონტო სამუშაოები; ერთი დაწესებულების ტერიტორიაზე აშენებული ახალი ადმინისტრაციული შენობის ეზოს კეთილმოწყობა და 2 დაწესებულებაში დასრულდა შშმ პირთათვის ადაპტირებული ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოები; ასევე, დასრულდა 2014 წელს დაწყებული №16 დაწესებულების ტერიტორიაზე საწარმოო ზონისათვის შესაფერისი ინფრასტრუქტურის მოწყობა;

➢ 2015 წელს გაიხსნა ახალი ტიპის, დაბალი რისკის №16 დაწესებულება ქ. რუსთავში, რომელიც გათვლილია 900 პატიმარზე. აღნიშნული დაწესებულება ფოკუსირებულია სარეაბილიტაციო და რესოციალიზაციის პროგრამებზე. უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო ცენტრი. თანამშრომლებს გავლილი აქვთ სპეციალიზირებული პროგრამები და ტრენინგები.

➢ №8 დაწესებულებაში კაპიტალური რემონტი ჩაუტარდა სასმელი წყლის რეზერვუარებს; №11 დაწესებულებაში კაპიტალურად გარემონტდა გათბობა/გაგრილებისა და გამწოვი სისტემები; №14 დაწესებულებაში კაპიტალურად გარემონტდა ცენტრალური გათბობა, საქვაბე, თბოტრასა და აბანოები; №6 დაწესებულებაში კაპიტალურად გარემონტდა ცენტრალური გათბობა, საქვაბე, თბოტრასა და აბანოები; №19 დაწესებულებაში ტუბერკულოზის ქრონიკული ფორმით დაავადებულთა კორპუსში კაპიტალური რემონტი ჩაუტარდა ჰაერის გაწოვის სისტემას, აბანოსა და საპირფარეშოებს; №7 დაწესებულებაში შეიცვალა ჰაერის გაწოვის დანადგარი.

➢ ამასთანავე, სრული რეკონსტრუქციის შემდეგ გაიხსნა №6 მაღალი რისკის დაწესებულება, რომლის ინფრასტრუქტურა სრულად განახლდა დაწესებულებების კლასიფიკაციის პირობების შესაბამისად. მოეწყო ანტივანდალური ოთახები და მოხდა ინფრასტრუქტურის ადაპტირება. უსაფრთხოების მაღალი სტანდარტი უზრუნველყოფილია. პროექტი არ არის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშში.

- დასრულდა საბადრაგო სამსახურის შენობის მშენებლობა ქ. ბათუმში;
- სამ პენიტენციურ დაწესებულებაში დასრულდა ფსიქო-სოციალური სარეაბილიტაციო ცენტრ „ატლანტისის" პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის მოწყობა;
- გაგრძელდა 2012 წელს დაწყებული ახალი დაწესებულების მშენებლობა დაბა ლაითურში;

➢ წარმატებით მიმდინარეობს მაღალი რისკის დაწესებულების მშენებლობა დასავლეთ საქართველოში, დაბა ლაითურის ტერიტორიაზე, რომლის დასრულებაც დაგეგმილია 2016 წლის ბოლოსათვის.

- განხორციელდა 14-21 წლამდე მსჯავრდებულთა პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების კომპლექსის საპროექტო-საინჟინრო სამუშაოები.

62 2015 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშები; ინფორმაცია კაპიტალური პროექტების შესრულების შესახებ.

**2015 წლის მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები (პროგრამული კოდი 27 02 01) შემდეგნაირია:**

- ოზურგეთის რაიონის სოფელ ლაითურში ახალი თავისუფლება აღკვეთის დაწესებულების მშენებლობის მთლიანი სამუშაოების 70% შესრულებულია;
- ნორმატივებით განსაზღვრული რაციონისა და კალორიულობის დაცვით სამჯერადი კვების რეჟიმით უზრუნველყოფილ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა პროცენტული რაოდენობა - 100%;
- პროფესიული/სახელობო/საგანმანათლებლო სწავლების პროექტში ჩართულ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა რაოდენობაა 1 754, რაც გასული წლის მაჩვენებელზე 34,6%-ით მეტია;
- ➢ სისხლის სამართლის სტრატეგიის რეფორმის სამოქმედო გეგმის მიხედვით პროექტში ჩართულ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა რაოდენობა შეადგენს 1454 ბენეფიციარს, შესაბამისად, მაჩვენებელი გასულ წელთან შედარებით 28.68%-თ მეტია;
- დასაქმებული პატიმართა რაოდენობა - 839 მსჯავრდებული, რაც 1-ით ნაკლებია გასული წლის მაჩვენებელთან შედარებით;
- ➢ სისხლის სამართლის სტრატეგიის რეფორმის სამოქმედო გეგმის მიხედვით დასაქმებულ პატიმართა რაოდენობა შეადგენს 860 ბენეფიციარს, შესაბამისად, მაჩვენებელი 20-ით მეტია გასულ წელთან შედარებით, ანუ 2.38%-ით.
- საწარმოო ზონის დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოები 100%-ით შესრულებულია.

**2014 წელს ბიუჯეტის გადასახდელები, პროგრამული კოდისთვის 27 02 01, 99.7%-ით შესრულდა, ხოლო 2015 წელს - 97.9%-ით.**

**პროგრამისათვის „სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემისათვის თანამშრომელთა მომზადება და პროფესიული განვითარება“ (პროგრამული კოდი 27 03)** 2014 წლის ბიუჯეტის კანონით დამტკიცდა ასიგნებები 1 006.0 ათასი ლარის ოდენობით. 2015 წლისათვის დაფინანსებამ შეადგინა ასევე 1 006.0 ათასი ლარი. კანონში ცვლილებების განხორციელების შემდეგ კონკრეტულ პროგრამაში ცვლილებები არ მომხდარა.

| დასახელება | 2014 წლის დამტკიცებული | 2014 წლის დაზუსტებული | 2015 წლის დამტკიცებული | 2015 წლის ცვლილება | 2015 წლის დაზუსტებული |
|---|---|---|---|---|---|
| პროგრამული კოდი 27 03 | | | | | |
| სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემისათვის თანამშრომელთა მომზადება და პროფესიული განვითარება | 1,006.0 | 997.3 | 1,006.0 | 991.0 | 991.0 |
| მომუშავეთა რიცხოვნობა | 13 | 13 | 13 | 13 | 13 |
| ხარჯები | 947.0 | 938.3 | 956.0 | 956.0 | 957.4 |
| შრომის ანაზღაურება | 235.0 | 235.5 | 235.0 | 235.0 | 235.0 |
| საქონელი და მომსახურება | 700.0 | 685.8 | 710.0 | 710.0 | 703.9 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 3.0 | 9.5 | 7.0 | 7.0 | 16.0 |
| სხვა ხარჯები | 9.0 | 7.5 | 4.0 | 4.0 | 2.5 |
| არაფინანსური აქტივების ზრდა | 59.0 | 59.0 | 50.0 | 35.0 | 33.4 |
| ვალდებულებების კლება | | | | | 0.2 |

**2014 წლის სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სამოქმედო გეგმაში პროგრამაზე (6.2)** „სასჯელაღსრულების დეპარტამენტის და დაწესებულებების ადმინისტრირების გაუმჯობესება" განსაზღვრულია სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსება 81,274.36 ათასი ლარის ოდენობით, რომელიც მთლიანად განკუთვნილია 6.2.1 ქვეპროგრამისთვის, ხოლო 6.2.2 ქვეპროგრამის „სპეციალიზებული ტრენინგები პენიტენციური სისტემის თანამშრომლებისათვის" განხორციელებისათვის საჭირო რესურსი საერთოდ არ არის მითითებული. შესაბამისად, არ არის გამოკვეთილი ფაქტობრივი შესრულების შესახებ ინფორმაციაც.

**2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პრიორიტეტებსა და პროგრამებში პროგრამული კოდი 27 03 ითვალისწინებს შემდეგს:**

- სისტემის პერსონალის პროფესიული მომზადება-გადამზადებით სისხლის სამართლის რეფორმის განხორციელების, ევროპის საბჭოსა და გაეროს სტანდარტების დანერგვის, ადამიანის უფლებათა დაცვის, დანაშაულის პრევენციის და მსჯავრდებულის სოციალური რეაბილიტაციის ხელშეწყობა;
- ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის დანერგვა და სასწავლო პროგრამების განვითარება;
- სტრატეგიული თანამშრომლობის გაღრმავება სხვადასხვა სახელმწიფო, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციასთან;
- სისტემაში მისაღები კანდიდატების ტესტირების სისტემის დანერგვა და კანდიდატთა ტესტირების უზრუნველყოფა;
- პენიტენციური სისტემის თანამშრომლების სწავლებისათვის სახელმძღვანელოების მომზადება.

აღნიშნული ჩამონათვალი დაფინანსებულია მთლიანად სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებებით. ბიუჯეტის დაზუსტების შემდეგ მან შეადგინა 997.3 ათასი ლარი. 2014 წელს დაზუსტებული გეგმის შემცირება დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით 8.7 ათასი ლარით განაპირობა იანვარ-სექტემბერში გამოცხადებული ტენდერების შედეგად წარმოქმნილი ეკონომიის მიმართვამ საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდში. ფაქტობრივმა შესრულებამ შეადგინა 989.4 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის განმახორციელებელია საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება სსიპ – სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი.

**2014 წლის ბიუჯეტის კანონის პროგრამულ დანართში 27 03 პროგრამული კოდის მოსალოდნელი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები შედგენილია ისეთი სახით, რომ იყოს ნაწილობრივ გაზომვადი, თუმცა არ არის კონკრეტული და შესაბამისი. შეუძლებელია შეფასდეს პროგრამის ფარგლებში დასახული მიზანი მიღწეული იქნა თუ არა.** ***მაგალითად:***

1. *4400 კაც./ტრენინგ./დღე ყოველწლიურად;*
2. *ყოველწლიურად საგამოცდო ბარიერი დაძლეული იქნება დატრენინგებულ თანამშრომელთა 80%-ის მიერ.*

**2014 წლის შესრულების ანგარიშის მიხედვით პროგრამების ფარგლებში (27 03 პროგრამული კოდი) განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:**

- ჩატარდა ტრენინგი ვოლონტიორ საწყისებზე „საკონსულო თანამდებობის პირის დასანიშნად სავალდებულო სპეციალური სასწავლო პროგრამის" ფარგლებში - სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრისა და საგარეო საქმეთა სამინისტროს სასწავლო ცენტრის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. ტრენინგის მიზანს სხვადასხვა ქვეყანაში საქართველოს საკონსულოებში დასანიშნი პირებისათვის სასჯელაღსრულების სისტემის არსისა და თავისებურებების შესახებ ზოგადი ინფორმაციის გაცნობა წარმოადგენდა;

- შემუშავდა კონცეფცია, სახელმძღვანელო და გზამკვლევი მენტორინგის ინსტიტუტის დანერგვისათვის როგორც პრობაციის, ასევე სასჯელაღსრულების სისტემაში. სამუშაო ჯგუფმა შეიმუშავა სასწავლო პროგრამა სსიპ – არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს სარეაბილიტაციო სამსახურის თანამშრომელთათვის და განხორციელდა შესაბამისი ტრეინინგები;
- სასჯელაღსრულების სისტემაში არჩევნების პროცესის შეუფერხებლად განხორციელების მიზნით სსიპ – საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრთან ურთიერთშეთანხმებით ჩატარდა ტრენინგ-სემინარი სასჯელაღსრულების დაწესებულებების იმ თანამშრომლებისათვის, რომელთაც მოუწევდათ საარჩევნო პროცესის ორგანიზება;
- სასწავლო ცენტრში სხვადასხვა პროგრამით ტრენინგები გაიარა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სისტემაში მომუშავე და სისტემასთან კავშირში მყოფმა 2 384-მა მსმენელმა, კერძოდ: სამინისტროს აპარატის 60-მა, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის 1 827-მა, პრობაციის ეროვნული სააგენტოს371-მა, სასწავლო ცენტრის 24-მა თანამშრომელმა და 64-მა ტრენერმა, სხვა უწყებების 38-მა წარმომადგენელმა;

➢ სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სამოქმედო გეგმის მიხედვით პირველდაწყებითი საბაზისო მომზადება გაიარა:

➢ ცენტრალური აპარატის 61-მა თანამშრომელმა; მონაცემი ერთი თანამშრომლით მეტია ბიუჯეტის შესრულების მონაცემთან შედარებით;

➢ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის 321-მა თანამშრომელმა; სასჯელაღსრულების დაწესებულებების 1504-მა თანამშრომელმა (მათ შორის 120 საბაზისო); სულ 1825-მა თანამშრომელმა, რომელიც ორით ნაკლებია ბიუჯეტის შესრულების მონაცემთან შედარებით;

➢ სამართლებრივი რეჟიმის განყოფილებების 120-მა თანამშრომელმა; ეს ინფორმაცია საერთოდ არ არის ასახული 2014 წლის ბიუჯეტის შესრულების პროგრამულ დანართში;

➢ სოციალური მუშაკის უნარ-ჩვევებში გადამზადდა 40 სოციალური მუშაკი; სპეციალური მომზადება გაიარა არასრულწლოვან მსჯავრდებულებთან მომუშავე 88 სოციალურმა მუშაკმა და ფსიქოლოგმა; მსჯავრდებულებთან ინდივიდუალური მიდგომებით მომუშავე 24 თანამშრომელთან ჩატარდა სპეციალიზირებული ტრენინგი; აღნიშნულის შესრულებაზე პასუხისმგებელი უწყებაა როგორც სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი, ასევე სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო. სასწავლო ცენტრის ბიუჯეტის შესრულების დანართში აღნიშნული ინფორმაცია არ არის მითითებული. ძნელია დადგენა, თუ რომელმა უწყებამ დააფინანსა აღნიშნული.

**2014 წლის მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები (პროგრამული კოდი 27 03) შემდეგნაირია:**

- საანგარიშო პერიოდში სულ ჩატარდა 12 170 კაც/ტრეინინგ/დღე;
- ტესტირებაში მონაწილეთა საერთო რაოდენობის 90%-მა გადალახა მინიმალური ქულობრივი ბარიერი.

**2015 წლის სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სამოქმედო გეგმაში პროგრამაზე (6.2)** „სასჯელაღსრულების დეპარტამენტის და დაწესებულებების ადმინისტრირების გაუმჯობესება" განსაზღვრულია სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსება 84,211.34 ათასი ლარის ოდენობით, რომელიც მთლიანად განკუთვნილია 6.2.1 ქვეპროგრამისთვის, ხოლო 6.2.2 ქვეპროგრამის „სპეციალიზებული ტრენინგები პენიტენციური სისტემის თანამშრომლებისათვის" განხორციელებისათვის საჭირო რესურსი საერთოდ არ არის მითითებული (ისევე, როგორც 2014 წლის სამოქმედო გეგმაში). შესაბამისად, არ არის გამოკვეთილი ფაქტობრივი შესრულების შესახებ ინფორმაცია.

**2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პრიორიტეტებსა და პროგრამებში „სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემისათვის თანამშრომელთა მომზადება და პროფესიული განვითარება" (პროგრამული კოდი 27 03)** ითვალისწინებს შემდეგს:

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემის პერსონალის პროფესიული მომზადება-გადამზადების გზით ქვეყანაში სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში მიმდინარე რეფორმების, სასჯელაღსრულების სიტემაში ევროპის საბჭოსა და გაეროს სტანდარტების მოთხოვნათა დანერგვისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ხელშეწყობა;
- განათლებისა და პროფესიული განვითარების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის და სასწავლო პროგრამების განვითარება;
- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემის კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა;
- სტრატეგიული ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავება სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურებთან, აკადემიურ ინსტიტუტებთან, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან და სხვადასხვა ქვეყნების შესაბამის სასწავლო დაწესებულებებთან;
- სისტემაში მისაღები და მომუშავე კადრების ტესტირების ინსტიტუტის დანერგვა და მისი ჩატარება მოთხოვნილებისამებრ, სისტემაში კვალიფიციური კადრების მიღებისა და ადგილზე მათი ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა;
- მოქმედი სასწავლო პროგრამების განახლება და ახალი პროგრამების მომზადება ადგილობრივი რესურსებისა და საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობით, სწავლების ხარისხის სისტემატური გაუმჯობესების უზრუნველყოფა;
- საკანონმდებლო ცვლილებების შესაბამისად პენიტენციური სისტემის თანამშრომლების სწავლებისათვის ახალი სახელმძღვანელოების მომზადება და არსებულის განახლება;
- სასწავლო პროცესში ჩართული ადგილობრივი და მოწვეული ტრენერების მომზადება/გადამზადების გზით სწავლების ხარისხის სისტემატური გაუმჯობესების უზრუნველყოფა;
- სასწავლო პროცესისა და ცენტრის პერსონალის თვითშეფასების/შეფასების დახვეწის გზით ცენტრის საქმიანობისა და სწავლების პროცესის ხარისხის სისტემატური გაუმჯობესების უზრუნველყოფა.

აღნიშნული დაფინანსებულია ქვეპროგრამის, პროგრამული კოდის 27 03 ფარგლებში 1,006.0 ათასი ლარის ოდენობით, რომელიც მთლიანად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსებაა. ბიუჯეტის დაზუსტების შემდეგ კი - 991.0 ათასი ლარით. 2015 წელს დაზუსტებული გეგმა დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით 15 ათასი ლარით შემცირდა. ფაქტობრივმა შესრულებამ შეადგინა 1,050.6 ათასი ლარი.[63]

პროგრამული კოდით 27 03 - „სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემის თანამშრომელთა მომზადება და პროფესიული განვითარება" საბიუჯეტო სახსრებით გადახდა შეადგენს 925.6 ათას ლარს (925.6 ათასი ლარი/991.0 ათასი ლარი=93%) და ბიუჯეტის გადასახდელების შესრულება დაზუსტებული გეგმის ზევით (106%) გამოწვეულია 125.0 ათასი ლარის მიზნობრივი გრანტის ხარჯვით.[64]

„ვალდებულებების კლების" მუხლი თავდაპირველი დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული არ ყოფილა. აღნიშნული მუხლის 0.2 ათასი ლარით დაზუსტება გამოწვეულია დაგვიანებით მიღებული ფინანსური დოკუმენტაციით (2014 წლის კრედიტორული დავალიანებებით). „ვალდებულებების კლების" მუხლზე თანხები გადანაწილებულია ეკონომიკური კლასიფიკაციის „სხვა ხარჯების" და „საქონელი და მომსახურების" მუხლებიდან. აღნიშნული დაზუსტება განხორციელებულია საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის მე-19 და 32-ე მუხლების შესაბამისად.

63 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები პროგრამული კლასიფიკაციის მიხედვით.

64 2015 წლის ფინანსური აუდიტის ანგარიში 44/36.

**2015 წლის ბიუჯეტის კანონის პროგრამულ დანართში 27 03 პროგრამული კოდის მოსალოდნელი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები შედგენილია 2014 წლის იდენტურად, ისეთი სახით, რომ იყოს ნაწილობრივ გაზომვადი, თუმცა არ არის კონკრეტული და შესაბამისი. შეუძლებელია შეფასდეს პროგრამის ფარგლებში დასახული მიზანი მიღწეულ იქნა თუ არა.**

პროგრამის განმახორციელებელია სსიპ - სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი.

**2015 წლის შესრულების ანგარიშის მიხედვით პროგრამების ფარგლებში (27 03 პროგრამული კოდი) განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:**

- შემუშავდა ახალი სასწავლო პროგრამები: „სუიციდის პრევენცია", „სასჯელაღსრულების სისტემის სპეციფიკა და პატიმრებთან მოპყრობის ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტები" სამედიცინო პერსონალისათვის, „კოგნიტურ ბიჰევიორული თერაპია", არასრულწლოვან ბრალდებულებთან/მსჯავრდებულებთან მომუშავე თანამშრომელთა მომზადება, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებთან მუშაობის/მოპყრობისა და მოშიმშილე ბრალდებულებთან/მსჯავრდებულებთან მუშაობის თავისებურებანი, ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები;
- აკრძალული ნივთების აღმოჩენა და შემოწმების პროცედურები, პატიმართა და ვიზიტორთა დათვალიერება, პენიტენციურ სისტემაში მიმდინარე რეფორმებთან დაკავშირებით განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების მიხედვით;
- სასწავლო ცენტრმა საანგარიშო პერიოდში მოამზადა და განახორციელა 149 სასწავლო ღონისძიება/ტრენინგი. სხვადასხვა პროგრამით ტრენინგები გაიარა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სისტემაში მომუშავე და სისტემასთან კავშირში მყოფმა 3 398-მა მსმენელმა, კერძოდ, სამინისტროს აპარატის და პენიტენციური დაწესებულებების 2 867- მა, სსიპ - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო სააგენტოს 415-მა, სასწავლო ცენტრის 93-მა თანამშრომელმა და მოწვეულმა ტრენერმა, სამმა სტაჟიორმა, სხვა უწყებების 20-მა წარმომადგენელმა.

სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის 2015 წლის სამოქმედო გეგმის მიხედვით სასწავლო ცენტრმა განახორციელა შემდეგი ღონისძიებები:

- ➢ №6 პენიტენციურ დაწესებულებაში მიდგომის დასანერგად გადამზადებულია მულტიდისციპლინური გუნდი;
- ➢ პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების თანამშრომელთა მომზადების გრძელვადიანი სასწავლო კურსი - 24 მონაწილე, მეხუთე ეტაპი;
- ➢ პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების თანამშრომელთა მომზადების გრძელვადიანი სასწავლო კურსი (6 თვე)-25 მონაწილე;
- ➢ ტრენინგი „წამების, არაადამიანური, ღირსების შემლახავი მოპყრობის პრევენცია სასჯელაღსრულების თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულების, პენიტენციური დაწესებულებების სოციალური მუშაკები, სამართლებრივი რეჟიმის და უსაფრთხოების განყოფილებების თანამშრომლებისთვის. 40 მონაწილე (2 ჯგუფი);
- ➢ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის და სასჯელაღსრულების დაწესებულების სოციალური მუშაკებისთვის ტრენინგი ,,სოციალური სამუშაო სასჯელაღსრულების სისტემაში" - 38 მონაწილე (3 ჯგუფი);
- ➢ ევროპის საბჭოს წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა თუ დასჯის საწინააღმდეგო კომიტეტის (CPT) სტანდარტების შესახებ - 12 მონაწილე;

- „თავშესაფრის მაძიებლებთან, ლტოლვილებთან, მოქალაქეობის არმქონე პირებთან და დევნილებთან მუშაობა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში" - 42 მონაწილე;
- ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები - 2 ჯგუფი, 29 მონაწილე;
- ადმინისტრაციული სამართლის პრინციპები და ადმინისტრაციული სამართალწარმოება - 2 ჯგუფი, 36 მონაწილე;
- აკრძალული ნივთების (მათ შორის ნარკოტიკული ნივთიერებების, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და პრეკურსორების) აღმოჩენა და შემოწმების პროცედურები, პატიმართა და ვიზიტორთა დათვალიერება - 1 ჯგუფი, 24 მონაწილე;
- გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესები ქალ პატიმართა მოპყრობისა და მსჯავრდებულ ქალთა არასაპატიმრო ღონისძიებების შესახებ (ბანგკოკის წესები) - 15 მონაწილე;
- განსაკუთრებული რისკის დაწესებულების ხარისხის მართვა TOT - 13 მონაწილე;
- მენეჯმენტი და შიდა კომინიკაცია - 23 მონაწილე, 4 დღე;
- ნარკოდამოკიდებულებასთან დაკავშირებული სტიგმა-დისკრიმინაცია - 4 ჯგუფი, 40 მონაწილე;
- პენიტენციური დაწესებულებების სამართლებრივი რეჟიმის სამსხურების თანამშრომელთა გადამზადების სასწავლო პროგრამა - 3 ჯგუფი, 70 მონაწილე;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვა საჯარო დაწესებულებებში - 17 მონაწილე;
- საბადრაგო სამსახურის თანამშრომელთა მომზადება - 21 მონაწილე;
- საკონმდებლო სიახლეები - 34 ჯგუფი, 807 მონაწილე;
- საოფისე კომპიუტერული პროგრამების (Excel, Word, PowerPoint) სასწავლო კურსი - 19 მონაწილე;
- სასწავლო პროგრამა სპეციალური აღრიცხვის განყოფილების თანამშრომელთათვის -3 ჯგუფი, 60 მონაწილე;
- სპეციალიზებული სასწავლო პროგრამის მიხედვით უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელთათვის - 4 ჯგუფი, 62 მონაწილე;
- სუიციდის პრევენცია - 29 ჯგუფი, 505 მონაწილე;
- ტაქტიკური მომზადება და სპეციალური საშუალებების გამოყენების ტექნიკა სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომელთათვის - 2 ჯგუფი, 38 მონაწილე;
- ტრენინგი ,,დახურული ტიპის დაწესებულებებში ფსიქო-სოციალური პროგრამა ,,ატლანტისის" (12 ნაბიჯი) ორგანიზება და განხორციელება" - 17 მონაწილე;
- ტრენინგი ,,თანამედროვე მენეჯმენტის საკითხებში" (საშუალო რგოლის მენეჯერთათვის) - 17 მონაწილე;
- ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების სასწავლო პროგრამა - 8 ჯგუფი, 167 მონაწილე;
- სისხლის სამართლის სამოქმედო გეგმის მიხედვით სულ მონაწილეთა რაოდენობაა 2161, მაშინ როცა ბიუჯეტის შესრულების ანგარიშში მითითებულია 3398-ია.

**2015 წლის მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები (პროგრამული კოდი 27 03) შემდეგნაირია:**

- საანგარიშო პერიოდში სულ ჩატარდა 13 485 კაც./ტრეინინგ./დღე;
- ტესტირებაში მონაწილეთა საერთო რაოდენობის 93%-მა გადალახა საგამოცდო ბარიერი.

**2014 წელს ბიუჯეტის გადასახდელები, პროგრამული კოდისთვის 27 03, 99.2%-ით შესრულდა, ხოლო 2015 წელს - 106%-ით, სადაც 93.4% სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელებს წარმოადგენს. ბიუჯეტის გადასახდელების შესრულება დაზუსტებული გეგმის ზევით გამოწვეულია 125.0 ათასი ლარის მიზნობრივი გრანტის ხარჯვით.**

2014 და 2015 წლისათვის შეუძლებელია დეტალურად შესწავლილ იქნეს „საქონელი და მომსახურების“ მუხლი (პროგრამული კოდი 27 01/ 27 02/ 27 03), რადგან არ არსებობს შესაბამისი ინფორმაცია ხარჯების შესახებ, რომლის განხილვაც შესაძლებელი იქნებოდა კვლევის დროს. ასევე ვერ იქნა მოძიებული ინფორმაცია შტატგარეშე მომუშავეთა რაოდენობისა და მათი შრომის ანაზღაურების შესახებ. სამინისტროს გაეგზავნა წერილი, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად, 2014-2018 წლებში (წლების მიხედვით ცალ-ცალკე) დამტკიცებულ და დაზუსტებულ საბიუჯეტო პროექტებში შტატგარეშე მომუშავეთა შრომის ანაზღაურებაზე გამოყოფილი თანხებისა და მათი შესრულების შესახებ საჯარო ინფორმაციის (დეტალური) მოწოდების თაობაზე. პასუხი არ ყოფილა მიღებული.

**ქვეპროგრამისათვის "ბრალდებული და მსჯავრდებული პირებისათვის განათლების მიღების ხელმისაწვდომობა" (პროგრამული კოდი 32 02 09)** 2014 წლის ბიუჯეტის კანონით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ასიგნებების ფარგლებში, დამტკიცდა 310.0 ათასი ლარი, ხოლო 2015 წლისათვის დაფინანსებამ შეადგინა ასევე 330.0 ათასი ლარი. 2015 წელს კანონში განხორციელებული ცვლილებებისას კონკრეტულ პროგრამაში ცვლილება არ მომხდარა.

| დასახელება | 2014 წლის დამტკიცებული | 2014 წლის დაზუსტებული | 2015 წლის დამტკიცებული | 2015 წლის დაზუსტებული |
|---|---|---|---|---|
| პროგრამული კოდი 32 02 09 | | | | |
| ბრალდებული და მსჯავრდებული პირებისათვის განათლების მიღების ხელმისაწვდომობა | 310.0 | 240.0 | 330.0 | 308.9 |
| საქონელი და მომსახურება | 210.0 | 210.0 | 238.0 | 176.9 |
| სუბსიდიები | 95.0 | 25.0 | 92.0 | 132.0 |
| არაფინანსური აქტივების ზრდა | 5.0 | 5.0 | | |

2014 - 2015 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პრიორიტეტებისა და პროგრამების მიხედვით **საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 32 02 09 პროგრამული კოდით** გათვალისწინებულია სასჯელაღსრულების დაწესებულებებში განათლების მიღების ხელმისაწვდომობის ქვეპროგრამა:

- სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ზოგადი განათლების მიღების ხელშეწყობა;
- სასჯელაღსრულების დეპარტამენტის არასრულწლოვანთა აღმზრდელობით დაწესებულებასა და №5 ქალთა და არასრულწლოვანთა საერთო და საპყრობილის რეჟიმის დაწესებულებაში არასრულწლოვანი მსჯავრდებულებისათვის ზოგადი განათლების მიღების შესაძლებლობის უზრუნველყოფა;

- პროფესიული განათლების კურსების მეშვეობით სასჯელის მოხდის პერიოდში მსჯავრდებულების (როგორც სრულწლოვნების, ისე არასრულწლოვნების) მიერ სხვადასხვა პროფესიის დაუფლების ხელშეწყობა;

აღნიშნული ქვეპროგრამისთვის 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები დაზუსტდა 240.0 ათას ლარზე, საიდანაც 5.0 ათასი ლარი განსაზრვრულია „არაფინანსური აქტივების ზრდის" მუხლში, რომლის ფაქტობრივი შესრულება არ მოხდა. 25.0 ათასი ლარი განსაზღვრულია "სუბსიდიების" მუხლში, რომლის ფაქტობრივი ხარჯი 19.9 ათასი ლარია. სულ **საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 32 02 09 პროგრამული კოდით 2014 წლის ფაქტობრივი შესრულებაა 166.4 ათასი ლარი.**

დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის სხვაობა გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ 2014 წლის II კვარტლიდან ბენეფიციარის არარსებობის გამო შეჩერებული იყო №5 ქალთა „პატიმრობის ნახევრად ღია და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში ზოგადი განათლების უზრუნველყოფის" ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებების განხორციელება, ასევე „პატიმრობაში მყოფ არასრულწლოვანთა ზოგადი განათლების უზრუნველყოფის" ქვეპროგრამის ფარგლებში, ქუთაისის №2 პატიმრობისა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში არ მიმდინარეობდა ჰუმანიტარული მიმართულების კუთხით საგანმანათლებლო პროცესი, ვინაიდან 2014 წლის ნოემბრამდე ვერ მოხერხდა აღნიშნული მიმართულების პედაგოგის შერჩევა.[65]

ქვეპროგრამის განმახორციელებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აპარატი და სსიპ-საზოგადოებრივი კოლეჯი.

**შესრულების შეფასების ინდიკატორები მიღწევადია, თუმცა არ არის გაზომვადი და კონკრეტული.** ***მაგალითად:***

- *ზოგადსაგანმანათლებლო პროცესში ჩართული მსჯავრდებულების რაოდენობა.*

**შეუძლებელია განსაზღვრა, თუ რისი მაჩვენებელია მიღებული შედეგი - პოზიტიურია ის თუ ნეგატიური. არის თუ არა პროცესში ჩართულ მსჯავრდებულთა რაოდენობა პროგრამით განსაზღვრული მისაღწევი შედეგის შეფასების მაჩვენებელი.**

**2014 წლის შესრულების ანგარიშის მიხედვით პროგრამების ფარგლებში (32 02 09) პროგრამული კოდი) შესრულდა შემდეგი:**

- ზოგადი განათლების ცალკეულ კლასში/სემესტრში შემავალი საგნების ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო პროგრამების ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდებისათვის დარეგისტრირდა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მყოფი 11 მსჯავრდებული მოსწავლე. აღნიშნული გამოცდები დაძლია 8 მსჯავრდებულმა;

- 2013-2014 სასწავლო წლის განმავლობაში VII-XI კლასის და XII კლასის მოსწავლეების მიერ კონკრეტული საგნისთვის წლის მანძილზე დათმობილი საათების 30%-ი და მეტის გაცდენის გამო ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი მიღწევის დონის ექსტერნატის ფორმით დაძლევის მიზნით, გამოცდებისათვის ექსტერნად დარეგისტრირდა პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში მყოფი 3 მსჯავრდებული/ბრალდებული მოსწავლე და არასრულწლოვანთა სპეციალურ დაწესებულებაში მყოფი 29 არასრულწლოვანი მსჯავრდებული მოსწავლე. აღნიშნული გამოცდები დაძლია სამივე მსჯავრდებულმა/ ბრალდებულმა მოსწავლემ და 25-მა არასრულწლოვანმა მსჯავრდებულმა;

- განხორციელდა პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში მყოფი ბრალდებული/ მსჯავრდებული მოსწავლეების სკოლის გამოსაშვებ გამოცდებში მონაწილეობა. დარეგისტრირებული

65 2014 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის VI თავი.

იყო 17 მსჯავრდებული/ბრალდებული მოსწავლე. აღნიშნულ გამოცდებში მონაწილეობას იღებდა 9 პატიმარი, აქედან გამოცდები დაძლია 7 მსჯავრდებულმა/ბრალდებულმა მოსწავლემ;

- ერთიან ეროვნულ გამოცდებში მონაწილეობა მიიღეს №11 არასრულწლოვანთა სპეციალურ და სხვა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მყოფმა 14-მა მსჯავრდებულმა/ბრალდებულმა მოსწავლემ. აღნიშნული გამოცდები გადალახა და უმაღლეს სასწავლებლებში ჩაირიცხა 4 მსჯავრდებული/ ბრალდებული მოსწავლე;

- საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სასჯელაღსრულების №5 ქალთა პატიმრობის ნახევრად ღია და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში ერთ არასრულწლოვან გოგონას შესაძლებლობა მიეცა სპეციფიკურ გარემოში შეესწავლა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნები;

- მსჯავრდებულთა პროფესიული განათლების მიღების ხელშეწყობის მიზნით სრულწლოვან მსჯავრდებულთა თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებების მსჯავრდებულებისათვის, ასევე პირობით მსჯავრდებულებისა და პირობით ვადამდე განთავისუფლებული მსჯავრდებულებისათვის განხორციელდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები (გადამზადდა 59 ბენეფიციარი).

სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სამოქმედო გეგმაში აღნიშნული შედეგები აღწერილია შემდეგნაირად:

- ზოგადი განათლება სრულად ხელმისაწვდომია. ბიუჯეტის შესრულებიდან და მისი განმარტებიდან[66]იკვეთება, რომ ზოგადი განათლება სრულად ხელმისაწვდომი არ ყოფილა. აღნიშნული პროგრამის განსახორციელებლად სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია საბიუჯეტო სახსრები 165.0 ათასი ლარის ოდენობით. შეუძლებელია დადგენა, თუ რომელი სახელმწიფო უწყების ასიგნებებიდან ხდება დაფინანსება, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის თუ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან;

- პროფესიული/სახელობო სწავლების კურსებში ჩართულ არასრულწლოვან მსჯავრდებულთა რაოდენობის 30%-ით ზრდა წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით. სისხლის სამართლის სამოქმედო გეგმიდან ჩანს, რომ არაფორმალური პროფესიული განათლებით 2013 წელს უზრუნველყოფილია 107 მსჯავრდებული. გაურკვეველია თუ რამდენი მსჯავრდებული იყო უზრუნველყოფილი 2014 წელს. აღნიშნული პროგრამისთვის გამოყოფილია დაფინანსება 105.0 ათასი ლარის ოდენობით. შეუძლებელია დადგენა თუ რომელი სახელმწიფო უწყების ასიგნებებით განხორციელდა პროგრამა, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის თუ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან;

- რეაბილიტაციის წახალისების მექანიზმი შემუშავებულია და დანერგილია; სპორტული და საგანმანათლებლო აქტივობების, პროფესიული სწავლებისა და ფსიქო-სოციალური პროგრამები ეტაპობრივად ვითარდება. პროგრამის დაფინანსებაში მონაწილეობს, 75.0 ათასი ლარით, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო. შესრულებაზე პასუხისმგებელია ოთხი უწყება;

- პატიმრობაში მყოფ არასრულწლოვანთა ზოგადი განათლების უზრუნველყოფა. მაშინ როცა ჰუმანიტარული მიმართულების კუთხით საგანმანათლებლო პროცესი არ შედგა პედაგოგის ვერშერჩევის გამო. საგანმანმათლებლო პროგრამების და პროცესის ფორმალიზება. აღნიშნული პროგრამის განხორციელებაც ერთობლივად ხდება განათლებისა და მეცნიერების და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიერ. სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებებიდან გათვალისწინებულია 45.0 ათასი ლარი;

- მსჯავრდებულებისთვის, პირობით მსჯავრდებულებისთვის, განრიდებულებისთვისა და ყოფილი პატიმრებისთვის პროფესიული გადამზადების საბაზისო პაკეტის შეთავაზება. აღნიშნული აქტივობისთვის

66 იხ. გვ. 56, ბოლო აბზაცი.

(და კიდევ ოთხი სხვა აქტივობისთვის) 100.0 ათას - 100.0 ათასი ლარი განსაზღვრულია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ასიგნებებიდან. ამ თანხის თუ რა ნაწილია გათვლილი კონკრეტული აქტივობისთვის, ეს შეუძლებელია დადგინდეს.

**2014 წლის მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები შემდეგია:**

- ზოგადსაგანმანათლებლო პროცესში ჩართულია 100-მდე მსჯავრდებული;
- ექსტერნის ფორმით სხვადასხვა კლასისა და საფეხურის დონეზე გამოცდები ჩააბარა 36-მა მსჯავრდებულმა, საატესტატო გამოცდა დაძლია 7-მა მსჯავრდებულმა და ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მონაწილე 4-მა მსჯავრდებულმა წარმატებით დაძლია გამოცდა და ჩაირიცხა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში;
- სხვადასხვა პროფესიული განათლების კურსებში ჩართულ მსჯავრდებულთა გაზრდილმა რაოდენობამ შეადგინა 59;

➢ შეუძლებელია დადგინდეს თუ რისი მაჩვენებელია ეს ციფრები. პოზიტიური თუ ნეგატიური შედეგებია? არის კი შედეგი მიღწეული?

**ქვეპროგრამისთვის, პროგრამული კოდით 32 02 09, 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის** ასიგნებები დაზუსტდა 308.9 ათას ლარზე. 132.0 ათასი ლარი განსაზღვრულია "სუბსიდიების" მუხლში, რომლის ფაქტობრივი ხარჯი 124.4 ათასი ლარია. სულ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 32 02 09 პროგრამული კოდით 2015 წლის ფაქტობრივი შესრულებაა 288.5 ათასი ლარი.[67]

ქვეპროგრამის განმახორციელებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აპარატი, სსიპ/ა(ა)იპ - საზოგადოებრივი/პროფესიული კოლეჯები, სსიპ - ქალაქ თბილისის №123 საჯარო სკოლა.

**შესრულების შეფასების ინდიკატორები მიღწევადია, თუმცა არ არის გაზომვადი და კონკრეტული.** ***მაგალითად:***

1. *პროფესიული განათლების კურსებში ჩართული ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების რაოდენობა;*
2. *საატესტატო გამოცდებზე მონაწილე მსჯავრდებულების რაოდენობა.*

შეუძლებელია განსაზღვრა თუ რისი მაჩვენებელია მიღებული შედეგი. რეალურად რამდენი უნდა ყოფილიყო, რომ ქვეპროგრამის შუალედური შედეგი შესრულებულად ჩაითვალოს?

**2015 წლის შესრულების ანგარიშის მიხედვით პროგრამების ფარგლებში (32 02 09 პროგრამული კოდი) შესრულდა შემდეგი:**

- პროგრამის ფარგლებში საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მყოფ არასრულწლოვან ბრალდებულებს/მსჯავრდებულებს შესაძლებლობა ჰქონდათ სპეციფიკურ გარემოში შეესწავლათ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნები;
- ზოგადი განათლების ცალკეული კლასის/კლასების/სემესტრის, ასევე ცალკეულ კლასში/სემესტრში შემავალი საგნების ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო პროგრამების ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდებისათვის, ექსტერნად დარეგისტრირდა №11 არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში მყოფი 17 მოსწავლე და გამოცდებში მონაწილეობა მიიღო 16-მა მსჯავრდებულმა, რომელიც დაძლია თექვსმეტივე მსჯავრდებულმა სხვადასხვა კლასისა და საფეხურის დონეზე;

67 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები პროგრამული კლასიფიკაციის მიხედვით.

- 2014-2015 სასწავლო წლის სკოლის გამოსაშვებ გამოცდებში მონაწილეობა მიიღო პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში მყოფმა 9 ბრალდებულმა/მსჯავრდებულმა (დაძლია 5-მა მოსწავლე-პატიმარმა);

- №11 არასრულწლოვანთა სპეციალურ და სხვა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მყოფი პატიმრებიდან ერთიან ეროვნულ გამოცდებში მონაწილეობა მიიღო 8 მსჯავრდებულმა/ბრალდებულმა მოსწავლემ. გამოცდა წარმატებით დაძლია და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩაირიცხა 5 ბრალდებული/მსჯავრდებული პირი;

- „მსჯავრდებულთა პროფესიული განათლების მიღების ხელშეწყობის“ პროგრამის ფარგლებში პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში განთავსებულ მჯავრდებულთა, ასევე ტერიტორიულ ორგანოებში აღრიცხვაზე მყოფ პირობით მსჯავრდებულთა, პირობით ვადამდე გათავისუფლებულ და თავისუფლებაშეზღუდულ მსჯავრდებულთა პროფესიული განათლების მიღების ხელშეწყობის მიზნით დაფინანსდა შვიდი სსიპ/ა(ა)იპ - საზოგადოებრივი/პროფესიული კოლეჯი, სულ მომზადება გაიარა 418-მა ბენეფიციარმა;

- სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სამოქმედო გეგმოს მიხედვით ზემოაღნიშნული შედეგები აღწერილია შემდეგი სახით:

➢ ზოგადი განათლება სრულად ხელმისაწვდომია; აღნიშნული ღონისძიებისთვის სამოქმედო გეგმის მიხედვით განსაზღვრულია 160.0 ათასი ლარი. შესრულებაზე პასუხისმგებელია ორი უწყება, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის და ასევე განათლებისა და მეცნიერების სამინისტროები. არ არის მითითებული თუ რომელი უწყებაა დამფინანსებელი;

➢ პროფესიული მომზადების პროგრამებში (ტრეინინგ-კურსები) ჩართულ არასრულწლოვან მსჯავრდებულთა რაოდენობის ზრდა წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით; კარგად ჩანს რომ აღნიშნული აღწერილობით შეუძლებელია ღონისძიების შესრულების შედეგის შესახებ რაიმე ინფორმაციის მიღება. სახელმწიფო ბიუჯეტიდან განსაზღვრულია 106.5 ათასი ლარი. აქაც შეუძლებელია გარკვევა თუ რომელი უწყების ასიგნებებიდან ფინანსდება ღონისძიება;

➢ სპორტული და საგანმანათლებლო აქტივობები ხელმისაწვდომია; აქტივობები 72.0 ათასი ლარით დაფინანსთა სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროდან;

➢ საგანმანათლებლო პროგრმებში მონაწილება მიიღო წინასწარ პატიმრობაში მყოფმა არასრულწლოვანმა ბრალდებულებმა/მსჯავრდებულებმა (მათი სურვილის გათვალისწინებით); აღნიშნულისთვის სამოქმედო გეგმით განსაზღვრულია 60.0 ათასი. ასევე უცნობია თუ ვისი ასიგნებებით განხორციელდა ღონისძიება;

➢ განრიდებულებისთვისა და ყოფილი პატიმრებისთვის პროფესიული გადამზადების საბაზისო პაკეტის შეთავაზება; შესრულებაზე პასუხისმგებელია ორი უწყება, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის და ასევე განათლებისა და მეცნიერების სამინისტროები. ორივე სამინისტროს ასიგნებებიდან 100.0 -100.0 ათასი ლარია გათვალისწინებული.

სამოქმედო გეგმებში, შესაბამისად, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმაში და სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის სამოქმედო გეგმაში არ არის ასახული პროგრამების და ქვეპროგრამების შესრულების შესახებ ინფორმაცია.

**2015 წელს მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები შემდეგია:**

- ზოგადსაგანმანათლებლო პროცესში ჩართულია 170-მდე ბრალდებული/მსჯავრდებული;

➢ აღნიშნული მაჩვენებელი 70-ით მეტია წინა წელთან შედარებით, თუმცა მაინც შეუძლებელია მისაღწევ/მიღწეულ შედეგზე საუბარი.

- ექსტერნის ფორმით სხვადასხვა კლასისა და საფეხურის დონეზე გამოცდები დაძლია 16-მა ბრალდებულმა/მსჯავრდებულმა, სკოლის გამოსაშვები გამოცდა დაძლია 5-მა მოსწავლე-პატიმარმა და ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მონაწილე 5-მა ბრალდებულმა/მსჯავრდებულმა პირმა წარმატებით დაძლია გამოცდა და ჩაირიცხა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში;

➢ ექსტერნის ფორმით სხვადასხვა კლასისა და საფეხურის დონეზე გამოცდები დაძლია 20 ბრალდებულით/მსჯავრდებულით ნაკლებმა, რაც შეუძლებელია დადებითად შეფასდეს. სკოლის გამოსაშვები გამოცდა 2-ით მეტმა მოსწავლე-პატიმარმა დაძლია, ხოლო ეროვნული გამოცდები 4-მა ბრალდებულმა/მსჯავრდებულმა წარმატებით დაძლია და ჩაირიცხა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;

- სხვადასხვა პროფესიული მომზადების კურსებში ჩართულ მსჯავრდებულთა რაოდენობა წინა წელთან შედარებით გაიზარდა 359 ერთეულით.

➢ 2014 წელს აღნიშნული მაჩვენებელი 59-ის ტოლი იყო. მნიშვნელოვანი ზრდა დადებითი ტენდენციის მანიშნებელია.

არაკვალიფიციურად შედგენილი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები არ გვაძლევს საშუალებას კონკრეტული მაჩვენებლებით შევაფასოთ მისაღწევი შედეგი.



## ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა (2016-2017 წლები)[68]

საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის ეროვნული სტრატეგიის განსახორციელებლად სასჯელაღსრულების სისტემის პრიორიტეტად განისაზღვრა საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2016 – 2017 წლებისათვის) შემდეგი მიზნების მიღწევა.

მიზანი 4.1. საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პენიტენციური სისტემის ჩამოყალიბება. მიზნის მისაღწევად დასახულ იქნა 5 ამოცანა, რომელთაგან ორი ღონისძიების/აქტივობის შესრულების ვადად განისაზღვრა 2016 წელი, ერთის - 2017 წელი, ხოლო დანარჩენის შესრულების ვადად განისაზღვრა 2016 – 2017 წლები;

ამოცანების რაოდენობა 2014-2015 წლის სამოქმედო გეგმასთან შედარებით 3-ით ნაკლებია, თუმცა ისინი ნაწილობრივ 4.2 ამოცანაშია ასახული.

მიზანი 4.. ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოვების გზით. მიზნის მისაღწევად ორი ამოცანაა განსაზღვრული. მხოლოდ ერთი საქმიანობის/ღონისძიების შესრულების ვადად განისაზღვრა 2016 წელი, ხოლო დანარჩენის ვადად 2016 – 2017 წლები;

მიზანი 4.3. თავისუფლებააღკვეთილთა ოჯახის წევრების, ახლობლებისა და სხვა დაინტერესებულ პირთათვის კანონით გათვალისწინებული მომსახურების გაუმჯობესება. მიზნის მისაღწევად დასახულია ორი ამოცანა. უმეტესობა ღონისძიებების/ აქტივობების შესრულების ვადად განსაზღვრულია 2016 – 2017 წლები, ერთი უნდა დასრულდეს 2016 წელს;

მიზანი 4.4. ბრალდებულთა/ მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია, რომლის შესრულებისთვისაც 4 ამოცანა იქნა დასახული. მიზნის მისაღწევად საჭირო ვადად 2016 – 2017 წლებია დასახული. მხოლოდ ერთი ღონისძიებისთვისაა განსაზღვრული 2016 წელი;

68 საქართველოს მთავრობის დადგენილება №338 (21 ივლისი 2016 წ.).

2014 – 2015 წლების ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმაში აღნიშნული მიზანი დასახულია როგორც ერთ-ერთი ამოცანა ძირითადი მიზნის ქვეშ და მის განსახორციელებლად 4 ღონისძიება/აქტივობაა დაგეგმილი.

მიზანი 4.5. მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესება.

მიზანი შედგება 6 ამოცანისგან. სამი ღონისძიების განხორციელება დაგეგმილია 2016 წლისთვის, ხოლო დანარჩენის 2016 – 2017 წლებისთვის;

მიზანი 4.6. პატიმართა განსაკუთრებული კატეგორიების უფლებების დაცვის უზრუნველყოფა, რომლის განსახორციელებლადაც 12 ამოცანაა განსაზღვრული. ორისთვის შედეგის მისაღწევი ღონისძიებები 2016 წელსაა დაგეგმილი, ხოლო დანაჩენისთვის 2016 – 2017 წლები;

მიზანი 4.7. არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების სისტემის სრულყოფა. მიზანი შედგება ორი ამოცანისგან, რომლის შესასრულებლადაც ორი აქტივობა უნდა განხორციელდეს 2016 წელს, ხოლო დანარჩენი 2016 – 2017 წლებში.

2014 – 2015 წლებში იგივე მიზანი მოიცავდა 5 ამოცანას.

მიზანი 4.8. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემის უზრუნველყოფა კვალიფიციური კადრებით, რომელიც ორი ამოცანისგან შედგება. მიზნის მისაღწევად საჭირო ვადად განისაზღვრა 2016 – 2017 წლები გარდა ერთი ღონისძიებისა, რომლის ვადა 2016 წელია.

მიზანი 4.9. ყოფილ პატიმართა რეაბილიტაცია და რესოციალიზაცია. მიზანი ერთი ამოცანის განხორციელებით უნდა იქნას მიღწეული, რომლისთვისაც 2016 -2017 წლებია გამოყოფილი.

2014 – 2015 წლებში აღნიშნული მიზნისათვის 5 ამოცანა ჩამოყალიბდა.

მიზანი 5.1. წამებასა და არასათანადო მოპყრობის სხვა ფორმებთან ბრძოლა. აღნიშნული მიზნის მისაღწევად 8 ამოცანა იქნა დასახული. მის შესრულებაში მონაწილეობს არა ერთი სახელწიფო უწყება და მათ შორის სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო 6 ამოცანის ფარგლებში. ექვსი ღონისძიების განხორციელებისათვის განისაზღვრა 2016 წელი, ხოლო დანარჩენისთვის 2016 -2017 წლები.

მიზანი 7.1. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა. აღნიშნული მიზანი მიღწეული იქნება 4 ამოცანის შესრულებით და ერთ-ერთის განხორციელებაში მონაწილეობს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო, რომლისთვისაც 2016 – 2017 წლებია განსაზღვრული.

2014 – 2015 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმის მიხედვით აღნიშნული მიზნის მისაღწევად ასევე 4 ამოცანა განისაზღვრა, სადაც სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს როლი არ არის მკაფიოდ გამოკვეთილი (ერთ-ერთი ღონისძიების განმახორციელებლად მითითებულია საქართველოს სამინისტროები).

მიზანი 12.4. ხარისხიანი და ინკლუზიური განათლება ყველა ბავშვისათვის, რომლისთვისაც 4 ამოცანა იქნა დასახული და აქედან მხოლოდ ერთის შესრულებაში მონაწილეობს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო, რომლისთვისაც 2016 – 2017 წლები განისაზღვრა.

2014 – 2015 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმაში აღნიშნული მიზნის მისაღწევად სამი ამოცანა იქნა დასახული, რომელთა შესრულებაშიც სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო არ მონაწილეობდა.

მიზანი 12.6. ბავშვზე ორიენტირებული მართლმსაჯულების სისტემის განვითარება. მიზნის მიღწევისათვის ჩამოყალიბებულია სამი ამოცანა, რომელთაგანაც ორის განხორციელებაში მონაწილეობს სასჯელაღსრულების სამინისტრო 2016 -2017 წლების ფარგლებში.

2014 – 2015 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმაში აღნიშნული მიზნისათვის ხუთი ამოცანა იყო ჩამოყალიბებული და აქედან ორის განხორციელებაში მონაწილეობდა სასჯელაღსრულების სამინისტრო.

# სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სტრატეგია 2016 წელი[69]

სასჯელაღსრულების სისტემის რეფორმის სტრატეგიის ძირითდი მიმართულებები 2016 წლისთვის შემდეგნაირად განისაზღვრა:[70]

- ✓ კანონმდებლობის გაუმჯობესება;
- ✓ სასჯელაღსრულების სისტემის მართვა და კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა;
- ✓ პატიმრების ღირსეული საყოფაცხოვრებო პირობებით უზრუნველყოფა და სამედიცინო სერვისების გაუმჯობესება;
- პენიტენციური ჯანდაცვა;
- ინფრასტრუქტურის განვითარება;
- ✓ მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია;
- ✓ პირობით ვადამდე გათავისუფლების მექანიზმის დახვეწა.

პრობაციის სისტემის რეფორმის სტრატეგიის (2016 წლისთვის) ძირითადი მიზანია: [71] არასაპატიმრო სასჯელებისა და პრობაციის ღონისძიებების აღსრულება, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება, საზოგადოების უსაფრთხოების დაცვა, მსჯავრდებულის რესოციალიზაცია (მისი საზოგადოებაში ინტეგრაცია) და რეაბილიტაცია (მსჯავრდებულის გამოსწორება და საზოგადოებაში ჯანსაღ წევრად დაბრუნება).

- ✓ პრობაციის ეროვნული სააგენტოს ადმინისტრაციული რესურსის განვითარება;
- თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულება;
- საკადრო პოლიტიკა;
- ✓ საკანონმდებლო ბაზის განვითარება;
- საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის აღსრულების ხელშეწყობა;
- ზრუნვა არასრულწლოვნებზე;
- ახალი სტრუქტურული ერთეულის შექმნა;
- სრულწლოვანთა მიმართ ახალი არასაპატიმრო სახის სასჯელის - შინაპატიმრობის დანერგვა;
- ✓ ზედამხედველობის სისტემის გაუმჯობესება;
- რისკებისა და საჭიროებების შეფასების და სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- ✓ სარეაბილიტაციო პროგრამების და საზოგადოების ჩართულობის განვითარება;
- რეაბილიტაცია - რესოციალიზაცია;
- პროფესიული გადამზადების პროგრამები;
- პირობით მსჯავრდებულთა დასაქმება;

69 სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს მიერ დამტკიცებული რიგით მე-22 სხდომაზე.
70 სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სტრატეგია 2016 წელი, გვ. 64-72
71 სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სტრატეგია 2016 წელი, გვ. 74-81

- ფსიქო-სოციალური სარეაბილიტაციო პროგრამების კონკურსები;
- ჯანსაღი ცხოვრების წესის პროპაგანდა;
- ✓ უწყებათაშორისი კოორდინაციის უზრუნველყოფა პრობაციის შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის გაუმჯობესება;
- მონიტორინგი - განმეორებით ჩადენილი დანაშაული ამნისტირებულებში.

**არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის სტრატეგიაა (2016 წლისთვის):**[72]

- ✓ კანონმდებლობის დახვეწა;
- ✓ დანაშაულის/სამართალდარღვევის და ძალადობის პრევენცია;
- ✓ სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმებისა და აღდგენითი მართლმსაჯულების განვითარება;
- ✓ პატიმრობა, როგორც უკიდურესი ზომა;
- ✓ რეაბილიტაცია და რესოციალიზაცია;
- ✓ პროფესიონალების სპეციალიზაცია არასრულწლოვანთა საკითხებში;
- ✓ საინფორმაციო სისტემის განვითარება;
- ✓ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება და განათლება;
- ✓ ბავშვზე ორიენტირებული გარემოს შექმნა.

**რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის პოლიტიკის სტრატეგიული მიზნებია (2016 წლისთვის):**[73]

- ✓ მტკიცებულებებზე, საუკეთესო ადგილობრივ და საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით საჭიროებებზე მორგებული სარეაბილიტაციო პროგრამების განვითარება;
- ✓ სარეაბილიტაციო პროცესში ჩართული უწყებებისა და ორგანიზაციების ინსტიტუციური გაძლიერება, პერსონალის მომზადება და განვითარება მაღალხარისხიანი სარეაბილიტაციო მომსახურების მიწოდებისთვის;
- ✓ სარეაბილიტაციო პროცესში მონაწილე უწყებათა და ორგანიზაციათა კოორდინირებული მუშობის უზრუნველყოფა, მედიასთან და საზოგადოებასთან კომუნიკაცია რეაბილიტაციის პროცესის მხარდასაჭერად.

## სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სამოქმედო გეგმა 2016 წელი

სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სამოქმედო გეგმის, **სასჯელაღსრულების სისტემის** შესწავლისას იკვეთება ერთი ძირითადი გრძელვადიანი მიზანი - პატიმართა უფლებების დაცვის და უკეთესი მოპყრობის უზრუნველყოფა; ეფექტური რეაბილიტაციისა და რეინტეგრაციის ღონისძიებების საშუალებით რეციდივის შემცირება. ასევე გრძელვადიანად არის განსაზღვრული პრიორიტეტი - საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პენიტენციური სისტემის ჩამოყალიბება ზრდასრულთათვის.

მიზნის მისაღწევად 2016 წელს შემდეგი პროგრამებია შემუშავებული (რომლებიც იდენტურია 2015 წლის პროგრამებისა):

პროგრამა 6.1. პენიტენციურ სისტემაში მოქმედი კანონმდებლობისა და შიდა რეგულაციების სისტემატიური გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში ცვლილებების შეტანა;

72 სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სტრატეგია 2016 წელი, გვ. 83-101

73 სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სტრატეგია 2016 წელი, გვ. 118-120

პროგრამა 6.2. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის და დაწესებულებების ადმინისტრირების გაუმჯობესება. პროგრამა ორი ქვეპროგრამისგან შედგება;

პროგრამა 6.3. პატიმრობის პირობების გაუმჯობესება. პროგრამა ჩაშლილია 8 ქვეპროგრამად;

პროგრამა 6.4. მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია. პროგრამა 5 ქვეპროგრამისგან შედგება;

პროგრამა 6.5. პირობით ვადამდე გათავისუფლება, მაჩვენებლის ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციასთან მიახლოება და ადგილობრივი საბჭოს საქმიანობა. პროგრამა მოიცავს ერთ ქვეპროგრამას;

პროგრამა 6.6. პატიმართა სამართლებრივი გარანტიების გაძლიერება. პროგრამა ორი ქვეპროგრამისგან შედგება;

პროგრამა 6.7. სად-ის მონიტორინგის სამართველოს ინსტიტუციონალური განვითარება;

აღნიშნული პროგრამები და ქვეპროგრამები იდენტურია 2015 წლის სისხლის სამართლის სისტემის სამოქმედო გეგმის შესაბამისი პროგრამების და მათი ქვეპროგრამების. მხოლოდ ერთ პროგრამას (6.3) ემატება მე-8 ქვეპროგრამა - არასრულწლოვანთა და ახალგაზრდა დამნაშავეთათავის (18-21 წწ.) სპეციალური პენიტენციური დაწესებულების მშენებლობა საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით.

**პრობაციის სისტემის რეფორმირებისათვის** ძირითად მიზნად განისაზღვრა რეაბილიტაცია და რესოციალიზაცია, პრევენციაზე ორიენტირებული ინდივინდუალური მიდგომის დანერგვა და დახვეწა. გრძელვადიანი პროგრამა ითვალისწინებს სრულყოფილი პრობაციის სისტემის შექმნას.

ყოველივე ამისთვის შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება დაიგეგმა:

ქვეპროგრამა 7.1. პრობაციის სააგენტოს ადმინისტრაციული შესაძლებლობების განვითარება, რომელიც 9 ღონისძიებისგან შედგება;

ქვეპროგრამა 7.2. საკანონმდებლო ბაზის განვითარება. ქვეპროგრამის განსახორციელებლად ხუთი ღონისძიებაა საჭირო;

ქვეპროგრამა 7.3. ზედამხედველობის სისტემის გაუმჯობესება, რომელიც 8 ღონისძიების განხორციელებით მიიღწევა;

ქვეპროგრამა 7.4. სარეაბილიტაციო პროგრამების და საზოგადოების ჩართულობის განვითარება. საჭიროა 6 ღონისძიების განხორციელება;

ქვეპროგრამა 7.5. უწყებათა შორის კოორდინაციის უზრუნველყოფა და პრობაციის შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის გაუმჯობესება. ქვეპროგრამის განსახორციელებლად სამი ღონისძიებაა საჭირო;

აღნიშნული ქვეპროგრამები და ღონისძიებები იდენტურია 2015 წლის სისხლის სამართლის სისტემის სამოქმედო გეგმის შესაბამისი ქვეპროგრამების და ღონისძიებებისა. მხოლოდ ქვეპროგრამას 7.1 აკლდება ერთი ღონისძიება - პრობაციის სამსახურის საჯარო სამართლის იურიდიულ პირად ჩამოყალიბება, ხოლო ქვეპროგრამას 7.2 ემატება ორი ღონისძიება - ელექტრონული მონიტორინგის სისტემის გაფართოება (შინაპატიმრობა - ალტერნატიული სასჯელი სრულწლოვანთათვის) და წინასასამართლო პრობაციის სამსახურის შექმნა. სავარაუდოდ, ბოლო ორი ღონისძიება ეკუთვნის 7.3 ქვეპროგრამას, თუმცა მათი ნუმერაცია 7.2 ქვეპროგრამის შესაბამისია (ტექნიკური შეცდომა). ასევე გამოტოვებულია 7.3 ქვეპროგრამის პირველი სამი ღონისძიება, რაც მათი შეფასების საშუალებას გვიზღუდავს.

**არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმისათვის** ძირითადი მიზანია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ისეთი სისტემის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს არასრულწლოვანთა დანაშაულის თავიდან აცილებას, ბავშვთა უფლებების სათანადო დაცვას, მათ კეთილდღეობასა და განვითარებას, კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა რეაბილიტაციასა და რესოციალიზაციას.

ძირითადი მისაღწევი შედეგები/განსახორციელებელი პროგრამები, რომელთა შესრულებაშიც მონაწილეობას იღებს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო, შემდეგია:

შედეგი 8.1. კანონმდებლობის დახვეწა, რომლის განსახორციელებლადაც დაიგეგმა 9 ქვეპროგრამა. აქედან სამის შესრულებაზე სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროა პასუხისმგებელი.

შედეგი 8.3. სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმებისა და აღდგენითი მართლმსაჯულების განვითარება. შედგება ორი ქვებროგრამისგან და აქედან ერთის შესრულებაზეა პასუხისმგებელი სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო.

შედეგი. 8.4. პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის გამოყენება მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში, რომლის განხორციელებაზეც სამი ქვეპროგრამა დაიგეგმა და აქედან ორზე პასუხისმგებელია სამინისტრო (აქედან ერთი განხორციელდა 2014 წელს);

შედეგი 8.5. რეაბილიტაცია და რესოციალიზაცია. შედგება 10 ქვეპროგრამისგან და მათგან 9-ში მონაწილეა სამინისტრო;

შედეგი 8.6. პროფესიონალების სპეციალიზაცია არასრულწლოვანთა საკითხებში, რომელიც სამი ქვეპროგრამისგან შედგება და სამივეში მონაწილეობას იღებს სამინისტრო;

შედეგი 8.7. საინფორმაციო სისტემის განვითარება. შედგება 3 ქვეპროგრამისგან რომელთაგან ერთის შესრულებაში, სხვა სახელმწიფო უწყებებთან ერთად, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო მონაწილეობს.

აღნიშნული მისაღწევი შედეგები/განსახორციელებელი პროგრამები იდენტურია 2015 წლის სისხლის სამართლის სისტემის სამოქმედო გეგმის შესაბამისი მისაღწევი შედეგების/განსახორციელებელი პროგრამების. განსახორციელებელი პროგრამა 8.5.8 შეცვლილია შემდეგით - არასრულწლოვანთა და ახალგაზრდა დამნაშავეთათავის (18-21 წწ.) სპეციალური პენიტენციური დაწესებულების მშენებლობა, რომელიც ასევე ასახულია პენიტენციური სისტემის სისხლის სამართლის რეფორმის სამოქმედო გეგმის 6.3 პროგრამაშიც. პროგრამას 8.6 ემატება ერთი ღონისძიება - ხარისხის კონტროლისა და პროფესიული ზედამხედველობის მექანიზმის დანერგვა. 8.7 შედეგის მიღწევაში 2014 – 2015 წლებში სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო არ მონაწილეობდა.

**სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის სამოქმედო გეგმის** ძირითადი მიზანია მსჯავრდებულთა და ყოფილ მსაჯვრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის უზრუნველყოფა.

სტრატეგიული მიზნები, რომელთა მიღწევაშიც მონაწილეობას იღებს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო შემდეგია:

სტრატეგიული მიზანი 1. საჭიროებებზე მორგებული სარეაბილიტაციო პროგრამების განვითარება საუკეთესო ადგილობრივ და საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით, რომელიც შედგება 9 აქტივობისგან. სამინისტრო პასუხისმგებელია 7 აქტივობის შესრულებაზე.

სტრატეგიული მიზანი 2. სარეაბილიტაციო პროცესში ჩართული უწყებებისა და ორგანიზაციების ინსტიტუციური გაძლიერება, პერსონალის მომზადება და განვითარება მაღალხარისხიანი სარეაბილიტაციო მომსახურების მიწოდებისთვის. მიზანი 5 აქტივობას ითვალისწინებს და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო მონაწილეობს მათ განხორციელებაში.

სტრატეგიული მიზანი 3. სარეაბილიტაციო პროცესში მონაწილე უწყებათა და ორგანიზაციათა კოორდინირებული მუშობის უზრუნველყოფა, მედიასთან და საზოგადოებასთან კომუნიკაცია რეაბილიტაციის პროცესის მხარდასაჭერად, რომელიც 8 აქტივობის განხორციელებით უნდა იქნას მიღწეული. სამინისტრო ოთხი აქტივობის მონაწილეა.

აღნიშნული სტრატეგიული მიზნები იდენტურია 2015 წლის სისხლის სამართლის სისტემის სამოქმედო გეგმის შესაბამისი სტრატეგიული მიზნებისა.

## ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულების დოკუმენტი (2016 – 2019 წლებისთვის)

ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულების (2016 – 2019 წლებისთვის) დოკუმენტში განისაზღვრა პროგრამული მიმართულებები (BDD) – სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამსახურის რეფორმა:

პენიტენციური სისტემის საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოების მიზნით შესაბამისი პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება. ურთიერთობების კოორდინაცია სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებთან და ორგანიზაციებთან, თანამშრომლობის ხელშეკრულებებისა და მემორანდუმების გაფორმება;

პენიტენციურ დაწესებულებებში ინფრასტრუქტურის სრულყოფა და შესაბამისი მანქანა-დანადგარებითა და ინვენტარით აღჭურვა. მსჯავრდებულთა/ბრალდებულთა საცხოვრებელი და ყოფითი პირობებისა გაუმჯობესება, რბილი ინვენტარის განახლება და პირადი ჰიგიენისათვის საჭირო საშუალებების შეძენა;

პენიტენციურ დაწესებულებებში მყოფთათვის განათლების მიღება - სახელობო და პროფესიული სწავლების პროგრამების განსაზღვრით. ასევე მსჯავრდებულთა/ბრალდებულთა რესოციალიზაციის მიზნით მათ დასაქმების უზრუნველყოფის ხელშეწყობა და საწარმოო ზონის შექმნა;

პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებულ პირთა უზრუნველყოფა ექვივალენტური სამედიცინო მომსახურებით. ამასთანავე, პენიტენციური ჯანდაცვის სტანდარტის შესაბამისად პრევენციული და პროფილაქტიკური ღონისძიებების განხორციელება ჰიგიენის, გადამდები დაავადებების კონტროლის და ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის კუთხით;

პენიტენციურ სისტემაში მყოფ მსჯავრდებულთა/ბრალდებულთა სამართლებრივი გარანტიების გაძლიერება - პატიმრობის კოდექსით გათვალისწინებული საჩივრების პროცედურების ხელმისაწვდომობის შენარჩუნებით და ცნობიერების ამაღლებით;

არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს ადმინისტრაციული შესაძლებლობების განვითარება;

სარეაბილიტაციო პროგრამების განხორციელება და მათში პრობაციონერების ჩართულობა;

არასრულწლოვანთათვის სასჯელის სახედ შინა პატიმრობასთან დაკავშირებული შესაბამისი ღონისძიებების გატარების ხელშეწყობა. ახალი თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებების ამოქმედება ქალ მსჯავრდებულთათვის, რომელთა ბაზაზე მოხდება მათი რეაბილიტაცია-რესოციალიზაცია.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემისათვის თანამშრომელთა მომზადება და პროფესიული განვითარება სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემის პერსონალის პროფესიული მომზადება-გადამზადების გზით ქვეყანაში სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში მიმდინარე რეფორმების, სასჯელაღსრულების სიტემაში ევროპის საბჭოსა და გაეროს სტანდარტების მოთხოვნათა დანერგვისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ხელშეწყობა;

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემის კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა; სტრატეგიული ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავება სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურებთან, აკადემიურ ინსტიტუტებთან, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან და სხვადასხვა ქვეყნების შესაბამის სასწავლო დაწესებულებებთან;

სისტემაში მისაღები და მომუშავე კადრების ტესტირების ინსტიტუტის დანერგვა და მისი ჩატარება მოთხოვნილებისამებრ, სისტემაში კვალიფიციური კადრების მიღებისა და ადგილზე მათი ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა;

მოქმედი სასწავლო პროგრამების განახლება და ახალი პროგრამების მომზადება ადგილობრივი რესურსებისა და საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობით, სწავლების ხარისხის სისტემატიური გაუმჯობესების უზრუნველყოფა; განათლებისა და პროფესიული განვითარების ხარისხის უზრუნველყოფა და სასწავლო პროგრამების განვითარება; ახალი სახელმძღვანელოების მომზადება, ბიბლიოთეკის განვითარება;

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემებში ახლად დანერგილი მენტორინგის ინსტიტუტის განვითარება.

სისხლის სამართლის სისტემის რეფორმა:

პატიმრობის, როგორც აღკვეთის ღონისძიების, ისევე, როგორც სასჯელის მოხდის რეჟიმი, უახლოვდება საერთაშორისო სტანდარტებს, რითაც უფრო მეტად იქნება დაცული ადამიანის

უფლებები. მთავრობამ მოამზადა წინასწარი პატიმრობის შეფარდებისა და გადასინჯვის საკანონმდებლო რეფორმა, რომლის მიღების შედეგადაც მოქალაქე ბოლომდე იქნება დაცული ნებისმიერი თვითნებობისგან, როგორც ამას ევროპული სამართლებრივი სტანდარტები ითვალისწინებს. დანაშაულთან ეფექტიანი ბრძოლის პარალელურად, ეფექტიანად მიმდინარეობს და გაგრძელდება ყოფილ პატიმართა რესოციალიზაციის პოლიტიკის განხორციელება.

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროს (პროგრამული კოდი 27 00) მიერ გათვალისწინებული ასიგნებები და რიცხოვნობის ზღვრული მოცულობები **ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულების (2016 – 2019 წლებისათვის) დოკუმენტში განისაზღვრა შემდეგნაირად:**

| პროგრამული კოდი | დასახელება | 2016 წლის დასაქმებულთა საორიენტაციო ზღვრული მოცულობა რიცხოვნება | 2016 წლის ზღვრული მოცულობა (ათას ლარებში) | 2017 წლის ზღვრული მოცულობა (ათას ლარებში) | 2018 წლის ზღვრული მოცულობა (ათას ლარებში) | 2019 წლის ზღვრული მოცულობა (ათას ლარებში) |
|---|---|---|---|---|---|---|
| 27 00 | საქართველოს სასჯელაღსრულების და პრობაციისა სამინისტრო | 4,967 | 153,800.0 | 160,000.0 | 165,000.0 | 170,000.0 |

***საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პენიტენციური სისტემის ჩამოყალიბება***

- პენიტენციური სისტემის პოლიტიკის შემუშავება, მართვა და ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ყოფითი პირობების გაუმჯობესება;
- ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა ექვივალენტური სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა;
- პენიტენციური სისტემის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.

***სრულყოფილი პრობაციის სისტემა***

***სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემისათვის თანამშრომელთა მომზადება და პროფესიული განვითარება***

სასჯელაღსრულების და პრობაციისა სამინისტროს მიერ განსახორციელებელი პროგრამები და მათი დაფინანსება ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულების (2016 – 2019 წლებისათვის) დოკუმენტში განისაზღვრა შემდეგნაირად:

| პროგრამული კოდი | დასახელება | 2016 წელი სულ | 2017 წელი სულ | 2018 წელი სულ | 2019 წელი სულ |
|---|---|---|---|---|---|
| 27 00 | საქართველოს სასჯელაღსრულების და პრობაციის სამინისტრო | 155,300.00 | 161,500.00 | 165,000.00 | 170,000.00 |
| 27 01 | საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პენიტენციური სისტემის ჩამოყალიბება | 144,594.00 | 150,000.00 | 153,000.00 | 158,000.00 |
| 27 02 | სრულყოფილი პრობაციის სისტემა | 9,700.00 | 10,500.00 | 11,000.00 | 11,000.00 |
| 27 03 | სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემისათვის თანამშრომელთა მომზადება და პროფესიული განვითარება | 1,006.00 | 1,000.00 | 1,000.00 | 1,000.00 |

ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულების (2016 – 2019 წლებისათვის) დოკუმენტში **სრულად არის ასახული** სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროსთვის, ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმით, სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სამოქმედო გეგმით და ჯანდაცვის განვითარების სამოქმედო გეგმით განსაზღვრული სტრატეგიული მიზნები.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა, სახელმწიფო ბიუჯეტის კანონისათვის, აუცილებლად უნდა გამომდინარეობდეს ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტისაგან და საფუძვლად უნდა ედოს წლიური ბიუჯეტის კანონის მომზადების მიზნით საქართველოს ფინანსთა სამინისტროსათვის წარდგენილ საბიუჯეტო განაცხადს.

2016 წლისთვის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით[20] სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროსათვის განისაზღვრა ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის შესაბამისად შემდეგნაირად:

| პროგრამული კოდი | დასახელება | 2016 წლის გეგმა | მათ შორის საბიუჯეტო სახსრები | გრანტები | სესხი |
|---|---|---|---|---|---|
| 27 00 | საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო | 153,800.00 | 153,800.00 | 0.0 | 0.0 |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 4,967.00 | 4,967.00 | 0.0 | 0.0 |
| | ხარჯები | 136,849.00 | 136,849.00 | 0.0 | 0.0 |
| | შრომის ანაზღაურება | 66,583.00 | 66,583.00 | 0.0 | 0.0 |
| | საქონელი და მომსახურება | 66,864.00 | 66,864.00 | 0.0 | 0.0 |
| | გრანტები | 7.0 | 7.0 | 0.0 | 0.0 |
| | სოციალური უზრუნველყოფა | 1,007.0 | 1,007.0 | 0.0 | 0.0 |
| | სხვა ხარჯები | 2,388.0 | 2,388.0 | 0.0 | 0.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 16,951.00 | 16,951.00 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |

რომელიც ჩაიშალა სამ ქვეპროგრამად, ესენია:

- საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პენიტენციური სისტემის ჩამოყალიბება (27 01), რომელიც დაყოფილია სამ მიმართულებად:
- პენიტენციური სისტემის პოლიტიკის შემუშავება, მართვა და ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ყოფითი პირობების გაუმჯობესება (27 01 01);
- ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა ექვივალენტური სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა (27 01 02);
- პენიტენციური სისტემის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება (27 01 03).
- სრულყოფილი პრობაციის სისტემა (27 02);
- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემისათვის თანამშრომელთა მომზადება და პროფესიული განვითარება (27 03).

სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტებში და პროგრამებში[74] (2016 –წლისათვის) **სრულად არის ასახული** ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულების (2016 – 2019) დოკუმენტში განსაზღვრული საკითხები.[75]

ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ყოფითი და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებისათვის განსახორციელებელი ღონისძიებები ითვალისწინებს: ბრალდებულთათვის/მსჯავრდებულთათვის რბილი ინვენტარის, პირადი ჰიგიენის საგნების, ხოლო საჭიროების შემთხვევაში – შესაფერისი უნიფორმის შესყიდვას, ხარისხიანი კვებითი მომსახურების შენარჩუნებას, განათლების ხელმისაწვდომობას სახელობო და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განსაზღვრით და შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნას, მსჯავრდებულთა დასაქმებას;

74 სახელმწიფო ბიუჯეტის კანონი (2016 წელი) V თავი.
75 საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №385 - პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგია.

პენიტენციურ დაწესებულებებში მყოფ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სამართლებრივი გარანტიების განმტკიცებას პატიმრობის კოდექსით გათვალისწინებული საჩივრების პროცედურების ხელმისაწვდომობის შენარჩუნებით, ცნობიერების ამაღლებით და მათი უფლებების (საჩივრების, დისციპლინური და ადმინისტრაციული პროცედურების) შესახებ სრული ინფორმაციის მიწოდების უზრუნველყოფას;

პენიტენციური სისტემის მოსამსახურეთა და სამხედრო მოსამსახურეთა უნიფორმითა და რბილი ინვენტარით უზრუნველყოფას.

2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით დამტკიცებული ასიგნებები შეესაბამება ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების (2016 – 2019 წლებისთვის) დოკუმენტში ზღვრულ მოცულობებში განსაზღვრულ თანხებს, თუმცა არ შეესაბამება სრულყოფილი პრობაციის სისტემისთვის (პროგრამული კოდი 27 02) სამინისტროს მიერ მოთხოვნილ თანხას (რომელიც აღემატებოდა ზღვრულ მოცულობას 1,500.00 ათასი ლარით).[76]

## სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სტრატეგია 2017 წელი

სასჯელაღსრულების სისტემის რეფორმის სტრატეგიის ძირითადი მიმართულებები 2015 წლისთვის შემდეგნაირად განისაზღვრა:[77]

✓ კანონმდებლობის გაუმჯობესება;

✓ სასჯელაღსრულების სისტემის მართვა და კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა;

✓ პატიმრების ღირსეული საყოფაცხოვრებო პირობებით უზრუნველყოფა და სამედიცინო სერვისების გაუმჯობესება;

- პენიტენციური ჯანდაცვა;
- ინფრასტრუქტურის განვითარება;

✓ მსჯავრდებულთა რეაბილიტაცია-რესოციალიზაცია;

✓ პირობით ვადამდე გათავისუფლების მექანიზმის დახვეწა.

პრობაციის ეროვნული სააგენტოს მიზანია (2017 წლისთვის):[78] არასაპატიმრო სასჯელებისა და პრობაციის ღონისძიებების აღსრულება, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება, საზოგადოების უსაფრთხოების დაცვა, მსჯავრდებულის რესოციალიზაცია (მისი საზოგადოებაში ინტეგრაცია) და რეაბილიტაცია (მსჯავრდებულის გამოსწორება და საზოგადოებაში ჯანსაღ წევრად დაბრუნება).

✓ პრობაციის ეროვნული სააგენტოს ადმინისტრაციული რესურსის განვითარება;

- თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულება;
- საკადრო პოლიტიკა;

✓ საკანონმდებლო ბაზის განვითარება;

76 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონი.

77 სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სტრატეგია 2017 წელი, გვ. 93 -104

78 სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სტრატეგია 2017 წელი, გვ. 106-112

- საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის აღსრულების ხელშეწყობა;
- ზრუნვა არასრულწლოვნებზე;
- ახალი სტრუქტურული ერთეულის შექმნა;
- სრულწლოვანთა მიმართ ახალი არასაპატიმრო სახის სასჯელის - შინაპატიმრობის დანერგვა;

✓ ზედამხედველობის სისტემის გაუმჯობესება;

- რისკებისა და საჭიროებების შეფასების და სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვის მეთოდოლოგია;

✓ სარეაბილიტაციო პროგრამების და საზოგადოების ჩართულობის განვითარება;

- რეაბილიტაცია-რესოციალიზაცია;
- პროფესიული გადამზადების პროგრამები;
- პირობით მსჯავრდებულთა დასაქმება;
- ფსიქო-სოციალური სარეაბილიტაციო პროგრამების კონკურსები;
- ჯანსაღი ცხოვრების წესის პროპაგანდა;

✓ უწყებათაშორისი კოორდინაციის უზრუნველყოფა - პრობაციის შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის გაუმჯობესება;

- მონიტორინგი - განმეორებით ჩადენილი დანაშაული ამნისტირებულებში.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის სტრატეგიაა (2017 წლისთვის):[79]

✓ კანონმდებლობის დახვეწა;

✓ დანაშაულის/სამართალდარღვევის და ძალადობის პრევენცია;

✓ სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმებისა და აღდგენითი მართლმსაჯულების განვითარება;

✓ პატიმრობა, როგორც უკიდურესი ზომა;

✓ რეაბილიტაცია და რესოციალიზაცია;

✓ პროფესიონალების სპეციალიზაცია არასრულწლოვანთა საკითხებში;

✓ მართლმსაჯულების სიტემაში ბავშვებთან დაკავშირებული მონაცემთა შეგროვების და ანალიზის სისტემის განვითარება;

✓ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება და განათლება;

✓ ბავშვზე ორიენტირებული გარემოს შექმნა.

სისხლის სამართლის სისტემაში რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის სტრატეგიის მიზანია (2017 წლისთვის):[80] მსჯავრდებულთა და ყოფილ მსჯავრდებულთა რეაბილიტაცია, მათი პოტენციალის რეალიზებასა და სრულუფლებიან მოქალაქეებად ჩამოყალიბებაში ხელშეწყობა, რათა ერთი მხრივ დაცული იყოს ადამიანის უფლებების მაღალი სტანდარტი და მეორე მხრივ დანაშაულის განმეორებით ჩადენის შემცირებით უზრუნველყოფილი იყოს საზოგადოებრივი უსაფრთხოება.

79 სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სტრატეგია 2017 წელი, გვ. 115-136
80 სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სტრატეგია 2017 წელი, გვ. 155-157

- ✓ მტკიცებულებებზე, საუკეთესო ადგილობრივ და საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით საჭიროებებზე მორგებული სარეაბილიტაციო პროგრამების განვითარება;
- ✓ სარეაბილიტაციო პროცესში ჩართული უწყებებისა და ორგანიზაციების ინსტიტუციური გაძლიერება, პერსონალის მომზადება და განვითარება მაღალხარისხიანი სარეაბილიტაციო მომსახურების მიწოდებისთვის;
- ✓ სარეაბილიტაციო პროცესში მონაწილე უწყებათა და ორგანიზაციათა კოორდინირებული მუშაობის უზრუნველყოფა, მედიასთან და საზოგადოებასთან კომუნიკაცია რეაბილიტაციის პროცესის მხარდასაჭერად.

## სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სამოქმედო გეგმა 2017 წელი

სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სამოქმედო გეგმის, სასჯელაღსრულების სისტემის შესწავლისას იკვეთება ერთი ძირითადი გრძელვადიანი მიზანი - პატიმართა უფლებების დაცვის უზრუნველყოფა; ეფექტიანი რეაბილიტაციისა და რეინტეგრაციის ღონისძიებების საშუალებით განმეორებითი დანაშაულის ჩადენის რისკის შემცირება. ასევე გრძელვადიანად არის განსაზღვრული პრიორიტეტი - სისხლის სამართლის რეფორმა-საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პენიტენციური სისტემის ჩამოყალიბება.

გრძელვადიანი მიზმის მისაღწევად 2017 წლის სამოქმედო გეგმაში შემდეგი პროგრამები იქნა შემუშავებული:

პროგრამა 6.1. პენიტენციურ სისტემაში მოქმედი კანონმდებლობისა და შიდა რეგულაციების სისტემატური გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში ცვლილებების შეტანა;

პროგრამა 6.2. პენიტენციური დაწესებულებების ადმინისტრირების გაუმჯობესება, რომელიც ორი ქვეპროგრამისგან შედგება;

პროგრამა 6.3. პატიმრობის პირობების გაუმჯობესება. აღნიშნული პროგრამა შვიდი ქვეპროგრამისგან შედგება;

პროგრამა 6.4. მსჯავრდებულთა რეაბილიტაცია-რესოციალიზაცია, რომლის აღსრულებისათვისაც ხუთი ქვეპროგრამა იქნა ჩამოყალიბებული;

პროგრამა 6.5. პირობით ვადამდე გათავისუფლების მაჩვენებლის ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციასთან მიახლოება და ადგილობრივი საბჭოს საქმიანობის დახვეწა, რომელიც ერთ ქვეპროგრამას მოიცავს.

პროგრამა 6.6. პატიმართა სამართლებრივი გარანტიების გაძლიერება, რომელიც ორი ქვეპროგრამისგან არის შედგენილი.

ქვეპროგრამა 6.7.. გენერალური ინსპექციის სისტემური მონიტორინგის სამართველოს ინსტიტუციონალური განვითარება.

აღნიშნული პროგრამები და ქვეპროგრამები იდენტურია 2016 წლის სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სამოქმედო გეგმისა.

**პრობაციის სისტემის რეფორმირებისათვის** ძირითად მიზნად განისაზღვრა - რეალიბილიტაცია და რესოციალიზაცია, პრევენციაზე ორიენტირებული ინდივინდუალური მიდგომის დანერგვა და დახვეწა. გრძელვადიანი პროგრამა ითვალისწინებს პრობაციის სრულყოფილ სისტემას.

ყოველივე ამისთვის შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება დაიგეგმა:

ქვეპროგრამა 7.1. პრობაციის სააგენტოს ადმინისტრაციული შესაძლებლობების განვითარება. აღნიშნული ქვეპროგრამა 9 ღონისძიებისგან შედგება;

ქვეპროგრამა 7.2 - საკანონმდებლო ბაზის განვითარება, რომელიც ხუთი ღონისძიებისგან შედგება;

ქვეპროგრამა 7.3 - ზედამხედველობის სისტემის გაუმჯობესება. ქვეპროგრამა 8 ღონისძიებისგან შედგება;

ქვეპროგრამა 7.4. სარეაბილიტაციო პროგრამების და საზოგადოების ჩართულობის განვითარება, რომლის განსახორციელებლად 6 ღონისძიება განისაზღვრა;

ქვეპროგრამა 7.5. უწყებათა შორის კოორდინაციის უზრუნველყოფა და პრობაციის შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის გაუმჯობესება. აღნიშნული ქვეპროგრამა ხუთი ღონისძიებისგან შედგება.

აღნიშნული ქვეპროგრამები და ღონისძიებები იდენტურია 2016 წლის სისხლის სამართლის სისტემის სამოქმედო გეგმის შესაბამისი ქვეპროგრამების და ღონისძიებებისა. სავარაუდოდ 7.2.4 და 7.2.5 ღონისძიება ეკუთვნის 7.3 ქვეპროგრამას, თუმცა მათი ნუმერაცია 7.2 ქვეპროგრამის შესაბამისია. ასევე გამოტოვებულია 7.3 ქვეპროგრამის პირველი სამი ღონისძიება, რა ფაქტიც მათი შეფასების საშუალებას გვიზღუდავს (ტექნიკური შეცდომა).

**არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმისათვის** ძირითადი მიზანია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ისეთი სისტემის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს არასრულწლოვანთა დანაშაულის თავიდან აცილებას, ბავშვთა უფლებების სათანადო დაცვას, მათ კეთილდღეობასა და განვითარებას, კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა რეაბილიტაციასა და რესოციალიზაციას.

ძირითადი მისაღწევი შედეგები/განსახორციელებელი პროგრამები, რომელთა შესრულებაშიც მონაწილეობას იღებს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო, შემდეგია:

შედეგი 8.1. კანონმდებლობის დახვეწა, რომლის განსახორციელებლადაც დაიგეგმა 9 ქვეპროგრამა. აქედან სამის შესრულებაზე სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროა პასუხისმგებელი;

შედეგი 8.3. სისხლის სამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმებისა და აღდგენითი მართლმსაჯულების განვითარება. შედგება ორი ქვებროგრამისგან და აქედან ერთის შესრულებაზეა პასუხისმგებელი სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო;

შედეგი 8.4. პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის გამოყენება მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში, რომლის განხორციელებაზეც სამი ქვეპროგრამა დაიგეგმა და აქედან ორზე პასუხისმგებელია სამინისტრო (აქედან ერთის განხორციელება 2015 წელს აღარ მომხდარა);

შედეგი 8.5. რეაბილიტაცია-რესოციალიზაცია. შედგება 10 ქვეპროგრამისგან და მათგან 9-ში მონაწილეა სამინისტრო;

შედეგი 8.6. პროფესიონალების სპეციალიზაცია არასრულწლოვანთა საკითხებში, რომელიც სამი ქვეპროგრამისგან შედგება და სამივეში მონაწილეობას იღებს სამინისტრო;

შედეგი 8.7. საინფორმაციო სისტემის განვითარება. შედგება 3 ქვეპროგრამისგან რომელთაგან ერთის შესრულებაში სხვა სახელმწიფო უწყებებთან ერთად სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო მონაწილეობს.

აღნიშნული მისაღწევი შედეგები/განსახორციელებელი პროგრამები იდენტურია 2016 წლის სისხლის სამართლის სისტემის სამოქმედო გეგმის შესაბამისი მისაღწევი შედეგები/განსახორციელებელი პროგრამები. 8.7 შედეგის მიღწევაში 2014 – 2015 წლებში სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო არ მონაწილეობდა.

**სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის სამოქმედო გეგმის** ძირითადი მიზანია მსჯავრდებულთა და ყოფილ მსაჯვრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის უზრუნველყოფა.

სტრატეგიული მიზნები, რომელთა მიღწევაშიც მონაწილეობას იღებს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო, შემდეგია:

სტრატეგიული მიზანი 1. საჭიროებებზე მორგებული სარეაბილიტაციო პროგრამების განვითარება საუკეთესო ადგილობრივ და საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით. რომელიც შედგება 9 აქტივობისგან. სამინისტრო პასუხისმგებელია 7 აქტივობის შესრულებაზე.

სტრატეგიული მიზანი 2. სარეაბილიტაციო პროცესში ჩართული უწყებებისა და ორგანიზაციების ინსტიტუციური გაძლიერება, პერსონალის მომზადება და განვითარება მაღალხარისხიანი სარეაბილიტაციო მომსახურების მიწოდებისთვის. მიზანი 5 აქტივობას ითვალისწინებს და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო მონაწილეობს მათ განხორციელებაში.

სტრატეგიული მიზანი 3. სარეაბილიტაციო პროცესში მონაწილე უწყებათა და ორგანიზაციათა კოორდინირებული მუშობის უზრუნველყოფა, მედიასთან და საზოგადოებასთან კომუნიკაცია რეაბილიტაციიის პროცესის მხარდასაჭერად, რომელიც 8 აქტივობის განხორციელებით უნდა იქნას მიღწეული. სამინისტრო ოთხი აქტივობის მონაწილეა.

*აღნიშნული სტრატეგიული მიზნები იდენტურია 2016 წლის სისხლის სამართლის სისტემის სამოქმედო გეგმის შესაბამისი სტრატეგიული მიზნებისა.*

## ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულების დოკუმენტი (2017 – 2020) წლებისთვის

ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულების (2017– 2020 წლებისთვის) დოკუმენტში განსაზღვრული პროგრამული მიმართულებების განხორციელების პროცესი გრძელდება 2016 წლიდან როგორც საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმები (BDD 2016 – 2019 წლებისთვის). ასევე შემდეგი ღონისძიებები აღარ არის გამოკვეთილი, კერძოდ:

- ახალი თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებების ამოქმედება ქალ მსჯავრდებულთათვის, რომელთა ბაზაზე მოხდება მათი რეაბილიტაცია-რესოციალიზაცია;
- სტრატეგიული ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავება სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურებთან, აკადემიურ ინსტიტუტებთან, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან და სხვადასხვა ქვეყნების შესაბამის სასწავლო დაწესებულებებთან;
- განათლებისა და პროფესიული განვითარების ხარისხის უზრუნველყოფა და სასწავლო პროგრამების განვითარება; ახალი სახელმძღვანელოების მომზადება, ბიბლიოთეკის განვითარება;
- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემებში ახლად დანერგილი მენტორინგის ინსტიტუტის განვითარება.

2017-2020 წლებისათვის სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის განხორციელებისათვის დაგეგმილი ღონისძიებები ბევრად უფრო დეტალური სახითაა განსაზღვრული ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტში, კერძოდ:

- სულ უფრო მეტი მსჯავრდებულისთვის ხელმისაწვდომი გახდება პროფესიული განათლება;
- დაინერგება არასაპატიმრო სასჯელის ახალი სახე - შინაპატიმრობა სრულწლოვანი მსჯავრდებულებისთვის;
- დაინერგება ახალი არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიება - წინა სასამართლო პრობაცია;
- შეიქმნება ახალი პენიტენციური დაწესებულება, რომელიც გათავისუფლებისათვის მოამზადებს დაბალი და საშუალო რისკის მქონე მსჯავრდებულს;
- გაგრძელდება პენიტენციური დაწესებულებების ეტაპობრივი რეაბილიტაცია და მოდერნიზაცია;
- გაგრძელდება პირველადი ჯანდაცვის რგოლის გაძლიერებისა და ინფრასტრუქტურული განვითარების ხელშეწყობა; გაუმჯობესდება პირობით ვადამდე გათავისუფლებასთან დაკავშირებული პროცედურები, დაიხვეწება უვადო თავისუფლებააღკვეთილ მსჯავრდებულთა გათავისუფლების მექანიზმი.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს (პროგრამული კოდი 27 00) მიერ გათვალისწინებული ასიგნებები და რიცხოვნობის ზღვრული მოცულობები **ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულების (2017-2020 წლებისათვის) დოკუმენტში** განისაზღვრა შემდეგნაირად:

| პროგრამული კოდი | დასახელება | 2017 წლის დასაქმებულთა საორიენტაციო ზღვრული მოცულობა რიცხოვნება | 2017 წლის ზღვრული მოცულობა (ათას ლარებში) | 2018 წლის ზღვრული მოცულობა (ათას ლარებში) | 2019 წლის ზღვრული მოცულობა (ათას ლარებში) | 2020 წლის ზღვრული მოცულობა (ათას ლარებში) |
|---|---|---|---|---|---|---|
| 27 00 | საქართველოს სასჯელაღსრულების და პრობაციის სამინისტრო | 4,947 | 139,100.0 | 145,000.0 | 150,000.0 | 150,000.0 |

***საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პენიტენციური სისტემის ჩამოყალიბება***

- პენიტენციური სისტემის პოლიტიკის შემუშავება, მართვა და ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ყოფითი პირობების გაუმჯობესება;
- ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა ექვივალენტური სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა;
- პენიტენციური სისტემის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.

***სრულყოფილი პრობაციის სისტემა***

***სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემისათვის თანამშრომელთა მომზადება და პროფესიული განვითარება***

სასჯელაღსრულების და პრობაციისა სამინისტროს მიერ განსახორციელებელი პროგრამები და მათი დაფინანსება ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულების (2017-2020 წლებისათვის) დოკუმენტში განისაზღვრა შემდეგნაირად:

| პროგრამული კოდი | დასახელება | 2017 წელი სულ | 2018 წელი სულ | 2019 წელი სულ | 2020 წელი სულ |
|---|---|---|---|---|---|
| 27 00 | საქართველოს სასჯელაღსრულების და პრობაციისა სამინისტრო | 140,800.00 | 145,000.00 | 150,000.00 | 150,000.00 |
| 27 01 | საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პენიტენციური სისტემის ჩამოყალიბება | 131,970.00 | 134,000.00 | 139,000.00 | 139,000.00 |
| 27 02 | სრულყოფილი პრობაციის სისტემა | 7,830.00 | 10,000.00 | 10,000.00 | 10,000.00 |
| 27 03 | სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემისათვის თანამშრომელთა მომზადება და პროფესიული განვითარება | 1,000.00 | 1,000.00 | 1,000.00 | 1,000.00 |

ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულების (2017 – 2020 წლებისათვის) დოკუმენტში **სრულად არის ასახული** სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროსთვის, ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმით, სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სამოქმედო გეგმით და ჯანდაცვის განვითარების სამოქმედო გეგმით განსაზღვრული სტრატეგიული მიზნები.

**2017 წლისთვის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები** საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროსათვის განისაზღვრა ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის შესაბამისად შემდეგნაირად:

| პროგრამული კოდი | დასახელება | 2017 წლის გეგმა | მათ შორის | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | საბიუჯეტო სახსრები | გრანტები | სესხი |
| 27 00 | საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო | 140,800.00 | 140,800.00 | 0.0 | 0.0 |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 4,947.00 | 4,947.00 | 0.0 | 0.0 |
| | ხარჯები | 124,027.00 | 124,027.00 | 0.0 | 0.0 |
| | შრომის ანაზღაურება | 64,735.00 | 64,735.00 | 0.0 | 0.0 |
| | საქონელი და მომსახურება | 55,985.00 | 55,985.00 | 0.0 | 0.0 |
| | გრანტები | 10.0 | 10.0 | 0.0 | 0.0 |
| | სოციალური უზრუნველყოფა | 1,053.0 | 1,053.0 | 0.0 | 0.0 |
| | სხვა ხარჯები | 2,244.0 | 2,244.0 | 0.0 | 0.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 15,073.00 | 15,073.00 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |

რომელიც ჩაიშალა სამ ქვეპროგრამად, ესენია:

- საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პენიტენციური სისტემის ჩამოყალიბება (27 01), რომელიც დაყოფილია სამ მიმართულებად:

- პენიტენციური სისტემის პოლიტიკის შემუშავება, მართვა და ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ყოფითი პირობების გაუმჯობესება (27 01 01);
- ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა ექვივალენტური სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა (27 01 02);
- პენიტენციური სისტემის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება (27 01 03).

- სრულყოფილი პრობაციის სისტემა (27 02);
- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემისათვის თანამშრომელთა მომზადება და პროფესიული განვითარება (27 03).

სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტებში და პროგრამებში[81] (2017 წლისათვის) **სრულად არის ასახული** ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულების (2017-2020) დოკუმენტში განსაზღვრული საკითხები.[82]

პრიორიტეტის ფარგლებში, 2017 წლის ბიუჯეტის კანონის V თავის მიხედვით, განხორციელდება იგივე ღონისძიებები, რაც აღწერილი იყო 2016 წლის ბიუჯეტის კანონში.

საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პენიტენციური სისტემის ჩამოყალიბება ითვალისწინებს:

- პენიტენციური სისტემის საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოებისათვის შესაბამისი პოლიტიკის შემუშავებას და განხორციელებას; სახელმწიფო უწყებებთან, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობების კოორდინაციას, თანამშრომლობის ხელშეკრულებებისა და მემორანდუმების გაფორმებას;
- პენიტენციური დაწესებულებების ინფრასტრუქტურის სრულყოფას და მათი შესაბამისი მანქანა-დანადგარებითა და ინვენტარით აღჭურვას; ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ყოფითი (საცხოვრებელი) პირობების გაუმჯობესებას, რბილი ინვენტარის განახლებას და პირადი ჰიგიენისათვის საჭირო საშუალებების შეძენას;
- პენიტენციურ დაწესებულებებში მყოფ პირთა ექვივალენტური სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფას; პენიტენციური ჯანმრთელობის დაცვის სტანდარტის შესაბამისად, პრევენციული (პროფილაქტიკური) ღონისძიებების განხორციელებას ჰიგიენის, გადამდები დაავადებების კონტროლის და ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის მიზნით;
- პენიტენციურ დაწესებულებებში მყოფ პირთა მიერ განათლების მიღების ხელშეწყობას სახელობო და პროფესიული სწავლების პროგრამების განსაზღვრით; ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის მიზნით მათი დასაქმების უზრუნველყოფის ხელშეწყობას და საწარმოო ზონების შექმნას;
- პენიტენციურ დაწესებულებებში მყოფ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სამართლებრივი გარანტიების გაძლიერებას პატიმრობის კოდექსით გათვალისწინებული საჩივრების პროცედურების ხელმისაწვდომობის შენარჩუნებით და ცნობიერების ამაღლებით.

2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით დამტკიცებული ასიგნებები შეესაბამება ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების (2017-2020 წლებისთვის) დოკუმენტში ზღვრულ მოცულობებში განსაზღვრულ თანხებს, თუმცა არ შეესაბამება, სრულყოფილი პრობაციის სისტემისთვის (პროგრამული კოდი 27 02) სამინისტროს მიერ მოთხოვნილ თანხას (რომელიც აღემატება ზღვრულ მოცულობას 1,700.00 ათასი ლარით).

## სამოქმედო გეგმების შედარებითი ანალიზი (2016 -2017 წლები)

სამოქმედო გეგმების (2016-2017 წლებისათვის) შესწავლისას იკვეთება, რომ ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმაში განსაზღვრული მიზანი (იხ. 4.1),[83] საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პენიტენციური სისტემის ჩამოყალიბება, ძირითად პრიორიტეტადაა (იხ. 6) დასახული სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სამოქმედო გეგმაშიც. სამთავრობო გეგმაში მიზნის მისაღწევად 5 ამოცანა იქნა განსაზღვრული, ხოლო სისხლის სამართლის რეფორმის მიხედვით პრიორიტეტის განსახორციელებლად 7 პროგრამა შემუშავდა. პროგრამები და ამოცანები გარკვეულწილად თანხვედრაშია ერთმანეთთან, თუმცა, განსხვავებით 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმებისა, ისინი მიმოფანტულია სხვადასხვა პროგრამების ქვეპროგრამებში არათანმიმდევრულად, არა ისე, როგორც ეს არის ასახული სამთავრობო სამოქმედო გეგმაში. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის

81 სახელმწიფო ბიუჯეტის კანონი (2017 წელი) V თავი.

82 საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №385 - პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგია.

83 საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა (2016-2017 წლებისთვის), თავი 4, გვ. 11

სამინისტროს სწორი ფუნქციონირებისათვის, 2016 წლის ბიუჯეტის კანონის შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების სახით დამტკიცებულია 153 800,0 ათასი ლარი, ხოლო 2017 წლისათვის - 139 100.0 ათასი ლარი. მათ შორის სისხლის სამართლის რეფორმის ძირითადი პრიორიტეტის (იხ. 6) განსახორციელებლად 2016 წლისათვის განსაზღვრულია 144 594,0 ათასი ლარი, ხოლო 2017 წლისათვის - 131 970,0 ლარი. 2016 წლის ბიუჯეტის პროექტში შეტანილი ცვლილების შესაბამისად, სამინისტროს ასიგნებები მცირდება 9.0 მლნ ლარით. ბიუჯეტის ასიგნებების სახით დამტკიცდა 144 800,0 ათასი ლარი.[84]

სამოქმედო გეგმების შესწავლისას იკვეთება, რომ ამოცანები (სამთავრობო სამოქმედო გეგმის შესაბამისად) და პროგრამები/ქვეპროგრამები (სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სამოქმედო გეგმის შესაბამისად) ერთი და იმავე შინაარსის მატარებელია ისევე, როგორც მათი განხორციელებისათვის დაგეგმილი საქმიანობები/ღონისძიებები, გარდა მხოლოდ მცირე განსხვავებებისა. უფრო დეტალურად კი, **2016-2017 წლების ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის 4.1.1 ამოცანა,** პენიტენციურ სისტემაში ადამიანის უფლებების დაცვის გაძლიერების მიმართულებით მოქმედი კანონმდებლობისა და შიდა რეგულაციების სისტემატური გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში ცვლილებების შეტანა, და შესაბამისი **6.1 პროგრამა** 2016-2017 წლის სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სამოქმედო გეგმიდან იდენტურია როგორც მათი მიღწევისათვის განსაზღვრული საქმიანობა/ღონისძიებების მიხედვით, ასევე შედეგის შეფასების ინდიკატორების მიხედვითაც. არც ერთ გეგმაში არ არის მითითებული მათი განხორციელებისათვის საჭირო კონკრეტული დაფინანსების წყარო და ოდენობა.

**4.1.2 ამოცანა,** სასჯელაღსრულებისა დაწესებულებებში გადატვირთულობის პრევენცია, რომლის შესასრულებლად ორი სხვადასხვა საქმიანობა/ღონისძიებაა განსახორციელებელი, შესაბამისობაში მოდის სისხლის სამართლის რეფორმის **6.3 პროგრამასთან** - პატიმრობის პირობების გაუმჯობესება, რომელიც ჩაშლილია 7 ქვეპროგრამად და აქედან ორი 6.3.1 და 6.3.2 შესატყვისია ამოცანის და **6.5 პროგრამასთან** - პირობით ვადამდე გათავისუფლების მექანიზმის დახვეწა და ადგილობრივი საბჭოს საქმიანობა, რომელიც ერთი ქვეპროგრამისგან შედგება. ქვეპროგრამები ჩამოყალიბებულია ისეთი სახით, რომ გარკვეულწილად მოიცავს ყველა საჭირო საქმიანობას/ღონისძიებას, რომელიც სამთავრობო სამოქმედო გეგმაშია მოცემული. შედეგის მიღწევის შეფასებისთვის განსაზღვრულ ინდიკატორებს, ასევე მსგავსია. სისხლის სამართლის რეფორმის სამოქმედო გეგმაში 6.3.1 და 6.3.2 ქვეპროგრამის განხორციელებისათვის განსაზღვრულია 2016 წლის სახელმწიფო საბიუჯეტო სახსრები, შესაბამისად, 8 500,0 ათასი ლარის და 7 900,0 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო 2017 წლისათვის - 1 500,0 ათასი ლარის და 14 150,0 ათასი ლარის ოდენობით. რაც შეეხება 6.5 ქვეპროგრამას, მისთვის არაა განსაზღვრული რაიმე თანხა.

სამთავრობო სამოქმედო გეგმის **4.1.3 ამოცანა**, მსჯავრდებულთა კლასიფიკაციის, რისკების შეფასების და სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვის მეთოდოლოგიის დანერგვა და სრულყოფა, ასახულია სისხლის სამართლის რეფორმის გეგმის **6.3 პროგრამის 6.3.1 ქვეპროგრამაში.** ასევე აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება 4.1.2 ამოცანის ერთ-ერთი საქმიანობა. განსახორციელებლად 2016 წლის სამოქმედო გეგმაში განისაზღვრა 8 500,0 ათასი ლარი და 2017 წლისთვის - 7 900.0 ათასი ლარი, სამთავრობო სამოქმედო გეგმაში აღნიშნული ამოცანის შესასრულებლად არაერთი საქმიანობაა ჩამოყალიბებული, თუმცა სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სამოქმედო გეგმაში მხოლოდ ერთი არამკაფიოდ განსაზღვრული ღონისძიებაა. ინდიკატორებიც არა არის თანხვედრაში.

სამთავრობო სამოქმედო გეგმის **4.1.4 ამოცანა** - პატიმართა ცნობიერების ამაღლება მათი უფლებების შესახებ საჩივრების, დისციპლინურ და ადმინისტრაციულ პროცედურებთან დაკავშირებით, ასახულია სისხლის სამართლის რეფორმის გეგმის **6.6 პროგრამაში,** კერძოდ, 6.6.1. ქვეპროგრამის სახით. აღნიშნული ამოცანის და ქვეპროგრამის შესრულების შეფასების ინდიკატორები იდენტურია. 2016 წლის

84 2016 წლის ბიუჯეტის კანონის დეკემბრის ცვლილება, განმარტებითი ბარათი.

სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები სისხლის სამართლის სამოქმედო გეგმის მიხედვით განსაზღვრულია 20,0 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო 2017 წლის - 25,0 ათასი ლარის ოდენობით. სამთავრობო სამოქმედო გეგმის მიხედვით აღნიშნული ამოცანისათვის დაფინანსების სახით გათვალისწინებულია 100,0 ათასი ლარი, თუმცა არ ჩანს თუ რომელი უწყების მიერ განხორციელდება იგი.

სამთავრობო სამოქმედო გეგმის **4.1.5 ამოცანა** - პატიმრობის კოდექსით გათვალისწინებული გასაჩივრების პროცედურების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება, ასახულია სისხლის სამართლის რეფორმის გეგმის **6.6 პროგრამაში,** კერძოდ, 6.6.1. ქვეპროგრამის სახით. თუმცა სამთავრობო გეგმის ამოცანა ითვალისწინებს ხელმისაწვდომობის **გაუმჯობესებას,** მაშინ როცა ქვეპროგრამის ფარგლებში მხოლოდ ხელმისაწვდომობაზეა საუბარი (ისევე, როგორც 2014 – 2015 წლების გეგმაში). 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებებიდან სამოქმედო გეგმის მიხედვით გათვალისწინებულია 30,0 ათასი ლარი, ხოლო 2017 წლის ასიგნებებიდან - 25,0 ათასი ლარი.

2016-2017 წლების ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმაში განსაზღვრული **მიზანი (იხ. 4.2)** ბრალდებულთა/ მსჯავრდებულთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოების გზით, (იხ. 6.3) დასახულია 2016 - 2017 წლების სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სამოქმედო გეგმაშიც. სამთავრობო გეგმაში მიზნის მისაღწევად ორი ამოცანა იქნა განსაზღვრული. სამთავრობო სამოქმედო გეგმის **4.2.1 ამოცანა,** საჭიროებიდან გამომდინარე, არსებული ინფრასტრუქტურის განახლება და ახალი პროექტების შემუშავება, შესაბამისია **6.3.1/2/4/5 ქვეპროგრამისა** სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სამოქმედო გეგმიდან. 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებებიდან სამოქმედო გეგმის მიხედვით 6.3.1 ქვეპროგრამისთვის გათვალისწინებულია 8 500,0 ათასი ლარი, 6.3.2 ქვეპროგრამისთვის – 7 900,0 ათასი ლარი, 6.3.4 ქვეპროგრამისთვის - 3 500.0 ათასი ლარი და 6.3.5 ქვეპროგრამისთვის თანხა არ არის დაკონკრეტებული. რაც შეეხება 2017 წლის ასიგნებებიდან დაფინანსებას, 6.3.1 ქვეპროგრამისთვის გათვალისწინებულია 1 500,0 ათასი ლარი, 6.3.2 ქვეპროგრამისთვის – 14 150,0 ათასი ლარი, 6.3.4 ქვეპროგრამისთვის ჯამური თანხა, რომელიც კვებით უზრუნველყოფასაც ითვალისწინებს, შეადგენს 21 670,0 ათასი ლარს. 2016 წლის მაჩვენებლების გათვალისწინებით, პატიმართა უზრუნველყოფა რბილი ინვენტარითა და აუცილებელი პირადი ჰიგიენისათვის საჭირო საშუალებებით, 2017 წლისთვის, სავარაუდოდ, დაფინანსდება 3 500,0 ათასი ლარით. 6.3.5 ქვეპროგრამისთვის თანხა არ არის დაკონკრეტებული. რაც შეეხება ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის მიხედვით განსაზღვრულ დაფინანსებებს, სადაც არ არის მითითებული თუ რომელ კონკრეტულ წელს განეკუთვნება აღნიშნული დაფინანსება, 4.2.1.1. საქმიანობისთვის (6.3.2 ქვეპროგრამა) განსაზღვრულია 16 100,0 ათასი ლარი, 4.2.1.2 საქმიანობისთვის (6.3.5 ქვეპროგრამა) აღნიშნულია, რომ მას შ.პ.ს. „პერსპექტივა“[85] განახორციელებს, ხოლო 4.2.1.3. საქმიანობისთვის (6.3.4 ქვეპროგრამა) – 3 500,0 ათასი ლარი.

**4.2.2 ამოცანა**, სასჯელაღსრულების ახალი დაწესებულებების მშენებლობა, რომელიც ოთხი საქმიანობისგან შედგება, სისხლის სამართლის რეფორმის სამოქმედო გეგმაში ასახულია ქვეპროგრამა 6.3.1 და 6.3.3 სახით, ინდიკატორები სხვადასხვა სახითაა ჩამოყალიბებული. რაც შეეხება დაფინანსებას სისხლის სამართლის სამოქმედო გეგმის მიხედვით 2016 წლისათვის 6.3.1. ქვეპროგრამისთვის, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 8 500,0 ათასი ლარია, ხოლო 6.3.3. ქვეპროგრამისთვის - 2 500,0 ათასი ლარი. 2017 წლისათვის იგივე ქვეპროგრამებისთვის დაფინანსება, შესაბამისად, 1 500,0 ათასი ლარი და „0“. სამთავრობო სამოქმედო გეგმის მიხედვით 4.2.2.2. და 4.2.2.4 საქმიანობისთვის (6.3.1. ქვეპროგრამა) 9 800,0 ათასი ლარია განსაზღვრული (არ არის დაკონკრეტებული წლების მიხედვით).

2016-2017 წლების ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმაში განსაზღვრული **მიზანი (იხ. 4.3)**, თავისუფლებააღკვეთილთა ოჯახის წევრების, ახლობლებისა და სხვა დაინტერესებულ

85 შპს „პერსპექტივა“ წარმოადგენს მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის, „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების“ წესისა და პრობაციის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, 2011 წლის 29 დეკემბერს რეგისტრირებულ იურიდიულ პირს, რომლის 100%-იან წილს ფლობს სსიპ „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო“. მისი საქმიანობის ძირითად საგანს წარმოადგენს პატიმრობის კოდექსით გათვალისწინებული პაემნების ინფრასტრუქტურული და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა.

პირთათვის კანონით გათვალისწინებული მომსახურების გაუმჯობესება, რომელიც ორი ამოცანისგან შედგება, შეესაბამება სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სამოქმედო გეგმის **6.3 პროგრამის 6.3.6 ქვეპროგრამას** მხოლოდ ერთი საქმიანობით, ხოლო მეორე საქმიანობა - "პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის პრინციპების დაცვა, საერთოდ არ არის ასახული სისხლის სამართლის რეფორმაში. სისხლის სამართლის სამოქმედო გეგმის მიხედვით, 2016 წლისათვის 6.3.6. ქვეპროგრამისთვის განსაზღვრულია 500,0 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო 2017 წლისათვის იგივე ქვეპროგრამებისთვის დაფინანსება განსაზღვრულია 150,0 ათასი ლარის ოდენობით. სამთავრობო სამოქმედო გეგმის მიხედვით 4.3.1.1. და 4.3.1.2 საქმიანობებისთვის (6.3.6. ქვეპროგრამა) ერთისთვის განსაზღვრულია 1 500,0 ათასი ლარი, ხოლო მეორის აღსრულებისთვის სსიპ – სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის ბიუჯეტი (არ არის დაკონკრეტებული წლების მიხედვით).

**მიზანი (იხ. 4.4)**, ბრალდებულთა/ მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია, რომელიც ოთხი ამოცანისგან შედგება, შესაბამისია სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სამოქმედო გეგმის **6.4 პროგრამის 6.4.1/2/4 ქვეპროგრამის** და **6.2 პროგრამის 6.2.2. ქვეპროგრამის.** ინდიკატორები მეტწილად შესაბამისობაშია, თუმცა სამთავრობო სამოქმედო გეგმაში ისინი უფრო სიღრმისეულია და ორიენტირებულია პროგრამების სტანდარტების გაუმჯობესებაზე. სისხლის სამართლის სამოქმედო გეგმის მიხედვით 2016 წლისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან 6.4.1. ქვეპროგრამისთვის განსაზღვრულია 1 500,0 ათასი ლარი, 6.4.2 ქვეპროგრამისთვის - 200,0 ათასი ლარი, 6.4.4. ქვეპროგრამისთვის - 200,0 ათასი ლარი და 6.2.2. ქვეპროგრამისთვის თანხა არ არის განსაზღვრული. 2017 წლისათვის იგივე ქვეპროგრამებისთვის დაფინანსება განსაზღვრულია 1 200,0 ათასი ლარის, 50,0 ათასი ლარის, 50,0 ათასი ლარის ოდენობით. სამთავრობო სამოქმედო გეგმის მიხედვით 4.4.1.1. საქმიანობებისთვის (6.4.1. ქვეპროგრამა) განსაზღვრულია 200,0 ათასი ლარი, ხოლო 4.4.2.2. საქმიანობისთვის (6.4.2. ქვეპროგრამა) - 400,0 ათასი ლარი, 4.4.3.1. საქმიანობისთვის (6.4.4. ქვეპროგრამა) - 400,0 ათასი ლარი, ხოლო 4.4.4.1. საქმიანობისთვის (6.2.2. ქვეპროგრამა) დაფინანსებას განახორციელებს სსიპ – სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის ბიუჯეტი (არ არის დაკონკრეტებული წლების მიხედვით).

**მიზანი (იხ. 4.5)** მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესება, შესაბამისობაშია სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სამოქმედო გეგმის **6.3 პროგრამის 6.3.7 ქვეპროგრამისა.** აღნიშნული ქვეპროგრამისთვის სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები 5 200,0 ათასი ლარის ოდენობით 2016 წლის განმავლობაში, ხოლო 2017 წლისთვის 4 500,0 ათასი ლარის ოდენობით. თანამშრომელთა გადამზადების პროგრამები გათვალისწინებულია სსიპ – სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის ბიუჯეტში. სამთავრობო სამოქმედო გეგმის მიხედვით სამედიცინო დეპარტამენტის მთლიან ბიუჯეტად განსაზღვრულია 11 500,0 ათასი ლარი 2016-2017 წლებისთვის.

**მიზანი (იხ. 4.6)** პატიმართა განსაკუთრებული კატეგორიების უფლებების დაცვის უზრუნველყოფა, რომელიც 12 ამოცანისგან შედგება. აღნიშნული მიზნის აღსრულებაში დიდი ფუნქცია აკისრია სსიპ – სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრს. კერძოდ, **ამოცანა 4.6.1.** პატიმართა განსაკუთრებული კატეგორიის უფლებების სწავლება, **ამოცანა 4.6.3**. არასრულწლოვანთა საჭიროებებზე მორგებული ტრენინგის ჩატარება პენიტენციური და პრობაციის სისტემის ყველა იმ თანამშრომლისთვის, ვისაც სამსახურებრივი შეხება აქვს არასრულწლოვან პატიმრებთან, პრობაციონერებთან და **ამოცანა 4.6.6 -** გენდერული თანასწორობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე სისტემაში დასაქმებულ თანამშრომელთა ცნობიერების ამაღლება. სისხლის სამართლის სისტემის სამოქმედო გეგმაში აღნიშნული ამოცანები თითქოს უფრო გამარტივებული სახითაა ჩამოყალიბებული. არ არის ხაზგასმული საკითხები, მაგალითად, გენდერული თანასწორობა. აღნიშნული საქმიანობების შესატყვისი ქვეპროგრამები შემდეგია: **ქვეპროგრამა 6.2.2. / 6.4.3. / 8.6.2** (არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმის სამოქმედო გეგმა). შედეგების შეფასების ინდიკატორები მხოლოდ ნაწილობრივ არის შესაბამისობაში. აღნიშნული ქვეპროგრამების დაფინანსების ოდენობა არ არის მითითებული, თუმცა მისი წყარო სასწავლო

ცენტრია და ასევე აღნიშნულია, რომ გამოყენებული იქნება სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ადმინისტრაციული რესურსი, ასევე, 8.6.2 ქვეპროგრამის შესრულებისათვის 2016 წელს ნაწილობრივ დაფინანსებას განახორციელებს გაეროს ბავშვთა დახმარების ფონდი (UNICEF).

არასრულწლოვან ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა უფლებების დაცვასთან დაკავშირებით სისხლის სამართლის სამოქმედო გეგმაში დაგეგმილია **8.1 პროგრამის და 6.3 პროგრამის ქვეპროგრამები 8.1.2 / 6.3.2.** აღნიშნული ქვეპროგრამებიდან მხოლოდ მეორეზეა მითითებული დაფინანსება სასჯელაღსრულების სამინისტროს ბიუჯეტიდან 2016 წელს, 7 900,0 ათასი ლარის ოდენობით , ხოლო 2017 წელს - 14 150,0 ათასი ლარის ოდენობით.

ქალ პატიმართა რეაბილიტაციის ხელშეწყობისთვის სამთავრობო სამოქმედო გეგმაში ჩამოყალიბებულია **4.6.5. ამოცანა,** ასევე, სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სამოქმედო გეგმაში **ქვეპროგრამები 6.4.1 /2 /3 /4** და მე-11 თავის **სტრატეგიული მიზანი 1-ის პროგრამა 1.1.** შედეგის შეფასების ინდიკატორები მეტ-ნაკლებად მსგავსია. აღნიშნულის დაფინანსებისთვის სასჯელაღსრულების სამინისტროს ასიგნებებიდან განსაზღვრულია 6.4.1. ქვეპროგრამისთვის 2016 წელს - 1 500,0 ათასი ლარი და 2017 წელს - 1 200,0 ათასი ლარი, 6.4.2. ქვეპროგრამისთვის, შესაბამისად, 200,0 ათასი და 50,0 ათასი ლარი, 6.4.3. ქვეპროგრამისთვის მხოლოდ ადმინისტრაციული რესურსი, 6.4.4. ქვეპროგრამისთვის კი, შესაბამისად, 200,0 ათასი და 50,0 ათასი ლარი.

რაც შეეხება **4.6.8. ამოცანას** - შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ გაეროს კონვენციის შესაბამისად, ასევე, **4.6.10 ამოცანა** - შშმ პირებისთვის სათანადო მომსახურების უზრუნველყოფა, მათი შესაბამისი პროგრამა ან ქვეპროგრამა სისხლის სამართლის სამოქმედო გეგმაში არ იკვეთება. სავარაუდოდ, ისინი გათვალისწინებულია სხვადასხვა პროგრამებში, მაგრამ არ არის დეტალურად აღწერილი. ასევე არ არის ინფორმაცია **4.6.11** - ცნობიერების ამაღლება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებთან დაკავშირებულ საკითხებზე და **4.6.12** - უცხოელ პატიმართა უფლებების დაცვის უზრუნველყოფა - **ამოცანების** შესახებ. თუმცა უკანასკნელისთვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის მიხედვით სასჯელაღსრულების სამინისტროს ბიუჯეტის სახსრები 50,0 ათასი ლარის ოდენობითაა განსაზღვრული.

**4.6.9. ამოცანა** გათვალისწინებულია 6.3.2 ქვეპროგრამის ფარგლებში.

**მიზანი 4.8** - სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემის უზრუნველყოფა კვალიფიციური კადრებით, შესატყვისობაშია **პროგრამასთან 6.2,** თუმცა პროგრამაში არ არის დეტალურად აღწერილი ყველა ის ღონისძიება/საქმიანობა, რაც სამთავრობო სამოქმედო გეგმაშია ასახული. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს 2016 წლის საბიუჯეტო სახსრებიდან პროგრამაზე განსაზღვრულია 96 753,0 ათასი ლარი, 2017 წლის საბიუჯეტო სახსრებიდან კი - 88 650,0 ათასი ლარი.

2016 – 2017 წლების ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის **მიზანი 12.4 -** ხარისხიანი და ინკლუზიური განათლება ყველა ბავშვისათვის, შედგება 7 ამოცანისგან. განხორციელებაში ჩართულია ბევრი სახელმწიფო სტრუქტურა და მათ შორის სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო. ერთი მათგანის, **12.4.6. ამოცანის** შესატყვისი გათვალისწინებულია სისხლის სამართლის რეფორმის **ქვეპროგრამებში 8.5.4 -** პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების მსჯავრდებულებისათვის პროფესიული განათლების მიღების ხელშეწყობა - ფარგლებში, რომელთა განსახორციელებლადაც სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სამოქმედო გეგმაში 2016 წლისათვის განსაზღვრულია 108,5 ათასი ლარი, ხოლო 2017 წლისათვის - 109,0 ათასი ლარი. შეუძლებელია გარკვევა, თუ რომელი უწყების ასიგნებებიდან ფინანსდება აღნიშნული ქვეპროგრამები. შესრულებაზე ორი უწყებაა პასუხისმგებელი - სასჯელაღსრულებისა და პრობაციის და ასევე განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმაში დაფინანსების წყარო სახელმწიფო ბიუჯეტია, ხოლო ოდენობა 2016 წლისათვის 320,0 ათასი ლარი. პასუხისმგებელი უწყებებია განათლებისა და მეცნიერების, ასევე სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო. არ არის მითითებული, თუ რომელი უწყების ასიგნებებიდან მოხდება დაფინანსება.

**მიზანი 12.6 -** ბავშვზე ორიენტირებული მართლმსაჯულების სისტემის განვითარება - შედგება სამი ამოცანისგან, რომელთა შესრულებაზე სხვადასხვა სახელმწიფო უწყებები არიან პასუხისმგებელი,

მათ შორის სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო. **ამოცანა 12.6.2** - მართლმსაჯულების ლიბერალური პრინციპების გაძლიერება, რომლის განსახორციელებლად ერთი საქმიანობაა 12.6.2.1. ჩამოყალიბებული - ინდივიდუალური მიდგომის სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვის და პირობით ვადამდე გათავისუფლების მექანიზმის გაძლიერება - შესაბამისობაშია სისხლის სამართლის სამოქმედო გეგმის **8.4.2 და 8.5.1. ქვეპროგრამა.** შედეგების შეფასების ინდიკატორები მსგავსია. შესაბამისი ქვეპროგრამების დაფინანსების წყარო და რაოდენობა არ არის მითითებული არც სამთავრობო და არც სისხლის სამართლის სამოქმედო გეგმებში.

2016-2017 წლების ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმაში განსაზღვრული მიზანი (იხ. 4.4), ბრალდებულთა/ მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია, 2016 - 2017 წლის სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სამოქმედო გეგმაში რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის სამოქმედო გეგმის სახითაა წარმოდგენილი (იხ. 11 თავი).[86] მიზნის განხორციელებაში რამდენიმე სახელმწიფო სტრუქტურაა ჩართული. სამთავრობო გეგმაში მიზნის მისაღწევად 4 ამოცანა იქნა განსაზღვრული, ხოლო სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სამოქმედო გეგმის მიხედვით 3 სტრატეგიული მიზანია ჩამოყალიბებული.

**სტრატეგიული მიზანი 1**. საჭიროებებზე მორგებული სარეაბილიტაციო პროგრამების განვითარება საუკეთესო ადგილობრივ და საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით, შედგება 9 ძირითადი აქტივობისგან, რომელთაგან 7-ის განხორციელებაში მონაწილეობას იღებს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო.

**სტრატეგიული მიზანი 2.** სარეაბილიტაციო პროცესში ჩართული უწყებებისა და ორგანიზაციების ინსტიტუციური გაძლიერება, პერსონალის მომზადება და განვითარება მაღალხარისხიანი სარეაბილიტაციო მომსახურების მიწოდებისთვის, შედგება 5 ძირითადი აქტივობისგან და მათ განხორციელებაში მონაწილეობას იღებს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო.

**სტრატეგიული მიზანი 3.** სარეაბილიტაციო პროცესში მონაწილე უწყებათა და ორგანიზაციათა კოორდინირებული მუშაობის უზრუნველყოფა, მედიასთან და საზოგადოებასთან კომუნიკაცია რეაბილიტაციის პროცესის მხარდასაჭერად, შედგება 8 აქტივობისგან, საიდანაც 4-ის განხორციელებაში მონაწილეობას იღებს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო.

განსხვავებით 2014-2015 წლების სისხლის სამართლის სისტემის სამოქმედო გეგმებისა 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმებში, აქტივობებისთვის, არ არის მითითებული არც დაფინანსების წყარო და არც თანხის ოდენობა.

2016 – 2017 წლების ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმაში ჩამოყალიბებული ძირითადი მიზნები და ამოცანები სასჯელაღსრულების სისტემის, პრობაციის და ყოფილ პატიმართა რეაბილიტაცის, წამების და არასათანადო მოპყრობასთან ბრძოლის, ბავშვთა უფლებების დაცვის კუთხით გარკვეულწილად თანხვედრაშია 2014 და 2015 წლების სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სამოქმედო გეგმის შესაბამის თავებთან. კერძოდ, პენიტენციური სისტემის რეფორმის სამოქმედო გეგმასთან, პრობაციის სისტემის რეფორმასთან, სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის სამოქმედო გეგმასთან და ნაწილობრივ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმასთან. სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სამოქმედო გეგმები, მათში ჩამოყალიბებული გრძელვადიანი მიზნებიდან და სტრატეგიებიდან გამომდინარე, არ შეცვლილა არც სტრუქტურულად და არც შინაარსობრივად (2014 – 2015 წლებთან შედარებით), მაშინ როცა ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმაში გრძელვადიანი მიზნების შესრულებისთვის დამატებითი საქმიანობებია განსაზღვრული და ასევე დასახულია ახალი ამოცანები და მათი შესრულებისათვის საჭირო საქმიანობები/ღონისძიებები.

შესაბამისად, სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სამოქმედო გეგმაში სხვადასხვა ღონისძიებებზე/ აქტივობებზე განსაზღვრული თანხები ნაწილობრივ შესაძლებელია განხილულ იქნას სამთავრობო სამოქმედო გეგმის კუთხითაც. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სამოქმედო გეგმაში დაფინანსების წყარო და ოდენობა ყველგან არ არის მითითებული.

86 სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის სამოქმედო გეგმა.

ასევე აღსანიშნავია, რომ 2016-2017 წლების ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმაში ზოგიერთ საქმიანობაზე მითითებულია დაფინანსების წყარო და თანხის ოდენობა, თუმცა ის თითქმის არასდროს ემთხვევა სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სამოქმედო გეგმაში იგივე ღონისძიებებზე მითითებულ თანხებს. ისეთი ღონისძიებების შემთხვევაში, სადაც განხორციელებაზე პასუხისმგებელი უწყება რამდენიმეა, რთულია გარკვევა, თუ რომელი უწყების ასიგნებებით ხდება მისი განხორციელება. სავარაუდოდ, დაფინანსება ხორციელდება იმ უწყების საბიუჯეტო ასიგნებებიდან, რომელიც გეგმის შედგენაზეა პასუხისმგებელი. უნდა აღინიშნოს, რომ სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის სამოქმედო გეგმაში, განსხვავებით 2014 და 2015 წლების სისხლის სამართლის სამოქმედო გეგმებისა, საერთოდ არ არის მითითებული არც დაფინანსების წყარო და არც თანხის ოდენობა.

სასჯელაღსრულების სისტემის ჯანდაცვის განვითარების სამოქმედო გეგმაში (2014-2017 წლებისთვის) მითითებულია დაფინანსების წყარო, თუმცა მიზნებისა და ამოცანების განხორციელებისათვის საჭირო თანხის ოდენობა არ არის განსაზღვრული.

## 2016-2017 წლის ბიუჯეტის დაგეგმვის და შესრულების ანალიზი

2016 წლის სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ასიგნებები საბიუჯეტო განაცხადის ბოლო წარდგენით განისაზღვრა, შესაბამისად, 153 800,0 ათასი ლარით, ხოლო რიცხოვნობის ზღვრული მოცულობა 4,967 ერთეულით, რაც შესაბამისი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონით იქნა დამტკიცებული.[87] 2016 წლის დეკემბერში კანონში შეტანილი ცვლილებების შემდეგ სამინისტროს ასიგნებები განისაზღვრა 144 800,0 ათასი ლარის ოდენობით.

### 2016 წ. ათას ლარებში

| დასახელება | გეგმა | დამტკიცებული | დამტკიცებული ცვლილება | დაზუსტებული | სხვაობა 4-2 |
|---|---|---|---|---|---|
| | ჭ/ფ | | | | |
| პროგრამული კოდი 27 00 | 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო | 153,800.0 | 153,800.0 | 144,800.0 | 143,558.2 | -10,241.8 |
| შრომის ანაზღაურება | 66,583.0 | 66,583.0 | 66,583.0 | 67,499.0 | 916.0 |
| საქონელი და მომსახურება | 66,864.0 | 66,864.0 | 58,964.0 | 57,130.6 | -9,733.4 |
| გრანტები | 7.0 | 7.0 | 7.0 | 7.0 | 0.0 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 1,007.0 | 1,007.0 | 1,007.0 | 1,039.2 | 32.2 |
| სხვა ხარჯები | 2,388.0 | 2,388.0 | 2,388.0 | 2,035.9 | -352.1 |
| არაფინანსური აქტივების ზრდა | 16,951.0 | 16,951.0 | 15,851.0 | 15,791.9 | -1,159.1 |
| ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | | 54.6 | 54.6 |

87 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონი, 4641-Iს.

საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის მიზეზია: საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი მომზადდა 2015 წლის ნოემბერში. 2016 წლის განმავლობაში ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობისას გამოვლენილი ზოგიერთი გარემოებიდან გამომდინარე, საჭიროა დაზუსტდეს 2016 წლის ბიუჯეტის შემოსულობები და გადასახდელები, მათ შორის შეიცვალა სესხის სახით მისაღები რესურსის სტრუქტურა, ბიუჯეტში ასახვას საჭიროებს დონორების წყაროებით დაფინანსებული პროექტების ფარგლებში გაწეული გადასახდელები. ასევე სხვადასხვა მხარჯავ დაწესებულებაში ადმინისტრაციული ხარჯების შეზღუდვის და ზოგიერთ პროგრამაში არსებული ეკონომიის ხარჯზე ხორციელდება რესურსების მობილიზება ჯანმრთელობის დაცვის საყოველთაო პროგრამის დაფინანსებისათვის.[88] 2016 წლის ბოლოს, 27 01 01 პროგრამული კოდის „საქონელი და მომსახურების" მუხლიდან ბიუჯეტში მიიმართა 7,900.0 ათასი ლარი.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ასიგნებებისა და რიცხოვნობის ზღვრული მოცულობები 2017 წლის საბიუჯეტო განაცხადით ჭერის ფარგლებში განისაზღვრა 139,100.0 ათასი ლარით და 4,947 ერთეულით, რაც საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონით იქნა დამტკიცებული.

### 2017 წ. ათას ლარებში

| დასახელება | გეგმა | დამტკიცებული | დაზუსტებული | სხვაობა 3-2 |
|---|---|---|---|---|
| | ჭ/ფ | | | |
| პროგრამული კოდი 27 00 | 1 | 2 | 3 | 4 |
| საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო | 139,100.0 | 139,100.0 | 143,100.0 | 4,000.0 |
| შრომის ანაზღაურება | 64,735.0 | 64,735.0 | 64,667.0 | -68.0 |
| საქონელი და მომსახურება | 55,985.0 | 55,985.0 | 53,462.2 | -2,522.8 |
| გრანტები | 10.0 | 10.0 | 10.0 | 0.0 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 1,053.0 | 1,053.0 | 1,183.0 | 130.0 |
| სხვა ხარჯები | 2,244.0 | 2,244.0 | 2,169.4 | -74.6 |
| არაფინანსური აქტივების ზრდა | 15,073.0 | 15,073.0 | 21,212.9 | 6,139.9 |
| ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 395.6 | 395.6 |

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში განისაზღვრება პრიორიტეტები (პირველი დონე), მათ ფარგლებში განსახორციელებელი პროგრამები (მეორე დონე) და ქვეპროგრამები (მესამე და მესამისშემდგომი დონეები). 2016-2017 წლებში სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო წარმოდგენილია სამი ძირითადი პროგრამით (პროგრამული კოდები 27 01-27 03).

88 განმარტებითიბარათი საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, საქართველოს კანონის პროექტზე.

| 2014 – 2015 წ.წ. | | 2016-2017 წ.წ | |
|---|---|---|---|
| **27 01** | **პენიტენციური სისტემის პოლიტიკის შემუშავება და მართვა** | **საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პენიტენციური სისტემის ჩამოყალიბება** | **27 01** |
| **27 02** | სისხლის სამართლის სისტემის რეფორმა | ***პენიტენციური სისტემის პოლიტიკის შემუშავება, მართვა*** *და ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ყოფითი პირობების გაუმჯობესება* | *27 01 01* |
| *27 02 01* | ***საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პენიტენციური სისტემის ჩამოყალიბება*** | *ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა ექვივალენტური სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა* | *27 01 02* |
| *27 02 02* | *სრულყოფილი პრობაციის სისტემა* | *პენიტენციური სისტემის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება* | *27 01 03* |
| **27 03** | სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემის თანამშრომელთა მომზადება და პროფესიული განვითარება | სრულყოფილი პრობაციის სისტემა | **27 02** |
| **27 04** | ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა ექვივალენტური სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა | სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემისათვის თანამშრომელთა მომზადება და პროფესიული განვითარება | **27 03** |

განსხვავებით 2014 -2015 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის კანონებისა, 2016 -2017 წლებისთვის ბიუჯეტის კანონებში პროგრამადაა გამოყოფილი **„საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პენიტენციური სისტემის ჩამოყალიბება" (პროგრამული კოდი 27 01)**, თავისი ქვეპროგრამებით, ესენია „პენიტენციური სისტემის პოლიტიკის შემუშავება, მართვა (2014-2015 წლებში პროგრამა 27 01) და ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ყოფითი პირობების გაუმჯობესება" (2014-2015 წლებში ქვეპროგრამა 27 02 01 01), „ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა ექვივალენტური სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა" (2014-2015 წლებში პროგრამა 27 04) და „პენიტენციური სისტემის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება" (2014-2015 წლებში ქვეპროგრამა 27 02 01 02).

2016 -2017 წლებისთვის 27 01 პროგრამა ერთი და იმავე მიზნის მატარებელია:

- პენიტენციური სისტემის საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოებისათვის შესაბამისი პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება; სახელმწიფო უწყებებთან და ორგანიზაციებთან ურთიერთობების კოორდინაცია, თანამშრომლობის ხელშეკრულებებისა და მემორანდუმების გაფორმება;
- პენიტენციურ დაწესებულებებში ინფრასტრუქტურის სრულყოფა და მათი შესაბამისი მანქანა-დანადგარებითა და ინვენტარით აღჭურვა;
- მსჯავრდებულთა/ბრალდებულთა ყოფითი და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება, მათთვის რბილი ინვენტარის განახლება და პირადი ჰიგიენისათვის საჭირო საშუალებების შეძენა;
- პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებულ პირთა მიერ განათლების მიღების უზრუნველყოფა სახელობო და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განსაზღვრით, მსჯავრდებულთა/ბრალდებულთა რესოციალიზაციისათვის მათი დასაქმების უზრუნველყოფის ხელშეწყობა და საწარმოო ზონის შექმნა;
- პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებულ პირთა ექვივალენტური სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა; ამასთანავე, პენიტენციური ჯანმრთელობის დაცვის სტანდარტის შესაბამისად, პრევენციული და პროფილაქტიკური ღონისძიებების განხორციელება ჰიგიენის დაცვის, გადამდები დაავადებების კონტროლის და ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის მიზნით;
- პენიტენციურ დაწესებულებებში მყოფ მსჯავრდებულთა/ბრალდებულთა სამართლებრივი გარანტიების განმტკიცება პატიმრობის კოდექსით გათვალისწინებული საჩივრების პროცედურების ხელმისაწვდომობის შენარჩუნებით და ცნობიერების ამაღლებით.

**2016 წლის ბიუჯეტის კანონში აღნიშნული 27 01 პროგრამისთვის გამოყოფილია ასიგნებები** 144,594.0 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო კანონში შეტანილი ცვლილების შემდეგ - 135,594.0 ათასი ლარი. 2017 წლის ბიუჯეტის კანონში კი - 131,970.0 ათასი ლარი. **ასიგნებების ძირითადი წილი მოდის ქვეპროგრამაზე „პენიტენციური სისტემის პოლიტიკის შემუშავება, მართვა და ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ყოფითი პირობების გაუმჯობესება“ (პროგრამული კოდი 27 01 01).** აღნიშნული ქვეპროგრამისთვის 2016 წლის ბიუჯეტის კანონის შესაბამისად განისაზღვრა 122 994,0 ათასი ლარი და ცვლილებების შემდგომ 115 094,0 ათასი ლარი, ხოლო 2017 წლისათვის - 112 670,0 ათასი ლარი.

**ათას ლარებში**

| დასახელება | 2016 წლის დამტკიცებული | 2016 წლის ცვლილება | 2016 წლის დაზუსტებული | 2017 წლის დამტკიცებული | 2017 წლის დაზუსტებული |
|---|---|---|---|---|---|
| პროგრამული კოდი 27 01 | | | | | |
| **საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პენიტენციური სისტემის ჩამოყალიბება** | **144,594.0** | **135,594.0** | **134,551.6** | **131,970.0** | **135,956.9** |
| მომუშავეთა რიცხოვნობა | 4 587 | 4 587 | 4 587 | 4 587 | 4 587 |
| **ხარჯები** | **128,194.0** | **120,294.0** | **119,213.3** | **117,170.0** | **114,528.2** |
| შრომის ანაზღაურება | 61,000.0 | 61,000.0 | 62,250.0 | 60,500.0 | 60,426.9 |
| საქონელი და მომსახურება | 63,937.0 | 56,037.0 | 54,006.4 | 53,500.0 | 50,891.3 |
| გრანტები | 7.0 | 7.0 | 7.0 | 10.0 | 10.0 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 900.0 | 900.0 | 952.0 | 960.0 | 1,060.0 |
| სხვა ხარჯები | 2,350.0 | 2,350.0 | 1,997.9 | 2,200.0 | 2,140.0 |
| **არაფინანსური აქტივების ზრდა** | **16,400.0** | **15,300.0** | **15,283.8** | **14,800.0** | **21,034.9** |
| **ვალდებულებების კლება** | **0.0** | | **54.6** | | **393.8** |
| **27 01 01 - პენიტენციური სისტემის პოლიტიკის შემუშავება, მართვა და ბრალდებულ/ მსჯავრდებულთა ყოფითი პირობების გაუმჯობესება** | **122,994.0** | **115,094.0** | **114,198.7** | **112,670.0** | **110,242.0** |
| მომუშავეთა რიცხოვნობა | 4,587 | 4,587 | 4,587 | 4,587 | 4,587 |
| **ხარჯები** | **122,994.0** | **115,094.0** | **114,198.7** | **112,670.0** | **110,242.0** |
| შრომის ანაზღაურება | 61,000.0 | 61,000.0 | 62,250.0 | 60,500.0 | 60,426.9 |
| საქონელი და მომსახურება | 58,737.0 | 50,837.0 | 48,991.8 | 49,000.0 | 46,211.3 |
| გრანტები | 7.0 | 7.0 | 7.0 | 10.0 | 10.0 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 900.0 | 900.0 | 952.0 | 960.0 | 1,060.0 |
| სხვა ხარჯები | 2,350.0 | 2,350.0 | 1,997.9 | 2,200.0 | 2,140.0 |
| **ვალდებულებების კლება** | | | **54.6** | | **393.8** |
| **27 01 02- ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა ექვივალენტური სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა** | **5,200.0** | **5,200.0** | **5,014.5** | **4,500.0** | **4,680.0** |
| **27 01 03 - პენიტენციური სისტემის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება** | **16,400.0** | **5,300.0** | **15,283.8** | **14,800.0** | **21,034.9** |

**2016 წლის სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სამოქმედო გეგმაში პრიორიტეტისთვის (6)** „საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პენიტენციური სისტემის ჩამოყალიბება ზრდასრულთათვის“ განსაზღვრულია სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსება 144 594.0 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო ფაქტობრივი შესრულების მიხედვით დახარჯულია 134 155.8 ათასი ლარი, საიდანაც 133 377,9 ათასი სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებებია, ხოლო 777,9 ათასი ლარი დონორის დაფინანსება (არ არის მითითებული დონორი). *აღნიშნული ფაქტობრივი შესრულება 10 138,2 ათასი ლარით ნაკლებია სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე.*

**პროგრამაზე (6.2)** (კერძოდ, მის **ქვეპროგრამაზე 6.2.1.** „პენიტენციური სისტემის ადმინისტრირების სრულყოფა“) „სასჯელაღსრულების დაწესებულებების ადმინისტრირების გაუმჯობესება“ განისაზღვრა 96,753.0 ათასი ლარი, ხოლო ფაქტობრივი შესრულების მიხედვით - 94,829.5 ათასი ლარი; *1923.5 ათასი ლარით ნაკლები.*

**პროგრამაზე (6.3)** „პატიმრობის პირობების გაუმჯობესება“ – 45,891.0 ათასი ლარი, ფაქტობრივი შესრულებით კი - 38,019.6 ათასი ლარი (მ.შ 777,9 ათასი ლარი დონორის დაფინანსება); *7,871.4 ათასი ლარით ნაკლები.*

**პროგრამაზე (6.4)** „მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია“ – 1,900 ათასი ლარი, ფაქტობრივი შესრულებით კი - 1,306.76 ათასი ლარი; *593.24 ათასი ლარით ნაკლები.*

**პროგრამაზე (6.5)** „პირობით ვადამდე გათავისუფლების მექანიზმის დახვეწა და ადგილობრივი საბჭოს საქმიანობა“ - არ არის თანხა განსაზღვრული.

**პროგრამაზე (6.6)** „პატიმართა სამართლებრივი გარანტიების გაძლიერება“ – 50,0 ათასი ლარი, ფაქტობრივი შესრულებით კი - თანხა არ არის მითითებული.

სამინისტროს 2016 წლის მთლიანი გადახდების (143,029.4 ათასი ლარის) 47%-ს მოიცავს შრომის ანაზღაურება. სამინისტროს სისტემაში შრომის ანაზღაურების 99,7% მოდის პროგრამულ კოდზე 27 01 01 – „და სსიპ „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოზე“ (პროგრამული კოდი 27 02 – „სრულყოფილი პრობაციის სისტემა“).

**ქვეპროგრამისთვის** „პენიტენციური სისტემის პოლიტიკის შემუშავება, მართვა და ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ყოფითი პირობების გაუმჯობესება“ ბიუჯეტის კანონის შესაბამისად განსაზღვრულია 4 587 საშტატო ერთეული. მიუხედავად იმისა, რომ რაოდენობის ზრდა არ მომხდარა, წლის განმავლობაში განხორციელებული დაზუსტებების შედეგად შრომის ანაზღაურება გაზრდილია 1,250.0 ათასი ლარით. ქვეპროგრამის მთლიან დაფინანსებაში, ბიუჯეტიდან გაწეული ხარჯების ყველაზე დიდი ხვედრითი წილი ფიქსირდება „შრომის ანაზღაურების“ მუხლზე. ის ქვეპროგრამის მთლიანი დაფინანსების 54.51%-ს შეადგენს.

27 01 01 პროგრამულ კოდზე, ბიუჯეტით დამტკიცებული საშტატო რიცხოვნობა შეადგენდა 4,587 ერთეულს, წლის განმავლობაში, ფაქტობრივად, დასაქმებულთა საშუალო რიცხოვნობა - 3,799 ერთეულს, ვაკანსიების შედეგად აუთვისებელი თანხებით ხდებოდა პრემია-დანამატების გაცემა. 26 შემთხვევაში მოხდა დანამატის თანამდებობრივ სარგოზე 2-ჯერ მეტი ოდენობით გაცემა, ხოლო 2 შემთხვევაში მოხდა მაქსიმალური ოდენობის 6,250 ლარის (თანამდებობრივ სარგოზე 2,3-ჯერ მეტი) დანამატის წლის განმავლობაში ყოველთვიური გაცემა, რაც თავისი ყოველთვიური შინაარსიდან გამომდინარე უფრო თანამდებობრივი სარგოს ხასიათს ატარებს, ვიდრე დანამატის. აღნიშნული დანამატების გაცემა სამინისტროს მხრიდან დასაბუთებულია ზეგანაკვეთური ან/და განსაკუთრებულად საპასუხისმგებლო სამუშაოს შესრულებით. აღსანიშნავია, რომ სამინისტროს მიერ არ ხდება კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევა, თუმცა თანამდებობრივი სარგოსა და დანამატის გონივრული თანაფარდობა არ არის უზრუნველყოფილი.[89]

89 2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ანგარიში №39/36.

| შინაარსი | 2016 წ. | |
|---|---|---|
| **დანამატის თანამდებობრივ სარგოზე გადამეტება (ჯერ)** | 2.6 | 3 შემთხვევა (სამმართველოს უფროსი) |
| | 2.5 | შემთხვევა (დაწესებულების დირექტორის მოადგილე, პენიტენციური დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე) |
| | 2.3 | 21 შემთხვევა (დაწესებულების დირექტორი, პენიტენციური დეპარტამენტის დირექტორი/მოადგილე) |

შტატგარეშე მოსამსახურეებიდან სამინისტროს აპარატის 46, ხოლო სასწავლო ცენტრის - 14 თანამშრომელი 2 წელი და მეტი პერიოდის განმავლობაში ასრულებს ერთსა და იმავე სამუშაოს, ერთ თანამდებობრივ პოზიციაზე, რაც შესასრულებელ სამუშაოთა მუდმივ საჭიროებაზე მიუთითებს. აღნიშნული ეწინააღმდეგება საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს.[90]

2016 წლის ბიუჯეტის კანონის პრიორიტეტების და პროგრამების[91] და პროგრამული დანართის მიხედვით **„პენიტენციური სისტემის პოლიტიკის შემუშავება, მართვა და ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ყოფითი პირობების გაუმჯობესება“** (პროგრამული კოდი 27 01 01) ითვალისწინებს:

- ბრალდებულთათვის/მსჯავრდებულთათვის რბილი ინვენტარის, პირადი ჰიგიენის საგნების, ხოლო საჭიროების შემთხვევაში – შესაფერისი უნიფორმის შესყიდვას, ხარისხიანი კვებითი მომსახურების შენარჩუნებას, განათლების ხელმისაწვდომობას სახელობო და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განსაზღვრით და შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნას, მსჯავრდებულთა დასაქმებას;
- პენიტენციურ დაწესებულებებში მყოფ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სამართლებრივი გარანტიების განმტკიცებას პატიმრობის კოდექსით გათვალისწინებული საჩივრების პროცედურების ხელმისაწვდომობის შენარჩუნებით, ცნობიერების ამაღლებით და მათი უფლებების (საჩივრების, დისციპლინური და ადმინისტრაციული პროცედურების) შესახებ სრული ინფორმაციის მიწოდების უზრუნველყოფას;
- პენიტენციური სისტემის მოსამსახურეთა და სამხედრო მოსამსახურეთა უნიფორმითა და რბილი ინვენტარით უზრუნველყოფას.

*აღნიშნული პროგრამები იდენტურია 2014 და 2015 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით განსაზღვრული პროგრამებისა, რომლებიც 27 02 01 პროგრამული კოდით იყო გათვალისწინებული. კერძოდ, „საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების სისტემის ჩამოყალიბება“.*

ქვეპროგრამის განმახორციელებელია საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო.

აღნიშნული დაფინანსებულია ქვეპროგრამის - პროგრამული კოდით 27 01 01 - ფარგლებში 115,094.0 ათასი ლარის ოდენობით, რომელიც მთლიანად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსებაა. ბიუჯეტის დაზუსტების შემდეგ კი - 114,253.3 ათასი ლარით. 2016 წელს დაზუსტებული გეგმა შემცირდა დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით 840,7 ათასი ლარით. ფაქტორბივმა შესრულებამ შეადგინა 114,010.1 ათასი ლარი.[92]

პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგებია:

90 შტატგარეშე მოსამსახურე არის პირი, რომელიც დანიშვნით, ან შრომითი ხელშეკრულებით, გარკვეული ვადით მიიღება სამსახურში არამუდმივ ამოცანათა შესასრულებლად.

91 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონი, თავი V, გვ. 47

92 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები პროგრამული კლასიფიკაციის მიხედვით.

- ქმედითუნარიანი განათლების პროგრამების ამუშავებით ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა მიერ განათლების მიღების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- საწარმოო ზონის ამოქმედებით ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესის ხელშეწყობა;
- ინფორმაციის ზრდით ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ცნობიერების ამაღლება მათი უფლებების (საჩივრების, დისციპლინარული და ადმინისტრაციულ პროცედურების) შესახებ.

*აღნიშნული შუალედური შედეგები ასევე იდენტურია 2014-2015 წლების 27 02 01 პროგრამული კოდით განსაზღვრული პროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგისა.*

**27 01 01 ქვეპროგრამის შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები შედგენილია ისეთი სახით, რომ იყოს მიღწევადი, დროში გაზომვადი, შესაბამისი და კონკრეტული.** ***მაგალითად:***

**საბაზისო მაჩვენებელი** - 2015 წელს დასაქმებულ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა პროცენტულმა რაოდენობამ შეადგინა სისტემაში მყოფ ბენეფიციართა 5%; დასაქმდა საშუალოდ 537 მსჯავრდებული (როგორც სამეურნეო სამსახურში, ისე დასაქმების კერებში);

**მიზნობრივი მაჩვენებელი** - პატიმრების რაოდენობა 30%-ით გაზრდილია საბაზისო მაჩვენებელთან შედარებით, პატიმართა საერთო რაოდენობის ხვედრითი წილიდან გამომდინარე;

**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5% (დასაქმების მსურველთა მკვეთრი ზრდა ან კლება);

**შესაძლო რისკები -** სამინისტროს მიერ მიმდინარე პროცესებით წარმოქმნილი აუცილებლობით პრიორიტეტის ცვლილება.

**27 01 03 პროგრამული კოდით** “პენიტენციურ სისტემაში არსებული ინფრასტრუქტურისა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების” მიზნით შემდეგი პროგრამები განხორციელდება, რომელიც კაპიტალური ბიუჯეტის დანართშია ასახული:

- ახალი დაწესებულების მშენებლობის გაგრძელება ოზურგეთის რაიონის სოფელ ლაითურში; სარემონტო/სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარება სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს არსებულ პენიტენციურ დაწესებულებებში;
- ცალკეული დაწესებულებების აღჭურვა შესამაბამისი მანქანა-დანადგარებითა და ინვეტარით; საზოგადოებრივი მისაღების აშენება №14 დაწესებულებაში;
- №2 დაწესებულების ტერიტორიაზე ახალი საბადრაგო და სპეციალური დანიშნულების დასავლეთის სამმართველოს ბაზის შენობის აშენება;
- სახელობო, პროფესიული, საგამანათლებლო და სარეკრეაციო კურსებისა და პროგრამებისათვის აუცილებელი სატრენინგო ოთახების შექმნა.

უნდა აღინიშნოს, რომ 2016 წლის ბიუჯეტის კანონის პრიორიტეტებში[93] და პროგრამებში, ასევე პროგრამულ დანართში[94] ზემოთჩამოთვლილ პროგრამებთან ერთად კიდევ ერთი პროგრამაა გათვალისწინებული (რომელიც ასევე ასახულია 2016 წლის სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სამოქმედო გეგმაში), რომელიც არ არის ასახული კაპიტალურ დანართში:

- დაიწყება ახალი 14-21 წლამდე ახალგაზრდების დაწესებულების მშენებლობა;

ზემოხსენებული ჩამონათვალი დაფინანსებულია ქვეპროგრამის „პენიტენციური სისტემის

93 2016 წლის ბიუჯეტის კანონის პრიორიტეტებში და პროგრამებში, თავი V, გვ. 48
94 2016 წლის ბიუჯეტის კანონის პროგრამულ დანართში, გვ. 49

ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება“ (პროგრამული კოდი 27 01 03) ფარგლებში 16,400.0 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო ბიუჯეტის კანონში განხორციელებული ცვლილების შემდეგ 15,300.0 ათასი ლარის ოდენობით. ბიუჯეტის დაზუსტების შემდეგ კი - 15,283.8 ათასი ლარით. 2016 წელს დაზუსტებული გეგმა შემცირდა დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით 16,2 ათასი ლარით. ფაქტობრივმა შესრულებამ შეადგინა 15,130.3 ათასი ლარი.[95]

ქვეპროგრამის განმახორციელებელია საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო.

პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგია:

- პენიტენციურ დაწესებულებებში არსებული ინფრასტრუქტურის განახლებით საცხოვრებელი და ყოფითი პირობების გაუმჯობესება ბრალდებულთათვის/მსჯავრდებულთათვის.

პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგია:

- საერთაშორისო სტრანდარტების შესაბამისი პენიტენციური სისტემის ჩამოყალიბებისათვის შექმნილი ახალი, რეკონსტრუქცია ჩატარებული და გარემონტებული დაწესებულებები, საზოგადოებრივი მისაღებებისა და სარეაბილიტაციო პროგრამების წარმოებისათვის შესაფერისი ინფრასტრუქტურა;
- ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სრულყოფილი საცხოვრებელი და ყოფითი პირობები.

**27 01 03 ქვეპროგრამის შუალედური შედეგის შეფასების იდენტიფიკატორები შედგენილია ისეთი სახით, რომ იყოს მიღწევადი, შესაბამისი, კონკრეტული და დროში გაზომვადი. თუმცა შინაარს მოკლებულია *„ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)“. მაგალითად:***

**საბაზისო მაჩვენებელი** - №16 დაწესებულების ტერიტორიაზე საწარმოო ზონისათვის შესაფერისი ინფრასტრუქტურის მოწყობის დასრულება. ოზურგეთის რაიონის სოფელ ლაითურში ახალი პენიტენციური დაწესებულების შენობის სამშენებლო სამუშაოები შესრულებულია 80%-ით;

**მიზნობრივი მაჩვენებელი** - დასრულდება ოზურგეთის რაიონის სოფელ ლაითურში ახალი პენიტენციური დაწესებულების სამშენებლო სამუშაოები; დაიწყება 14-21 წლამდე ახალგაზრდების ახალი დაწესებულების მშენებლობა. 2016-2019 წლებში მინიმუმ 3 დაწესებულება დაემატება (№14 დაწესებულება; ლაითური და 14-21 წლამდე ახლაგაზრდების);

**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 14-21 წლამდე ახალგაზრდების დაწესებულებაში არასრულწლოვნების განთავსების შემთხვევაში გაუქმდება №11 დაწესებულება და 2016-2019 წლებში საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი 10 დაწესებულება;

**შესაძლო რისკები** - სამინისტროს მიერ მიმდინარე პროცესებით წარმოქმნილი აუცილებლობით პრიორიტეტის ცვლილება.

- ➢ მე-11 დაწესებულების გაუქმებას რა მაჩვენებელში შეაქვს ცდომილება?! „2016-2019 წლებში საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი 10 დაწესებულება“ - რა ცდომილებაზე მიგვითითებს? რამდენი უნდა ყოფილიყო?

**27 01 03 ქვეპროგრამის საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები შედგენილია ისეთი სახით, რომ იყოს მიღწევადი, ნაწილობრივ გაზომვადი, არ არის კონკრეტული. *მაგალითად:***

**საბაზისო მაჩვენებელი** - 15 მოქმედი დაწესებულებებიდან 8 საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი. გაიხსნა ერთი საწარმოო ზონა;

**მიზნობრივი მაჩვენებელი** - 2016 წელს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პირობებით 9

95 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები პროგრამული კლასიფიკაციის მიხედვით.

დაწესებულებაში უზრუნველყოფილი ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა რაოდენობა; საწარმოო ზონაში 40 მსჯავრდებულის დასაქმება;

**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - საწარმოო ზონაში 40 მსჯავრდებულის დასაქმება ვერ მოხერხდა;

**შესაძლო რისკები** - სამინისტროს მიერ მიმდინარე პროცესებით წარმოქმნილი აუცილებლობით პრიორიტეტის ცვლილება.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნული პროექტის საბოლოო შეფასების ინდიკატორები, პროგრამის „საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პენიტენციური სისტემის ჩამოყალიბება" (პროგრამული კოდი 27 01) ფარგლებში, ჩამოყალიბებულია ძალიან კონკრეტულად, ისე, რომ იყოს დროში გაზომვადი და მიღწევადი. *მაგალითად:*

**საბაზისო მაჩვენებელი** - სისტემაში მოქმედია 15 პენიტენციური დაწესებულება, აქედან 8 მათგანი შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებს. საანგარიშო პერიოდში განთავსებულია - 1 150 მ.შ 820 ზრდასრული მამაკაცი, 284 ქალი და 46 არასრულწლოვანი;

**მიზნობრივი მაჩვენებელი** - 2016 წელს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის პირობებს შეესაბამება 9 დაწესებულება, 2 400 მსჯავრდებული და ბრალდებული;

**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; მსჯავრდებულთა/ბრალდებულთა საშუალო რიცხოვნობის ცვლილება;

**შესაძლო რისკები** - სამინისტროს მიერ მიმდინარე პროცესებით წარმოქმნილი აუცილებლობით პრიორიტეტის ცვლილება.

**2016 წლის პრიორიტეტების და პროგრამების შესრულების ანგარიშის[96] მიხედვით შესრულდა შემდეგი (27 01 01 პროგრამული კოდი):**

- პენიტენციურ დაწესებულებებში ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის მიზნით განახლდა რიგი პროფესიული, სახელობო და საგანმანათლებლო სასწავლო პროგრამები, სადაც დაფიქსირდა 1 342 მონაწილე, მათ შორის 88 არასრულწლოვანი და 177 ქალი მსჯავრდებული;
- ➢ სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სამოქმედო გეგმის მიხედვით საგანმანათლებლო პროფესიულ პროგრამებში საანგარიშო პერიოდისათვის ჩართული იყო 1 325 მსჯავრდებული, რაც წარმოადგენს მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობის 16 პროცენტს. ეს მაჩვენებელი 17-ით ნაკლებია შესრულების ანგარიშში მითითებული ციფრზე;
- ფსიქო-სოციალურ სარეაბილიტაციო პროგრამებში და ფსიქო-სოციალურ ტრენინგებში დაფიქსირდა 1 466 მონაწილე, მათ შორის 142 არასრულწლოვანი და 286 ქალი მსჯავრდებული;
- ➢ 2016 წელს ფსიქო-სოციალურ საინფორმაციო და სარეაბილიტაციო პროგრამებში ჩართული იყო 1437 მსჯავრდებული, მათ შორის: ჯგუფურ ინტერვენციებში 437 (12 სახის პროგრამა), სხვადასხვა სახის არტ თერაპიაში - 178 (4 სახის პროგრამა), ფსიქო-სოციალურ ტრენინგებში - 822 ბენეფიციარი (26 სახის პროგრამა). აღნიშნული მაჩვენებელი ნაკლებია ბიუჯეტის კანონის შესრულების ანგარიშში მითითებულ ციფრთან შედარებით 29 მონაწილით.
- კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებში, ინტელექტუალურ და შემეცნებით შეხვედრებში და კონკურსებში დაფიქსირდა 1 016 მონაწილე, მათ შორის 246 არასრულწლოვანი და 111 ქალი მსჯავრდებული;

96 2016 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშები, თავი V - საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტების და პროგრამების ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებები.

- ყოველწლიურად ახლდება ყველა პენიტენციური დაწესებულების ბიბლიოთეკის წიგნის ფონდი. 2016 წელს კულტურულ ღონისძიებებში და სპორტულ წვრთნაში მონაწილეობა მიიღო 3813-მა მსჯავრდებულმა:
- ინტელექტუალური და შემეცნებითი შეხვედრები -587;
- კონკურსები - 282;
- თეატრალური დასი - 62;
- სპორტული წვრთნა - 52.

ამის გარდა დაწესებულებებში გაიმართა 292 კულტურული და 41 სპორტული ღონისძიება. სისხლის სამართლის სამოქმედო გეგმაში აღნიშნული ქვეპროგრამის შედეგები შეიცავს უზუსტობებს. მონაწილე მსჯავრდებულთა მითითებული ჯამური რაოდენობა არ შეესაბამება ცალკეულ აქტივობებში მონაწილეთა რაოდენობების ჯამს. უკანასკნელი 33-ით ნაკლებია ბიუჯეტის კანონში მითითებულ ციფრთან შედარებით;

- დასაქმდა 726 მსჯავრდებული, მათ შორის 79 ქალი;

- მსჯავრდებულებს პენიტენციურ სისტემაში 3 მიმართულებით აქვთ დასაქმების შესაძლებლობა:

1. სამეურნეო სამსახური - 2016 წელს დასაქმებული იყო 628 მსჯავრდებული, მათ შორის 28 ქალი;
2. დასაქმების მინი კერები და სამეწარმეო საქმიანობა - 3 დაწესებულებაში ფუნქციონირებს სადალაქოები, დასაქმებულია 5 მსჯავრდებული; №15 და №16 დაწესებულებებში გაიხსნა პურის საცხობი და მასში დასაქმებულია 18 მსჯავრდებული. №8 და №14 დაწესებულებებში მიმდინარეობს საცხობის მშენებლობა; №5 ქალთა დაწესებულებაში ფუნქციონირებს სამკერვალო სალონი, 2016 წელს დასაქმდა 35 მსჯავრდებული ქალი;
3. ინდივიდუალური საქმიანობის შედეგად შექმნილი ნაკეთობების რეალიზაცია -მიმდინარე წლის ივლისის თვეში სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ინიციატივით შეიქმნა ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ხელნაკეთი ნივთების გაყიდვების ვებ-გვერდი. ინდივიდუალური საქმიანობით დაკავდა და მიკრო ბიზნესის წარმომადგენლად დარეგისტრირდა 40 მსჯავრდებული. გასაყიდად წარმოდგენილი ხელნაკეთი ნივთები განთავსებულია სპეციალურად შექმნილ გაყიდვების ვებ-გვერდზე online.moc.gov.ge. მიმდინარეობს რეალიზაცია. სისხლის სამართლის სამოქმედო გეგმის მიხედვით აღნიშნულის დასაფინანსებლად გამოყოფილია სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები 1 306,76 ათასი ლარის ოდენობით;

- პენიტენციური დეპარტამენტის, პენიტენციური დაწესებულებების სპეციალური წოდების მქონე, სოციალური სამსახურის თანამშრომელთა და სავალდებულო სამხედრო მოსამსახურეთა 100% უზრუნველყოფილ იქნა სამედიცინო დაზღვევით, მათი სოციალური დაცულობის გაუმჯობესების მიზნით;
- მოქალაქეთა მომსახურეობის გაუმჯობესების მიზნით შექმნილ საზოგადოებრივ მისაღებებში საანგარიშო პერიოდში გაწეულ იქნა 198.4 ათას მომსახურებაზე მეტი;

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს №14 პენიტენციურ დაწესებულებასთან დასრულდა საზოგადოებრივი მისაღების მშენებლობა და მისი ამოქმედება იგეგმება უახლოეს პერიოდში. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე moc.gov.ge ონლაინ დახმარების სერვისი ამოქმედდა. ამ სერვისის სრულად და გამართულად მუშაობისათვის გადამზადება გაიარა საზოგადოებრივი მისაღების 22-მა თანამშრომელმა. სამოქმედო გეგმის შესაბამისად აღნიშნული დაფინანსდა 204,16 ათასი ლარის ოდენობით;

- 2016 წელს ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა უფლებების შესახებ ტრენინგი გაიარა 513-მა მსჯავრდებულმა, მათ შორის არასრულწლოვანმა ბრალდებულებმა/მსჯავრდებულებმა

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიხედვით, ხოლო ქალმა მსჯავრდებულებმა - ბანგკოკის წესების გათვალისწინებით;

- პენიტენციური სისტემაში უზრუნველყოფილია განახლებული სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები და ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა კვების ნორმები, რომელიც 12 განსხვავებულ რაციონს აწესებს სხვადასხვა საჭიროების მქონე პატიმართა ჯგუფებისთვის 3-ჯერადი კვებით;

➢ 2016 წლის 24 ივნისს გამოიცა ბრძანება საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მიერ, ბრძანებაში - ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა კვების ნორმებისა და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების განსაზღვრის შესახებ - ცვლილებების შეტანის თაობაზე. წლის განმავლობაში ბრალდებულებს/მსჯავრდებულებს უწყვეტად, დადგენილი ნორმებისა და სტანდარტების შესაბამისად მიეწოდათ კვებითი მომსახურება;

➢ სამინისტროს შესაბამისი სამსახურები ხელმძღვანელობენ არსებული სტანდარტებისა და ნორმების შესაბამისად და ბრალდებულები/მსჯავრდებულები უზრუნველყოფილნი არიან აუცილებელი რბილი ინვენტარითა და პირადი ჰიგიენისათვის საჭირო საშუალებებით;

➢ სამოქმედო გეგმის შესაბამისად, აღნიშნული დაფინანსდა 17 268,6 ათასი ლარის ოდენობით.

**დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი:**[97]

1. **საბაზისო მაჩვენებელი** - ნორმატივებით განსაზღვრული რაციონისა და კალორიულობის დაცვით სამჯერადი კვების რეჟიმით უზრუნველყოფილი ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა პროცენტული რაოდენობა - 100%;

**მიზნობრივი მაჩვენებელი** - შენარჩუნებულია ნორმატივებით განსაზღვრული რაციონისა და კალორიულობის დაცვით სამჯერადი კვების რეჟიმით ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა 100%-სთვის;

**მიღწეული მაჩვენებელი** - ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა 100%-სთვის შენარჩუნებული სამჯერადი კვების რეჟიმი ნორმატივებით განსაზღვრული რაციონისა და კალორიულობის დაცვით;

2. **საბაზისო მაჩვენებელი** - პენიტენციურ სისტემაში მსჯავრდებულები/ბრალდებულები უზრუნველყოფილი არიან ჰიგიენური საშუალებებით;

**მიზნობრივი მაჩვენებელი** - შენარჩუნებულია საბაზისო მაჩვენებელი ყველა არსებულ პენიტენციურ დაწესებულებაში;

**მიღწეული მაჩვენებელი** - პენიტენციურ სისტემაში ბრალდებულებისათვის/მსჯავრდებულებისათვის შენარჩუნებულია ჰიგიენური საშუალებებით უზრუნველყოფა;

3. **საბაზისო მაჩვენებელი** - 2015 წელს დასაქმებულ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა პროცენტულმა რაოდენობამ შეადგინა სისტემაში მყოფ ბენეფიციართა 5%; დასაქმდა საშუალოდ 537 მსჯავრდებული (როგორც სამეურნეო სამსახურში, ისე დასაქმების კერებში);

**მიზნობრივი მაჩვენებელი** - პატიმრების რაოდენობა 30%-ით გაზრდილია საბაზისო მაჩვენებელთან შედარებით, პატიმართა საერთო რაოდენობის ხვედრითი წილიდან გამომდინარე;

**მიღწეული მაჩვენებელი** - დასაქმებულ მსჯავრდებულთა 35%-ით გაზრდილი რაოდენობა 2015 წლის მონაცემთან შედარებით;

4. **საბაზისო მაჩვენებელი** - პ 18% -1 924 მსჯავრდებული;

97 ინფორმაცია 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების შესრულების შესახებ.

**მიზნობრივი მაჩვენებელი** - პატიმრების რაოდენობა 30%-ით გაზრდილია საბაზისო მაჩვენებელთა შედარებით, პატიმართა საერთო რაოდენობის ხვედრითი წილიდან გამომდინარე;

**მიღწეული მაჩვენებელი** - პროფესიული, სახელობო, საგანმანათლებლო, სარეაბილიტაციო და ფსიქო-სოციალურ პროგრამებსა და ტრენინგებში მონაწილე მსჯავრდებულთა 31%-ით გაზრდილი რაოდენობა 2015 წელთან შედარებით.

- 2016 წლის პრიორიტეტების და პროგრამების შესრულების ანგარიშის მიხედვით პროფესიული, სახელობო, საგანმანათლებლო, სარეაბილიტაციო პროგრამებში დაფიქსირდა 1342 მონაწილე, ხოლო ფსიქო-სოციალურ პროგრამებსა და ტრენინგებში 1466. სისხლის სამართლის სამოქმედო გეგმის მიხედვით კი, შესაბამისად, 1325 და 1437 მონაწილე.

**2016 წლის კაპიტალური პროგრამების[98] (პროგრამული კოდი 27 01 03) ფარგლებში კი შესრულდა შემდეგი:**

პენიტენციურ სისტემაში არსებული ინფრასტრუქტურის სრულყოფისა და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისი დაწესებულებების შექმნის მიზნით:

- მიმდინარე და კაპიტალური სარემონტო - სამშენებლო სამუშაოები ჩაუტარდა და შესაბამისი მანქანა-დანადგარებით აღიჭურვა 12 პენიტენციური დაწესებულება და მათ ტერიტორიაზე არსებული შენობა-ნაგებობები;

- ქუთაისის №2 დაწესებულებაში გარემონტდა დაწესებულების მოკლევადიანი პაემნების ოთახები, „დ“ სარეჟიმო შენობის საევაკუაციო კიბეს ჩაუტარდა სარეკონტრუქციო სამუშაოები; საჭიროების მიხედვით ნაწილობრივ გარემონტდა საკნები;
- ბათუმის №3 მაღალი რისკის დაწესებულებაში დასრულდა პირველი სართულის სარემონტო სამუშაოები; სახალხო დამცველის რეკომენდაციის შესაბამისად, გადატვირთულობის პრობლემის მოხსნის მიზნით, ჩატარდა სამუშაოები და საკნებში 2 სართულიანი საწოლები გადაკეთდა 1 სართულიან საწოლებად, იმგავარად, რომ დაცული ყოფილიყო თითო პატიმრისათვის მინიმუმ 4 კვ.მ საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილების პირობა;
- №5 ქალთა დაწესებულებაში კაპიტალურად გარემონტდა დაწესებულების საკნები;
- გრძელვადიანი პაემნების შენობის ასაშენებლად №8 დაწესებულებაში შერჩეულ იქნა მიწის ნაკვეთი და მოეწყო მავთულბადის ღობე;
- თბილისის №9 და რუსთავის №16 დაწესებულებებში ჩატარდა დაწესებულების ტერიტორაზე რკინა-ბეტონის ღობის სამშენებლო სამუშაოები;
- №9 დაწესებულების ტერიტორიაზე განთავსებული ორსართულიანი სარეჟიმო შენობის კაპიტალური სარემონტო სამუშაოების ძირითადი ნაწილი;
- რუსთავის №16 დაწესებულების სასადილოს შენობაში მოეწყო კულინარიის შემსწავლელი კურსებისათვის შესაბამისი ინფრასტრუქტურა;
- №9, №2, №5, №6 და №16 პენიტენციურ დაწესებულებებში კაპიტალურად გარემონტდა საშხაპე ოთახები;
- №12 და №19 დაწესებულებებში კაპიტალურად გარემონტდა სამეურნეო ნაწილში ჩარიცხული მსჯავრდებულთა საცხოვრებელი შენობა, სადაც მოეწყო საშხაპე ოთახები და სასადილო ოთახი.

98 2016 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშები, თავი V - საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტების და პროგრამების ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებები.

აღნიშნული სამუშაოებისთვის 2016 წლის სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სამოქმედო გეგმის მიხედვით განისაზღვრა 12 059,13 ათასი ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები და ასევე 777,9 ათასი ლარი დონორის დაფინანსება;

- ექსპლუატაციაში შევიდა №6 პატიმრობისა და განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება;

- №8 და №14 დაწესებულებებში აშენდა პურის საცხობი; №15 და №16 დაწესებულებებში კი შეიქმნა პურის საცხობისათვის შესაბამისი ინფრასტრუქტურა;

➢ №15 და №16 დაწესებულებებში გაიხსნა პურის საცხობი და მასში დასაქმებულია 18 მსჯავრდებული. №8 და №14 დაწესებულებებში მიმდინარეობს საცხობის მშენებლობა; შეუსაბამობაა სისხლის სამართლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშსა და ბიუჯეტის კანონის შესრულების ანგარიშს შორის. გაურკვეველია რეალურად თუ რომელ დაწესებულებაში დასრულდა პურის საცხობის მშენებლობა. რეალურად დასაქმდნენ თუ არა მსჯავრდებულები აღნიშნულ საცხობებში;

- დასრულდა ახალი სასაწყობე შენობის და სამინისტროს ადმინისტრაციული შენობის მისაღების არქიტექტურული და მასთან დაკავშირებული მომსახურებები და №14 დაწესებულების მისაღების მშენებლობა;

➢ სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები 204,16 ათასი ლარის ოდენობით;

- პენიტენციური სისტემის ხუთი დაწესებულება აღიჭურვა სხვადასხვა ტიპის სკანერებითა და მეტალო-დეტექტორებით, მათ შორის №5 ქალთა სპეციალური დაწესებულება;

- გრძელდებოდა 2012 წელს დაწყებული ახალი დაწესებულების მშენებლობა დაბა ლაითურში;

➢ არ არის ასახული სამოქმედო გეგმაში;

- დასრულდა 14-21 წლამდე მსჯავრდებულთა პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის ახალი დაწესებულების კომპლექსის საპროექტო-საინჟინრო სამუშაოები;

➢ არ არის ასახული სამოქმედო გეგმაში;

- ევროპის საბჭოს მიერ დაფინანსებული გრანტის ფარგლებში პენიტენციური დაწესებულებებისთვის შეძენილ იქნა სამედიცინო აპარატურა.

2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის შესრულების ანგარიშში არ არის ასახული შემდეგი პროექტები (რომლებიც ასახულია სისხლის სამართლის სამოქმედო გეგმაში): ქალთა №5 დაწესებულებაში ექსპლუატაციაში შევიდა გრძელვადიანი პაემნების ახლად აშენებული შენობა, ხოლო ამავე დანიშნულების შენობის ასაშენებლად №8 დაწესებულებაში შერჩეულ იქნა მიწის ნაკვეთი და მოეწყო მავთულბადის ღობე. მათთვის 39,2 ათასი ლარის ასიგნებებია გათვალისწინებული.

**დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორია:**[99]

**საბაზისო მაჩვენებელი** - №16 დაწესებულების ტერიტორიაზე საწარმოო ზონისათვის შესაფერისი ინფრასტრუქტურის მოწყობის დასრულება. ოზურგეთის რაიონის სოფელ ლაითურში ახალი პენიტენციური დაწესებულების შენობის სამშენებლო სამუშაოები შესრულებულია 80%-ით;

**მიზნობრივი მაჩვენებელი** - დასრულდება ოზურგეთის რაიონის სოფელ ლაითურში ახალი პენიტენციური დაწესებულების სამშენებლო სამუშაოები; დაიწყება 14-21 წლამდე ახალგაზრდების

99 ინფორმაცია 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების შესრულების შესახებ.

ახალი დაწესებულების მშენებლობა. 2016-2019 წლებში მინიმუმ 3 დაწესებულების დამატება (№14 დაწესებულება, ლაითური და 14-21 წლამდე ახლაგაზრდების);

**მიღწეული მაჩვენებელი** - ოზურგეთის რაიონის სოფელ ლაითურში მიმდინარეობს ახალი პენიტენციური დაწესებულების სამშენებლო სამუშაოები; დასრულებულია ახალი 14-21 წლამდე ახალგაზრდების პენიტენციური დაწესებულების კომპლექსის საპროექტო-საინჟინრო სამუშაოები;

**ცდომილების მაჩვენებელი (% აღწერა)** და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებაზე:

2016 წელს ლაითურში ახალი პენიტენციური დაწესებულების მშენებლობა შეფერხდა 2015 წლის განმავლობაში მშენებლობის ხარისხის დასადგენად ჩატარებელი ექსპერტიზის დასკვნის გამო. 14-21 წლამდე ახალგაზრდების პენიტენციური დაწესებულების კომპლექსის საპროექტო-საინჟინრო სამუშაოები დასრულდა დაგვიანებით 2016 წლის მესამე კვარტლის ბოლოს, შესაბამისად, მშენებლობის სამუშაოების დაწყება შეფერხდა.

**2016 წელს ბიუჯეტის გადასახდელები პროგრამული კოდისთვის 27 01 01 შესრულდა 99.79%-ით, ხოლო პროგრამული კოდისთვის 27 01 03 - 98.99%-ით.**

**2017 წლის სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სამოქმედო გეგმაში პრიორიტეტისთვის (6)** „საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პენიტენციური სისტემის ჩამოყალიბება ზრდასრულთათვის“ განსაზღვრულია სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსება 131 970.0 ათასი ლარის ოდენობით;

**პროგრამაზე (6.2)** (კერძოდ მის **ქვეპროგრამაზე 6.2.1.** „პენიტენციური სისტემის ადმინისტრირების სრულყოფა“) „სასჯელაღსრულების დაწესებულებების ადმინისტრირების გაუმჯობესება“ განისაზღვრა 88,650.0 ათასი ლარი;

**პროგრამაზე (6.3)** „პატიმრობის პირობების გაუმჯობესება“ – 41,970.0 ათასი ლარი;

**პროგრამაზე (6.4)** „მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია“ – 1,300 ათასი ლარი;

**პროგრამაზე (6.5)** „პირობით ვადამდე გათავისუფლების მექანიზმის დახვეწა და ადგილობრივი საბჭოს საქმიანობა“ - არ არის თანხა განსაზღვრული;

**პროგრამაზე (6.6)** „პატიმართა სამართლებრივი გარანტიების გაძლიერება“ – 50,0 ათასი ლარი.

**2017 წელს სამინისტროს აპარატის მიერ „შრომის ანაზღაურების“** მუხლით გაწეულია 60,411.75 ათასი ლარის საკასო ხარჯი. შრომის ანაზღაურების სახით გაწეული ხარჯი წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში.

| | |
|---|---|
| **შრომის ანაზღაურება** | 60 411 753,00 |
| **თანამდებობრივი სარგო** | 51 357 907,00 |
| **წოდებრივი სარგო** | 848,78 |
| **პრემია** | 2 096 033,00 |
| **დანამატი** | 6 109 032,00 |

სამინისტროს აპარატის 2017 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული საშტატო რიცხოვნობა შეადგენდა 4587 ერთეულს (2017 წლის თებერვალში საშტატო ნუსხაში განხორციელებული ცვლილებით, რაოდენობა 4135 ერთეულამდე შემცირდა, თუმცა შრომის ანაზღაურების ფონდი დარჩა უცვლელი), ფაქტობრივი საშტატო რიცხოვნობა კი - 3762 ერთეულს. „დანამატის" მუხლით წლის განმავლობაში გაცემულია 6,109.03 ათასი ლარი. მაქსიმალური ოდენობის დანამატი შეადგენდა 6,250 ლარს. რამდენიმე შემთხვევაში აღნიშნული ოდენობის დანამატი ყოველთვიურად გაიცემოდა.[100] თანამდებობრივ სარგოზე ორმაგი და მეტი ოდენობის დანამატი გაცემულია 175 შემთხვევაში. დანამატების გაცემა სამინისტროს მხრიდან დასაბუთებულია ზეგანაკვეთური ან/და განსაკუთრებულად საპასუხისმგებლო სამუშაოს შესრულებით. აღსანიშნავია, რომ სამინისტროს მიერ არ ხდებოდა კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევა, თუმცა, სახეზე იყო დანამატის თანამდებობრივ სარგოსთან თანაფარდობის მაღალი მაჩვენებელი (რაც 2018 წლიდან მინისტრის ბრძანებით დარეგულირდა და მნიშვნელოვნად შემცირდა). შედეგად, ფიქსირებული ოდენობის დანამატის ყოველთვიური დანიშვნა, თავისი შინაარსიდან გამომდინარე, უფრო თანამდებობრივი სარგოს ხასიათს ატარებდა, ვიდრე დანამატის.[101]

2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პრიორიტეტებსა და პროგრამებში **„პენიტენციური სისტემის პოლიტიკის შემუშავება, მართვა და ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ყოფითი პირობების გაუმჯობესება" (პროგრამული კოდი 27 01 01)** ითვალისწინებს შემდეგს:

- ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ყოფითი (საცხოვრებელი) პირობების გასაუმჯობესებლად ბრალდებულთათვის/მსჯავრდებულთათვის რბილი ინვენტარის, პირადი ჰიგიენის საგნების, ხოლო საჭიროების შემთხვევაში უნიფორმის შესყიდვა;
- ხარისხიანი კვებითი მომსახურების შენარჩუნება;
- განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- პენიტენციურ დაწესებულებებში მყოფ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სამართლებრივი გარანტიების გაძლიერება, პატიმრობის კოდექსით გათვალისწინებული საჩივრების პროცედურების ხელმისაწვდომობის შენარჩუნება;
- პატიმართა უფლებების (საჩივრების, დისციპლინური და ადმინისტრაციული პროცედურების) შესახებ მათი ცნობიერების ამაღლება და სრული ინფორმირების უზრუნველყოფა;
- პენიტენციური სისტემის თანამშრომელთა და სავალდებულო სამხედრო მოსამსახურეების უნიფორმითა და რბილი ინვენტარით უზრუნველყოფა;
- მსჯავრდებულთა დასაქმების ხელშეწყობა.

*აღნიშნული პრიორიტეტები და პროგრამები იდენტურია 2016 წლის ბიუჯეტის კანონში ჩამოყალიბებული პროგრამებისა, მოლოდ ერთის გამოკლებით - განათლების ხელმისაწვდომობა სახელობო და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განსაზღვრით და შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნა, მსჯავრდებულთა დასაქმება.*

აღნიშნული დაფინანსებულია ქვეპროგრამის - პროგრამული კოდით 27 01 01 - ფარგლებში, 112,670.0 ათასი ლარის ოდენობით, რომელიც მთლიანად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსებაა. ბიუჯეტის დაზუსტების შემდეგ კი - 110,242.0 ათასი ლარით. 2017 წელს დაზუსტებული გეგმა შემცირდა დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით 2 428,0 ათასი ლარით. ფაქტობრივმა შესრულებამ შეადგინა 109,972.6 ათასი ლარი.[102]

---

100 დაწესებულების დირექტორებზე, თუმცა 8-დან 7 შემთხვევაში, შვებულებაში ყოფნის გამო, გაცემულია დანიშნულზე ნაკლები ოდენობის დანამატი.

101 სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ანგარიში №46/36, 20 ივლისი, 2018 წელი.

102 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები პროგრამული კლასიფიკაციის მიხედვით.

ქვეპროგრამის განმახორციელებელია საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო.

პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგია:

- ქმედითუნარიანი განათლების პროგრამების ამუშავებით ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა მიერ განათლების მიღების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- საწარმოო ზონების ამოქმედებით ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესის ხელშეწყობა;
- ინფორმაციულობის ზრდით ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ცნობიერების ამაღლება მათი უფლებების (საჩივრების, დისციპლინარული და ადმინისტრაციული პროცედურების) შესახებ.

*აღნიშნული შუალედური შედეგები ასევე იდენტურია 2016 წლის 27 01 01 პროგრამული კოდით განსაზღვრული პროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგისა.*

**27 01 01 ქვეპროგრამის შუალედური შედეგის შეფასებისათვის ჩამოყალიბებულია 5 ინდიკატორი. მათ შორისაა ისეთი ინდიკატორები, სადაც შეუძლებელია დადგინდეს თუ რა განსხვავებაა საბაზისო მაჩვენებელსა და მიზნობრივ მაჩვენებელს შორის. არის ისეთებიც, სადაც არ არის მითითებული მიზნის ამსახველი კონკრეტული მაჩვენებელი და არის მხოლოდ ზოგადი აღწერა. მაგალითად:**

1. **საბაზისო მაჩვენებელი** - 2015 წელს განხორციელებელი რეფორმის შედეგად სისტემის მართვა გახდა უფრო ეფექტური; სამინისტროს მიერ შემუშავებულია საკანონმდებლო პაკეტი: 1. ცვლილებები პატიმრობის კოდექსში: გათავისუფლებისთვის მოსამზადებელი თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების შესაქმნელად და დაბალი რისკის მქონე მსჯავრდებულთათვის უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე (ბაკალავრიატი) განათლების მიღების უფლებით სარგებლობის უზრუნველსაყოფად; 2. ცვლილებები საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში, რომლის თანახმად, სამართალდარღვევად ჩაითვლება ისეთი ქმედება, როგორიცაა პენიტენციური დაწესებულების გარე აკრძალულ ზოლში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი რეჟიმის დარღვევა;

   **მიზნობრივი მაჩვენებელი** - გაუმჯობესებულია სისტემის ეფექტური მართვა და ფუნქციონირება, ცვლილებები შესულია პატიმრობის კოდექსში: 1. გათავისუფლებისთვის მოსამზადებელი თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების შესაქმნელად; 2. დაბალი რისკის მქონე მსჯავრდებულთათვის უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე (ბაკალავრიატი) განათლების მიღების უფლებით სარგებლობის უზრუნველსაყოფად; ცვლილებები შესულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში, რომლის თანახმად, სამართალდარღვევად ითვლება ისეთი ქმედება, როგორიცაა პენიტენციური დაწესებულების გარე აკრძალულ ზოლში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი რეჟიმის დარღვევა;

   **შესაძლო რისკები** - საკანონმდებლო ორგანოს მიერ კანონში შესაბამის ცვლილებაზე უარი;

2. **საბაზისო მაჩვენებელი** - საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 22 დეკემბრის №157 ბრძანებით განისაზღვრა მსჯავრდებულის მიერ სამეურნეო სამუშაოების შესრულების და მისთვის ანაზღაურების მიცემის წესი. ამ ბრძანების საფუძველზე დაწესებულებებში და სისტემაში არსებულ მინი დასაქმების კერებში 2015 წელს დასაქმებული იყო 839 მსჯავრდებული, რაც სისტემაში მყოფ ბენეფიციართა 8%-ია, ხოლო 2016 წლის ორ კვარტალში კი - 614 მსჯავრდებული, სისტემაში მყოფ ბენეფიციართა 6%-ია; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - დასაქმებულ პირთა მზარდი რაოდენობა წინა წელს დასაქმებულ პირთა ოდენობასთან მიმართებაში;

   **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5% - ჩართულობის მსურველთა კლება;

   **შესაძლო რისკები** - ბენეფიციართა რიცხოვნობის ზრდა; მსჯავრდებულთა მხრიდან ჩართულობის კლება.

**27 01 03 პროგრამული კოდით** (2017 წლისათვის) პენიტენციურ სისტემაში არსებული ინფრასტრუქტურისა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით შემდეგი პროგრამები განხორციელდება, რომელიც კაპიტალური ბიუჯეტის დანართშია ასახული:

- ოზურგეთის რაიონის სოფელ ლაითურში ახალი დაწესებულების მშენებლობის გაგრძელება;
- ახალი არასრულწლოვან ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სპეციალიზირებული და ახალგაზრდა (18-21 წელი) ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა შერეული რისკის პენიტენციური დაწესებულების მშენებლობის დაწყება;
- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს არსებულ პენიტენციურ დაწესებულებებში სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარება;
- ცალკეული დაწესებულებების შესაბამისი მანქანა-დანადგარებითა და ინვენტარით აღჭურვა;
- სახელობო, პროფესიული, საგანმანათლებლო და სარეკრეაციო კურსებისა და პროგრამებისათვის აუცილებელი სატრენინგო ოთახების შექმნა.

ზემოხსენებული ჩამონათვალი დაფინანსებულია ქვეპროგრამის „პენიტენციური სისტემის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება“ (პროგრამული კოდი 27 01 03) ფარგლებში 14,800.0 ათასი ლარის ოდენობით. ბიუჯეტის დაზუსტების შემდეგ კი - 21,034.9 ათასი ლარით. 2017 წელს დაზუსტებული გეგმა გაიზარდა დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით 6 234,9 ათასი ლარით. ფაქტობრივმა შესრულებამ შეადგინა 21,002.6 ათასი ლარი.[103]

პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგია:

- პენიტენციურ დაწესებულებებში არსებული ინფრასტრუქტურის განახლებით საცხოვრებელი და ყოფითი პირობების გაუმჯობესება ბრალდებულთათვის/მსჯავრდებულთათვის.

პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგია:

- საერთაშორისო სტრანდარტების შესაბამისი პენიტენციური სისტემის ჩამოყალიბებისათვის შექმნილი ახალი, რეკონსტრუქცია ჩატარებული და გარემონტებული დაწესებულებები, საზოგადოებრივი მისაღებებისა და სარეაბილიტაციო პროგრამების წარმოებისათვის შესაფერისი ინფრასტრუქტურა;
- ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სრულყოფილი საცხოვრებელი და ყოფითი პირობები.

**პროექტის შუალედური შეფასების ინდიკატორებიდან ერთი ჩამოყალიბებულია კონკრეტულად, დროში გაზომვადად, მიღწევადად, თუმცა მეორე ძალიან ზოგადია. რაც შეეხება საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორებს, ასევე ზოგადია. მაგალითად:**

**საბაზისო მაჩვენებელი** - მიმდინარეობს სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები პენიტენციურ სისტემაში არსებული დაწესებულებების საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოების მიზნით;

**მიზნობრივი მაჩვენებელი** - პენიტენციურ სისტემაში არსებული დაწესებულებები მიახლოებულია საერთაშორისო სტანდარტებს;

**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - სამშენებლო სამუშაოების ხარისხის დასკვნა ექსპერტიზის ეროვნული ბიუროდან;

**შესაძლო რისკები** - ჩაშლილი/არშემდგარი ელექტრონული პროცედურები.

103 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშები, V თავი, 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები პროგრამული კლასიფიკაციის მიხედვით.

**2017 წლის პრიორიტეტების და პროგრამების შესრულების[104] ანგარიშის მიხედვით შესრულდა შემდეგი (27 01 01 პროგრამული კოდი):**

- პენიტენციურ დაწესებულებებში ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის მიზნით განახლდა რიგი პროფესიული, სახელობო და საგანმანათლებლო სასწავლო პროგრამები, სადაც დაფიქსირდა 1 565 მონაწილე, მათ შორის 71 არასრულწლოვანი და 177 ქალი მსჯავრდებული;

➢ 2017 წელს მსჯავრდებულებთან 2-ჯერ ჩატარდა გამოკითხვა მათი პროფესიულ და საგანმანათლებლო კურსებში ჩართულობასთან დაკავშირებით. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო სულ 2112-მა მსჯავრდებულმა. დაიგეგმა პროფესიული სწავლება 2 ეტაპად და მასში ჩართული იყო 1567 ბენეფიციარი, 2 მონაწილით მეტი;

- ზოგად განათლების პროგრამაში დაფიქსირდა 102 მსჯავრდებულის მონაწილეობა, ხოლო უმაღლესი განათლების ხელშეწყობის პროგრამით სარგებლობდა 29 მსჯავრდებული;

➢ წელს ეროვნულ გამოცდებში მონაწილეობა მიიღო 16-მა მსჯავრდებულმა, უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობა მიეცა 14 მსჯავრდებულს/ბრალდებულს. აღნიშნული 15-ით ნაკლებია ბიუჯეტის კანონის მონაცემებთან შედარებით;

- ფსიქო-სოციალურ სარეაბილიტაციო პროგრამებში და ფსიქო-სოციალურ ტრენინგებში დაფიქსირდა 1 875 მონაწილე, მათ შორის 263 არასრულწლოვანი და 279 ქალი მსჯავრდებული;

➢ ფსიქო-სოციალურ სარეაბილიტაციო პროგრამებში ჩართულ ბენეფიციართა სტატისტიკა: სულ 1764 მონაწილე (111 მონაწილით ნაკლები). მათ შორის 263 არასრულწლოვანი და 248 ქალი (31 მონაწილით ნაკლები);

- კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებში, ინტელექტუალურ და შემეცნებით შეხვედრებში, კონკურსებში და სხვა ღონისძიებებში ჯამურად დაფიქსირდა 2 830-მდე მონაწილე;

- დასაქმების პროგრამებში მონაწილეობა მიიღო 850-მა მსჯავრდებულმა, მათ შორის 95 ქალი იყო. მსჯავრდებულები დასაქმებულები არიან სამეურნეო სამსახურში, სილამაზის სალონებში, დასაქმების მინი კერებსა და საწარმო საქმიანობაში (სამკერვალო და პურის საცხობი), ასევე ინდივიდუალურ საქმიანობაში (ხელნაკეთი ნივთების შექმნა-რეალიზაცია);

➢ საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2016-2017 წლებისთვის) შესრულების ანგარიშის მიხედვით სულ დასაქმებულთა რაოდენობამ შეადგინა 850 კაცი. მათ შორის 717 დასაქმებულია სამეურნეო სამსახურში, 6 სადალაქოებში, 28 პურის საცხობში, 32 სამკერვალოში და 67 ინდივიდუალური საქმიანობითაა დაკავებული;

- პენიტენციურ სისტემაში შენარჩუნებულია ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა 3-ჯერადი კვებითი მომსახურება სხვადასხვა საჭიროების მქონე ჯგუფებისათვის, კვებისა და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვით;

- მოქალაქეთა მომსახურეობის გაუმჯობესების მიზნით, პენიტენციური დაწესებულებების საზოგადოებრივ მისაღებებში საანგარიშო პერიოდში გაწეულ იქნა 194.0 ათას მომსახურებაზე მეტი;

- პენიტენციური დეპარტამენტის, პენიტენციური დაწესებულებების სპეციალური წოდების მქონე, სოციალური სამსახურის თანამშრომელთა და სავალდებულო სამხედრო მოსამსახურეთა 100% უზრუნველყოფილ იქნა სამედიცინო დაზღვევით, მათი სოციალური დაცულობის გაუმჯობესების მიზნით.

104 2017 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშები, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტების და პროგრამების ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებები.

**დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი:**[105]

**1. საბაზისო მაჩვენებელი** - 2015 წელს განხორციელებელი რეფორმის შედეგად სისტემის მართვა გახდა უფრო ეფექტური; სამინისტროს მიერ შემუშავებულია საკანონმდებლო პაკეტი: 1. ცვილელებები პატიმრობის კოდექსში: გათავისუფლებისთვის მოსამზადებელი თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების შესაქმნელად და დაბალი რისკის მქონე მსჯავრდებულთათვის უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე (ბაკალავრიატი) განათლების მიღების უფლებით სარგებლობის უზრუნველსაყოფად;

2. ცვლილებები საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში, რომლის თანახმად, სამართალდარღვევად ჩაითვლება ისეთი ქმედება, როგორიცაა პენიტენციური დაწესებულების გარე აკრძალულ ზოლში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი რეჟიმის დარღვევა;

**მიზნობრივი მაჩვენებელი** - გაუმჯობესებულია სისტემის ეფექტური მართვა და ფუნქციონირება, ცვილელებები შესულია პატიმრობის კოდექსში: 1. გათავისუფლებისთვის მოსამზადებელი თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების შესაქმნელად; 2. დაბალი რისკის მქონე მსჯავრდებულთათვის უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე (ბაკალავრიატი) განათლების მიღების უფლებით სარგებლობის უზრუნველსაყოფად; ცვლილებები შესულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში, რომლის თანახმად, სამართალდარღვევად ითვლება ისეთი ქმედება, როგორიცაა პენიტენციური დაწესებულების გარე აკრძალულ ზოლში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი რეჟიმის დარღვევა;

**მიღწეული მაჩვენებელი** - გაუმჯობესებულია სისტემის ეფექტური მართვა და ფუნქციონირება, ცვლილებები შესულია პატიმრობის კოდექსში და სხვა კანონმდებლობაში შემდეგი მიმართულებით:

- ✓ გათავისუფლებისთვის მოსამზადებელი თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების შესაქმნელად;
- ✓ დაბალი რისკის, გათავისუფლებისათვის მომზადებისა და არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში მოთავსებული მსჯავრდებულთათვის უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე (ბაკალავრიატი) განათლების მიღების უფლებით სარგებლობის უზრუნველსაყოფად;
- ✓ არასაპატიმრო სასჯელის სახედ შინაპატიმრობის დანერგვისა (თავისუფლების შეზღუდვის გაუქმება) და დარჩენილი სასჯელის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით - შინაპატიმრობით შეცვლის უზრუნველსაყოფად;
- ✓ ქალი მსჯავრდებულების, რომლებსაც დაწესებულებაში ჰყავდათ 3 წლამდე ასაკის შვილი, ბავშვის მიერ დაწესებულების დატოვებიდან 1 წლის განმავლობაში პენიტენციური დაწესებულების დატოვების უფლების უზრუნველსაყოფად;
- ✓ უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულის მიმართ დანიშნული სასჯელის გადასინჯვის მექანიზმებისა და ასევე, სასჯელის აღსრულების გადავადების უფლების სრულყოფის უზრუნველსაყოფად;
- ✓ მსჯავრდებულის ავადმყოფობის გამო სასჯელის მოხდისგან გათავისუფლების უფლების სრულყოფის უზრუნველსაყოფად;
- ✓ სამინისტროს ადგილობრივი საბჭოების გადაწყვეტილების გასაჩივრების მექანიზმის უზრუნველსაყოფად.

**შენიშვნა:** მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი წარმოადგენს სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სამოქმედო გეგმაში, ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებასა და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების

105 ინფორმაცია 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების შესრულების შესახებ.

2017 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმასა და ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმაში აღებული ვალდებულებების ნაწილს.

**2.საბაზისო მაჩვენებელი** - პენიტენციური სისტემაში ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა 100%-ს შესაძლებლობა აქვს სუფთად და წესრიგში იქონიოს ტანსაცმელი, საწოლი და საცხოვრებელი, კვირაში არანაკლებ ერთხელ მიიღოს შხაპი და არანაკლებ თვეში ერთხელ ისარგებლოს საპარიკმახერო მომსახურებით, უზრუნველყოფილნი არიან ჰიგიენური საშუალებებით და საწოლითა და ლოგინით;

**მიზნობრივი მაჩვენებელი** - პენიტენციური სისტემაში მსჯავრდებულთა/ბრალდებულთა 100% სთვის შენარჩუნებულია შესაძლებლობა სუფთად და წესრიგში იქონიოს ტანსაცმელი, საწოლი და საცხოვრებელი, კვირაში არანაკლებ ერთხელ მიიღოს შხაპი და არანაკლებ თვეში ერთხელ ისარგებლოს საპარიკმახერო (პირის გაპარსვა, თმის შეჭრა, ფრჩხილის დაჭრა) მომსახურებით, უზრუნველყოფილნი არიან ჰიგიენური საშუალებებით (საპონი, კბილის პასტა, ნეჭი, პირსახოცი), საწოლითა და ლოგინით;

**მიღწეული მაჩვენებელი** - პენიტენციური სისტემაში მსჯავრდებულთა/ბრალდებულთა 100% სთვის შენარჩუნებულია შესაძლებლობა სუფთად და წესრიგში იქონიოს ტანსაცმელი, საწოლი და საცხოვრებელი, კვირაში არანაკლებ ერთხელ მიიღოს შხაპი და არანაკლებ თვეში ერთხელ ისარგებლოს საპარიკმახერო მომსახურებით, უზრუნველყოფილნი არიან ჰიგიენური საშუალებებით, საწოლითა და ლოგინით;

**შენიშვნა:** მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი წარმოადგენს სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სამოქმედო გეგმასა და ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმაში აღებული ვალდებულებების ნაწილს;

**3.საბაზისო მაჩვენებელი** - სისტემაში შენარჩუნდა საჭიროებებს (ეთნიკური, რელიგიური, დაავადებები) მორგებული დღიური სამჯერადი კვება ბრძანებაში დადგენილი კალორიულობისა და ულუფის სასურსათო ნორმების დაცვით; მიზნობრივი მაჩვენებელი - სისტემაში შენარჩუნებულია ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ინდივიდუალურ საჭიროებებს (ეთნიკური, რელიგიური, განთავსების ადგილი, დაავადებები) მორგებული დღიური სამჯერადი კვება 10 000 ბრალდებულისთვის/მსჯავრდებულისთვის, შესაბამისი ნორმატიული აქტით დადგენილი კალორიულობისა და ულუფის სასურსათო ნორმების დაცვით;

**მიღწეული მაჩვენებელი** - სისტემაში შენარჩუნებულია ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ინდივიდუალურ საჭიროებებს (ეთნიკური, რელიგიური, განთავსების ადგილი, დაავადებები) მორგებული დღიური სამჯერადი კვება ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა 100%-სათვის შესაბამისი ნორმატიული აქტით დადგენილი კალორიულობისა და ულუფის სასურსათო ნორმების დაცვით (2017 წელს მსჯავრდებულთა/ბრალდებულთა საშუალო წლიური ოდენობა შეადგენდა 9 438-ს);

**შენიშვნა:** მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი წარმოადგენს სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სამოქმედო გეგმაში აღებული ვალდებულებების ნაწილს.

**4. საბაზისო მაჩვენებელი** - პენიტენციურ სისტემის 8 დაწესებულებაში (2015 წელი - 10 დაწესებულება 2016 წლის 6 თვე - 8 დაწესებულება) მიმდინარეობს პროფესიული/სახელობო, სატრენინგო/საგანმანათლებლო და ფსიქო-სოციალური პროგრამების, ფსიქო-სოციალური ტრენინგების დანერგვა, რომლებშიც 2015 წლის განმავლობაში დაფიქსირდა 2 974 მონაწილე (მათ შორის 519 არასრულწლოვანი), რაც სისტემაში მყოფ ბენეფიციართა 29%-ია, ხოლო 2016 წლის ორ კვარტალში კი, პენიტენციურ დაწესებულებებში ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის მიზნით განახლდა რიგი პროფესიული, სახელობო და საგანმანათლებლო სასწავლო პროგრამები, სადაც დაფიქსირდა 237 მონაწილე, მათ შორის: 16 არასრულწლოვანი, 41 ქალი; ფსიქო-სოციალურ სარეაბილიტაციო პროგრამებში და ფსიქო სოციალურ ტრენინგებში დაფიქსირდა 526 მონაწილე, მათ შორის 95 არასრულწლოვანი და 114 ქალი მსჯავრდებული, რაც სისტემაში მყოფ ბენეფიციართა 8%-ია;

**მიზნობრივი მაჩვენებელი** - პროფესიული/სახელობო და სატრენინგო/ საგანმანათლებლო სწავლების კურსებში ჩართულ პატიმართა მზარდი რაოდენობა, წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით, პატიმართა საერთო რაოდენობის ხვედრითი წილიდან გამომდინარე;

**მიღწეული მაჩვენებელი** - მზარდი მაჩვენებელი დაფიქსირდა საბაზისო მაჩვენებლებთან შედარებით. 3 542 მსჯავრდებული მონაწილეობდა პროფესიული/სახელობო, სატრენინგო/საგანმანათლებლო, ასევე ფსიქო-სოციალური პროგრამებში, ტრენინგებსა თუ კურსებში. უმაღლესი განათლების ხელშეწყობის პროგრამით ისარგებლა 29 მსჯავრდებულმა.

- საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2016-2017 წლებისთვის) შესრულების ანგარიშის მიხედვით აღნიშული მაჩვენებელი შეადგენს 3 433 მსჯავრდებულს;

**შენიშვნა:** მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი წარმოადგენს სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სამოქმედო გეგმაში, ერთის მხრივ, საქართველოს და მეორეს მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებასა და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2017 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმასა და ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმაში აღებული ვალდებულებების ნაწილს.

**5. საბაზისო მაჩვენებელი** - საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 22 დეკემბრის №157 ბრძანებით განისაზღვრა მსჯავრდებულის მიერ სამეურნეო სამუშაოების შესრულების და მისთვის ანაზღაურების მიცემის წესი. ამ ბრძანების საფუძველზე დაწესებულებებში და სისტემაში არსებულ მინი დასაქმების კერებში 2015 წელს დასაქმებული იყო 839 მსჯავრდებული, რაც სისტემაში მყოფ ბენეფიციართა 8%-ია, ხოლო 2016 წლის ორ კვარტალში კი - 614 მსჯავრდებული, სისტემაში მყოფ ბენეფიციართა 6%-ია;

**მიზნობრივი მაჩვენებელი** - დასაქმებულ პირთა მზარდი რაოდენობა წინა წელს დასაქმებულ პირთა ოდენობასთან მიმართებაში;

**მიღწეული მაჩვენებელი** - დასაქმების პროგრამებში ჩაბმული იყო 850 მსჯავრდებული (მზარდი მაჩვენებელია საბაზისო მაჩვენებლებთან შედარებით);

**შენიშვნა:** მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი წარმოადგენს სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სამოქმედო გეგმასა და ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმაში აღებული ვალდებულებების ნაწილს.

**6. საბაზისო მაჩვენებელი** - პენიტენციური დაწესებულებები უზრუნველყოფილნი არიან სხვადასხვა ენაზე დაბეჭდილი საინფორმაციო სახის ბროშურებით, აუდიო წიგნებით პატიმართა უფლებების შესახებ და საჩივრის კონვერტებით;

**მიზნობრივი მაჩვენებელი** - უზრუნველყოფილია ინფორმაციულობის ზრდით ბრალდებულთა/ მსჯავრდებულთა ცნობიერების ამაღლება მათი უფლებების (საჩივრების, დისციპლინარული და ადმინისტრაციული პროცედურების და სხვა) შესახებ;

**მიღწეული მაჩვენებელი** - ბრალდებულებისათვის/მსჯავრდებულებისათვის ხელმისაწვდომია ბროშურები მათი უფლებებისა და გასაჩივრების პროცედურების შესახებ, როგორც ქართულ, ასევე 5 ყველაზე მოთხოვნად უცხო ენაზე; 2017 წელს №2, №5, №8, №14, №15, №16, №17 დაწესებულებებში ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა უფლებების შესახებ ტრენინგი გაიარა 364-მა მსჯავრდებულმა, მათ შორის არასრულწლოვანმა ბრალდებულებმა/მსჯავრდებულებმა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის, ხოლო ქალმა მსჯავრდებულებმა - ბანგკოკის წესების მიხედვით;

**შენიშვნა**: მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი წარმოადგენს სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სამოქმედო გეგმასა და ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმაში აღებული ვალდებულებების ნაწილს.

**2017 წლის კაპიტალური პროგრამების (პროგრამული კოდი 27 01 03) ფარგლებში[106] შესრულდა შემდეგი:**

პენიტენციურ სისტემაში არსებული ინფრასტრუქტურის სრულყოფისა და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისი დაწესებულებების შექმნის მიზნით:

- სისტემის ყველა პენიტენციური დაწესებულების ტერიტორიაზე განლაგებულ შენობა-ნაგებობებში მიმდინარეობდა/ჩატარებულ იქნა სხვადასხვა მიმდინარე და კაპიტალური სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები: მათ შორის, ერთი დაწესებულების ტერიტორიაზე განთავსებულ სასადილო-სამზარეულო შენობას ჩაუტარდა კაპიტალური სარეკონსტრუქციო სამუშაობი, ორი პენიტენციური დაწესებულების გარშემო დასრულდა ბუფერული ზონის ღობის მავთულხლართით მოწყობის კაპიტალური სამუშაოები და 4 დაწესებულებაში დასრულდა და 2- ში მიმდინარეობდა დაწესებულების მიმდებარედ ბუფერული ზონის ტერიტორიების მოსწორების სამუშაოები;

საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2016-2017 წლებისთვის) შესრულების ანგარიშის მიხედვით:

- №2 დაწესებულება - ყველა საკანში კაპიტალურად გარემონტდა სავენტილაციო სისტემა, საშხაპე ოთახები. 2016-2017 წელს სტანდარტების შესაბამისად მოეწყო და გარემონტდა სამედიცინო ოთახები;
- №3 დაწესებულება -2016-2017 წლებში განხორციელდა საკნების სარემონტო სამუშაოები;
- №5 დაწესებულება - აბანოებს ჩაუტარდა კაპიტალური რემონტი, 2017 წელს დამონტაჟდა სავენტილაციო სისტემა;
- №6 დაწესებულება - მოწესრიგებულია საკნების ვენტილაციის სისტემა. დასრულდა დაწესებულების საშხაპე ოთახებში სავენტილაციო სისტემების მოწყობა. 2017 წელს აბანოებს ჩაუტარდა კაპიტალური რემონტი;
- №8 დაწესებულება - სარეჟიმო კორპუსების საკნებში დამონტაჟდა ინდივიდუალური გამწოვები;
- №9 პენიტენციურ დაწესებულებაში გარემონტდა სამედიცინო ოთახები;
- №15 დაწესებულება - 2017 წელს მსჯავრდებულთა საკნებში შეიცვალა ონკანები;
- №16 პენიტენციურ დაწესებულებაში გარემონტდა საშხაპე ოთახები, მოეწყო სპორტული აქტივობებისათვის ღია მოედნები;
- №17 დაწესებულება - 2017 წელს ჩატარდა სამედიცინო ოთახების სარემონტო სამუშაოები;
- 2017 წელს დასრულდა მშენებლობა და ექსპლუატაციაში შევიდა გეგუთის №14 დაწესებულების საზოგადოებრივი მისაღები;
- დაგეგმილია №12 პენიტენციური დაწესებულების №16 დაწესებულების ბაზაზე გადატანა. შესაბამისად, №16 დაწესებულების საზოგადოებრივი მისაღები მოემსახურება №12 დაწესებულებასაც;
- ქალთა №5 დაწესებულებაში კაპიტალურად გარემონტდა დაწესებულების საკნები, საშხაპეები და აღიჭურვა განახლებული სავენტილაციო სისტემებით; თანამედროვე სამედიცინო სტანდარტების შესაბამისად, კაპიტალურად გარემონტდა სამედიცინო დანიშნულების ოთახები; დაწესებულების გარშემო დასრულდა უსაფრთხოების დამატებითი დამცავი ბარიერის, ბუფერული ზონის მოწყობა; ასევე, დაწესებულებაში მოეწყო ფიტნესის ოთახები;

106 2017 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშები, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტების და პროგრამების ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებები.

- ➢ წელს №7 დაწესებულებაში მოეწყო და აღიჭურვა საჩხრეკი, გარემონტდა ანტივანდალური ოთახები, ასევე განხორციელდა საკნების კოსმეტიკური რემონტი. 2017 წელს დასრულდა ეზოს ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები;
- პენიტენციური სისტემის ხუთი დაწესებულება აღიჭურვა სხვადასხვა ტიპის სკანერებითა და მეტალო-დეტექტორებით, 6 პენიტენციურ დაწესებულებაში დამონტაჟდა სისტემის უსაფრთხოებისათვის აუცილებელი ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემა, ხოლო პენიტენციური სისტემის ორ დაწესებულებაში დასრულდა პერიმეტრის დაცვისა და კონტროლის სისტემის მიწოდება-მონტაჟის სამუშაოები;
- მიმდინარეობდა 2012 წლის ზაფხულში დაწყებული ახალი დაწესებულების მშენებლობა დაბა ლაითურში.

**დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი:**[107]

**1. საბაზისო მაჩვენებელი** - პენიტენციური სისტემა საჭიროებს ახალ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის დაწესებულებების შექმნას. დღეისათვის მიმდინარეობს დაბა ლაითურის მაღალი რისკის დაწესებულების მშენებლობა. 2016 წელს დაწესებულების მშენებლობა შეფერხდა 2015 წლის მანძილზე ჩატარებული მშენებლობის ხარისხის დასადგენად ექსპერტიზის ჩატარების გამო, რის შედეგადაც, წინა წლის კონტრაქტორი კომპანია დაჯარიმდა; 2016 წლის ბოლომდე შესრულდება პროექტის ღირებულების 3%-ის სამშენებლო სამუშაოები; დასრულებულია არასრულწლოვან ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სპეციალიზირებული და ახალგაზრდა (18-21 წელი) ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა შერეული რისკის პენიტენციური დაწესებულების მშენებლობის საპროექტო-საინჟინრო სამუშაოები;

**მიზნობრივი მაჩვენებელი** - დასრულებულია დაბა ლაითურის მაღალი რისკის დაწესებულების სამშენებლო სამუშაოების 90%. მიმდინარეობს არასრულწლოვან ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სპეციალიზირებული და ახალგაზრდა (18-21 წელი) ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა შერეული რისკის პენიტენციური დაწესებულების მშენებლობა;

**მიღწეული მაჩვენებელი** - მიმდინარეობდა 2012 წლის ზაფხულში დაწყებული ახალი დაწესებულების მშენებლობა დაბა ლაითურში, მაგრამ რიგი მიზეზების გამო მიზნობრივი მაჩვენებელი ვერ იქნა მიღწეული;

**ცდომილების მაჩვენებელი (% აღწერა)** და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებაზე: დაბა ლაითურში მშენებარე დაწესებულების შეფასება და შემდეგი საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის წარმოდგენა დაევალა სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს, დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდგომ კი, საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დაევალა წინადადების წარმოდგენა განსახორციელებელ სამუშაოსთან დაკავშირებით.

14-დან 21 წლამდე ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა საჭიროებებსა და ეფექტურ რესოციალიზაცია-რეაბილიტაციაზე ორიენტირებული ახალი პენიტენციური დაწესებულების კონცეფციის განახლებისა და სათანადო პროექტის შემუშავების მიზნით, დამტკიცდა სამუშაო ჯგუფი, რომელიც დაკომპლექტდა სამინისტროს, ევროკავშირისა და UNICEF-ის წარმომადგენლებით. ამ მიმართულებით ხსენებული ჯგუფის მუშაობაში აქტიურად მონაწილეობდა UNICEF-ის მიერ სპეციალურად მოწვეული ექსპერტი, რომელმაც არსებული სიტუაციის შესწავლისა და ანალიზის შემდეგ, შეიმუშავა რეკომენდაციების სამუშაო ვერსია. საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა რეკომენდაციების განხილვა/ანალიზი და შემდგომ დასრულდება არსებული კონცეფციის განახლების პროცესი.

**2017 წელს ბიუჯეტის გადასახდელები პროგრამული კოდისთვის 27 01 01 შესრულდა 99.76%-ით, ხოლო პროგრამული კოდისთვის 27 01 03 - 99.85%-ით.**

107 ინფორმაცია 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების შესრულების შესახებ.

**პროგრამისათვის „სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემისათვის თანამშრომელთა მომზადება და პროფესიული განვითარება“ (პროგრამული კოდი 27 03)** 2016 წლის ბიუჯეტის კანონით დამტკიცდა ასიგნებები 1 006.0 ათასი ლარის ოდენობით, ასევე 2017 წლისათვის დაფინანსებამ შეადგინა 1 000.0 ათასი ლარი.

| დასახელება | 2016 წლის დამტკიცებული | 2016 წლის დაზუსტებული | 2017 წლის დამტკიცებული | 2017 წლის დაზუსტებული |
|---|---|---|---|---|
| პროგრამული კოდი 27 03 | | | | |
| **სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემისათვის თანამშრომელთა მომზადება და პროფესიული განვითარება** | **1,006.0** | **1,405.4** | **1,000.0** | **981.1** |
| მომუშავეთა რიცხოვნობა | 13 | 13 | 13 | 13 |
| **ხარჯები** | **963.0** | **1,398.4** | **987.0** | **968.1** |
| შრომის ანაზღაურება | 235.0 | 235.5 | 235.0 | 216.1 |
| საქონელი და მომსახურება | 718.0 | 1,148.2 | 735.0 | 736.8 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 7.0 | 12.2 | 13.0 | 13.0 |
| სხვა ხარჯები | 3.0 | 3.0 | 4.0 | 2.2 |
| **არაფინანსური აქტივების ზრდა** | **43.0** | **7.0** | **13.0** | **13.0** |

**2016 წლის სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სამოქმედო გეგმაში პროგრამაზე (6.2)** „სასჯელაღსრულების დაწესებულებების ადმინისტრირების გაუმჯობესება“ განსაზღვრულია სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსება 96,753.0 ათასი ლარის ოდენობით, რომელიც მთლიანად განკუთვნილია 6.2.1 ქვეპროგრამისთვის, ხოლო 6.2.2 ქვეპროგრამის „სპეციალიზებული ტრენინგები პენიტენციური სისტემის თანამშრომლებისათვის“ განხორციელებისათვის საჭირო რესურსი საერთოდ არ არის მითითებული. შესაბამისად, არ არის გამოკვეთილი ფაქტობრივი შესრულების შესახებ ინფორმაციაც.

**2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პრიორიტეტებსა და პროგრამებში პროგრამული კოდი 27 03 ითვალისწინებს შემდეგს:**

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემის თანამშრომელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებით ქვეყანაში მიმდინარე სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის, სასჯელაღსრულების სისტემაში ევროპის საბჭოსა და გაეროს სტანდარტების მოთხოვნათა დანერგვისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ხელშეწყობა;
- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემის კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა;
- სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურასთან, აკადემიურ ინსტიტუტთან, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან და სხვადასხვა ქვეყნის შესაბამის სასწავლო დაწესებულებებთან სტრატეგიული თანამშრომლობის გაღრმავება;

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემაში მისაღები და მომუშავე კადრების ტესტირების ინსტიტუტის დანერგვა და ტესტირების საჭიროებისამებრ ჩატარება, სისტემაში კვალიფიციური კადრების მიღების და მათი პროფესიონალიზმის დონის ამაღლების ხელშეწყობა;
- არსებული სასწავლო პროგრამების განახლება და ახალი სასწავლო პროგრამების მომზადება ადგილობრივი რესურსებითა და საერთაშორისო ექსპერტების მონაწილეობით, სწავლების ხარისხის სისტემატური გაუმჯობესების უზრუნველყოფა;
- განათლებისა და პროფესიული განვითარების ხარისხის უზრუნველყოფა და სასწავლო პროგრამების განვითარება;
- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემაში ახლად დანერგილი მენტორინგის ინსტიტუტის განვითარება;
- ახალი სახელმძღვანელოების მომზადება, ბიბლიოთეკის განვითარება.

*აღნიშნული პრიორიტეტები და პროგრამები იდენტურია 2014-2015 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პრიორიტეტებისა და პროგრამებისა, როგორც გრძელვადიანი პროგრამები, თუმცა მათ დაემატა რამდენიმე საკითხიც. კერძოდ, ახლად დანერგილი მონიტორინგის ინსტიტუტის განვითარება.*

აღნიშნული ჩამონათვალი დაფინანსებულია მთლიანად სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებებით. ბიუჯეტის დაზუსტების შემდეგ მან შეადგინა 1,405.4 ათასი ლარი. 2016 წელს დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის შეუსაბამობა გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ სპეციალური პენიტენციური სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის 42-ე და 43-ე მუხლების თანახმად, უნდა განხორციელებულიყო როგორც სპეციალური პენიტენციური სამსახურის კანონით განსაზღვრულ თანამშრომელთა სერტიფიცირების გავლა, ასევე გამოსაცდელი ვადით დანიშნულ მოსამსახურეთათვის პირველადი მომზადების სასწავლო კურსების და სავალდებულო სპეციალური პროფესიული მომზადების (სასწავლო) კურსების გავლა. შესაბამისად, აუცილებელი გახდა აღნიშნული პროგრამული კოდის ასიგნებების გაზრდა 399,4 ათასი ლარით. ფაქტობრივმა შესრულებამ შეადგინა 1,443.7 ათასი ლარი.[108]

ქვეპროგრამის განმახორციელებელია საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება სსიპ – სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი.

**2016 წლის ბიუჯეტის კანონის პროგრამულ დანართში, 27 03 პროგრამული კოდის მოსალოდნელი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები შედგენილია ისეთი სახით, რომ იყოს ნაწილობრივ გაზომვადი, თუმცა არ არის კონკრეტული და შესაბამისი. შეუძლებელია შეფასდეს პროგრამის ფარგლებში დასახული მიზნის მიღწევადობა. ასევე, ის, თუ რამდენი თანამშრომლის მიერ იქნა გადალახული საგამოცდო ბარიერი. მაგალითად:**

**საბაზისო მაჩვენებელი** - 2015 წელს მომზადება გაიარა სისტემაში მომუშავე და სისტემასთან კავშირში მყოფმა 2277-მა მსმენელმა და საგამოცდო ბარიერი დაძლეული იქნა 80% ის მიერ. ჩატარდა 80 სასწავლო ღონისძიება;

**მიზნობრივი მაჩვენებელი** - 2016 წელს საბაზისო მაჩვენებელი შენარჩუნებულია. 80 სასწავლო ღონისძიება ჩატარებულია. 5200 კაც./ტრენინგ./დღე;

**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 25-30%. 2016 წელს საკანონმდებლო ცვლილებების იმპლემენტაციის მიზნით განსახორციელებელი პენიტენციური დაწესებულებების თანამშრომლეთა კასკადური გადამზადება შესაძლებელია არ გახდეს საჭირო;

**შესაძლო რისკები** - პენიტენციური სისტემის თანამშრომელთა სასწავლო ღონისძიებებზე მოვლინების შეფერხება; დასაქმების მსურველთა დაბალი აქტივობა.

108 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები პროგრამული კლასიფიკაციის მიხედვით, გვ. 375

**2016 წლის შესრულების ანგარიშის მიხედვით პროგრამების ფარგლებში (27 03 პროგრამული კოდი) განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:**[109]

- საანგარიშო პერიოდში ჩატარდა ტრენინგის საჭიროებების კვლევა სპეციალური კითხვარის მეშვეობით. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების, პენიტენციური დაწესებულებების, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე შედგა კვარტლურად გაწერილი 2016 წლის სასწავლო გეგმა;

- სამუშაო ჯგუფებმა განახორციელეს ახალი სასწავლო პროგრამების მომზადება და არსებული სასწავლო პროგრამების რევიზია. ახალი და განახლებული სასწავლო პროგრამების მიხედვით ხორციელდებოდა სხვადასხვა ტრენინგები;

- სასწავლო ცენტრში ჩატარებული სერტიფიცირების პროცესში მონაწილეობა მიიღო 2 483-მა მოსამსახურემ. თანამდებობაზე უკონკურსოდ, არაუმეტეს ექვსთვიანი გამოსაცდელი ვადით დანიშნული პირებისათვის განკუთვნილი პირველადი მომზადების სასწავლო კურსის ფარგლებში მომზადება გაიარა 300-მა მოსამსახურემ;

➢ სისხლის სამართლის სტრატეგიის რეფორმის 2016 წლის სამოქმედო გეგმის შესაბამისად, სპეციალური პენიტენციური სამსახურის მოსამსახურეთა სერტიფიცირებისა და პერიოდული გადამზადების კურსი გაიარა 2194-მა მოსამსახურემ, ხოლო სავალდებულო პროფესიული მომზადების (სასწავლო) კურსი გაიარა 289 მოსამსახურემ; პირველადი მომზადების კურსი გაიარა ექვსთვიანი გამოსაცდელი ვადით დანიშნულმა 300-მა მოსამსახურემ;

- სასწავლო ცენტრმა საანგარიშო პერიოდში მოამზადა და განახორციელა 171 სასწავლო ღონისძიება/ტრენინგი, სხვადასხვა პროგრამის ფარგლებში. აღნიშნულ ტრენინგებში მონაწილეობა მიიღო სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სისტემაში მომუშავე 3900-მა მსმენელმა, კერძოდ: სამინისტროს აპარატის და პენიტენციური დაწესებულებების 3 513, სსიპ - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს 374-მა და სხვა უწყებების 13-მა წარმომადგენელმა;

➢ არ არის აღწერილი სისხლის სამართლის სამოქმედო გეგმაში;

- საანგარიშო პერიოდში სულ ჩატარდა 30 885 კაც./ტრენინგ./დღე, ხოლო ტესტირებაში მონაწილეთა საერთო რაოდენობის 93%-მა გადალახა საგამოცდო ბარიერი;

➢ არ არის აღწერილი სისხლის სამართლის სამოქმედო გეგმაში.

მიღწეული საბოლოო შედეგი:

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში მოქმედი ყველა ძირითადი პროგრამა ხელს უწყობს სისტემის მოსამსახურეებისა და სისტემაში დასაქმების მსურველთა პროფესიულ განვითარების გზით ადამიანის უფლებებზე ორიენტირებული და ეფექტიანი სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემის ჩამოყალიბებას;

- განხორციელდა ურთიერთთანამშრომლობა შემდეგ საერთშორისო, დონორ და არასამთავრობო ორგანიზაციებთან: აშშ საელჩო საქართველოში (აშშ სახელმწიფო ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის თბილისის ბიურო (INL)), ევროპის საბჭოს ოფისი საქართველოში, გაეროს განვითარების პროგრამა, საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანული ფონდი (IRZ), ციხის საერთაშორისო რეფორმა(PRI);

109 2016 წლის ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლები, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტების და პროგრამების ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებები.

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის მიერ განხორციელდა არსებული სასწავლო პროგრამების განახლება და ახალი სასწავლო პროგრამების შემუშავება. ახალდანიშნული თანამშრომლების სისტემაში ადაპტირებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მენტორის (გამოცდილი თანამშრომელი) არსებობამ, რომელიც სისტემაში მოსვლის პირველ ეტაპზე დაეხმარა მათ მუშაობის სპეციფიკაში გარკვევასა და შესაბამისი უნარჩვევების გამომუშავებაში. ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა უფლებების დაცვა მენტორინგის პროგრამის ერთ-ერთი განუყოფელი ნაწილია. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში მომზადება გაიარა 289 ახალმა მიღებულმა მოსამსახურემ;
- ევროპის საბჭოსგან მიღებულია სახელმძღვანელოები.

**2016 წლის მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები (პროგრამული კოდი 27 03) შემდეგნაირია:**

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:

**1. საბაზისო მაჩვენებელი** - 2015 წელს მომზადება გაიარა სისტემაში მომუშავე და სისტემასთან კავშირში მყოფმა 2 277-მა მსმენელმა და საგამოცდო ბარიერი დაძლეული იქნა 80% ის მიერ. ჩატარდა 80 სასწავლო ღონისძიება; მიზნობრივი მაჩვენებელი - 2016 წელს საბაზისო მაჩვენებელი შენარჩუნებულია. 80 სასწავლო ღონისძიება ჩატარებულია. 5 200 კაც./ტრენინგ./დღე;

**მიღწეული მაჩვენებელი** - ჩატარებული სასწავლო ღონისძიების რაოდენობა 171; მომზადება გაიარა სისტემაში მომუშავე და სისტემასთან კავშირში მყოფმა 3 900-მა მსმენელმა; მინიმალური ქულობრივი ბარიერი გადალახა გამოცდაში/ტესტირებაში მონაწილეთა 93%-მა.

**ცდომილების მაჩვენებელი (% აღწერა)** და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებაზე:

- საქართველოს კანონის - სპეციალური პენიტენციური სამსახურის შესახებ - მოთხოვნების შესაბამისად განხორციელდა სამსახურის ყველა იმ თანამშრომლის მომზადებისა და გადამზადების პროცესი, ვისი თანამდებობისთვისაც სერტიფიკატი მოითხოვება, პროცესი გაგრძელდება 2017 წელს. ასევე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ახალი კოდექსის ამოქმედებამ დღის წესრიგში დააყენა არასრულწლოვან ბრალდებულებთან/მსჯავრდებულებთან მომუშავე თანამშრომელთა გადამზადების საკითხი. „საქართველოს სახალხო დამცველის, აგრეთვე სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრის მიერ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციურ დაწესებულებებში ფოტო გადაღების უფლების განხორციელების წესის“ დამტკიცებასთან დაკავშირებით განხორციელდა სახალხო დამცველის აპარატის, პრევენციული ჯგუფის წევრებისა და სპეციალური პენიტენციური სამსახურის შესაბამის მოსამსახურეთა გადამზადება. „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციურ დაწესებულებებში შესაძლო წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის შედეგად ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა დაზიანების აღრიცხვის წესის“ დამტკიცებასთან დაკავშირებით დაიწყო სისტემის სამედიცინო პერსონალის გადამზადება, პროცესი გაგრძელდება 2017 წელს. ყოველივე ამან და დონორი ორგანიზაციების მიერ დაფინანსებულმა, სხვადასხვა თემაზე ჩატარებულმა ტრენინგებმა, რომელიც დაიგეგმა პენიტენციური და პრობაციის სისტემის სამსახურებთან ურთიერთთანამშრომლობის ფარგლებში - განაპირობა დაგეგმილ და მიღებულ შედეგებს შორის სხვაობა;
- მინიმალური ქულობრივი ბარიერის გადალახვის გამოცდაში/ტესტირებაში მონაწილეთა პროცენტული მაჩვენებლის ცვლილება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგს შორის გამოწვეულია მსმენელების მაღალი მოტივაციით, რადგანაც სერტიფიკატის შედეგები გავლენას ახდენდა მათ დასაქმებაზე.

**2017 წლის სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სამოქმედო გეგმაში პროგრამაზე (6.2)** „სასჯელაღსრულების დაწესებულებების ადმინისტრირების გაუმჯობესება“ განსაზღვრულია სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსება 88,650.0 ათასი ლარის ოდენობით, რომელიც მთლიანად განკუთვნილია 6.2.1

ქვეპროგრამისთვის, ხოლო 6.2.2 ქვეპროგრამის „სპეციალიზებული ტრენინგები პენიტენციური სისტემის თანამშრომლებისათვის“ განხორციელებისათვის საჭირო რესურსი საერთოდ არ არის მითითებული (ისევე, როგორც წინა რამდენიმე წლის სამოქმედო გეგმაში). შესაბამისად, არ არის გამოკვეთილი ფაქტობრივი შესრულების შესახებ ინფორმაცია.

2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პრიორიტეტებსა და პროგრამებში **„სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემისათვის თანამშრომელთა მომზადება და პროფესიული განვითარება“ (პროგრამული კოდი 27 03)** ითვალისწინებს შემდეგს:

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემის თანამშრომელთა პროფესიული მომზადებითა და გადამზადებით ქვეყანაში მიმდინარე სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის, სასჯელაღსრულების სისტემაში ევროპის საბჭოსა და გაეროს სტანდარტების მოთხოვნათა დანერგვისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ხელშეწყობა;
- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემის კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა; სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემაში მისაღები და მომუშავე კადრების ტესტირების ინსტიტუტის დანერგვა და ტესტირების საჭიროებისამებრ ჩატარება;
- სისტემაში კვალიფიციური კადრების მიღებისა და მათი პროფესიონალიზმის დონის ამაღლების ხელშეწყობა;
- არსებული სასწავლო პროგრამების განახლება და ახალი სასწავლო პროგრამების მომზადება ადგილობრივი რესურსებისა და საერთაშორისო ექსპერტების მონაწილეობით, სწავლების ხარისხის სისტემატიური გაუმჯობესების უზრუნველყოფა.

აღნიშნული დაფინანსებულია ქვეპროგრამის პროგრამული კოდით 27 03 ფარგლებში, 1,000.0 ათასი ლარის ოდენობით, რომელიც მთლიანად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსებაა. ბიუჯეტის დაზუსტების შემდეგ კი - 981.1 ათასი ლარით. 2017 წელს დაზუსტებული გეგმა შემცირდა დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით 18,9 ათასი ლარით. ფაქტობრივმა შესრულებამ შეადგინა 930.5 ათასი ლარი.[110]

**2017 წლის ბიუჯეტის კანონის პროგრამულ დანართში 27 03 პროგრამული კოდის მოსალოდნელი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები შედგენილია 2016 წლისგან განსხვავებით, ისეთი სახით, რომ იყოს გაზომვადი, კონკრეტული და შესაბამისი. მაგალითად:**

**საბაზისო მაჩვენებელი** - 2016 წლის 2 კვარტლის მონაცემებით: 68 სასწავლო ღონისძიება; გაიარა მომზადება სისტემაში მომუშავე და სისტემასთან კავშირში მყოფმა 1 440-მა მსმენელმა; მინიმალური ქულობრივი ბარიერი გადალახა გამოცდაში/ტესტირებაში მონაწილეთა 95%-მა; გამომუშავებულია 13863 კაც./ტრენინგ./დღე;

- ➢ 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ანგარის მიხედვით, 2016 წელს ჩატარებული სასწავლო ღონისძიების რაოდენობაა 171; მომზადება გაიარა სისტემაში მომუშავე და სისტემასთან კავშირში მყოფმა 3 900-მა მსმენელმა; მინიმალური ქულობრივი ბარიერი გადალახა გამოცდაში/ტესტირებაში მონაწილეთა 93%-მა. საანგარიშო პერიოდში სულ ჩატარდა 30 885 კაც./ტრენინგ./დღე;

**მიზნობრივი მაჩვენებელი** - არანაკლებ 80 სასწავლო ღონისძიება; გაიარა მომზადება სისტემაში მომუშავე და სისტემასთან კავშირში მყოფმა არანაკლებ 2000-მა მსმენელმა; მინიმალური ქულობრივი ბარიერი გადალახა გამოცდაში/ტესტირებაში მონაწილეთა არანაკლებ 90%-მა; გამომუშავებულია 5250 კაც./ტრენინგ./დღე;

**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5% (მსმენელთა რაოდენობის, ქულობრივი ბარიერის გადალახვის, მეტობა/ნაკლებობა);

110 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები პროგრამული კლასიფიკაციის მიხედვით.

**შესაძლო რისკები** - სასწავლო ღონისძიებებზე მსმენელთა მოვლინების შეფერხება; სასტემაში დასაქმების მსურველთა დაბალი აქტივობა.

პროგრამის განმახორციელებელია სსიპ - სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი.

**2017 წლის შესრულების ანგარიშის მიხედვით პროგრამების ფარგლებში (27 03 პროგრამული კოდი) განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:**

- 1 აპრილისათვის დასრულდა სერტიფიცირების პროცესი პატიმრობისა და თავისუფლებისაღკვეთის აღსრულების სისტემის ორგანოს იმ მოსამსახურეების, რომლებმაც სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ლიკვიდაციის შემდეგ განაგრძეს მუშაობა სამსახურში;

- საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2016-2017 წლებისთვის) შესრულების ანგარიშის მიხედვით სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში, სპეციალური პენიტენციური სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, 2015 წლის დეკემბრიდან 2017 წლის 1 აპრილამდე, განხორციელდა პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების სისტემის ორგანოს იმ მოსამსახურეთა გადამზადება, რომლებიც სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ლიკვიდაციის შემდეგ მუშაობას სამსახურში განაგრძობდნენ და მათი თანამდებობებისათვის სერტიფიკატი მოითხოვებოდა, ასევე, თანამდებობაზე გამოსაცდელი ვადით დანიშნული მოსამსახურეების პირველადი და სავალდებულო სპეციალური პროფესიული მომზადება. 2016 წელს აღნიშნული პროცესის ფარგლებში მომზადება/გადამზადება გაიარა 2783-მა, ხოლო 2017 წელს - 272-მა მოსამსახურემ.

- სასწავლო ცენტრმა მოამზადა და განახორციელა 86 სასწავლო ღონისძიება/ტრენინგი. აღნიშნულ ტრენინგებში მონაწილეობა მიიღო სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სისტემაში მომუშავე და სისტემასთან კავშირში მყოფმა 1 540-მა მსმენელმა, კერძოდ: სამინისტროს აპარატის და პენიტენციური დაწესებულებების - 1 203-მა, სსიპ - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს -318-მა, სსიპ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის - 13-მ და სხვა უწყებების 6-მა წარმომადგენელმა. ამასთან, ელექტრონული ტესტირების პროგრამაში ტესტირება გაიარა 259-მა მსმენელმა, დადგენილი ქულობრივი ბარიერი გადალახა 251-მა მსმენელმა (97%);

- 2017 წელს დაიგეგმა და განხორციელდა 86 სასწავლო ღონისძიება, რომლის ფარგლებშიც მომზადება/გადამზადება გაიარა - 1540 მოსამსახურემ;

- 2017 წელს სოციალური მუშაკები და ფსიქოლოგები მომზადდნენ ფასილიტატორებად, არსებული პროგრამების სხვადასხვა სარეაბილიტაციო პროგრამის ფარგლებში: TSP-პოზიტიური აზროვნების უნარ-ჩვევების ინტერვენცია - 14 სოციალური მუშაკი და ფსიქოლოგი;

„ნაბიჯი ცვლილებისკენ“ (დანაშაულის გაცნობიერების პროგრამა) - 30 სოციალური მუშაკი და ფსიქოლოგი;

არტ თერაპია წამალდამოკიდებულთათვის - 7 სოციალური მუშაკი და ფსიქოლოგი. "თვითდახმარების ჯგუფები" - 28 სოციალური მუშაკი და ფსიქოლოგი;

- განსაკუთრებულ კატეგორიებს მიკუთვნებულ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა უფლებებისა და მათთან მოპყრობის სპეციფიკის საკითხებზე სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში მომზადება/გადამზადება გაიარა: 2017 წლის იანვრიდან დეკემბრის ჩათვლით პენიტენციური სისტემის - 629 და პრობაციის ეროვნული სააგენტოს - 91-მა მოსამსახურემ;

➢ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის განმახორციელებელი და პროცესში მონაწილე პირების სტანდარტის შესაბამისად, 2017 წელს სპეციალიზაცია გაიარა პენიტენციური და პრობაციის სისტემის 43-მა მოსამსახურემ.

- საანგარიშო პერიოდში სულ ჩატარდა 8 980 კაც./ტრენინგ./დღე.

მიღწეული საბოლოო შედეგი:

- სამინისტროს სისტემაში მომუშავე და სისტემასთან კავშირში მყოფ პირთა მომზადება/გადამზადება და გაუმჯობესებული სამუშაო უნარები. ცენტრში მოქმედ ყველა ძირითად პროგრამაში გათვალისწინებულია ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, მოწყვლადი ჯგუფების უფლებებისა და მათთან მუშაობის თავისებურებების, სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვის, სარეაბილიტაციო პროგრამებისა და მათი მნიშვნელობის, საქმიანობის მარეგურილებელი ეროვნული კანონმდებლობისა და საერთაშორისო სტანდარტების, მონიტორინგის ადგილობრივი და საერთაშორისო მექანიზმების სწავლება. მოსამსახურეთა პროფესიულ განვითარების გზით ხელი შეეწყო ეროვნულ და საერთაშორისო სტანდარტებზე დაფუძნებული სისტემის ფუნქციონირებას, ადამიანის უფლებათა დაცვას, დანაშაულის პრევენციასა და მსჯავრდებულის სოციალური რეაბილიტაციის განხორციელებას;
- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის მიერ სასწავლო პროგრამების შემუშავების და სასწავლო პროცესის დაგეგმვა/განხორციელების პროცესში აქტიურად ჩართული იყვნენ როგორც ადგილობრივი, ისე მოწვეული ექსპერტები. ევროპის კავშირისა და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროექტის - „ადამიანის უფლებები და ჯანდაცვა საქართველოს ციხეებსა და დახურული ტიპის სხვა დაწესებულებებში“ - ფარგლებში განახლდა მოსამსახურეთა შეფასებისათვის განკუთვნილი ტესტების ბაზა. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული იქნა ახალი ტესტური დავალებები.

**2017 წლის დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი (პროგრამული კოდი 27 03) შემდეგნაირია:**

**1. საბაზისო მაჩვენებელი** - დონორების დახმარების მოძიება პროექტების მომზადებასა და მათი განხორციელების ხელშესაწყობად;

**მიზნობრივი მაჩვენებელი** - გაუმჯობესებულია ეფექტური მართვა და ფუნქციონირება, სახელმწიფო სახსრების მართვა, შიდა ფინანსური კონტროლი;

**მიღწეული მაჩვენებელი** - გაუმჯობესებულია ეფექტური მართვა და ფუნქციონირება, მოძიებულია დონორების დახმარება და საერთაშორისო ორგანიზაციებთან გაფორმებულია 3 საგრანტო ხელშეკრულება; მომზადებულია კვარტლური ფინანსური ანგარიშები, შიდა ფინანსური კონტროლის მიზნით.

**2. საბაზისო მაჩვენებელი** - 2016 წლის 2 კვარტლის მონაცემებით: 68 სასწავლო ღონისძიება ; გაიარა მომზადება სისტემაში მომუშავე და სისტემასთან კავშირში მყოფმა 1 440-მა მსმენელმა; მინიმალური ქულობრივი ბარიერი გადალახა გამოცდაში/ტესტირებაში მონაწილეთა 95%-მა; გამომუშავებულია 13863 კაც./ტრენინგ./დღე;

**მიზნობრივი მაჩვენებელი** - არანაკლებ 80 სასწავლო ღონისძიება; გაიარა მომზადება სისტემაში მომუშავე და სისტემასთან კავშირში მყოფმა არანაკლებ 2000-მა მსმენელმა; მინიმალური ქულობრივი ბარიერი გადალახა გამოცდაში/ტესტირებაში მონაწილეთა არანაკლებ 90%-მა; გამომუშავებულია 5250 კაც./ტრენინგ./დღე;

**მიღწეული მაჩვენებელი** - ჩატარებული სასწავლო ღონისძიება - 86; მომზადება გაიარა სისტემაში მომუშავე და სისტემასთან კავშირში მყოფმა 1540-მა მსმენელმა; მინიმალური ქულობრივი ბარიერი გადალახა გამოცდაში/ტესტირებაში მონაწილეთა 97%-მა; გამომუშავებულია 8980 კაც./ტრენინგ./დღე.

**ცდომილების მაჩვენებელი (% აღწერა)** და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებაზე: მომზადება გაიარა სისტემაში მომუშავე და სისტემასთან კავშირში მყოფმა 1540-მა მსმენელმა, რაც დაგეგმილთან შედარებით ნაკლებია, ვინაიდან, სპეციალური პენიტენციური სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად, 2017 წელს უნდა დასრულებულიყო სამსახურის ყველა იმ თანამშრომლის მომზადებისა და გადამზადების პროცესი, ვისი თანამდებობისთვისაც აუცილებელია სერტიფიცირება. გადამზადებისა და სერტიფიცირების ძირითადი ნაწილის 2016 წელს განხორციელებამ განაპირობა დაგეგმილ და მიღებულ შედეგებს შორის სხვაობა.

**2016 წელს ბიუჯეტის გადასახდელები პროგრამული კოდისთვის 27 03, შესრულდა 102,73%-ით, ხოლო 2017 წელს - 94.84%-ით.**

*2016 და 2017 წლისათვის შეუძლებელია დეტალურად შესწავლილ იქნეს „საქონელი და მომსახურების" მუხლი (პროგრამული კოდი 27 01/27 03), რადგან არ არსებობს შესაბამისი ინფორმაცია ხარჯების შესახებ, რომლის განხილვაც შესაძლებელი იქნებოდა კვლევის დროს. ასევე ვერ იქნა მოძიებული ინფორმაცია შტატგარეშე მომუშავეთა რაოდენობისა და მათი შრომის ანაზღაურების შესახებ. სამინისტროს გაეგზავნა წერილი, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად, 2014-2018 წლებში (წლების მიხედვით ცალ-ცალკე) დამტკიცებულ და დაზუსტებულ საბიუჯეტო პროექტებში შტატგარეშე მომუშავეთა შრომის ანაზღაურებაზე გამოყოფილი თანხებისა და მათი შესრულების შესახებ საჯარო ინფორმაციის (დეტალური) მოწოდების თაობაზე. პასუხი არ ყოფილა მიღებული.*

**ქვეპროგრამისათვის "ბრალდებული და მსჯავრდებული პირებისათვის ზოგადი განათლების მიღების ხელმისაწვდომობა" (პროგრამული კოდი 32 02 09)** 2016 წლის ბიუჯეტის კანონით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ასიგნებების ფარგლებში, დამტკიცდა 320.0 ათასი ლარი, ხოლო 2017 წლისათვის დაფინანსებამ შეადგინა 205.0 ათასი ლარი.[111]

**ათას ლარებში**

| დასახელება | 2016 წლის დამტკიცებული | 2016 წლის დაზუსტებული | 2017 წლის დამტკიცებული | 2017 წლის დაზუსტებული |
|---|---|---|---|---|
| პროგრამული კოდი 32 02 09 | | | | |
| **ბრალდებული და მსჯავრდებული პირებისათვის ზოგადი განათლების მიღების ხელმისაწვდომობა** | **320.0** | **433.2** | **205.0** | **183.5** |
| საქონელი და მომსახურება | 220.0 | 203.2 | 87.0 | 58.3 |
| სუბსიდიები | 100.0 | 230.0 | | |
| სხვა ხარჯები | | | 118.0 | 125.1 |

2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტებისა და პროგრამების მიხედვით **საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 32 02 09 პროგრამული კოდით** გათვალისწინებულია სასჯელაღსრულების დაწესებულებებში განათლების მიღების ხელმისაწვდომობის ქვეპროგრამა:

- პენიტენციურ დაწესებულებებში ზოგადი განათლების მიღების ხელშეწყობა;

111 2016 წლის კანონი სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ, თავი V.

- №9 და №11 დაწესებულებებში არასრულწლოვანი მსჯავრდებულებისათვის ზოგადი განათლების მიღების შესაძლებლობის უზრუნველყოფა;

- პროფესიული განათლების კურსების მეშვეობით ბრალდებულების და სასჯელის მოხდის პერიოდში მსჯავრდებულების (როგორც სრულწლოვნების, ისე არასრულწლოვნების) მიერ სხვადასხვა პროფესიის დაუფლების ხელშეწყობა.

*აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2016 წლის ბიუჯეტის დანართით „პროგრამების მოსალოდნელი შედეგები და ინდიკატორები" განსაზღვრული „პროექტის აღწერა და მიზანი" (პროგრამული კოდი 32 02 09) განსხვავებულია ბიუჯეტის პრიორიტეტებისა და პროგრამების მიხედვით ჩამოყალიბებული აქტივობებისა. სავარაუდოდ, ის არის შეცდომით კოპირებული 2015 წლის ბიუჯეტის ანალოგიური დანართიდან (იდენტურია).*

აღნიშნული ქვეპროგრამისთვის 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები დაზუსტდა 433.2 ათას ლარზე. საიდანაც 203.2 ათასი ლარი განსაზრვრულია „საქონელი და მომსახურების" მუხლში, რომლის ფაქტობრივი შესრულებაა 168.9 ათასი ლარი. 230.0 ათასი ლარი განსაზღვრულია "სუბსიდიების" მუხლში, რომლის ფაქტობრივი ხარჯი 186.3 ათასი ლარია. სულ **საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 32 02 09 პროგრამული კოდით 2016 წლის ფაქტობრივი შესრულებაა 355.2 ათასი ლარი.**

32 02 09 - ბრალდებული და მსჯავრდებული პირებისათვის განათლების მიღების ხელმისაწვდომობა - დამტკიცებულ და დაზუსტებულ ბიუჯეტებს შორის სხვაობა გამოწვეულია მსჯავრდებულების მხრიდან პროფესიულ განათლებაზე გაზრდილი მოთხოვნით, ხოლო დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის სხვაობა - ბენეფიციართა რაოდენობისა და პროგრამების ნუსხის შესახებ მოწოდებული ინფორმაციის დაგვიანებით;[112]

ქვეპროგრამის განმახორციელებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.

**შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები კონკრეტული და მიღწევადია, თუმცა არ არის გაზომვადი. მაგალითად:**

**საბაზისო მაჩვენებელი -** 2015 წელს სასწავლო პროცესში ჩართული ბრალდებული და მსჯავრდებული მოსწავლეების რაოდენობამ შეადგინა 68%;

**მიზნობრივი მაჩვენებელი -** სასწავლო პროცესში ჩართული მოსწავლეების ზრდა;

**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 10%;

**შესაძლო რისკები -** სამიზნე ჯგუფების არარსებობა.

2016 წლის შესრულების ანგარიშის მიხედვით პროგრამების ფარგლებში (32 02 09) პროგრამული კოდი) შესრულდა შემდეგი:

- პროგრამის ფარგლებში სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მყოფ 150-მდე არასრულწლოვან ბრალდებულს/მსჯავრდებულს შესაძლებლობა ჰქონდა სპეციფიკურ გარემოში შეესწავლა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნები;

- პენიტენციურ დაწესებულებაში მომუშავე პედაგოგებს ჩაუტარდათ 10 დღიანი სპეციალური გადამზადების კურსი/ტრენინგი;

112 2016 წლის ბიუჯეტის კანონის შესრულების ანგარიში, VI თავი.

- ზოგადი განათლების ცალკეული კლასის/სემესტრის, ასევე ცალკეულ კლასში/სემესტრში შემავალი საგნების, ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო პროგრამების ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდებისათვის ექსტერნად დარეგისტრირდნენ №11 არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო, №8 პატიმრობისა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის, №15 პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფი ბრალდებული/მსჯავრდებული პირები, გამოცდებში მონაწილეობა მიიღო 22-მა ბრალდებულმა/მსჯავრდებულმა პირმა, რომლებმაც დაძლიეს პროგრამის სხვადასხვა კლასისა და საფეხურის დონე;

- 2015-2016 სასწავლო წლის განმავლობაში საბაზო-საშუალო საფეხურის მოსწავლეების მიერ კონკრეტული საგნისთვის წლის მანძილზე დათმობილი საათების 30%-ის და მეტის გაცდენის გამო, ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი მიღწევის დონის ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდებში მონაწილეობა მიიღო და აღნიშნული გამოცდები დაძლია ერთმა არასრულწლოვანმა ბრალდებულმა მოსწავლემ;

- პენიტენციურ დაწესებულებებში მყოფმა 15-მა ბრალდებულმა/მსჯავრდებულმა მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა 2015-2016 სასწავლო წლის სკოლის გამოსაშვებ გამოცდებში და გამოცდა დაძლია 9 პატიმარმა მოსწავლემ;

- ერთიან ეროვნულ გამოცდებზე დარეგისტრირდა 14 ბრალდებული/მსჯავრდებული პირი, მონაწილეობა მიიღო 10-მა. ამასთან, გამოცდა წარმატებით დაძლია და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის გაგრძელების უფლება მოიპოვა 2-მა ბრალდებულმა/მსჯავრდებულმა პირმა;

- მსჯავრდებულთა (პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში განთავსებული მსჯავრდებული, თავისუფლებაშეზღუდული, პირობით ვადამდე გათავისუფლებული და პირობით მსჯავრდებული) პროფესიული განათლების მიღების ხელშეწყობის მიზნით, დაფინანსება მიიღო 10-მა სსიპ/ა(ა)იპ - საზოგადოებრივმა/პროფესიულმა კოლეჯმა (მომზადება გაიარა 1 004-მა ბენეფიციარმა);

➢ სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის 2016 წლის სამოქმედო გეგმის მიხედვით საგანმანათლებლო პროფესიულ პროგრამებში საანგარიშო პერიოდისათვის ჩართული იყო 1325 მსჯავრდებული, რაც წარმოადგენს მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობის 16%-ს.

მიღწეული შუალედური შედეგებია:

- პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში მყოფმა 150-მდე ბრალდებულმა/მსჯავრდებულმა მოსწავლემ შეისწავლა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სასწავლო პროგრამები. ჩართული იყვნენ სხვადასხვა აღმზრდელობით საქმიანობაში, მიეცათ შესაძლებლობა შესაბამისი ატესტატის მიღებისა და განათლების სხვა საფეხურზე სწავლის გაგრძელებისა;

- პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში მყოფი მსჯავრდებულები, ტერიტორიულ ორგანოებში აღრიცხვაზე მყოფი პირობითი მსჯავრდებულები, პირობით ვადამდე გათავისუფლებული და თავისუფლებაშეზღუდულ მსჯავრდებულები დაეუფლნენ მათთვის სასურველ პროფესიებს.

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორებია:

**1. საბაზისო მაჩვენებელი** - 2015 წელს სასწავლო პროცესში ჩართული ბრალდებული და მსჯავრდებული მოსწავლეების რაოდენობამ შეადგინა 68%;

**მიზნობრივი მაჩვენებელი** - სასწავლო პროცესში ჩართული მოსწავლეების ზრდა;

**მიღწეული მაჩვენებელი** - 150-მდე ბრალდებული/მსჯავრდებული მოსწავლე უზრუნველყოფილი იყო უწყვეტი ზოგადი განათლების მიღების შესაძლებლობით, 1 004 ბენეფიციარი დაეუფლა პროფესიულ მოკლევადიან (სერტიფიცირებული) საგანმანათლებლო პროგრამებს.

**ქვეპროგრამისთვის, პროგრამული კოდით 32 02 09, 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის** ასიგნებები დაზუსტდა 183.5 ათას ლარზე. 58.3 ათასი ლარი განსაზღვრულია "საქონელი და მომსახურების" მუხლში, რომლის ფაქტობრივი ხარჯი 56.5 ათასი ლარია. 125.1 ათასი ლარი განსაზღვრულია „სხვა ხარჯების" მუხლში, ფაქტობრივი შესრულება კი არის 117.2 ათასი ლარი. სულ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 32 02 09 პროგრამული კოდით 2017 წლის ფაქტობრივი შესრულებაა 173.7 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის განმახორციელებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.

2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტებისა და პროგრამების მიხედვით **საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 32 02 09 პროგრამული კოდით** გათვალისწინებულია სასჯელაღსრულების დაწესებულებებში განათლების მიღების ხელმისაწვდომობის პროგრამა:

- სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის ფარგლებში ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნების სწავლებისა და განათლების უწყვეტობის უზრუნველყოფით პენიტენციურ დაწესებულებებში მყოფი ბრალდებული/მსჯავრდებული მოსწავლეების საზოგადოებაში რეინტეგრაციის ხელშეწყობა.

შესრულების შეფასების ინდიკატორები მიღწევადია, თუმცა არ არის გაზომვადი.

**საბაზისო მაჩვენებელი** - საგანმანათლებლო პროცესში 2015 წელს პროგრამაში ჩართული იყო 160-ზე მეტი ბენეფიციარი;

➢ გაურკვეველია, რატომ არის აღებული 2015 წელი როგორც საბაზისო მაჩვენებლის წყარო.

**მიზნობრივი მაჩვენებელი** - პროგრამის ბენეფიციართა 100%-ის უზრუნველყოფა განათლების მიღების შესაძლებლობით; ექსტერნისა და საატესტატო გამოცდებში მონაწილე ბრალდებულ/მსჯავრდებულ არასრულწლოვანთა მიღწევები;

**ცდომილების ალბათობა** (%/აღწერა) - 10%;

**შესაძლო რისკები** - სამიზნე ჯგუფების არარსებობა.

2017 წლის შესრულების ანგარიშის მიხედვით პროგრამების ფარგლებში[113] (32 02 09 პროგრამული კოდი) შესრულდა შემდეგი:

- 80 ბრალდებულ/მსჯავრდებულ პირს შესაძლებლობა ქონდა სპეციფიკურ გარემოში შეესწავლა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნები;
- ზოგადი განათლების ცალკეული კლასის/სემესტრის, ასევე ცალკეულ კლასში/სემესტრში შემავალი საგნების, ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო პროგრამების ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდებისათვის ექსტერნად დარეგისტრირდა №11 არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო, №8 და №2 პატიმრობისა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის და №16 დაბალი რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში მყოფი 12 ბრალდებული/მსჯავრდებული პირი, გამოცდებში მონაწილეობა მიიღო 10-მა ბრალდებულმა/მსჯავრდებულმა პირმა, 9 ბრალდებულმა/მსჯავრდებულმა პირმა დაძლია პროგრამის სხვადასხვა კლასისა და საფეხურის დონე;
- 2016-2017 სასწავლო წლის განმავლობაში საბაზო-საშუალო საფეხურის მოსწავლეების მიერ კონკრეტული საგნისთვის წლის მანძილზე დათმობილი საათების 30%-ის და მეტის გაცდენის გამო,

113 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები პროგრამული კლასიფიკაციის მიხედვით.

ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი მიღწევის დონის ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდებში მონაწილეობა მიიღო 2-მა არასრულწლოვანმა ბრალდებულმა მოსწავლემ, დაძლია ერთმა ბრალდებულმა მოსწავლემ;

- 2016-2017 სასწავლო წლის სკოლის გამოსაშვებ გამოცდებში მონაწილეობა მიიღო პენიტენციურ დაწესებულებებში მყოფმა 6-მა ბრალდებულმა/მსჯავრდებულმა მოსწავლემ და გამოცდები დაძლია 3-მა პატიმარმა მოსწავლემ;
- №11 არასრულწლოვანთა სპეციალურ და სხვა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მყოფმა 16-მა მსჯავრდებულმა/ბრალდებულმა მოსწავლემ მონაწილეობა მიიღო ერთიან ეროვნულ გამოცდებში, წარმატებით დაძლია და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩაირიცხა 13 ბრალდებული/მსჯავრდებული პირი.

მიღწეული შუალედური შედეგებია:

- პენიტენციურ დაწესებულებებში მყოფმა 80-მა ბრალდებულმა/მსჯავრდებულმა მოსწავლემ შეისწავლა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სასწავლო პროგრამები; ჩართული იყვნენ სხვადასხვა აღმზრდელობით საქმიანობაში;
- პროგრამის ფარგლებში, ბრალდებული/მსჯავრდებული მოსწავლეებისთვის უზრუნველყოფილია ზოგადი განათლების ცალკეული კლასის/კლასების/სემესტრის, ასევე ცალკეულ კლასში/სემესტრში შემავალი საგნის/საგნების ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო პროგრამა/პროგრამების ექსტერნატის ფორმით დაძლევის, ასევე სკოლის გამოსაშვებ და ერთიან ეროვნულ გამოცდებში მონაწილეობა.

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორებია:[114]

**1. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი** - საგანმანათლებლო პროცესში 2015 წელს პროგრამაში ჩართული იყო 160-ზე მეტი ბენეფიციარი;

**დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი** - პროგრამის ბენეფიციართა 100%-ის უზრუნველყოფა განათლების მიღების შესაძლებლობით; ექსტერნისა და საატესტატო გამოცდებში მონაწილე ბრალდებულ/მსჯავრდებულ არასრულწლოვანთა მიღწევები;

**მიღწეული მაჩვენებელი** - პროგრამის ყველა ბენეფიციარისათვის (80 ბრალდებული/მსჯავრდებული მოსწავლე) უზრუნველყოფილია უწყვეტი ზოგადი განათლების მიღების შესაძლებლობა.

## კვლევის მიგნებები

სასჯელაღსრულებისა და ბრობაციის სისტემაში 2014-2017 წლების საბიუჯეტო პროცესების კვლევისას იკვეთება, რომ ბიუჯეტის დაგეგმარება მეტწილად ხორციელდება კვალიფიციურად და აკმაყოფილებს საბიუჯეტო კოდექსის, პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის მოთხოვნებს. კერძოდ, სახელმწიფო ბიუჯეტის მომზადების პირველი ეტაპი, ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის მომზადება ხორციელდება ისე, რომ სრულად ასახავდეს სახელმწიფო ბიუჯეტის მხარჯავი დაწესებულების, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს, საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმების განხორციელებისათვის საჭირო პროგრამებს, მათ მიზნებსა და დაფინანსების ოდენობებს. სამინისტროს პროგრამები და მიზნები გამომდინარეობს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო, სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სამოქმედო, ჯანდაცვის განვითარების სამოქმედო გეგმებიდან. სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებებით განსახორციელებელი დაფინანსების

114 ინფორმაცია 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების შესრულების შესახებ.

ოდენობა, ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტებში ყოველთვის ზღვრულ მოცულობებში განსაზღვრული თანხების შესაბამისადაა წარდგენილი. განსხვავება, რომელიც წარმოადგენს საკუთარი შემოსავლებიდან განხორციელებულ დაფინანსებას, გვხვდება მხოლოდ პროგრამაში - „სრულყოფილი პრობაციის სისტემა“. აღსანიშნავია, რომ ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების 2017-2020 წლების დოკუმენტში, სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის განხორციელებისათვის დაგეგმილი ღონისძიებები ბევრად უფრო დეტალური სახითაა განსაზღვრული, ვიდრე წინა წლებში.

სამოქმედო გეგმების განხილვისას, 2014-2015 წლების ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმაში ჩამოყალიბებული ძირითადი მიზნები და ამოცანები სასჯელაღსრულების სისტემის, პრობაციის და ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციის, წამების და არასათანადო მოპყრობასთან ბრძოლის, ბავშვთა უფლებების დაცვის კუთხით თითქმის **იდეალურ თანხვედრაშია** 2014 და 2015 წლების სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სამოქმედო გეგმის შესაბამის თავებთან. კერძოდ, პენიტენციური სისტემის რეფორმის სამოქმედო გეგმასთან, პრობაციის სისტემის რეფორმასთან, სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის სამოქმედო გეგმასთან და ნაწილობრივ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმასთან. შესაბამისად, სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სამოქმედო გეგმაში სხვადასხვა ღონისძიებებზე/აქტივობებზე განსაზღვრული თანხები შეიძლება განხილულ იქნას სამთავრობო სამოქმედო გეგმის კუთხითაც (ვინაიდან უკანასკნელში საერთოდ არ არის განსაზღვრული დაფინანსება). ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სამოქმედო გეგმაში დაფინანსების წყარო და ოდენობა ყველგან არ არის მითითებული. ისეთი ღონისძიებების შემთხვევაში, სადაც განხორციელებაზე პასუხისმგებელი უწყება რამდენიმეა, რთულია გარკვევა, თუ რომელი უწყების ასიგნებებით ხდება მისი განხორციელება. ხაზგასასმელია, რომ სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის სამოქმედო გეგმაში დეტალურადაა ჩაშლილი დაფინანსების განმახორციელებლების შესახებ ინფორმაცია.

2016-2017 წლების ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმაში ჩამოყალიბებული ძირითადი მიზნები და ამოცანები სასჯელაღსრულების სისტემის, პრობაციის და ყოფილ პატიმართა რეაბილიტაცის, წამების და არასათანადო მოპყრობასთან ბრძოლის, ბავშვთა უფლებების დაცვის კუთხით **გარკვეულწილად თანხვედრაშია** 2016 და 2017 წლების სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სამოქმედო გეგმის შესაბამის თავებთან. კერძოდ, პენიტენციური სისტემის რეფორმის სამოქმედო გეგმასთან, პრობაციის სისტემის რეფორმასთან, სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის სამოქმედო გეგმასთან და ნაწილობრივ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმასთან. სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სამოქმედო გეგმები, მათში ჩამოყალიბებული გრძელვადიანი მიზნებიდან და სტრატეგიებიდან გამომდინარე, არ შეცვლილა არც სტრუქტურულად და არც შინაარსობრივად (2014-2015 წლებთან შედარებით), მაშინ, როცა ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმაში გრძელვადიანი მიზნების შესრულებისთვის დამატებითი საქმიანობებია განსაზღვრული და ასევე დასახულია ახალი ამოცანები და მათი შესრულებისათვის საჭირო საქმიანობები/ღონისძიებები.

შესაბამისად, სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სამოქმედო გეგმაში სხვადასხვა ღონისძიებებზე/აქტივობებზე განსაზღვრული თანხები ნაწილობრივ შესაძლებელია განხილულ იქნას სამთავრობო სამოქმედო გეგმის კუთხითაც. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სამოქმედო გეგმაში დაფინანსების წყარო და ოდენობა ყველგან არ არის მითითებული. ასევე აღსანიშნავია, რომ 2016 – 2017 წლების ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმაში ზოგიერთ საქმიანობაზე მითითებულია დაფინანსების წყარო და თანხის ოდენობა (განსხვავებით 2014 – 2015 წლებისა), თუმცა ის თითქმის არასდროს ემთხვევა სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სამოქმედო გეგმაში იგივე ღონისძიებებზე მითითებულ თანხებს. ისეთი ღონისძიებების შემთხვევაში, სადაც განხორციელებაზე პასუხისმგებელი უწყება რამდენიმეა, რთულია გარკვევა, თუ

რომელი უწყების ასიგნებებით ხდება მისი განხორციელება. სავარაუდოდ, დაფინანსება ხორციელდება იმ უწყების საბიუჯეტო ასიგნებებიდან, რომელიც გეგმის შედგენაზეა პასუხისმგებელი. უნდა აღინიშნოს, რომ სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის სამოქმედო გეგმაში, განსხვავებით 2014 და 2015 წლების სისხლის სამართლის სამოქმედო გეგმებისა, **საერთოდ არ არის მითითებული** არც დაფინანსების წყარო და არც თანხის ოდენობა.

სასჯელაღსრულების სისტემის ჯანდაცვის განვითარების სამოქმედო გეგმაში (2014-2017 წლებისთვის) მითითებულია დაფინანსების წყარო, თუმცა მიზნებისა და ამოცანების განხორციელებისათვის საჭირო თანხის ოდენობა არ არის განსაზღვრული.

2014-2017 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის კანონების შესაბამისად, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროსათვის **ასიგნებების ოდენობა დამტკიცებულია შესაბამისი წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულების დოკუმენტის შესაბამისად**, ზღვრულ მოცულობებში. თუმცა 2015, 2016 და 2017 წლების განმავლობაში ბიუჯეტის პროექტებში განხორციელდა ცვლილებები, რის შედეგადაც 2015 და 2016 წლებში მოხდა სამინისტროს ასიგნებების შემცირება. აღნიშნული ცვლილებები გამოწვეული იყო სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროსგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო. აღნიშნულ წლებში ბიუჯეტის დაზუსტებების შედეგად ხდებოდა ასიგნებების მცირედად შემცირება, გარდა 2017 წლისა, როცა სამინისტროს ბიუჯეტი 4 000.0 ათასი ლარით გაიზარდა. უმეტესად, მუხლის - „სხვა საქონელი და მომსახურება“ - ხარჯზე მოხდა ზრდა მუხლისა - „არაფინანსური აქტივების ზრდა“.

2014 წელს „შრომის ანაზღაურების“ მუხლი 1,916.5 ათასი ლარით მეტობით დაზუსტდა ძირითადად „სხვა საქონელი და მომსახურების“ მუხლის ხარჯზე. იგი სამინისტროს მთლიანი ასიგნებების 44,7%-ს შეადგენს. დანამატისა და პრემიის ოდენობა მთლიანი შრომის ანაზღაურების 50%-ია.

2015 წელს „შრომის ანაზღაურების“ მუხლი გაიზარდა 2,103.5 ათასი ლარით „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლის ხარჯზე. იგი სამინისტროს მთლიანი ასიგნებების 44,86%-ს შეადგენს. დანამატისა და პრემიის ოდენობა მთლიანი შრომის ანაზღაურების 50%-ია.

2016 წელს ასევე მოხდა „შრომის ანაზღაურების“ მუხლის დაზუსტება 916.0 ათასი ლარით. დაზუსტება, როგორც 2014 წელს, „სხვა საქონელი და მომსახურების“ მუხლის ხარჯზე ხდება. შრომის ანაზღაურება მთლიანი ასიგნებების 47%-ს შეადგენს.

2017 წელს „შრომის ანაზღაურების“ მუხლი არ დაზუსტებულა და მოხდა მისი დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში ხარჯვა. იგი სამინისტროს მთლიანი დამტკიცებული ასიგნებების 45,19%-ს შეადგენს.

საკვლევი პერიოდის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონების პრიორიტეტები და პროგრამები ითვალისწინებს შესაბამისი წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტებში წარმოდგენილ პროგრამულ მიმართულებებს, რომელიც უნდა გამომდინარეობდეს სამოქმედო გეგმებიდან (საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა, სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სამოქმედო გეგმა, სასჯელაღსრულების სისტემის ჯანდაცვის განვითარების სამოქმედო გეგმა). სასჯელაღსრულების სისტემის რეფორმის კუთხით აღნიშნული პროგრამული მიმართულებების უმნიშვნელოვანესი ნაწილი უცვლელია 2014-2017 წლების განმავლობაში.

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში განისაზღვრება პრიორიტეტები (პირველი დონე), მათ ფარგლებში განსახორციელებელი პროგრამები (მეორე დონე) და ქვეპროგრამები (მესამე და მესამისშემდგომი დონეები). 2014-2015 წლებში სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო წარმოდგენილია ოთხი ძირითადი პროგრამით (პროგრამული კოდები 27 01- 27 04), ხოლო 2016-2017 წლებში - სამი ძირითადი პროგრამით (პროგრამული კოდები 27 01 – 27 03).

| 2014 – 2015 წ.წ. | | 2016-2017 წ.წ | |
|---|---|---|---|
| **27 01** | **პენიტენციური სისტემის პოლიტიკის შემუშავება და მართვა** | **საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პენიტენციური სისტემის ჩამოყალიბება** | **27 01** |
| **27 02** | სისხლის სამართლის სისტემის რეფორმა | ***პენიტენციური სისტემის პოლიტიკის შემუშავება, მართვა*** *და ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ყოფითი პირობების გაუმჯობესება* | *27 01 01* |
| *27 02 01* | ***საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პენიტენციური სისტემის ჩამოყალიბება*** | *ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა ექვივალენტური სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა* | *27 01 02* |
| *27 02 02* | *სრულყოფილი პრობაციის სისტემა* | *პენიტენციური სისტემის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება* | *27 01 03* |
| **27 03** | სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემის თანამშრომელთა მომზადება და პროფესიული განვითარება | სრულყოფილი პრობაციის სისტემა | **27 02** |
| **27 04** | ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა ექვივალენტური სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა | სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემისათვის თანამშრომელთა მომზადება და პროფესიული განვითარება | **27 03** |

განსხვავებით 2014 -2015 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის კანონებისა, 2016 -2017 წლებისთვის ბიუჯეტის კანონებში პროგრამადაა გამოყოფილი **„საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პენიტენციური სისტემის ჩამოყალიბება" (პროგრამული კოდი 27 01)**, თავისი ქვეპროგრამებით, ესენია „პენიტენციური სისტემის პოლიტიკის შემუშავება, მართვა (2014-2015 წლებში პროგრამა, 27 01) და ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ყოფითი პირობების გაუმჯობესება" (2014-2015 წლებში ქვეპროგრამა, 27 02 01 01), „ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა ექვივალენტური სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა" (2014-2015 წლებში პროგრამა, 27 04) და „პენიტენციური სისტემის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება" (2014-2015 წლებში ქვეპროგრამა, 27 02 01 02).

2016 -2017 წლებისთვის ბიუჯეტის კანონებში პროგრამადაა გამოყოფილი „სრულყოფილი პრობაციის სისტემა", მაშინ, როცა 2014-2015 წლებისთვის ის „სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის" ქვეპროგრამას წარმოადგენს (პროგრამული კოდი 27 02 02). „სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემის თანამშრომელთა მომზადება და პროფესიული განვითარება" 2014 -2017 წლებისთვის ბიუჯეტის კანონებში ცალკე პროგრამადაა წარმოდგენილი (პროგრამული კოდი 27 03).

2014 -2015 წლების ქვეპროგრამა **„საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პენიტენციური სისტემის ჩამოყალიბება"** (პროგრამული კოდი 27 02 01) და 2016 -2017 წლებისთვის იგივე სახელწოდების პროგრამის (პროგრამული კოდი 27 01) ქვეპროგრამა **„პენიტენციური სისტემის პოლიტიკის შემუშავება, მართვა და ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ყოფითი პირობების გაუმჯობესება"** (პროგრამული კოდი 27 01 01), შესაბამისი წლების სახელმწიფო ბიუჯეტის კანონებში განსაზღვრული პრიორიტეტების და პროგრამების მიხედვით იდენტური შინაარსის მატარებელია, მხოლოდ ერთის გამოკლებით - 2017 წლის ქვეპროგრამის მიხედვით - განათლების ხელმისაწვდომობა სახელობო და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განსაზღვრით და შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნა, მსჯავრდებულთა დასაქმება;

ასევე თითოეული წლის ბიუჯეტის პროექტის პროგრამული დანართის „პროექტის აღწერასა და მიზანში", სადაც ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამების მოსალოდნელი შედეგები და ინდიკატორებია აღწერილი, შესაბამისი ქვეპროგრამების შინაარსი უცვლელი სახით არის გადატანილი.

**ქვეპროგრამაში „პენიტენციური სისტემის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება“** დეტალურადაა აღწერილი, თითოეული პროექტის მითითებით, ბიუჯეტის პროექტის (2014 -2017 წლებისთვის) პროგრამულ დანართში, განსხვავებით სახელმწიფო ბიუჯეტის კანონებში განსაზღვრული პრიორიტეტებისა და პროგრამებისა, სადაც ის მხოლოდ ზოგადი სახითაა მოხსენიებული.

**პროგრამა „სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემის თანამშრომელთა მომზადება და პროფესიული განვითარება“** – 2014-2017 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის კანონების პრიორიტეტებში და პროგრამებში ასახულია იდენტურად როგორც გრძელვადიანი პროგრამები, თუმცა 2016 წელს მათ დაემატა საკითხი - ახლად დანერგილი მონიტორინგის ინსტიტუტის განვითარება და სასწავლო პროგრამების განახლება, მათი ხარისხის სისტემატური გაუმჯობესება. პროგრამულ დანართში „პროექტის აღწერასა და მიზანში“ შესაბამისი პროექტის შინაარსი უცვლელი სახით არის ასახული.

**ქვეპროგრამა “ბრალდებული და მსჯავრდებული პირებისათვის ზოგადი განათლების მიღების ხელმისაწვდომობა“** (პროგრამული კოდი 32 02 09) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ასიგნებების ფარგლებში ხორციელდება. 2014 -2016 წლების განმავლობაში აღნიშნული პროგრამა ითვალისწინებს ერთსა და იმავე მიზანს - პენიტენციურ დაწესებულებებში ზოგადი განათლების მიღების ხელშეწყობას, პროფესიული განათლების კურსების მეშვეობით ბრალდებულების და სასჯელის მოხდის პერიოდში მსჯავრდებულების (როგორც სრულწლოვნების, ისე არასრულწლოვნების) მიერ სხვადასხვა პროფესიის დაუფლების ხელშეწყობას. ასევე, 2014 -2015 წლებში ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს -სასჯელაღსრულების დეპარტამენტის არასრულწლოვანთა აღმზრდელობით დაწესებულებასა და №5 ქალთა და არასრულწლოვანთა საერთო და საპყრობილის რეჟიმის დაწესებულებაში არასრულწლოვანი მსჯავრდებულებისათვის ზოგადი განათლების მიღების შესაძლებლობის უზრუნველყოფა, რომელიც 2016 წელს ჩაანაცვლა - №9 და №11 დაწესებულებაში არასრულწლოვანი მსჯავრდებულებისათვის ზოგადი განათლების მიღების შესაძლებლობის უზრუნველყოფამ.

უნდა აღინიშნოს, რომ 2016 წლის ბიუჯეტის კანონის დანართით „პროგრამების მოსალოდნელი შედეგები და ინდიკატორები“ განსაზღვრული „პროექტის აღწერა და მიზანი“ (პროგრამული კოდი 32 02 09) განსხვავებულია ბიუჯეტის პრიორიტეტებისა და პროგრამების მიხედვით ჩამოყალიბებული აქტივობებისგან. სავარაუდოდ, ის არის შეცდომით კოპირებული 2015 წლის ბიუჯეტის ანალოგიური დანართიდან (იდენტურია).

2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პრიორიტეტებსა და პროგრამებში, ასევე პროგრამულ დანართში, პროგრამა “ბრალდებული და მსჯავრდებული პირებისათვის ზოგადი განათლების მიღების ხელმისაწვდომობა“ (პროგრამული კოდი 32 02 09) თავისი მნიშვნელობით ხდება უფრო სისტემატიური ხასიათის და ბრალდებულ/მსჯავრდებულ მოსწავლეების რეაბილიტაცია-რესოციალიზაციაზე ორიენტირებული.

საკვლევი პერიოდისათვის სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს, სახელმწიფო ბიუჯეტის განაცხადის წარდგენისას, პროგრამებისა და ქვეპროგრამების შუალედური და საბოლოო შედეგების ინდიკატორები ყოველთვის არ აქვს ჩამოყალიბებული ისე, რომ ისინი იყოს:

- სასარგებლო – პოლიტიკის განმახორციელებლებს უნდა აწვდიდეს შინაარსობრივ და ღირებულ ინფორმაციას;
- შედეგზე ორინტირებული – უნდა გამოხატავდეს დასახულ შედეგთან მიმართებას;
- ნათელი და გაზომვადი – იოლად აღქმადი და გასაგები ენით აღწერილი, რათა ყველა დაინტერესებულმა მხარემ შეძლოს მისი გაგება, გამოყენება და მათი მეშვეობით მიღწეული შედეგების შეფასება;
- შესაბამისი და მიღწევადი – ინდიკატორი უნდა იქნეს შერჩეული მოსალოდნელი შედეგის შესაბამისად, ადეკვატურად უნდა ზომავდეს მას და უნდა იყოს რეალისტური, რათა არ მოხდეს მოსალოდნელი შედეგის ზედმეტად ოპტიმისტური ან პირიქით ზედმეტად პესიმისტური შეფასება;

- შედარებითი – უნდა იძლეოდეს შესაძლებლობას მოხდეს მიღწეული შედეგების შეფასება დროის სხვადასხვა პერიოდში.

უნდა აღინიშნოს, რომ 2014-2015 წლებში **შუალედური და საბოლოო შედეგების ინდიკატორების დიდი წილი კვალიფიციურადაა შედგენილი** და პროგრამების და ქვეპროგრამების შედეგები მიღწევადი, გაზომვადი, შესაბამისი, კონკრეტული და დროში გაზომვადია. აღნიშნული ეხება პროგრამას „სისხლის სამართლის რეფორმა“ (პროგრამული კოდი 27 02).

რაც შეეხება 2014-2015 წლების ბიუჯეტის კანონის პროგრამულ დანართში **27 03 პროგრამული კოდის** მოსალოდნელი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორებს, ისინი შედგენილია ისეთი სახით, რომ იყოს ნაწილობრივ გაზომვადი, თუმცა არ არის კონკრეტული და შესაბამისი. შეუძლებელია შეფასდეს პროგრამის ფარგლებში დასახული მიზანი მიღწეული იქნა თუ არა. აღსანიშნავია, რომ საბოლოო შედეგის ინდიკატორი ზომავს პროგრამის ძირითადი მისიის განხორციელებას და ხშირად მისი გაზომვა ერთწლიან პერიოდზე შეუძლებელია. შესაბამისად, პროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორი მრავალწლიანია ან მოიცავს პროგრამის განხორციელების მთელ ვადას და წლიური შეფასებისთვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს პროგრესის მაჩვენებლები, ანუ საბოლოო შედეგის მისაღწევად განსახორციელებელ ღონისძიებათა რა ნაწილია შესრულებული საანგარიშო პერიოდის ბოლოს.[13]

2014-2015 წლების ბიუჯეტის კანონის მიხედვით შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები, **პროგრამული კოდისთვის 32 02 09**, რომელიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება, არ არის გაზომვადი და კონკრეტული. შეუძლებელია განსაზღვრა, თუ რისი მაჩვენებელია მიღებული შედეგი. პოზიტიურია ის თუ ნეგატიური. არაკვალიფიციურად შედგენილი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები არ იძლევა საშუალებას კონკრეტული მაჩვენებლებით გავზომოთ/შევაფასოთ მისაღწევი შედეგი.

2016-2017 წლების ბიუჯეტის კანონში პროგრამის **„პენიტენციური სისტემის პოლიტიკის შემუშავება, მართვა და ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ყოფითი პირობების გაუმჯობესება“** (პროგრამული კოდი 27 01 01) შუალედური და საბოლოო შედეგების ინდიკატორების დიდი წილი კვალიფიციურადაა შედგენილი და პროგრამების და ქვეპროგრამების შედეგები მიღწევადი, გაზომვადი, შესაბამისი, კონკრეტული და დროში გაზომვადია. ასევე აღსანიშნავია, რომ 2014-2015 წლების ინდიკატორებისგან განსხვავებით, 2016 წელს ბიუჯეტის კანონით განსაზღვრულ „პროგრამებში მოსალოდნელი შედეგებისა და ინდიკატორების“ მიხედვით ინდიკატორები ჩამოყალიბებულია მაჩვენებლების მიხედვით. ესენია: **საბაზისო და მიზნობრივი**. ასევე განსაზღვრულია (აღწერილია) **მიზნობრივი მაჩვენებლის ცდომილების ალბათობა** და **შესაძლო რისკები**. აღნიშნული მეთოდი იძლევა ინდიკატორების უფრო კვალიფიციურად განსაზღვრის და შემდგომ მიღწეული შედეგის შეფასების საშუალებას. 2017 წლის 27 01 01 ქვეპროგრამის შუალედური შედეგის შეფასებისათვის ჩამოყალიბებულია 5 ინდიკატორი. მათ შორის არის ისეთი ინდიკატორები, სადაც შეუძლებელია დადგინდეს, თუ რა განსხვავებაა საბაზისო მაჩვენებელსა და მიზნობრივ მაჩვენებელს შორის. არის ისეთებიც, სადაც არ არის მითითებული მიზნის ამსახველი კონკრეტული მაჩვენებელი, არის მხოლოდ ზოგადი აღწერა.

**ქვეპროგრამის „პენიტენციური სისტემის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება“** (პროგრამული კოდი 27 01 03) შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები 2016-2017 წლების სახელმწიფო ბიუჯეტების კანონების მიხედვით მიღწევადია, გაზომვადია, შესაბამისია, კონკრეტულია და დროში გაზომვადია. თუმცა 2016 წლის ბიუჯეტის პროგრამული დანართის შესაბამისად, შინაარს მოკლებულია *„ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)“*. მასში აღწერილი ინფორმაცია გაუგებარს ხდის ცდომილების გამომწვევ მიზეზს და მითუმეტეს, შესაძლო შედეგს.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნული პროექტის საბოლოო შეფასების ინდიკატორები, პროგრამის **„საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პენიტენციური სისტემის ჩამოყალიბება“ (პროგრამული**

**კოდი 27 01)** ფარგლებში, ჩამოყალიბებულია ძალიან კონკრეტულად, ისე, რომ იყოს დროში გაზომვადი და მიღწევადი.

2017 წლისთვის შუალედური შედეგების შეფასების ერთ-ერთი ინდიკატორი ძალიან ზოგადია. რაც შეეხება საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორებს, ასევე ზოგადია.

2016-2017 წლების ბიუჯეტის კანონის პროგრამულ დანართში **27 03 პროგრამული კოდის** მოსალოდნელი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები შედგენილია ისეთი სახით, რომ იყოს გაზომვადი, კონკრეტული და შესაბამისი (განსხვავებით 2016 წლისა).

**სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშებში,** 2014-2017 წლებში, ვაწყდებით ერთსა და იმავე მნიშვნელოვან პრობლემას. თითქმის არასდროს (90% შემთხვევაში) ბიუჯეტის კანონის პრიორიტეტების და პროგრამების ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებები არ მოდის შესაბამისობაში სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სამოქმედო გეგმაში აღწერილ შესრულების შედეგებთან. განსხვავებებია როგორც რაოდენობრივ, პროცენტულ, შინაარსობრივ მაჩვენებლებში, ასევე არის შემთხვევები, როცა ან სისხლის სამართლის სამოქმედო გეგმაში ან ბიუჯეტის კანონის შესრულების ანგარიშში კონკრეტული ქმედება/ღონისძიება საერთოდ არ არის აღწერილი. მაგალითად, **2014 წლის შესრულების ანგარიშის მიხედვით პროგრამების ფარგლებში (27 02 01 01 პროგრამული კოდი) შესრულდა შემდეგი:**

- სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის მიზნით განახლდა რიგი პროფესიული და სახელობო სასწავლო პროგრამები, ფსიქო-სოციალურ სარეაბილიტაციო პროგრამებში ჩაერთო 1720 მსჯავრდებული, სპორტულ და კულტურულ ღონისძიებაში - 300-მდე მსჯავრდებული და ბრალდებული;

➢ ფსიქო-სოციალურ პროგრამებში ჩართულ პატიმართა რაოდენობა სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სამოქმედო გეგმის მონაცემების მიხედვით არის 1182 მსჯავრდებული. რაც 538-ით ნაკლებია.

აღნიშნული პრობლემა ეხება კაპიტალური პროექტების შესრულების ანგარიშებსაც. ხშირად სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის შესრულების ანგარიშებში მხოლოდ ძალიან ზოგადი მონაცემია ან პირიქით. *მაგალითად,* **2016 წლის კაპიტალური პროგრამების (პროგრამული კოდი 27 01 03) ფარგლებში შესრულდა შემდეგი:**

- №8 და №14 დაწესებულებებში აშენდა პურის საცხობი; №15 და №16 დაწესებულებებში კი შეიქმნა პურის საცხობისათვის შესაბამისი ინფრასტრუქტურა;

➢ №15 და №16 დაწესებულებებში გაიხსნა პურის საცხობი და მასში დასაქმებულია 18 მსჯავრდებული. №8 და №14 დაწესებულებებში მიმდინარეობს საცხობის მშენებლობა; გაურკვეველია, თუ რომელ დაწესებულებაში დასრულდა პურის საცხობის მშენებლობა. რეალურად დასაქმდნენ თუ არა მსჯავრდებულები აღნიშნულ საცხობებში.

2014 წლის მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორებში (პროგრამული კოდი 27 02 01) არ ფიგურირებს ორი კაპიტალური პროექტის შეფასების ინდიკატორის შედეგობრივი მაჩვენებელი. 2015 წელს კი, მათი (პროგრამული კოდი 27 02 01) ნაწილი არ არის თანხვედრაში სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სამოქმედო გეგმაში მითითებულ რიცხობრივ და პროცენტულ მაჩვენებლებთან.

2016 წელს დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორებიდან ერთ-ერთი - პროფესიულ /სახელობო/საგანმანათლებლო სწავლების პროექტებში ჩართულია ბრალდებულთა/ მსჯავრდებულთა"რაოდენობა - ასევე არ ემთხვევა სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სამოქმედო გეგმაში მითითებულ რიცხობრივ მაჩვენებელს.

აღსანიშნავია, რომ 2017 წელს დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები გვაწვდის დეტალურად აღწერილ ფართო ინფორმაციას როგორც საბაზისო და მიზნობრივი მაჩვენებლის, ასევე მიღწეული მაჩვენებლის კუთხით.

**2014 -2017 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის კანონებით სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროსთვის განსაზღვრული ასიგნებები და გადასახდელები პროგრამული კლასიფიკაციის მიხედვით**

სასჯელაღსრულების და პრობაციის სამინისტროს სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები და გადასახდელები




სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები და გადასახდელები პროგრამული კლასიფიკაციის მიხედვით



**სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები და გადასახდელები პროგრამული კლასიფიკაციის მიხედვით (პროგრამული კოდი 2703)**




**სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები და გადასახდელები პროგრამული კლასიფიკაციის მიხედვით**




## რეკომენდაციები

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემაში 2014-2017 წლების საბიუჯეტო პროცესების კვლევისას იკვეთება, რომ ბიუჯეტის დაგეგმარება მეტწილად ხორციელდება კვალიფიციურად და აკმაყოფილებს საბიუჯეტო კოდექსის, პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის მოთხოვნებს.[115] სახელმწიფო ბიუჯეტის მომზადების პირველი ეტაპი, ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების

115 საბიუჯეტო კოდექსი, თავი V.

დოკუმენტის მომზადება ხორციელდება ისე, რომ სრულად ასახავდეს სახელმწიფო ბიუჯეტის მხარჯავი დაწესებულების, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს, საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმების განხორციელებისათვის საჭირო პროგრამებს, მათ მიზნებსა და დაფინანსების ოდენობებს,[116] თუმცა, ძრითადად, წლიდან წლამდე საქართველოს ფინანსთა სამინისტროში წარდგენილი პროგრამული მიმართულებების ამსახველი ტექსტი გადადის უცვლელი, მცირედი განსხვავებების გარდა. ვინაიდან ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტი (BDD) წარმოადგენს ფისკალურ ჩარჩოს, სასურველია უფრო მეტად ხაზგასმა, თუ რა ღონისძიებები/ქმედებები უნდა განხორციელდეს კონკრეტულ წელიწადს საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმების ფარგლებში.

სამოქმედო გეგმების განხილვისას, 2014-2015 წლების ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმაში[117] საერთოდ არ არის მითითებული დაფინანსების წყარო და თანხის ოდენობა. უნდა აღინიშნოს, რომ მთავრობის სახელმძღვანელო პრინციპები (2017 წელი) მოითხოვს ბიუჯეტზე ინფორმაციის მითითებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქმიანობის განსახორციელებლად დამატებითი სახსრებია საჭირო[118] და რეკომენდებულია, რომ სვეტი „ბიუჯეტი“ შეიცვალოს “საჭირო დამატებითი სახსრებით“, რომლის შემდეგაც დაემატება კიდევ ერთი სვეტი „დამატებითი დაფინანსების წყაროები“. 2016-2017 წლების ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმაში დამატებულია სვეტი „ბიუჯეტი“, სადაც ხან დაფინანსების წყაროა მითითებული, ხანაც დაფინანსების წყარო და თანხის ოდენობა და ხანაც განმახორციელებელი (შპს „პერსპექტივა“).[119] 2018 -2020 წლების ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმაში რჩება სვეტი „ბიუჯეტი“, რომელიც არ არის შევსებული.

2014-2015 წლების სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სამოქმედო გეგმებში დაფინანსების წყარო და ოდენობა ყველგან არ არის მითითებული. დაფინანსების ოდენობა ძირითადად პროგრამებისთვისაა განსაზღვრული და ზოგჯერ ქვეპროგრამებისთვისაც. ისეთი ღონისძიებების შემთხვევაში, სადაც განხორციელებაზე პასუხისმგებელი უწყება რამდენიმეა, რთულია გარკვევა, თუ რომელი უწყების ასიგნებებით ხდება მისი განხორციელება. ხაზგასასმელია, რომ სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის სამოქმედო გეგმაში დეტალურადაა ჩაშლილი დაფინანსების განმახორციელებლებისა და თანხის ოდენობის შესახებ ინფორმაცია. 2016 -2017 წლების სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სამოქმედო გეგმები წინა წლების ანალოგიურადაა შედგენილი. მხოლოდ სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში, რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის სამოქმედო გეგმაში, განსხვავებით 2014 – 2015 წლებისა, აღარაა მითითებული დაფინანსების წყარო და თანხის ოდენობა. 2018 წლის სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სამოქმედო გეგმებში საერთოდ არ არის სტრიქონები ბიუჯეტის შესახებ.

რეკომენდირებულია (მიუხედავად იმისა, რომ ბიუჯეტზე ინფორმაციის მითითება არ არის აუცილებელი[120]) მაქსიმალურად დეტალურად ჩაიშალოს პროგრამებზე გამოყოფილი ასიგნებები ქვეპროგრამების მიხედვით. აღნიშნული გააადვილებს პროგრამის შესრულების პროცესის გაანალიზებას და ხელს შეუწყობს უფრო ეფექტურ განხორციელებას.

2016-2017 წლების ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმაში ზოგიერთ საქმიანობაზე მითითებულია დაფინანსების წყარო და თანხის ოდენობა (განსხვავებით 2014-2015 წლებისა), თუმცა ის თითქმის არასდროს ემთხვევა სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სამოქმედო გეგმაში იგივე ღონისძიებებზე მითითებულ თანხებს. აუცილებელია მოხდეს კოორდინირებული მუშაობა სამოქმედო გეგმებზე მომუშავე უწყებებსა და შესაბამის სამსახურებს შორის.

---

116 საბიუჯეტო კოდექსი, მუხლი 34.

117 საქართველოს მთავრობის დადგენილება □445 (9 ივლისი 2014 წ.).

118 “პოლიტიკის დაგეგმვის სახელმძღვანელო“, ციტირებულ ნაშრომში, გვ. 11

119 შპს „პერსპექტივა“ წარმოადგენს მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის და „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების“ წესისა და პრობაციის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, 2011 წლის 29 დეკემბერს რეგისტრირებულ იურიდიულ პირს, რომლის 100%-იან წილს ფლობს სსიპ „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო“. მისი საქმიანობის ძირითად საგანს წარმოადგენს პატიმრობის კოდექსით გათვალისწინებული პაემნების ინფრასტრუქტურულ და მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფა.

120 “პოლიტიკის დაგეგმვის სახელმძღვანელო“, ციტირებული ნაშრომი, გვ. 11.

საკვლევი პერიოდის განმავლობაში (2014 -2017 წლებში), სახელმწიფო ბიუჯეტის შესაბამისი წლების კანონების მე-5 თავის შესაბამისად (პრიორიტეტები და პროგრამები), ჩამოყალიბებულია თუ რას ემსახურება კონკრეტული პროგრამა, რა ძირითადი ქვეპროგრამების და ღონისძიებებისგან შედგება ის და რა მიზნის მიღწევაა დაგეგმილი მისი განხორციელებით. პროგრამული ბიუჯეტის დანართში კი, ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს პრიორიტეტების მიხედვით და უნდა მოიცავდეს ყველა პროგრამის დაფინანსებას და შესაბამისად, პრიორიტეტზე მიმართული სახსრების მთლიან ჯამს. ასევე, თითოეული პროგრამის განხორციელებით მოსალოდნელ საბოლოო შედეგს, ამ შედეგის შეფასების ინდიკატორებს, პროგრამების ფარგლებში განსახორციელებელი ქვეპროგრამების/ღონისძიებების განხორციელებით მოსალოდნელ შუალედურ შედეგებს და მათი შეფასების ინდიკატორებს. კვლევისას იკვეთება, რომ მეტწილად, თითოეული წლის ბიუჯეტის პროექტის პროგრამული დანართის „პროექტის აღწერასა და მიზანში“, სადაც ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამების მოსალოდნელი შედეგები და ინდიკატორებია აღწერილი, შესაბამისი პროგრამების და ქვეპროგრამების შინაარსი უცვლელი სახით არის გადატანილი იმავე წლის ბიუჯეტის კანონის პრიორიტეტებიდან და პროგრამებიდან (მე-5 თავი). რეკომენდირებულია მე-5 თავში ჩამოყალიბებული პროგრამები და ქვეპროგრამები პროგრამულ დანართში იყოს აღწერილი უფრო დეტალურად, ყველა ძირითადი ღონისძიების/ქმედების გათვალისწინებით. იქმნება შთაბეჭდილება, რომ პროგრამული ბიუჯეტის დანართის შევსებისა და წარდგენის პროცესი უფრო მექანიკური ხასიათისაა. შესაბამისად, არის გაპარული უზუსტობებიც, რომელიც აშკარაა, რომ მისი ამ მეთოდით შედგენის შედეგია.

პროგრამული ბიუჯეტის შედგენისას მხარჯავი დაწესებულებების მხრიდან დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს საბოლოო და შუალედური შედეგების სწორად ჩამოყალიბებას. შედეგი უნდა ასახავდეს იმ სამომავლო მდგომარეობას, რისთვისაც ხორციელდება პროგრამა და მისი ქვეპროგრამა. შედეგები ჩამოყალიბებული უნდა იყოს ნათლად და კონკრეტულად, ხოლო მისი მიღწევის გზები წარმოდგენილი უნდა იყოს პროგრამის (ქვეპროგრამის/ღონისძიების) აღწერაში . შუალედური და საბოლოო შედეგების სწორად და ნათლად ჩამოყალიბება იძლევა შესაძლებლობას სწორად და მარტივად შეფასდეს მიღწეული შედეგები, გამოიკვეთოს და გაანალიზდეს მიზეზები დაგეგმილ და მიღწეულ შედეგებს შორის განსხვავებების არსებობის შემთხვევაში, რათა შემდგომში მოხდეს საშუალოვადიან სამოქმედო გეგმებსა თუ სექტორულ სტრატეგიებში აღნიშნული ხარვეზების გათვალისწინება და გამოსწორება.

პროგრამული ბიუჯეტის კანონების პროგრამულ დანართში საბოლოო და შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები ხშირ შემთხვევაში არ არის ჩამოყალიბებული ისე, რომ იყოს შედეგზე ორიენტირებული, ნათლად გაზომვადი, შესაბამისი და კონკრეტული, დროში გაზომვადი. ხშირად შეუძლებელია განსაზღვრა, თუ რისი მაჩვენებელია მიღებული შედეგი. პოზიტიურია ის თუ ნეგატიური. არაკვალიფიციურად შედგენილი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები არ იძლევა საშუალებას კონკრეტული მაჩვენებლებით გავზომოთ/შევაფასოთ მისაღწევი შედეგი.

2016 -2017 წლების ბიუჯეტის კანონების პროგრამულ დანართებში შუალედური და საბოლოო შედეგების ინდიკატორების დიდი წილი კვალიფიციურადაა შედგენილი და პროგრამების და ქვეპროგრამების შედეგები მიღწევადი, გაზომვადი, შესაბამისი, კონკრეტული და დროში გაზომვადია. 2016 წელს ბიუჯეტის კანონით განსაზღვრულ დანართში „პროგრამებში მოსალოდნელი შედეგები და ინდიკატორები“ ინდიკატორები ჩამოყალიბებულია მაჩვენებლების მიხედვით. ესენია: საბაზისო და მიზნობრივი. ასევე განსაზღვრულია (აღწერილია) მიზნობრივი მაჩვენებლის ცდომილების ალბათობა და შესაძლო რისკები. აღნიშნული მეთოდი იძლევა ინდიკატორების უფრო კვალიფიციურად განსაზღვრის და შემდგომ მიღწეული შედეგის შეფასების საშუალებას. თუმცა 2016 წლის ბიუჯეტის პროგრამული დანართის შესაბამისად, შინაარს მოკლებულია ერთ-ერთი ინდიკატორის „ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)“. მასში აღწერილი ინფორმაცია გაუგებარს ხდის ცდომილების გამომწვევ მიზეზს და მითუმეტეს, შესაძლო შედეგს. 2017 წელს კი, არის ისეთი ინდიკატორები, სადაც შეუძლებელია დადგინდეს, თუ რა განსხვავებაა საბაზისო მაჩვენებელსა და მიზნობრივ მაჩვენებელს შორის. არის ისეთებიც, სადაც არ არის მითითებული მიზნის ამსახველი კონკრეტული მაჩვენებელი, არის მხოლოდ ზოგადი აღწერა.

შესრულების ინდიკატორი წარმოადგენს მიღწეული შედეგების შეფასების საშუალებას, თუ რამდენად აღწევს პროგრამა დასახულ მიზნებს. შეფასების ინდიკატორების განსაზღვრისას აუცილებელია კარგად მოხდეს გააზრება, თუ რა განსხვავებაა პროგრამის საბოლოო შედეგსა და მისი ქვეპროგრამების ფარგლებში მისაღწევ შუალედურ შედეგებს შორის. პროგრამის საბოლოო შედეგი არის ის სასურველი მდგომარეობა, რომლითაც ფართო საზოგადოება ისარგებლებს, ხოლო ქვეპროგრამების ფარგლებში მისაღები შუალედური შედეგები წარმოადგენს კონკრეტულ და გაზომვად ერთეულებში მოცემულ ინფორმაციას. ამიტომ აუცილებელია უკანასკნელი იყოს კონკრეტული და გაზომვადი ერთი წლის ჭრილში.

სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშებში, 2014-2017 წლებში, ვაწყდებით ერთსა და იმავე მნიშვნელოვან პრობლემას. თითქმის არასდროს (90% შემთხვევაში) ბიუჯეტის კანონის პრიორიტეტების და პროგრამების ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებები არ მოდის შესაბამისობაში სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სამოქმედო გეგმაში აღწერილ იგივე ღონისძიებების შესრულების შედეგებთან. განსხვავებებია როგორც რაოდენობრივ, პროცენტულ, შინაარსობრივ მაჩვენებლებში, ასევე არის შემთხვევები, როცა ან სისხლის სამართლის სამოქმედო გეგმაში ან ბიუჯეტის კანონის შესრულების ანგარიშში კონკრეტული ქმედება/ღონისძიება საერთოდ არ არის აღწერილი. ისმის კითხვა, ხომ არ აჩენს აღნიშნული ცდომილებები პროექტების ბიუჯეტის დაგეგმარებისა და ხარჯეფექტურობის განსაზღვრის კუთხით პრობლემებს? აუცილებელია მოხდეს კოორდინირებული მუშაობა სამოქმედო გეგმებზე მომუშავე უწყებებსა, შესაბამის სამსახურებსა და ფინანსურ დეპარტამენტებს შორის._

**Penal Reform International**
**South Caucasus Regional Office**
**Address:** Chavchavadze ave, 1st lane, block #6,
entr **III**, floor **II**, apt. 61
0179, Tbilisi, Georgia
**Phone:** + 995 32 237 02 70

**Penal Reform International South Caucasus Regional Office**

penalreform.org